



# მეცხე

11

ნომერი

1965

ლიტერატურულ-  
მხატვრული და  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური  
შუბნალი

საპარტვილოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა  
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი






## გალაქტიონ ტავიძე

### ხალხი — ოქტომბერი

წინ, წინ, სამშობლო მხარეც!  
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი  
ის ოქტომბერი, რამაც  
შესძრა მსოფლიო მთელი.

დროშაა დიდებული—  
გაბრწყინებული, სრული,  
ავწიოთ უფრო მალლა  
ხალხის სული და გული.

მალლა ავწიოთ ხალხი,  
უნდა გვესმოდეს ხალხი,  
უნდა გამოგვეყვეს ხალხი!



### რედაქტორი ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია: გურამ ვაგრაძე, კარლო კალაძე, კონ-  
სტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მებრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მ. მდი-  
ვანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ შავჭავანიძე, ვახტანგ ხალიძე, სერგი  
შილაია, თაბუა შილაძე, ლაშა ჯანაშია.



# ენგურის მზე

## ენგურის მზე

### ზალვა შენგელი

საბჭოთა ადამიანები სახელოვანი გამარჯვებებით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავს.

ამ დიდებულ დღესასწაულს ღირსეულად შეხვდნენ ენგურჰესის მშენებლებიც, რომელთაც სინათლის ჯარისკაცებს უწოდებს ჩვენი ხალხი.

ოთხი წლის წინათ დაწყებული ეს მშენებლობა გაშლილია წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარიდან გალის რაიონის ზღვისპირა სოფელ გუდავამდე.

ენგურჰესის ამოქმედება დაჯდება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი. სამაგიეროდ, მწყობრში ჩადგომის შემდეგ, დიდი სინათლის წყარო წელიწადში ხუთნახევარ მილიარდ კილოვატსაათს გამოიმუშავებს.

მშენებლობის სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსს ალიკო გოგიაშვილს ვთხოვე, ეს ენერგია შეედარებინა საქართველოს პირველი ელსადგურის ძალასთან. მან აიღო ფანქარი, იანგარიშა და თქვა:

— ენგურჰესი დაახლოებით ორმოცდამეორე ზაპესს უდრის.

მდინარე ენგურს ენერგორესურსების ყამირი უწოდა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრმა პეტრე ნეპოროენიმ.

ჯვარს ზემოთ აღმართება მსოფლიოში ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალი, ნამდვილად საოცარი ნაგებობა. ასეთი რამ ჯერ არ ახსოვს ჰიდროტექნიკის ისტორიას. კაშხალის აღმართვით გაჩნდება ხელოვნური ზღვა. მთებს შუა ილივილებს მილიარდობით კუბური მეტრი წყლის ზედაპირი.

თაღოვანი კაშხალის აგების პერიოდში მდინარე იდინებს მარცხენა მხარეზე გაყვანილი სამშენებლო გვირაბით. ძირითადი სადერივაციო გვირაბი იჭრება მარჯვენა მხრიდან გალის მიმართულებით. კაშხალით შებოქილი ენგური გვირაბში გადაეშვება, ახალი კალაპოტით ივლის და შავ ზღვას ანაკლიასთან კი არა, გუდავასთან შეუერთდება.

სოფელ საბერიოსთან აიგება თხუთმეტსართულიანი სახლის სიმაღლის მიწისქვეშა ელსადგური, რომელიც მილიონ ოთხასათას კილოვატზე მეტ ენერ-

გიას მოგვეცემს. ამ მიწისქვეშა ელსადგურიდან სხვადასხვა მიმართულებით გაიყვანენ არხებს. გვირაბებს, შტრეკებს.

შემდეგ აიგება მზიურის ორასიათას-კილოვატიანი ელსადგური.

ჯაფაგამოვლილი ენგური, ვიდრე ზღვას შეერთვის, კიდევ აანთებს სამ დიდ ჩირაღდანს. თითოეული მათგანის ძალა იქნება ოცდათორმეტი ათასი კილოვატი. არხი ვალის მახლობლად კაშხალით გადაიხიდება და იქაც წყალსაცავი გაჩნდება.

როგორც ვხედავთ, ზღაპრული შრომა მოვლით ჰიდრომშენებლებს.

თაღოვანმა კაშხალმა რომ საუკუნეების მანძილზე გაუძლოს დაახლოებით სამას მეტრ სიმაღლეზე დაგუბებული წყლის დიდ ძალას, საჭიროა განსაკუთრებული სიმაგრის ბეტონი. ასეთი სავანგებო ბეტონის შექმნაზე დიდი ხანია მუშაობს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი პეტრე წულუკიძე. მის მიერ შემუშავებული ბეტონის შეზავების მეთოდები ფართოდ დაინერგა ბრატსკის ელსადგურისა და ასუანის (არაბეთი) კაშხალის აგებისას.

საშენი მასალის სწრაფად, შეუფერხებლად გადატანის უზარუნველსაყოფად გაყვანილია რკინიგზა ზუგდიდი-ჯვარი. პარალელურად ტვირთი გადააქვს ავტოკოლონებს.

მოვიდა სრულიად ახალი ტექნიკა, რომელიც აქამდე არც ხრამზე იყო და არც ლაჯანურზე.

ჯვართან, ვაკეზე გასულ ენგურში, დგას დრაგა — მცურავი ფაბრიკა. უწინ მას იყენებდნენ მხოლოდ ოქროს მაძიებლები. აქ დრაგამ მეორე ხელობაც შეიძინა: ამზადებს კაშხალის ბეტონის ქარხნისათვის საჭირო ინერტულ მასალას — ქვიშასა და ხრეშს.

„საცდელი პერიოდი“ დაამთავრა დანამდვილ მუშაობას იწყებს გიგანტი — მოსიარულე ექსკავატორი, რომლის წონაა ათას ოთხასი ტონა. ციცივის ტევადობა ათი კუბური მეტრია, ისრის სი-

გრძე — სამოცდათხუთმეტი მეტრი. ექსკავატორი თექვსმეტი კაცი.

ამ საოცარი ექსკავატორის ექვსჯამა ორ წელიწადში კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე იმდენი სამუშაო შეასრულა, რამდენსაც ხელით შრომის პირობებში 185 წელიწადი დასჭირდებოდა.

ვალის რაიონში ენგურის ახალი კაშხალით გაპყავს უზარმაზარ მიწის-მწვანე მანქანებს. მშენებელთა განკარგულებაშია ოცდახუთტონიანი თვითმცლელები, ბულდოზერები, საბავირო გზა.

მთელ ამ საქმიანობას — მთიდან ზღვამდე გაშლილ ენგურჰესის მშენებლობას, შეფობას უწევს საქართველოს კომკავშირი.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმმა რესპუბლიკის ახალგაზრდობას მოუწოდა, ჩაებას ენგურზე მიტანილ გენერალურ იერიშში.

მაღე სხვადასხვა რაიონებიდან ზუგდიდს ჩასული ცხრაასი ჰაბუკი განაწილდა ჯვარში, ფოცხოეწერში, ოლორში, ტებენაში, საბერიოში..

მამაცური შრომით თავი ისახელა მრავალმა მათგანმა, მაგალითად: ხაშურელმა ემილ ნოზაძემ, კასპელმა მიხეილ აფციაურმა, ვანელმა ომარ ირემაშვილმა, მესტიელმა ზურაბ ნიგურიაძემ, წალკელმა რუსლან კესოვამ...

რომელი ერთი ჩამოგვთვალოთ! კომკავშირული საგზურით ჩამოსულთაგან შეიქმნა ბრიგადები. ახლა შეიდასზე მეტი კომკავშირელი და ორიათას-ხუთასზე მეტი კავშირგარეშე ახალგაზრდა ენგურჰესის მშენებლობაზე.

გაიხსნა მოზრდილთა სადამოს სკოლები, დაარსდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პუნქტი. ბევრმა ისარგებლა ამ სიკეთით.

აქ ყველგან ნახავთ ახალგაზრდებს. ბევრი მათგანი ორ საქმეს აკეთებს: შრომობს და სწავლობს.



საქართველოს კომკავშირი პირნათლად ასრულებს ენგურჰესის შეფის დიდ მოვალეობას.

მაგრამ... სიმართლე უნდა ითქვას. კომკავშირული საგზურით ჩასულთაგან ზოგიერთმა მალე დატოვა ენგურის სანაპირო. გამოირკვა, რომ მშენებლობა არ იყო მზად ამდენი მუშა-ხელის ერთბაშად მიღებისათვის. ზამთარში მათ დახვდათ ცივი, მოუწყობელი ოთახები. ზოგჯერ შუქიც ქრებოდა და წყალიც არ მოდიოდა ონკანიდან.

ამ ახალგაზრდების გაქცევას მხოლოდ კეთილმოუწყობელ ბინებს ნუ დავაბრალვებთ! ისინი სუსტი ნებისყოფისანი გამოდგნენ, შეუშინდნენ პირველსავე სიძნელეებს, არ სცადეს დაბრკოლებათა გადალახვა.

მერე და მერე მდგომარეობა, ასე თუ ისე, გამოსწორდა. ახალგაზრდებმა იბრძოლეს ბინების კეთილმოწყობისათვის, გაიხსნა სასადილოები, კლუბები, სკოლები, ბაღები. გამწვანდა ქუჩები.

ჩამოყალიბდა თვითმომქმედი წრეები და შეიქმნა ნიჭის, უნარის გამოძლევის საშუალება. გამოვლინდნენ სპორტსმენები. ჩატარდა ენგურჰესის მშენებელთა პირველი ფიზკულტურული სპარტაკიადა.

გვირაბებში და მშენებლობებზე სახელი გაითქვეს ახალგაზრდა ინჟინრებმა კარლო აქუბარდიამ და გურამ სამხარაძემ, ბინათმშენებლებმა სარდიონ მანუჩარაშვილმა და ალექსი პოპოვმა, ენგურჰესის პირველი ავტოსატრანსპორტო კანტორის საექსპლოატაციო ნაწილის უფროსმა იოსებ ჩხაიძემ, გვირაბგამყვანმა ინჟინრებმა ნუგზარ თავართქილაძემ და თამაზ ნადირაძემ, სამთო ინჟინრმა რაფიელ ცუკურიანმა...

ეს მათ ააშენეს საცხოვრებელი სახლები და სხვა აუცილებელი ნაგებობანი უწინ უკაცრიელ ველებზე ჭვარზენში, ფოცხოეწერში, ოლორში, საბერიოში, რეჩხში. ეს მათ გაჰყავთ გვირაბები და შტრეკები. ისინი დარსა თუ ავღარში დააქროლებენ ოცდახუთტონიან თვითმცლელებს.

— მაგრამ მათ ჯერჯერობით <sup>საკლავო</sup>ლიტერატურის და ხელოვნების მოძიება წეთა ყურადღება, — ამბობს კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი თინა ჭლამაძე.

ზუგდიდელი ახალგაზრდების მეთაური ცამდის მართალია. საქართველოს ამ ყველაზე დიდ მშენებლობაზე არ მისულან რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოდვოსის თეატრების ბრიგადები, ოპერის მომღერლები და მოცეკვავეები.

და ეს მაშინ, როცა ენგურჰესზე უკვე მუშაობს ექვსი ათასი კაცი. ხვალ-ზეგ ენგურის ტრასაზე იზრომებს თხუთმეტი-თექვსმეტი ათასი მშენებელი. ესენ არიან ჩვენი ხვალისდელი ნათელი დღის შემოქმედნი, როგორც უკვე ვთქვით, სინათლის ჭარისკაცები.

მხატვრული სიტყვის ოსტატთაგან ერთადერთი, რომელმაც გულდასმით დაათვალიერა ენგურჰესის მშენებლობა ჭვარიდან საბერიომდე, არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი ირაკლი აბაშიძე.

ირაკლი აბაშიძე ყურნალისტებისაგან განსხვავებით უფანქროდ და უბლოკნოტოდ დადიოდა მთებში გაშლილ შრომის ფრონტზე და გზადაგზა არაფერს ინიშნავდა, მაგრამ ყველამ იცის, ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანას გაახარებს სინათლეზე დაწერილი ნათელი სტრიქონებით.

მოსაწონი საქმე გააკეთეს ახალგაზრდა მხატვრებმა ნელი კანდელაკმა და გიორგი კეშელავამ. ისინი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ჩავიდნენ ენგურჰესის მშენებლობაზე და შექმნეს მოწინავე ადამიანთა პორტრეტები, ჩანახატები.

როცა ზაჰესს აგებდნენ, აშენებდნენ რუსთავს ან გაჰყავდათ სამგორის არხი, რესპუბლიკის მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები მშენებლებს მხარში ედგნენ.

ახლა, ჯერჯერობით, ასეთი რამ არ

ხდება. ეგებ იმიტომ, რომ აღნიშნული ობიექტები რუსთაველის პროსპექტიდან მხოლოდ თხუთმეტი-ოცი კილომეტრით იყო დაშორებული, ხოლო ენგურჰესის მშენებლობამდე ოთხასამდე კილომეტრია?

ენგურჰესი აუცილებლად უნდა მოექცეს მწერალთა, ჟურნალისტთა, ხელოვნების მუშაკთა მუდმივი ყურადღების არეში.

ახლა ზოგიერთ საჭირობოროტო საკითხზეც ვილაპარაკოთ.

ენგურჰესის მშენებლობაზე დიდია სასმელი წყლის რესურსები. არის ანკარა წყაროები, მაგრამ ძალოვანი კვანძის, ვარდნილი ჰესებისა და მზიურის დასახლებებში წყალი იშვიათადაა.

ეს სამწუხარო ამბავია და ლაპარაკობს სამმართველოთა ცალკეული მუშაკების დაუდევრობაზე. ისინი ხმას იმაღლებენ, როცა მაღაზიაში არაა პირველი მოთხოვნილების რომელიმე საგანი — მარილი, საპონი, ასანთი თუ პაპიროსი, და სამართლიანადაც. მუშათა მომარაგების განყოფილება მართლაც ვერ დგას მოწოდების სიმალლეზე, მაგრამ განა დედამიწაზე არსებობს წყალზე უფრო პირველი მოთხოვნილების საგანი?!

ლიტერატურით ღარიბია ბიბლიოთეკები. ენგურჰესის მშენებელს კი არ შეუძლია უწიგნოდ, უჟურნალოდ, უგაზეთოდ არსებობა. ამ საკითხს ალბათ ჩაუფიქრდებიან კულტურის სამინისტროს მუშაკები. და არა მარტო ჩაუფიქრდებიან.

უცნაური ამბავია, მაგრამ ფაქტია: რადიოწერტი არ არის გვირაბების მშენებლობის, ძალოვანი კვანძისა და ჰიდრომექანიზაციის სამმართველოთა უბნებში. საკითხის მოგვარება დაეკისრა კავშირგაბმულობის სამინისტროს, რომელმაც საქმე დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა.

გვჯერა, რომ კავშირგაბმულობის მინისტრი კონსტანტინე ქავთარაძე ენგურჰესის მშენებლებს ამ თხოვნას უახლოეს დროში შეუსრულებს.

ვისაც გულწრფელად სურს ენგურჰეს-სელთა გამარჯვება, პირველ ყოვლისა უნდა ახსოვდეს თვით მშენებელი. ვიზრუნოთ ადამიანზე. პირობები შევუქმნათ სპეციალისტებს. არავის უნდა ეპატიოს გულგრილი დამოკიდებულება რესპუბლიკის უდიდესი მშენებლობისადმი. მისი ადამიანებისადმი.

— „საქართველოს ჰიდროენერგომშენის“ დამხმარე საწარმოთა ქუთაისისა და თბილისის კომბინატებისათვის (დირექტორები გიორგი კალანდარიშვილი და გიორგი ალავეძე) მთავარი უნდა იყოს ენგურჰესის მშენებლობის შეკვეთები. უნდა იყოს, მაგრამ არის კი? ისინი, სამწუხაროდ, ზოგჯერ თვეობითაც აგვიანებენ ამ შეკვეთების შესრულებას. ბოლოს გვაწვდიან... დაბალხარისხოვან მასალას! — თქვა პარტიული კომიტეტის მდივანმა ალექსანდრე მეუნარგიაძემ.

ენგურზე პირველ გამარჯვებას ვიზეიმებთ მიმდინარე წლის დეკემბერში. ამ თვეში, როცა წყლის სიმცირეა, მთის მდინარეს გადაუშვებენ მისთვის საგანგებოდ გაყვანილ ხუთსამეტრიან სამშენებლო გვირაბში.

ახლა კაშხალის სამმართველოს კოლექტივის მთელი ყურადღება სწორედ აქეთკენაა მიპყრობილი. თუ მდინარემ თავისი კალაპოტით იარა და ფსკერი წყლისაგან არ განთავისუფლდა, მშენებლები ვერ შეუდგებიან კაშხალის აგებას.

ზოგჯერ რამდენიმე დღით, და თვითაც კი, შეიძლება გადაიდოს ცალკეული სამუშაო. მაგრამ ეს საქმე სწორედ ახლაა გასაკეთებელი. გვირაბში ენგურის გადაშვების დაგვიანება ნიშნავს კაშხალის ქვაბულის დამუშავების ერთი წლით დაყოვნებას, რადგანაც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ წყლის სიმცირის უამს უნდა გაუშვან ენგური ახალი გზით. ასეთი პერიოდი კი წელიწადში ერთხელაა, დეკემბერში.

— ენგურჰესის მშენებლობის კომუნისტებისა და კომკავშირელებისათვის ახლა არ არსებობს სხვა, უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე მდინარის ფსკერის გან-



თავისუფლება და მსოფლიოში ყველაზე მაღალი, თაღვანი კაშხალის აღმართის დაწყება. ამ საქმეშიც პირველი სიტყვა ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა თქვას! — განაცხადეს ენგურაძის მშენებლებმა თავიანთ პირველ პარტიულ კონფერენციაზე. ეს ასეც მოხდება!

მომავალ წელს გაიზრდება ენგურაძე-

სის მშენებლობის მასშტაბი. შესრულდება ორმოცი მილიონი მანეთის სამშენებლო პროექტი.

ახალი ძალით გაჩაღდება გენერალური იერიში მთის მდინარის დასამორჩილებლად, იმისათვის, რომ ენგურის მზე ამობრწყინდეს დანიშნულ დროს — 1970 წელს.

## მეც ვითხოვ სიტყვას

### როლიონ კორძია

„ცისკრის“ მეათე ნომერში წაკითხვით ალექსი ჭინჭარაულის — „ატამან გოლოგოს“ მიმზიდველი წერილი“. სტატია შეეხება ფრიად მნიშვნელოვან და საჭირობო საკითხს. ყველასათვის ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოს ენას. სახელმძღვანელო, თარგმნილი თუ ორიგინალური, მართო საგანს როდი ასწავლის მოსწავლეს, ენასაც ასწავლის. ამიტომ, რაც უფრო სწორი და ლამაზი, სხარტი და ემოციური ენით არის დაწერილი სახელმძღვანელო, მით უფრო ადვილია მასწავლებლისათვის საგნის სწავლება. ხოლო მოსწავლისათვის — ათვისება.

ერთი სახელმძღვანელოს (რუსულიდან თარგმნილი „სსრკ ისტორია“. VII კლ.) შესახებ მეცა მაქვს მცირეოდენი შენიშვნები და მსურს ისინი მკითხველს ვაუწყო.

წინასწარ აღვნიშნავ, რომ უკანასკნელი — მეხუთე გამოცემა („განათლება“, 1965 წ.) წინა გამოცემებთან შედარებით ენობრივად უფრო დახვეწილი

და შესწორებულია. შედარებით ნაკლებად გვხვდება ნაძალადევი და მძიმე წინადადებები.

სახელმძღვანელოს თარგმნის ხარისხის შეფასებისათვის მაინც მოვიტანო ქართული თარგმანის ზოგიერთ ადგილს და შევუდარებთ შესაბამის რუსულ ტექსტს.

1. „იმ დროის დიდებული ქრისტიანული ტაძრები, საზეიმოდ ამაღლებული ღმერთმსახურება სიმღერებითა და სანთლებით ხატებზე განმტკიცებული ფეოდალური სახელმწიფოს სიძლიერეს გამოხატავდა და ხალხის ყურადღებასაც იმსახურებდა“ (გვ. 25).

ეს წინადადება რუსულ ტექსტში ასეა: Великолепные христианские храмы того времени, торжественные службы с песнопением, со свечами, у икон — все отражало мощь укреплявшегося феодального государства и привлекало народ (გვ. 22).

2. თარგმანში ერთსა და იმავე წინადადებაში ხშირად უმართებულოდაა ნა-

ხმარი მაპირისპირებელი კავშირები „ხოლო“ და „კი“.

„შესანიშნავად დამუშავებული ფილის ფსკერზე, რომელიც ნოვგოროდშია ნაპოვნი, არის ასეთი წარწერა: „ბრატისლამ გააკეთა“, ხოლო მეორეზე კი „კოსტამ გააკეთა“ (გვ. 31); „ჩვენ ვიცით, რომ შვეციამ ხელში ჩაიგდო ნოვგოროდის მიწები, ხოლო პოლონეთმა კი სმოლენსკი“... (გვ. 98); „ამას იყენებდნენ... მემამულეები, რომელთაც ყმები ნაკლებად ჰყავდათ, ხოლო მიწა კი — ბევრი ჰქონდათ“ (გვ. 215).

3. „დამიანთა პირველყოფილი პატარ-პატარა ჯოგები თანდათანობით გადაიზარდნენ უფრო მრავალრიცხოვან და უკეთესად ორგანიზებულ კოლექტივებად — გვარებად“. (გვ. 7).

ასე ქართველი კაცი ვერც იაზროვნებს, ვერც ილაპარაკებს. აბა რა ქართულია „დამიანთა... ჯოგები... გადაიზარდნენ... გვარებად?“.

ვნახოთ, როგორაა ჩამოყალიბებული ეს წინადადება რუსულად:

Постепенно небольшие первобытные стада людей стали перерастать в более многочисленный и лучше устроенный коллектив — род (გვ. 6).

4. „პურისაგან ამზადებდნენ სლავურ სასმელს — ბურახს და მას არა მხოლოდ სვამდნენ, არამედ მოზრდილ ჭურჭელში მითვე არბილებდნენ ტყავს ტყავის ნაკეთობათა დასამზადებლად“ (გვ. 15).

ვნახოთ რუსული ტექსტი რას გვეუბნება:

Из хлеба готовяли славянский напиток — квас. Его не только пили. Квасом размягчали кожу в больших чанах для изготовления кожаных изделий (გვ. 14).

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართულად უკეთესი იქნებოდა ეხმარათ „ტყავის მოქნა“, ხოლო რუსული „чан“ ქართულად როფს ნიშნავს.

5. „...მთავარმა იგორმა თავისი რაზმითურთ დრეველიანებიდან დაწესებულ ნორმაზე მეტი ხარკი აკრიფა...“ (გვ. 22). ქართულად უნდა: „დრეველიანებისაგან“.

6. „ნოვგოროდის მართვა-გამგებლო-

ბაში დიდ როლს ასრულებდა ვეჩე<sup>7</sup> დამოუკიდებელ მეპატრონეთა, მცხოვრებთა საერთო საკრებულო“ (გვ. 40). ამ წინადადებაში „საკრებულო“ რუსულ сход-ს არ გამოხატავს. сход ქართულად იქნება ყრილობა, კრება. საკრებულო სულ სხვაა, ადგილს ნიშნავს.

7. „ცოლის ყიდვის დროს გადახდილ საფასურს კალიმი ეწოდებოდა“ (გვ. 58). კალიმს ქართულად ჰქვია ურვადი. მართალია, ეს სიტყვა მოძველებულია, მაგრამ განა კალიმი ახალია? თანაც კალიმი კი არ უნდა დაეწერათ, არამედ ყალიმი.

8. Москва выростала, становилась все величественнее — она отражала достоинство возникавшего единого государства (გვ. 68).

ქართულ ტექსტში ეს ადგილი ასეა გადმოღებული: „მოსკოვი იზრდებოდა, დიდებული ხდებოდა — იგი წარმოქმნილი ერთიანი სახელმწიფოს ღირსებას გამოხატავდა“ (გვ. 71). ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ეს „წარმოქმნილი“ რაღაა?

9. „რათა ამიერიდან ერთად ყოფილიყვნენ უკუნისი უკუნისამდე“ (გვ. 106). ქართულად უნდა „უკუნითი უკუნისამდე“. ეს კორექტურული შეცდომა არაა. წინა გამოცემებშიც ასეა „უკუნისი“ (იხ. მეორე გამოცემა, გვ. 105).

10. 77-ე გვერდზე ლაპარაკია ივანე მრისხანის „ოპრიჩინინზე“, მაგრამ გამოტოვებულია თვით ამ სიტყვის ახსნა. რუსულ დედანში კი ახსნილია:

Он потребовал, чтобы ему выделили особую долю из государственных земель — «опричнину» (от слова «опричь» — кроме), где он устроит все по-своему (გვ. 72).

კარგი იქნებოდა, რომ არ გამოეტოვებინათ სიტყვა „опричь“-ის მნიშვნელობის ახსნა. თუ რუსული დედანი რუსი მოსწავლეებისათვის საჭიროდ თვლის სიტყვა „опричь“-ის მნიშვნელობის განმარტებას, მით უმეტეს საჭირო იყო ეს ქართველი ბავშვებისათვის.

11. სახელმძღვანელოში სიტყვა „людишки“ თარგმნილია „ქვეშევრდომად“.

„უწინარეს ყოვლისა თავის ქვეშევრდომებს შეარჩევდა და დაიტოვებდა მხოლოდ მათ, ვინც მისთვის იყო ხელსაყრელი“. ქვეშევრდომი რუსულად იქნება «подданный», ხოლო «людишки» ნიშნავს მსახურს (იხ. დალი, ტ. II, გვ. 284). შეიძლება თარგმნილიყო ასეც: „შინაყმები“. მეფისათვის ყველა ქვეშევრდომია: თავადი, აზნაური, ვაჭარი, გლეხი, მსახური, სასულიერო წოდების პირი, ხოლო «людишки» ქვეშევრდომთა განსაზღვრული ნაწილია.

12. „იმდროინდელმა თანამედროვეებმა ამ წლებს „შფოთიანი დროება“ დაარქვეს (გვ. 90). დედანშია «смутное время» (გვ. 86). იგივე ტერმინი სხვა ადგილას თარგმნილია როგორც „შფოთიანი დრო“ (გვ. 125). რომელს დაუჯეროს მოსწავლემ?

13. „მოსამართლეები გამყიდველობდნენ, მეფის კარზე ყოველი სახელმწიფოებრივი თანამდებობის ყიდვა იყო შესაძლებელი“ (გვ. 149).

რუსულ ტექსტში: Судьи были продажны, любую государственную должность можно было купить при дворе (გვ. 142).

როგორ მოუბრუნდა ხელი რედაქტორს, როცა რუსული Судьи были продажны-ს შესატყვისად ქართულში „მოსამართლეები გამყიდველობდნენ“ დატოვა?

14. „მან უფლისწულ ვლადისლავს ფიცი მისცა უსპენსკის ტაძარში“ (გვ. 95). ქართულად უნდა მიძინების ტაძარი სწორედ ასეა თარგმნილი ამ ტაძრის სახელწოდება 73-ე გვერდზე. 63-ე გვერდზე კი წერია: „ვლადიმირში იყო უსპენსკის (მიძინების) ტაძარი. კალიტამ მოსკოვშიც, კრემლშიც ააგო უსპენსკის ტაძარი“.

არ შეიძლება ასეთი უყურადღებობა სახელმძღვანელოში.

15. „პრასკოვია ლარიონოვას სიკვდილამდე სცემეს“ (გვ. 163). ქართულად კი ასე უნდა: „პრასკოვია ლარიონოვას იმდენი სცემეს, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანეს“. რუსული „до смерти“ კალკირებულია.

16. „პუგაჩოვის მოწოდებანი ხიბლავი წერილები“ — იწერებოდა მართო რუსულ ენაზე, არამედ ბაშკირულ და სხვა ენებზეც“ (გვ. 164).

რუსულ ტექსტში: Пугачевские воззвания — «прелестные письма» — писались не только по-русски, но также по-татарски, по-башкирски и на других языках (გვ. 157).

სიტყვა „прелестный“ თარგმნილია თანამედროვე გაგებით: „მომხიბლავი“. იმ ხანებში კი ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: Прельщающий, лукавый, обманчивый, (იხ. დალი, ტ. III გვ. 393). ეს სიტყვა რუსულ დედანშიც ამ მნიშვნელობით არის ნახმარი.

17. „...უსურსათობაში მყოფ ფრანგებს მოსკოვში გაჩერება არ შეეძლოთ“ (გვ. 190). ვანა ასე ძნელი იყო ამ უბრალო წინადადების ქართულად თარგმნა. ნუთუ სკოლამ „უსურსათობაში ყოფნა“ უნდა ასწავლოს ბავშვებს?

18. „ის... დარტყმას აყენებდა თვითმპყრობელობას“ (გვ. 193). რუსული «нанести удар» ქართულად „დარტყმა“. „დარტყმის მიყენება“ კი ქართული არაა.

19. „Военные поселения“ თარგმნილია როგორც „სამხედრო დაბები“ (გვ. 191). დაბა სხვაა, რუსულად — местечко. Поселение ქართულად ახალშენია, დასახლებაა. უფრო მართებული იქნებოდა ეს ტერმინი ასე თარგმნილიყო: „სამხედრო ახალშენები“.

20. „ანგარიშს უსწორებდნენ გლეხების ცოლებსაც თავის დროზე ღუმელის გაუხურებლობისათვის“... (გვ. 191). დედანშია: „Наказание грозило даже крестьянским женам за не вовремя затопленную печь“... (გვ. 183).

21. „თვითონ მემამულეები თანდათანობით რწმუნდებოდნენ ბატონყმური შრომის არახელსაყრელობაში“ (გვ. 215). ეს წინადადება ასე უნდა გამართულიყო: „თვითონ მემამულეები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ ბატონყმური შრომა ხელსაყრელი არ იყო“.

22. ერთგან «холерные бунты» თარგმნილია როგორც „ქოლერის ამბოხე-



ბანი“ (გვ. 217), მეორეგან სიტყვა „ბუნტი“ პირდაპირ გადმოაქვთ — „ბუნტი“ (გვ. 218).

23. უხეიროდაა გამართული წინადადება: „მოგვიანებით ხალტურინმა ოდესაში მონაწილეობა მიიღო მეფის ერთი პროკურორის, რომელიც მკაცრად უსწორებდა ანგარიშს რევოლუციონერებს, მკვლელობაში“ (გვ. 259).

Позднее Халтурин участвовал в Одессе в убийстве царского прокурора, жестоко расправлявшегося с революционерами... (გვ. 245).

საერთოდ კი სახელმძღვანელოს თარგმნისას საჭიროა მეტი სიფრთხილე და დაკვირვება. სახელმძღვანელოს ხომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.



## „ბუნების კარი“ და „ბუნებისმცოდნეობა“



### გიორგი ცოცანიძე

მასწავლებელი და წიგნი ის უდიდესი ავტორიტეტებია, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ბავშვის ლიტერატურული ერთ მეტყველების ჩამოყალიბებაში. მაშასადამე, ყველა სასკოლო სახელმძღვანელო ენობრივად უნაკლო უნდა იყოს, რათა მოზარდი თაობა ეზიაროს მშობლიურ ენაზე მეტყველების და წერის მაღალ კულტურას.

როგორია ამ მხრივ ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოები? უპასუხებს თუ ვერა ყველა მათგანი ამ ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნილებას? სამწუხაროდ, ჩანს, რომ ყველაფერი რიგზე არაა.

ჩვენს ხელთ არის დაწყებითი სკოლის IV კლასის სახელმძღვანელო — „ბუნებისმცოდნეობა“, რომელიც მოსწავლეს აწვდის გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების უმარტივეს ცნებებს. წიგნი გამოცემულია „განათლების“ მიერ 1965 წელს. იგი ქართველი ავტორების დაწერილია. ასე რომ, მის ენობრივ ნაკლს თარგმანს ვერ დავაბრალებთ.

ერთგვარად მოულოდნელია და, რა

თქმა უნდა, სამწუხაროც, რომ წიგნი მიუტყვებელი ენობრივი შეცდომებითაა სავსე.

დავიწყით სულ უმარტივესით—პუნქტუაციით.

აი პირველივე აბზაცის პირველი წინადადება, რომლითაც იწყება საანალიზო წიგნის პირველი პარაგრაფი:

„ზარია... გაკვეთილი დაიწყო. საკლასო ოთახში მასწავლებელი შემოვიდა. გაგვაცნო თავი და გვითხრა — მე ბუნებისმცოდნეობას გასწავლითო“ (გვ. 3. პუნქტუაცია დაცულია, გ. ც.).

გაუმართლებელია აქ ნახმარი მრავალწერტილი: „ზარია“ ძალიან ჩვეულებრივი, მოკლე თხრობითი წინადადებაა. იგი დაუმთავრებელ აზრს არ გადმოსცემს, არც რაიმე ლეღვა-განცდას და საერთოდ პუნქტუაციის არც ერთი წესი არ მოითხოვს აქ მრავალწერტილს.

პუნქტუაციის ელემენტარული წესია აგრეთვე, რომ შერწყმულ წინადადებაში წინადადების ერთგვარ წევრებს შორის მძიმე უნდა დაისვას. მაშ რა გამარ-

თლება აქვს მოყვანილ წინადადებაში „შემოვიდა“ — სიტყვის შემდეგ ნახმარ წერტილს? რა თქმა უნდა — არავითარი. აქ მძიმე უნდა იყოს.

წიგნის დასაწყისშივე, ერთ აბზაცში ორი უეჭველი პუნქტუაციური შეცდომა! შეიძლება იმაზეც ვიდავოთ, რომ „გვითხრა“ სიტყვის შემდეგ ტირეს ორწერტილი აჯობებდა.

ვნახოთ სხვა შემთხვევებიც: „**კახეთის ბარში ალაზნის შუა დინების ორივე მხარეზე მდებარეობს ალაზნის ვაკე**“ (გვ. 47). „**ალაზნის შუა დინების ორივე მხარეზე**“ განკერძოებული გარემოებაა და აუცილებელია მისი მძიმეებით გამოყოფა. ამავე რიგისაა: „**მისი სათავე კავკასიონზეა ფანის მთის კალთებზე**“ (გვ. 50). შეცდომაა აგრეთვე წინადადებაში: „**ამიტომაცაა რომ საბანაოღ, მდოვრე დინებას ვარჩევთ...**“ — მძიმის იქ დასმა, სადაც ის არის და არა — „რომ“ კავშირის წინ. მაგალითების მოტანას აღარ გავაგრძელებთ. პუნქტუაციური შეცდომა წიგნში ბევრია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვისეულია შეცდომები: ავტორებისა თუ კორექტორის. მთავარი ისაა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოში ეს არ უნდა იყოს.

უკვე დიდი ხანია, რაც მიღებულია ზმნაში **ჰ** და **ხ** პრეფიქსების ხმარების თეორიულად დასაბუთებული წესები (აკ. შანიძე, ვ. თოფურია, გ. შალამბერიძე). დღეს ის იშვიათადაა თუ აერევა ვინმეს: „**ბუნებისმცოდნეობაში**“ კი არც ამ თვალსაზრისითაა საქმე კარგად: „**ზაფხულში** სოფლად ვიყავი, — **სთქვა** გიამ“ (გვ. 3); „**მეც** კარგად გავატარე **ზაფხული**, — **სთქვა** ქალაქად დარჩენილმა **ნატომ**“ (გვ. 3); „**ჩვენი** სოფელიც **ლამაზია**, — **სთქვა** გიგლამ“ (გვ. 3); „**საკმარისია**, — **სთქვა** მასწავლებელმა“ (გვ. 3).

**ხ** ან **ჰ** პრეფიქსი რომ ვიხმაროთ, სულ ცოტა, ორიდან ერთი პირობა მაინცაა საჭირო: ზმნაში წარმოდგენილი უნდა იყოს მეორე სუბიექტური ან მესამე ობიექტური პირი (ზოგჯერ ეს პირობა არის, მაგრამ ფონეტიკური გარემოს გა-

მო პრეფიქსები არ იხმარება). აქ კი არც ერთი ამ ფაქტორთაგანი არ აპირიქებს **ხ-ს** ხმარებას.

მაგრამ აი შებრუნებული შემთხვევებიც: ზმნა ირიბ ობიექტიანია, პრეფიქსი კი არ ერთვის: „**ამწვანებულ მდელოებს კოლმეურნეობის ცხვარი შეფენოდა...**“ (გვ. 3); „**ახლო-მანლოც არავინაა, რომ გზა კითხოს**“ (გვ. 18).

თუ ქვემდებარე უსულო საგანია და ებიან მრავლობითში დგას, მას შემასმენელი მხოლოდით რიცხვში შეეწყობა, — გვასწავლის სინტაქსის ელემენტარული წესი. წიგნში კი არცთუ ცოტაა შემთხვევა, როცა ამგვარ ქვემდებარესთან შემასმენელიც მრავლობით რიცხვში დგას: „**ქროდნენ ქარები, დიდებოდნენ მდინარეები**“ (გვ. 5). „**ნახველთან ერთად ჰაერში მოხვდებიან გრიბის გამოშფვვევი უხილავი მიკრობები**“ (გვ. 92).

თუ მრავლობითში დასმული უსულო ქვემდებარე განპიროვნებულია, ე. ი. თუ მას სულიერი საგნის თვისება მიეწერება, შემასმენელს მრავლობითში მოითხოვს. აქ კი პირობითაა: „**მთებმაც თუ ბუტიათბა იცოდა** — როდი მეგონა!“ (გვ. 42).

„**ორივენი** კავკასიონის მთავარი ქედიდან **ეშვებიან, ორივე** სამხრეთისაკენ **მიემართება**“ (გვ. 43). როცა საუბარი მდინარეებს შეეხება, „**ორივენი ეშვებიან**“ არ არის სწორი ნათქვამი. აქი იგივე წინადადება ადასტურებს სწორ ფორმებსაც: „**ორივე მიემართება**“. „**სხვა მწვერვალები** თითქმის ყველა უტყეო იყო, მხოლოდ კალთები **ჰქონდათ** ბუჩქნარიანი“ (გვ. 37). „**ჰქონდათ**“ ფორმის ხმარება „**მწვერვალებ**“-თან კონტექსტში მიუღებელია.

„**კვირა** დღეს სკოლის ეზოში **შევიკრიბეთ**“ — ვკითხულობთ სახელმძღვანელოს 37-ე გვერდზე. „**შევიკრიბეთ**“ არ არის თავის ადგილას ნახმარი ფორმა იგი გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმაა. კონტექსტი კი აქ გარდაუვალ ზმნას მოითხოვს. მართლაც, ამავე გვერდზე, სხვა ფრაზაში ზმნა სწორი ფორმითაა გამოყენებული: „**ბა-**



ტარა ვავონმა მალა-მალა გაგვაქა-  
ნა და თხემზე გავიშალენით“.

არ არის კარგი მსახურელ-სახურელ-  
ლის ამგვარი ხმარება: „მთავარ ქედ-  
იდან“, „თხევად მდგომარეობიდან“  
(გვ. 43, 82). უნდა „მთავარი ქედიდან“,  
„თხევადი მდგომარეობიდან“. თუმც მსა-  
ხურელ-სახურელის ბრუნების ხსენე-  
ბული სახეობა ქართულში ცნობილია,  
მაგრამ ის ძირითადად პოეზიაში გამოი-  
ყენება (იხ. აკაკი შანიძე, ქართული გრა-  
მატიკის საფუძვლები, გვ. 84) და მსგავსი  
სინტაგმების ასეთი ტიპის სახელმძ-  
ღვანელოში ხმარება მიზანშეწონილი  
არაა.

აქამდის ჩვენ წიგნის გრამატიკულ  
მხარეს ვხეზობდით. თუმცა გრამატიკუ-  
ლი შეცდომები წიგნში არც ისე იშვია-  
თია, მაგრამ მათ მაინც კერძობითი ხა-  
სიათი აქვთ. რაც შეეხება სტილს, გადა-  
უჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ  
წიგნი მთლიანად უხეიროდაა დაწერი-  
ლი. ნათქვამის ცხადყოფა ცალკეული  
ფრაზების ანალიზითაც შეიძლება.

ავილოთ ასეთი წინადადება: „თქვენ  
წინათაც აკვირდებოდით ბუნებას და  
შენიშნული გაქვთ თუ როგორ ცვლის  
ზაფხულს შემოდგომა, ზამთარს გაზაფ-  
ხული, როგორ ყვავის და ჭკნება მცენა-  
რები, როგორ თოვს, წვიმს და ქრის  
ქარი“ (გვ. 4). პუნქტუაციაზე რომ არა-  
ფერი ვთქვათ, ამ წინადადებაში ორი  
თვალსაჩინო შეცდომა მაინც არის. ჯერ  
ერთი: „შენიშნული გაქვთ“ — ცუდი  
ქართულია. უნდა: — „შეგინიშნავთ“.  
მეორეცაა და ფრაზა: „...როგორ ყვავის  
და ჭკნება მცენარეები, როგორ თოვს,  
წვიმს და ქრის ქარი“, უაზროა. გამოდის  
რომ „ქარი თოვს“, „ქარი წვიმს“ და  
„ქარი ქრის“. ამ უხერხული ნიუანსის  
თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო  
სიტყვების სხვაგვარად განლაგება, თუნ-  
დაც ასე: „...როგორ თოვს და წვიმს, რო-  
გორ ქრის ქარი“.

„სუფთა ჰაერზე მაღა ვის არ გაეღვი-  
ძებოდა“ (გვ. 9). ეს ისეთი შეცდომაა,  
რომ მისი გასწორება შეუძლებელია.  
„გაეღვიძებოდა“ ზმნა სრულიად უად-

გილოა. თუ ისტორიას ჩაეყვებით, შეიძ-  
ლება მასში ორპირიანობის ნიშნები აღ-  
მოვაჩინოთ, მაგრამ დღეს ის ერთპირიან-  
ია და „მაღა გაეღვიძებოდა“ — მიუღე-  
ბელი შესიტყვებაა.

„რა ადგილასაა თქვენი სკოლა — ვაკე  
ადგილასაა თუ მთაზე? მთის ძირასაა თუ  
მთის კალთაზე?“ (გვ. 12). ასეთი კითხ-  
ვის დასმისას ივარაუდება, რომ შემკითხ-  
ველს აინტერესებს, სად მდებარეობს  
სკოლა და არა როგორ ადგილზე. როცა  
ვეკითხებით: „რა ადგილასაა თქვენი  
სკოლა?“ — მოსწავლემ შეიძლება გვიპა-  
სუხოს: ჩვენი სკოლა ნაძალადევშია, სა-  
ბურთალოზე ან ვაკეშია და ა. შ. მაგ-  
რამ თუ გვანტერესებს სკოლა ვაკე ად-  
გილასაა თუ მთის კალთაზე, მაშინ უნდა  
ვეკითხოთ: „როგორ ადგილზეა თქვენი  
სკოლა?“ „100 ნაწილ წყალში 2-3 ნაწი-  
ლი მარილი მოდის“ (გვ. 102) — ასევე  
მცდარი შესიტყვებაა. სწორი იქნებოდა:  
„100 ნაწილ ზღვის წყალზე 2-3 ნაწილი  
მარილი მოდის“.

„დაბაზე მდინარე და დაწერე სადა-  
ცაა სათავე...“ (გვ. 15). „...დაწერე სა-  
დაცაა მთის ძირი...“ (გვ. 12). „...დაწე-  
რე სადაცაა გადასავალი...“ (გვ. 12).  
„...დაწერე სადაცაა მარჯვენა შენაკადი,  
მარცხენა შენაკადი“ (გვ. 15). მიმართე-  
ბითი ზმნიზედა „სადაც“ აქ ყველგან  
უკანონოდა ნახმარი. საჭირო იყო „სად“  
კითხვითი ზმნიზედის ხმარება.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავ-  
ლად შეიძლება.

„ბუნებისმცოდნეობა“ 1965 წელს მე-  
ხუთედ გამოიცა. ეჭვი არაა, რომ იგი  
მრავალჯერ განიხილებოდა მეთოდო-  
ლოგიური თვალსაზრისით და ალბათ  
ამ მხრივ ამართლებს კიდევაც თავის და-  
ნიშნულებას. მაგრამ მას ხომ, გარდა  
იმისა, რომ მოსწავლეს მიაწოდოს საბუ-  
ნებისმეტყველო მეცნიერებათა პირ-  
ველ-დაწყებითი ცნებები, ეკისრება სხვა,  
არანაკლებ საპატიო და საჭირო მისიაც:  
შეაჩვიოს მოსწავლე ამ საგანში აზროვ-  
ნებას, გამოუმუშაოს მოვლენების შე-  
სახებ მსჯელობის უნარი. ასე დაწერილი  
სახელმძღვანელო კი ამ უკანასკნელ

მოვალეობას ჯეროვნად ვერ შეასრულებს. ნიშნად ავიღოთ და ვნახოთ, როგორ მსჯელობენ წიგნში ჰაერის შესახებ.

„დედამიწას გარს აკრავს ჰაერის სქელი ფენა. დღისით მოწმენდილი ცალურჯი ფერისაა. ცის სილურჯე ჰაერის სქელი ფენის მაჩვენებელია.“

როცა ახლო მანძილზე ვიყურებით, გვგონია, რომ ჩვენს თვალწინ მდებარე სივრცე ცარიელია. მაგრამ, განა ეს მართალია? გავაქნიოთ ხელი სახის წინ. ვიგრძნობთ, პირისახეზე ნიავი გადაგვევლება. მამსადამე, ხელის გაქნევით რაღაც უხილავი ნივთიერება ამოძრავდა. ეს უხილავი ნივთიერება ჰაერია“ (გვ. 85).

ვნახოთ ახლა, როგორ მსჯელობს იმავე საგანზე იაკობ გოგებაშვილის შედგენილი და ამ ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ გამოცემული სახელმძღვანელო: „ბუნების კარი“.

„— აბა ჯერ შენ მითხარი, ჩვენ რომ ჩავისუნთქავთ და ამოვისუნთქავთ ხოლმე, მაშინ ჩვენს გვამში რა ჩადის და რა ამოდის?“

— არაფერი, მიუგო სოსომ: მე ვერაფერს ვხედავ.

— არაფერი? მაშ აბა პატარა ხანს პირი მოკუმე და ცხვირზე ხელი მოიჭირე. ვნახოთ, გაიკმინდები თუ არა.

— ეგ რა ვუყოთ, იმიტომ გავიკმინდები, რომ სული შემიგუბდება.

— კიდევ ეგ არის, რად შეგიგუბდება სული? ან რა არის სულის შეგუბება?

სოსო ჩაფიქრდა და პასუხი ვერ მისცა.

— მოისმინე, ჩემო სოსო,—მე ამაზედ დაწვრილებით გელაპარაკები. მთელს

დედამიწას გარშემო ძალიან თხელი და უჩინარი ნივთიერება ახვევია; ამ უხილავ ნივთიერებას ჰქვია ჰაერი. ჰაერი უსაქიროესი რამეა ყველა სულდგმულისათვის. არა სულდგმულს არ შეუძლიან ერთ წამსაც უჰაეროდ იცოცხლოს. ჰაერი რომ დედამიწიდან გაჰქრეს, რამდენსამე წამს პირუტყვეები და ადამიანები სულ დაიხოცებოდნენ. ადამიანი უქმელობას რამდენსამე დღეს მოითმენს, მაგრამ უჰაერობას კი ცოტა ხანსაც ვერ შესძლებს, მაშინვე სული შეუვუბდება და მოკვდება. აი ეს ჰაერი ჩადის ჩვენს გვამში, როცა ჩავისუნთქავთ, და ამოდის, როცა ამოვისუნთქავთ ხოლმე“ (ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, 1902, გვ. 180).

თავი რომ დავანებოთ ცნებათა მიწოდების პრინციპს: ნაცნობიდან — უცნობისაკენ, მარტივიდან — რთულისკენ, — ენობრივი თვალსაზრისით ამ ორ ციტატას შორის დიდი კონტრასტია: პირველი ბავშვისათვის ბუნდოვანია, ძნელად გასაგები, მეორე კი — სადა და მარტივი. პირველი ნაწყვეტი დღევანდელი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ვერაა რიგიანი, მეორე კი — იმდროინდელი ნორმის თვალსაზრისით, სანიშნუა. შეიძლებაოდა სხვა, კიდევ უფრო მეტყველი პარალელების მოტანა, მაგრამ ჩვენი მიზანი ეს არაა. ცხადია ერთი: ეს სახელმძღვანელო ვერ შეუწყობს ხელს ახალგაზრდის მეტყველებისა და წერის მაღალი კულტურის ჩამოყალიბებას.

## რ ე ღ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ახალგაზრდა ენათმეცნიერის ა. ჭინჭარაულის სტატიას („ცისკარი“, № 10) უკვე გამოთხზაურნენ მწერალი რ. ქორქია და ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი გ. ცოცანიძე, აგრეთვე მკითხველები, რომელთა წერილებსაც შემდგომ ნომრებში გამოვაქვეყნებთ.

როგორც „ცისკრის“ ერთ-ერთი მკითხველი გვწერს, სახელმძღვანელოების გამო-

ცემა რთული და საპასუხისმგებლო, სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმეა. არ  
კმარა მხოლოდ სახელმძღვანელოების გამოშვების გეგმის შესრულება და სასწავლო  
წლის დაწყების წინ მოსწავლეთათვის ამ სახელმძღვანელოების მიწოდება. მთავარია,  
რ ა ს და რ ო გ ო რ ვ ა წ ვ დ ი თ ჩვენს სკოლას.

იგივე მკითხველი სამართლიანად უსაყვედურებს ჟურნალის რედაქციას: „ა. ჭინ-  
ჭარაულის წერილში სწორად არის აღნიშნული სახელმძღვანელოში დაშვებული უხეში  
ენობრივი შეცდომები, მაგრამ არაფერია ნათქვამი წიგნის პოლიგრაფიული შესრულე-  
ბის სარისხზე. საიდუმლო როდია, ჩვენი ზოგიერთი სახელმძღვანელო დაბეჭდილია ცუდ  
ქაღალდზე, მკრთალად, უხარისხოდ, ილუსტრაციები ილუსტრაციებს არა ჰგავს, ყდაში  
უხეიროდ არის ჩასმული. მოკლედ, სასწავლო წიგნის გარეგნული მხარეც არ უნდა დაგ-  
ვაიწყდეს. ბ ა ვ შ ვ ს უ ნ და უ ხ ა რ ო დ ე ს სა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ს ხ ე ლ შ ი  
ა დ ე ბ ა!“

ჩვენი მეორე კორესპონდენტი გვთხოვს, შევეხოთ უმაღლესი სასწავლებლების სტუ-  
დენტთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების ავ-კარგიაწობასაც.

ჩვენი ჟურნალი გაითვალისწინებს მკითხველთა სურვილებს და შეეცდება თანდა-  
თანობით ყოველმხრივ განიხილოს არა მარტო ცალკეული სასკოლო სახელმძღვანელო-  
ები, არამედ ის წიგნებიც, რომლებითაც სარგებლობენ საქართველოს პოლიტიქნიკუ-  
რი, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ზოოვეტერინარული და პედაგოგიური ინსტი-  
ტუტების, აგრეთვე სპეციალური ტექნიკუმების სტუდენტები. იმ ადამიანებზე, რომე-  
ლთაც კარგი სახელმძღვანელოები შექმნეს ახალი თაობისათვის, კეთილი სიტყვა არ  
დავიშუროთ, ხოლო მათ, ვინც ამას არ იმსახურებს, უნდა ვუსაყვედუროთ და დავე-  
ხმართ მეგობრული, პირუთენელი, მხოლოდ და მხოლოდ დიდი საქმის ინტერესებით  
ნაკარნახევი კრიტიკული შენიშვნებით. ბუნებრივია, რომ ამ საქმიან კამათში არ და-  
ვივიწყებთ ჩვენს პოლიგრაფისტებსაც, რომელთა საპატიო და კეთილშობილური შრო-  
მა მრავალმხრივ წყვეტს სახელმძღვანელოს ბელს.

იმედი გვაქვს, ამ განხილვაში აქტიურად ჩაებმებიან პედაგოგები, მეცნიერები,  
მწერლები, მშობლები, — სწორედ ისინი, რომელთა თანამეგობრობითაც უნდა შეიქმნას  
სრულყოფილი სასწავლო წიგნები ჩვენი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის.

ველით თქვენს წერილებს, მეგობრებო!





## გიორგი ღომიძე

### ეს დღე ჩემია

ეს დღე ჩემია, ეს დღე ჩემია,  
არცა ბესიკის, არცა ვაჟასი!  
გული მათ გულზე მიმიბჯენია,  
გავრთულვარ ლექსის გამოჩარხვაში.

ჩემი სულისგან არი დაწნული  
ეს დღე,  
ეს წამი  
და ეს საათი!  
შიგ ჩემი სუნთქვა არის დაცული,  
ვმღერი ვარდებში, როგორც საადი.

მეც იქ მაქვს გული, სადაც აქვს შოთას,  
სამშობლოსათვის მეც იქ ვილოცავ;  
მეც იქა ვღელავ,  
მეც იქა ვშფოთავ, —  
გინდ ჩამითვალეთ სასაცილოდაც...

შადრევნისა და შავარდნის ხმებით  
მიმღერია და ვიმღერებ კიდევ!  
მე—ხალხის გულთან გულის შეხებით  
კვლავ ახალ-ახალ ცეცხლს წავიკიდებ!

და სიყვარულით დამდნარმა შხივად,  
სამშობლოვ, შენთვის რაღა ვინატრო?  
მინდა, რომ სიმი გადმექცეს სხივად,  
სადაც ორწოხი ამოგინათო!

მინდა ვიყიდო ქვეყნის წამლები,  
გავძლო, შევესწრო იმ დღის დანახვას,  
როს მომძახოდნენ შთამომავლები:  
— იცოცხლე, გოგლა, შენ ჩვენთანა ხარ!

საქართველო ხომ ერთი მტევანია,  
სწოვეს, გაწურეს, ვერ ამოსწურეს!  
ჩვენი პურმარილი დაუტევარია,  
ჰხვდება მოკეთეს, მტერსაც მოძულეს.

ქართლის რძეო და კოლხიდის ღალავ.  
ასჩაფიანში მაჭრის დუღილო!  
მიწავ, კუნთი რომ არ მოვეღალა  
და ქვეყნად გაჰქუსს შენი პურ-ღვინო!


კვლავ დაისავსე, როგორც შეგფერის,  
მახარე, დღემდის ვით მიხაროდი...  
ავკუწავ სიკვდილს მაჭრის შხეფებით,  
გავრიყავ შენი ძუძუს წყაროთი...

ი კ ო რ თ ა

იკორთა! —  
ცრემლი რათ დამიგორდა,  
კრთის იკორთაში გმირთა ნათელი...  
თითქოს მიწიდან ამოდის სხივი,  
იისფრად ღვივის,  
ვარდისფრად ღვივის...  
ვხედავ აჩრდილებს თითქოს სიზმარში,  
ხმალაწეულნი  
მოდიან მარშით, —  
შალვა, ელიზბარ, ბიძინა... სხვანი.  
შავ მუზარადზე იეღეებს ხმალი  
გამოსახსნელად აკვნის ბავშვისა...  
მიგორავს თავი ყიზილბაშისა...  
იკორთა!  
მკერდი ვინ დამიკოლა?







# სეზი სეზი

## მოთხრობა

მამამ სიკვდილის წინ მხოლოდ ამის თქმა მოასწრო: „ცაუს მიხედვით, ჩემი ცაუ მეცოდება...“

ბატას ცაუ თავს ერჩია. სიყვარულს მოვალეობაც დამატა: უმცროს დაზე უნდა ეზრუნა. თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდა, იმუშაებდა, თან ისწავლიდა, დღე და დამეს გაასწორებდა და ცაუს კი არაფერს მოაკლებდა, უმამობას არ აგრძნობინებდა. მხოლოდღა იმის ეშინოდა, ცაუს უეცრად რამე არ მოსვლოდა, ისეთი სუსტი და უმწეო არსება იყო, ღმერთო!

როცა ცაუმაც დაამთავრა საშუალო სკოლა, აცრემლებულმა დედამ ასე დაარიაგა:

— ცაუს გაუფრთხილდი, შვილო, მეშინია, თბილისი დიდი ქალაქია.

— ნუ გეშინია, დედა, აგერ არა ვარ? ნიავს არ მივაკარებ.

— მჯერა, შვილო, მაგრამ მთლად დაღუულია და, რა ვქნა, იმისაც კი მეშინია, ავტობუსში ხალხმა არ გაჭყლიტოს. დედას თვალები ცრემლით აევისო. ბატა სიცილით მოკვდა.

— ა, იცინის, — ცხარე ცრემლით შესჩივლა დედამ მეზობლებს, — არ სჯერა, ხალხო! ნამდვილად ვიცი, ჩემს ცაუს სხვა რომ არაფერი შეემთხვეს, ავტობუსში გაჭყლებენ.

ბატამ დედა დაამშვიდა. ცაუ თბილისში უვნებლად ჩამოიყვანა. ახლა სტუდენტები არიან: ბატა მეოთხე კურსზეა, ცაუ — მეორეზე. დღე და დამე მეცადინეობენ. ცაუს თვალები ამოუღამდა. ძმა ვარჯიშობს და მის ჯანმრთელ, რკინასავით სხეულს ვერაფერს აკლებს ღამის თევა და უამრავი პაპიროსი. არც ის ეტყობა, რომ ზოგჯერ დღეში ერთხელ უზომოდ შეექცევა ნიორსა და პურს.

ბატა სარკის წინ ტრიალებს. ძველის-ძველ კოსტუმს დიდის ამბით იცვამს. სარკე პატარაა და ბიჭი ამაოდ ცდილობს თავისი განიერი მხარბუქი ჩაატოს, უკან-უკან იხევს, მაგრამ უკანდასახევიც საღაა...

— გეყოფა, დაგვაგვიანდება, — თქვა ცაუმ.

— წაიდეო, მე მზადა ვარ, ნავთქუ-რა ჩააქრე.

როგორც იქნა გადაწყვიტეს თეატრში წასვლა. რა ხანია ცაუ არც კინოში ყოფილა და არც თეატრში. ძმა ერთხელ იმდენს ეჩიჩინა ცაუს, შავი კაბა გახადა და კინოშიც წაიყვანა. თეატრში წასვლაც არ უნდოდა ცაუს, მაგრამ ვინ დაუჭერა.

ახლა ცაუს უხარია, თეატრში რომ მიდის, მაგრამ არ იმჩნევს. „ნეტავ ჩემი სოფლელი არავინ შემხვდებოდეს“, — ფიქრობს გოგონა.

ბატა ლაღად მიაბიჯებს რუსთაველზე. ცაუ კი მოკუნტული, შეშინებული ეკვრის ძმას, მხრებამდეც ვერ სწვდება. რუსთაველზე ახალგაზრდობა გამოფენილა, ბატას უკვე იცნობენ.

ცაუსაც იცნობენ; ბიჭები მორიდებით, ჩუმად უთვალთვლებენ ბატას ლამაზ დას. ცაუს, როცა ძმა ახლავს, ბიჭები აღარც კი ესალმებიან. ისინი ხედავენ, როგორ იქცევა მათ ღებთან, ახლობლებთან ბატა და ეშინიათ, ვაითუ ცაუსთან მასავით ვერ მოიქცნენ, უნებურად რამე წამოცდეთ. ბატა ყველაფერს აპატიებს მეგობარს, ნაცნობს, უცნობს, — ცხოვრებაში ყველაფერი მოსალოდნელია, სხვებივით ამბობს ხოლმე: „რა მოხდა მერე“, — მაგრამ, ვინც ცაუს ქუჩაში განგებ მხარს გაჰკრავს...

ცაუ ჩაფიქრებული მიდიოდა ქუჩაში. უცებ ერთმა მკერდგაღელიმა ბიჭმა ისე მაგრად გაჰკრა მხარი, კინაღამ ხეს არ მიახეთქა! ცაუ მაშინ პირველი კურსის სტუდენტი იყო, მაშინაც კნუტივით ყველგან ბატა დაათრევდა. იმ ერთ საღამოს კი მარტოკამ გამოიარა რუსთა-

ველის პროსპექტი. ამხანავთან მუშაობდა, ძმა საღამოობით მუშაობდა და გასაცილებლად ვერ მივიდოდა. იფიქრებდა, თუ ცაუს ხიფათი შეემთხვეოდა. განა ეგ ხიფათია? რა მოხდა მერე, ბიჭმა გოგოს მხარი გაჰკრა. ბიჭი უზრდელი ყოფილა, ეგ არის და ეგ. მაგრამ ასე რომ არ დამთავრდა? ცაუ გადაყლაპავდა სიმწარეს, უზრდელ ბიჭს აპატიებდა, ოღონდ ასე დამთავრებულყო, მამაცხონებულს თავი დაენებებინა და თავისი გზით წასულიყო.

გაოგნებულ ცაუს მკერდგაღელი ბიჭი მიუახლოვდა და საზარელი ბანით უთხრა:

— დიდი ბოდიში, ჩვენი და, უნებურად მომივიდა, აგერ, ჩემი მანქანა, ჩაჯექი, შინ მივიყვან.

მანქანა მართლაც იქვე იდგა. შიგ მთვრალი მამაკაცები ისხდნენ. ბიჭიც მთვრალი იყო. დაბნეული, არეული ცაუ ხის ძირას იდგა. თვითონაც არ ახსოვს, რატომ იდგა ამდენ ხანს ერთ ადგილას გაქვევებული, რას ელაპარაკებოდა ის ბიჭი. მხოლოდ ოთხი სიტყვა, „დიდი ბოდიში, ჩვენი და“ ჩაიბეჭდა მის გონებაში და ჭრილობასავით გაჰყვა, დაამახსოვრდა.

ცაუსათვის არასოდეს უთქვამთ „დიდი ბოდიში, ჩვენი და“... საკალანდარიოში სხვანაირად იხდიან ბოდიშს. ვინ ელაპარაკებოდა? ნუთუ იმ კაცს შეხვდა, ვისიც ტყვიასავით ეშინოდა? ხიფათი ახლა ხომ არ იწყებოდა? იმ წუთებში, რა თქმა უნდა, ცაუს ამაზე არ უფიქრია. ფიქრი აღარ შეეძლო, ის კი არა, ალბათ ვერ გეტყვოდათ, რა გვარისა იყო, ხელზე რამდენი თითი ჰქონდა, იქნებ ისიც კი ვერ ეთქვა, ერთია მეტი თუ ორი. წინწილასავით სასაცილოდ მობუზული იდგა ჭადრის ძირას.

რამ უბიძგა, ვინ ურჩია იქაურობას უჩუმრად გასცლოდა, რატომ გაიქცა გადასასვლელისკენ? თურმე გარდა გონებისა, რომელიც სულ მუდამ გკარნახობს („ახლა აქეთ უნდა წახვიდე“, „ახლა ეს უნდა თქვა“), მეორე მოკარნახეც გყოლია, გასაოცარი მოკარნახე —

წინამძღოლი, უცებ რომ წაგავლებს ხელს და წაგიყვანს. ნეტავ შორიდან ენახა ცაუს თავისი თავი, პროსპექტზე როგორ გარბოდა. ალბათ მკერდგაღელი-ლი ბიჭი იღვა და იცინოდა.

როცა ტროლეიბუსში ფანჯარასთან დაჯდა და სული მოითქვა, თანდათან გონს მოეგო, ნელ-ნელა გამოვიდა სიბნელიდან და განათებული ქვეყანა დაინახა. დაიწყო ფიქრი: ამდენ ხალხში იმ ბიჭმა რატომ მაინცადამაინც მე ამომარჩია? მართლა შემთხვევით გამკრა მხარი თუ ამომარჩია? გამომწვევად ხომ არ მაცვია? ეს შავი კაბა ვიწრო ხომ არ არის? ბიჭი არც ისე ახალგაზრდაა, ჩემზე უფროსი იქნება, ნუთუ მანქანა ჩემი გულისთვის გააჩერეს? რატომ ვერ შევნიშნე, როცა მთვრალი მამაკაცი პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა? სადმე ხომ არ მინახავს ის ვაჟი?

ცაუ შეეცადა გონებაში აღედგინა მკერდგაღელილი ბიჭის სახე. პირველი, რაც მესხიერებაში ჩარჩენილა, შავი ფერი არ ყოფილა? ცაუს წარმოუტდა შავი ტახი, ჯაგარაყრილი, ეშვებიანი. ბიჭს ჯაგარივით უხეში და სქელი შავი წარბები ჰქონდა. შავი ტახი შავმა კამეჩმა შეეცალა. ტლანქმა შავმა კამეჩმა შემოანათა ტროლეიბუსში. ბიჭს კამეჩივით მსხვილი თვალები ჰქონდა. უცებ შავმა კამეჩმა თეთრი ხალათი ჩაიცვა, ქამარში შავტარიანი ხორცის საკები დანა გაიჩქო და გასტრონომში შევიდა. ნუთუ ის არის?

უნივერსიტეტთან, აღმართს რომ გზა მიჰყვება, სულ ბოლოს კერძო სახლებია, ოდესღაც ფერდობზე უგეგმოდ და უპროექტოდ აშენებული სახლები. თბილისის ახალშენებლობას აქამდე ჯერ არ ამოუღწევია. ბატა და ცაუ ერთ-ერთი ამგვარი უხეირო ორსართულიანი სახლის სარდაფში ცხოვრობენ. ერთ პატარა ოთახში შეყუჟულან. ეს ოთახი მათ დეიდამ დაუტოვა. თვითონ გათხოვდა, დაბინავებულ კაცს გაჰყვა, ოთახი აღარ სჭირდებოდა. იწვალა, ივაგლახა და, როგორც იქნა, ხელისგულისოდენა ოთახში დისშვილები ჩაწერა. ამ ძველ-

თაძველი სახლების გვერდით ერთი ახალი გასტრონომია. ცაუ ხშირად შესვს ქერის გასტრონომს, მათი ფანჯარიდან მეტი არაფერი ჩანს.

ერთხელ გოგონამ შეამჩნია, რომ გასტრონომის ღია კარებში იღვა ვიღაც დაბალი, ჩასუქებული შავ-შავი ბიჭი და მის ფანჯარას აკვირდებოდა. თეთრი ხალათი ეცვა, ქამარში ხორცის საკები შავტარიანი დანა გაერქო. ცაუმ იცნო ხორცისა და ძხვეწულის გამყიდველი ბიჭი. გაახსენდა, ხალხს რა უხეშად ექცოდა და ხორცის ნაცვლად ძვლებს როგორ ატანდა. გოგონა სწრაფად მოშორდა ფანჯარას და მეცადინეობას შეუდგა.

„ნუთუ ის იყო“, ფიქრობდა და ტროლეიბუსის ფანჯარასთან მორიალე ქალაქში დაქინებით დაეძებდა მკერდგაღელილი ბიჭის სახეს. კარგად აღარ შეუხედავს, თვალებში სინათლე წაერთვა თუ რა ჯანდაბა მოუვიდა. ვერ იქნა და ვერ დაადგინა, ერთი და იგივე იყო თუ არა მკერდგაღელილი ბიჭი და ის ბიჭი. გასტრონომში რომ მუშაობდა.

ცაუს ლანდევით აედევნა შავი ბიჭი. მოულოდნელად მანქანა გაჩერდებოდა, მანქანიდან თავს გამოჰყოფდა და ცაუს ეპატიყებოდა. თავქუდმოგლეჯით გარბოდა ცაუ აღმართზე, მანქანა კი ნელა მისდევდა, აღმართს ასე აირბენდნენ. მანქანა გასტრონომის წინ გაჩერდებოდა. ბიჭი გამოვიდოდა, დადგებოდა დონიჯშემოყრილი და ცაუს ფანჯარას აკვირდებოდა.

ისედაც დაღუული და დამფრთხალი გოგო შიშმა შეიპყრო. შინიდან აღარ გამოდიოდა, გასტრონომში ძმას აგზავნიდა. ლექციაზე ბატას მიჰყავდა და მოჰყავდა. ცაუ თავის საიდუმლოს ძმას ვეღარ გაუმხელდა. ის უცნობი ისეთი ავი ჩანდა, ბატას უსათუოდ ხიფათს შეჰყრიდა. თავის ძმასაც ხომ კარგად იცნობდა, ისეთი თავმოყვარე და დიდგულა იყო! ცაუ ორ ცეცხლს შუა ჩავარდა. შეშინებული, თავზარდაცემული ძმას სულ მთლად მიეკრა.

— რა გჭირს, ცაუ, გამაგებინე, რისა

ვეშინია, რა თვალებს აცეცებ?! — გაკვირვებული ეკითხებოდა ძმა, შეჩერდებოდა შუა ქუჩაში და გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა, ჩემს დას ვინმე ცუდი თვალით ხომ არ უყურებსო. აბა, რა იცოდა, თუ ფეხდაფეხ მისდევდა მანქანა, სადაც „ცუდი თვალი“ იჯდა.

— ჰო, კარგი, ჩუმაღ, წავიდეთ, — ექაჩებოდა ცაუ.

— გასაკვირია ჩემი საქმე, — მიბუზუნებდა ძმა.

ცაუს ეგონა, თუ ყურადღებას არ მიჰქცევდა, ხმას არ ვასცემდა, მარტოკა ქალაქში თუ არ გავიდოდა, „ცუდი თვალი“ ბოლოს და ბოლოს მოხერხდებოდა და თავს მიანებებდა.

არ გამართლდა მისი ვარაუდი. ერთ მშვენიერ დღეს შავი ბიჭი უნივერსიტეტის ეზოში დაელოდა. ლექციები რომ დამთავრდა, ცაუს კიბეებზე შეეფეთა. თავგზა აებნა, კიბეები გულგახეთქილმა ჩაირბინა და თანაკურსულ გოგონებს შეერია. უნივერსიტეტის წინ, ჰადრებთან, ბატა ელოდებოდა. გოგოებმა არ იცოდნენ, ცაუს რა უჭირდა და არხეინად მოსეირნობდნენ. ცაუ გოგოებს ვერ სცილდებოდა, გრძნობდა, რომ ბიჭი უკან ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა. „ამდენ ხალხში ვერ გაბედავს“ — ფიქრობდა გოგონა. უნივერსიტეტის ეზო, ბალი სტუდენტებით იყო სავსე. ჰადრების ძირას ყმაწვილები ირეოდნენ. ამდენ ხალხში ბატას როგორ გამოარჩევდა! უცებ ცაუს შავი ბიჭის ხმა შემოესმა. გოგოები მიტრიალდნენ და გაკვირვებით შეხედეს უცნობს. ცაუმ გაქცევა დააპირა და სწორედ მაშინ წარმოუდგენელი რამ მოხდა — გაქმა მაჯაში სტაცა ხელი. — ვაიმე დედაო, — ისეთნაირად შეჰკვივლა ცაუმ, თავისივე ხმისა თვითონვე შერცხვა. გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი წასკდათ. ცაუ ისეთნაირად დაიგრიხა და აწრიალდა, გოგოებს სიცილი ტუჩზე შეეყინათ. ერთ წამში მთელმა ქუჩამ გაიგო, რომ ბიჭი გოგოს სადღაც ძალით მიათრევდა. შეიქნა გაწევ-გამოწევა, სტუდენტები მოგროვდნენ და ბატაც მოვარდა. ხალხი გაარღ-

ვია, ბიჭს მკერდზე ღონივრად ჰკრა ხელი, კიდევ ჰკრა, კიდევ ჰკრა და თვალის დახამხამებაში დაიმარტოხელა!

— ვინა ხარ! რა გინდა?

— ხელები დაიმოკლე, შე... — გამოცრა შავმა ბიჭმა და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— რა მოხდა, ჯაგა, რა მოხდა? — გაისმა აქეთ-იქიდან. ბატას ამხანაგები წინ გადაუდგნენ და არ გაუშვეს.

— არ გაგიჟდე, ბატა, ხელი არ წაგცდეს, ეს ჯაგაა, — დაუწყეს ჩურჩული და ხვეწნა-მუღარა.

ჯაგა რადგანაც იცნეს, უკვე მშვიდად იდგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ზიზლით შესცქეროდა სტუდენტობას. ბატას ბიჭები გარს ეხვეოდნენ და არ უშვებდნენ.

— რა საქმე გაქვს ჩემს დასთან!

— კონსპექტები მათხოვოს, სწავლა მომწყურდა.

ისე გამომწვევად, დაცინვით თქვა ჯაგამ „კონსპექტები მათხოვოსო“, ბატა დასაბმელი შეიქნა. სტუდენტებში თუ ვინმე იყო მოკრივე, მოჭიდავე, დამრტყმელი — ყველა ბატას იჭერდა. იცოდნენ, რომ ბატა ჯაგასთანა „ავტორიტეტებს“ ვერ იტანდა და შეიძლებოდა გაწევ-გამოწევა ცუდად დამთავრებულიყო.

მილიციელმა სასტვენს ჩაჰბერა, ქუჩა გადმოსჭრა და უნივერსიტეტის ეზოში შემოვიდა.

ჯაგა მანქანაში ჩასვეს.

— ვინ ჯაგა, მე არ ვიცი თქვენი ჯაგა, დავფშენი! — ყვიროდა ბატა და მანქანისაკენ მიიწევდა.

ჯაგამ მანქანიდან თავი გადმოჰყო და გველივით დაისისინა:

— რქებს დაგამტრევე, იცოდე!

გამწარებულმა ბატამ ატირებულად ცაუ მოძებნა და შინ წაიყვანა. ცაუმ ძმას წვრილად უამბო თავისი თავგადასავალი.

— არ ვიცი, მაინცადამაინც მე რად ამომარჩია, შაგებში ჩაცმული, მწუხარე და ბეჩავი, — გულსაკლავად ტირილდა ცაუ.

— რად დამიმაღე?!

— შემეშინდა.



— სად წამივია, ხომ მოვა ვასტრონომ-  
ში, ხომ მოვა! იმ ხორცსა და ძეხვს ზედ  
ლორივით დაეაკლავ, — ბობოქრობდა  
ბატა.

ბატამ გაიგო, ვინ იყო ჯაგა, სად ცხო-  
ვრობდა, რა ოჯახის შვილი იყო, რას  
აკეთებდა.

ჯაგას თურმე რეზო ერქვა. მეტსახე-  
ლი მასავით ლაზღანდარა ბიჭებმა შე-  
არქვეს. იარაღის ტარება ძალიან უყ-  
ვარდა. განსაკუთრებით დანისა. ასწაირი  
დანა მინც ექნებოდა. სწავლაზე გული  
ადრე აიცრუა. სკოლა მიატოვა და ქუჩას  
მიაშურა. ჩხუბით, ღვინის სმითა და ქა-  
ლების ღვენიტ სახელი გაითქვა. ვინ  
იცის, მამამისმა რამდენჯერ გადააზრინა.  
როცა მამა ვერას გახდა, ბიძამისმა იხს-  
ნა. როცა ბიძაც ვერას გახდა... ჭრელა-  
ძეებს ქალაქში ნაცნობ-მეგობრები გა-  
მოელეოდათ?!

მამა-ბიძა — გაიოზ და ანთიმოზ ჭრე-  
ლაძეები ბატას ასე დაუხასიათეს:

— ეგენი ცნობილი ხალხია.

— არ გამოვიდა, ვინ არიან?

— გაიოზი და ანთიმოზი? აუჰ, ვანთ-  
ქმული „ჩამწყობები“, მტრისას და ავი-  
სას, აი, ასე ცხოვრობენ! დუღთ და გა-  
დადუღთ, კარგი ტიპებიც არიან, პურის  
მჭამელები...

როცა გაიოზი მტკვრის მარცხენა სა-  
ნაპიროს სასადილოებისა და რესტორ-  
ნების ტრესტის მმართველი ყოფილა,  
ანთიმოზი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს  
ასეთსავე ტრესტს განაგებდა თურმე-  
უცებ, ჭრელაძეებს თავს უბედურება  
დაატყდათ. გარდაიცვალა გაიოზის მე-  
უღლე, რეზოს დედა. ხალხში ხმა გავ-  
რცელდა, გაიოზმა საკუთარი ცოლი მო-  
წამლაო. ჭორი იმიტომ გავრცელდა,  
რომ გაიოზს საყვარელი ჰყოლია. იგი  
თურმე სიცოცხლეს უმწარებდა გან-  
სვენებულს, მაგრამ არც განსვენებული  
რჩებოდა ვალში. გაიოზი ჭორს აბა, ყუ-  
რად იღებდა?! მაგრამ ჭორი ყურად იღო  
განსვენებულის მამამ, გაიოზის სიმამრმა  
და დაიწყო შურისძიება. დაიწერა უამ-  
რავი საჩივარი. ტრესტი შეამოწმეს და  
გაიოზი მოხსნეს. მის ადგილას დანიშ-

ნეს ანთიმოზი. გაიოზმა ექვსი თვე უმე-  
შეგარმა იარა და ბოლოს ანთიმოზის ად-  
გილას დანიშნეს. ძმებმა ტრესტით ვადა  
ვალეს. მართალია, მტკვრის მარცხენა და  
მარჯვენა სანაპიროებზე დიდხანს არ  
გავრძელებულა ჭრელაძეთა „მოღვაწე-  
ობა“, მაგრამ როგორც თვითონ ამბობ-  
დნენ, „სული მოითქვეს“.

გაიოზისა და ანთიმოზის ეს ძველის-  
ძველი ამბავი ბატას არ გაჰკვირვებია.  
იგი გაოცდა და ძალზე შეწუხდა, რო-  
ცა გაიოზი: თათია ჯაგას კანონიერი ცო-  
ლი იყო, ბატას რუსთაველზე თვალი  
მოეკრა თათიასათვის. არ ეგონა, თუ  
ასეთ ლამაზ ქალს ძეხორციელი სიყვა-  
რულს შეჰკადრებდა. კონსერვატორიის  
მეოთხე კურსის სტუდენტი, ნიჭიერ და  
ლამაზი თათია, თბილისელი გოგონების  
თვალი, ამ ქარიყლაპიას ნაცოლევი არ  
ყოფილა?!

ეჰ, ბატა ბოლოს და ბოლოს ჭრელა-  
ძეებს მიაფურთხებდა, ქვეყანა ჩალით  
ხომ არ იყო დახურული, ჯაგას თავის  
დასთან ახლოს არ გააკარებდა, მაგრამ  
ძალზე გაუჭირდა. ცაუმ მოსვენება და-  
კარგა. შინ მარტოკა ვეღარ ჩერდებოდა.  
ლექციიდან რომ დაბრუნდებოდნენ, ბა-  
ტას იგი ხან ნათესაეთან მიჰყავდა, ხან  
ამხანაგთან. თვითონ კი სამსახურში მი-  
დიოდა. სამსახურის შემდეგ უნდა გამო-  
ვევლო და წამოეყვანა. იფიქრა, დაუსწ-  
რებლად განვაგრძობ სწავლასო, მაგრამ  
ვერ გადაწყვიტა. ისეთი კარგი ლექტო-  
რები ჰყავდა, მეგობრები, ამხანაგები,  
ვერ თმობდა. სამეცნიერო წრის ხელმძ-  
ღვანელი იყო, იურიდიული ფაკულტე-  
ტის საუკეთესო სტუდენტი — ამდენი  
შრომა და მეცადინეობა წყალში გადაე-  
ყარა?! სტიპენდიაც ხომ ეკარგებოდა?  
ისევ ის ერჩია, კვლავინდებურად ბეჯი-  
თად ესწავლა, იაფი სამუშაო მოეძებნა,  
ოღონდ დრო ბევრი ჰქონოდა. სულ მუ-  
ღამ სამუშაოს ეძებდა, ხან ქარხანაში  
მუშაობდა, ხან მშენებლობაზე, ხან რო-  
მელიდაც კანცელარიაში.

ბატას აბა ჯაგასთვის ეცალა; „პურის-  
მჭამელებთან“ და „ჩამწყობებთან“ საბრ-  
ძოლველად ჩამოვიდა თბილისში?



— როგორმე უნდა გავეცალოთ ამ ხალხს, ცაუ, მოდი, დროებით ოთახი სადმე შორს ვიჭირათ.

— მე არ მეშინია, რად უნდა ვიჭირაოთ?!

„მე არ მეშინია“ ცაუ წარამარა გაიძახოდა. ისე უადვილოდ, უმისამართოდ და უაზროდ წამოისროდა „არ მეშინიაო“, მძას გული უკედებოდა.

ჯაგა ერთხანს დაიკარგა. არც გასტრონომში გამოჩენილა, არც უნივერსიტეტში, არც ქუჩაში შეხვედრიათ. სამაგიეროდ, დღე არ გავიდოდა, უნივერსიტეტში ჯაგას მოგზავნილები არ მისულიყვნენ და ბატა სალაპარაკოდ არ გაეხმოთ. ბატა ყველას ერთს ეუბნებოდა:

— ნუ მაშინებთ, ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრის თქვენი ჯაგა. ჩემს დასჭრელადებს მოსამსახურედ ვერ მივცემ. თავი დაგვანებეთ. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.

ბატას მეგობრებიც ჩარიეს საქმეში, მაგრამ არც მუქარამ გაჭრა და არც შეგონებამ. ლექციები როგორც კი დამთავრდებოდა, ბატა ჩაავლებდა ცაუს ხელს და ქუჩაში ამაყად, გამართულად მიაბიჯებდა. ყველა საექვო ტიპს თვალებს უბრიალებდა — აბა გაბედეთ ახლოს მოსვლაო.

— ვინ არის ეს ქაჯი, წავიდეთ, — ამბობდნენ ჯაგას მოგზავნილები და ყურებჩამოყრილები მიდიოდნენ.

ბატა ფიქრობდა: რაკი „დელეგაციების“ მიგზავნ-მოგზავნა დაიწყო, შეიძლება საქმე მშვიდობიანად დამთავრდესო.

ერთხელ, გვიან ღამით, როცა ბატა სამსახურიდან ბრუნდებოდა, ტრამვაის გაჩერებასთან ჯაგამ მანქანიდან თავი გამოყო და დაუძახა:

— პროფესორ, მოდი, ჩაჯექი, მიგიყვან.

ბატა აირია, დაიბნა. მანქანაში ჯაგა მარტოკა იჯდა. „იფიქრებს, რომ შემეშინდა, უნდა ჩავჯდე“. უცებ გადაწყვიტა და ჩაჯდა. მანქანა დაიძრა.

— მაშ სიძედ აღარ გინდივარ, მიწუნებ, ჯივრისავ! — თქვა ჯაგამ, ბატას მოხელა და გაუცინა.

„ნეტა რას მიპირებს, რა უნდა...“ ბატა გაჩუმებული იჯდა.

— შენი დის ქორწილშიც დადიხარა? ტიყებ? — ახლა უკვე მის თვალბში დაცინვა გამოკრთა.

ბიჭი შეჰყურებდა ჯაგას ტანხვით გასქელებულ კისერს და ფიქრობდა: „რა ვუთხრა, რა ვუპასუხო ამ კაცს, გულახდილად ხომ არ ველაპარაკო? ხომ არ ვთხოვო, თავი დამანებოს?“ იგრძნო, რომ მის სულში საიდანღაც შეიპარა შიში თუ ადამიანური, ძალზე მიწიერი სისუსტე და თავისი გოლიათური სხეულის შერცხვა. გრძელი მკლავები და ფართო მკერდი ვაშალა, საზურგეს მიეყრდნო და გაბრაზებული მიაჩერდა იმავე კისერს.

მანქანა ცარიელ ქუჩაში მიქროდა, დაგვიანებული მგზავრები ხელს უქნევდნენ და წარამარა „სსსიოს, ციოს“ ეძახდნენ.

უცებ მანქანას წინ გადაუდგნენ მთვრალეები. ჯაგამ საჭე ათათამა და მანქანა კვილით გააჩერა.

— უჰ, თქვენი! — შესძახა მან და მანქანიდან გამოვარდა, — თავი მოგებურდათ, არა?

მთვრალეებმა გინება ყურად არ იღეს და მანქანაში შეცვიდნენ. ბატა უმალ ყოველივეს მიხვდა:

— მე გადავალ, არ გინდათ... ვერაფერი ვაქცაობთა...

ჯაგამ ვითომ ვერ გაიგო, ბატა რა ვაქცაობაზე ლაპარაკობდა და, თავისი ჭკუით, დაამშვიდა:

— ჯერ შენ მივიყვან, ამათ რა, რომ გავუჩერე, მადლობა მითხრან...

— საით მიდიხართ, ბიჭებო? — ჰკითხა მან მთვრალეებს.

— ვაკეში.

— ჰოდა, ერთი გზა გვქონია.

სამი ბიჭი ბატას გვერდით იჯდა, ერთი წინ. ბატამ გულდაგულ ჩაათვალიერა ყველა მათგანი. ჩუმად ისხდნენ. „ხომ შეიძლება ახლა წამოვხტე, ვეცე და საჭე გადავუტრიალო.— გაიფიქრა ბატამ.— დამიჭერენ, ატყდება ბლლარძუნი. წინ რომ ზის, იმას უკვე ხელი ჯიბეში აქვს, მზად არის, შეიძლება დამასახინ-

რონ. გაჩუმება სჯობია. ყვირილი და ხმაური ავტებო? ქუჩაში არავინაა, რა აზრი აქვს. რაც იქნება, ის იქნება. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მიქნან? სიკვდილის ამათ ჩემზე უფრო ეშინიათ. ხვალინდელი დღე ხომ გათენდება? ხომ გათენდება ხვალინდელი დღე?“

როცა მანქანა ბატას ასახვევს გაცდა, ერთმა ბიჭმა რევოლვერი ამოიღო და კარკიტი დაუწყო, მეორემ დანა შეათამაშა ხელში. ბატა გაქვავებული იჯდა და ჯაგას კისერს თვალს არ აშორებდა: „ხომ გათენდება ხვალინდელი დღე, ხვალინდელი დღე ხომ გათენდება?“

გასცდნენ ვაკის პარკს, თბილისს და წყნეთის გზას დაადგნენ. როგორც კი გაივაცეს, მანქანამ მინდორში ვადაუხვია და გაჩერდა. ერთმა ბიჭმა მკლავში ხელი წაავლო, დანარჩენები გადმოვიდნენ მანქანიდან და მანქანის კარი გაუღეს. „მთავარია არ დამასახიჩრონ, თუ წინააღმდეგობას ვაუწუწევ, დამჭრიან, შეიძლება...“

მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, უცებ მიწაზე პირდაღმა დაეცა და ხელებით თავი დაიფარა.

— თხო, არ ყოფილა მთლად ქაჯი, — თქვა ერთმა და ფერდში წინხლი დაუხოგავად ჩაართვა.

ბატამ ფარების შუქზე შეამჩნია, რომ მინდორი ათიოდე ნაბიჯს იქით მთავრდებოდა და ბუჩქებით დაფარული ფერდობი იწყებოდა. „აი, ამ ფერდობმა უნდა მიხსნას“, — ფიქრობდა ბატა და ვიღრე სახეში, ნიკაპში, კისერში, ფერდებში წინხლებს ურტყამდნენ, თავდაცვის უცნაური გეგმა მოიფიქრა და წამოდგომა დააპირა. გაუკვირდათ, ეგონათ კაცი მოკლეს და მკვდარი წამოდგომას არ აპირებდა?

— აცალეთ! — დიძახა ჯაგამ. იგი მანქანიდან არ გადმოსულა. სიბნელეში მიწაზე პირდაღმა დამხობილ ბატას მანქანის ფარები მიანათა, კარი გამოაღო, ჩამოჯდა და შესცქეროდა, როგორ სცემდნენ ბატას.

ისინი შეჩირდნენ. ბატა წამოჯდა.

— მიიყვანეთ, ჯაგასთვის ორი სიტყ-

ვა მათქმევინეთ, — ჩაილულულა მან და წამოდგა თუ არა, მოცელილივით დაეცა, — აჩვენა სიარული ვეღარც მინდობია.

— მოიყვანეთ! — ბრძანა ჯაგამ.

მანქანამდე ათიოდე ნაბიჯი იყო. ბატა ფეხზე დადგა. ერთმა მკლავში ხელი წაავლო და წაიყვანა. დანარჩენები უკან მიჰყვნენ, ფეხებს ძლივს მიათრევდა, მთვრალივით ნაბიჯს გადადგამდა და ისვენებდა. მიდიოდა სინათლის და სიბნელის საზღვარზე. „ჯერ არა, ჯერ არა“ — ამბობდა გულში და ნელა უახლოვდებოდა მანქანას. და აი, ის წუთიც დადგა. უცებ გასხლტა სიბნელეში. ბიჭს მკლავი გამოგლიჯა და ფერდობისკენ გაიქცა. გაისმა რევოლვერის გასროლა. ჯაგამ მანქანა მოატრიალა და ფარები ფერდობს დაუმოხნა. ბატა თვალსა და ხელს შუა დაიკარგა.

— ფუი, თარსად წამოვედით, — თქვა ჯაგამ.

— სად წავივია, აქ იქნება, მოვძებნოთ, — თქვა ერთმა და სიბნელეს შეეჩია.

— წავედით, ეყოფა, — თქვა ჯაგამ და მანქანაში ჩაჯდა. სხვებიც ჩასხდნენ. „ვოლგა“ ძეძენარში ფრთხილად მობრუნდა და თბილისისაკენ გზას გაუღვა.

●

ლამეში ბატამ გზა გაჭირვებით გაიკვლია. ვიღაც მაღლიანმა შოფერმა წამოიყვანა თბილისში. ექიმებმა დაამშვიდეს, თავ-კისერი ჯვარედინად შეუხვეეს. სულ ერთიანად შეფუთეს და უთხრენ, საშიში არაფერია, მაგრამ უმჯობესია, ამ საღამოს საავადმყოფოში დარჩეთო. აღარ დარჩა საავადმყოფოში — ცაუს შეეშინდებო.

ცაუმ ბევრი იტირა, ძმას თავსასთუმალთან მიუჯდა და მთელი ღამე თეთრად გაუთოია.

დადგა მეორე დღე. ბატა ფეხზე წამოვარდა. შეხვეული ფერდები მოისინჯა. სარკეში დიდხანს იტრიალა, ტუჩებისა და თვალების მეტი არაფერი უჩანდა. მართალია, მთელი სხეული სტკიოდა,

მაგრამ გრძნობდა, რომ მალე გამოჯანსაღდებოდა. ფანჯარა ფართოდ გამოალო. გაშალა თავისი გრძელი მკლავები და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. ჩაცუცქდა და ადგა, ჩაცუცქდა და ადგა. გაუხარდა, კარგად რომ იყო.

— ცაუ, კარგადა ვარ, რა სულელი ხარ, რად არ დაიძინე წუხელ? ხომ ხედავ, რა კარგად ვარ! — ბუბუნებდა ბატა, — შენ იძინე, კარგად გამოიძინე, დღეს კვირაა. ბაზარში მე წავალ, ყველაფერს ვიყიდი.

ცაუ იწვა და ძილი ერეოდა. ბატა ნელა ვარჯიშობდა.

— დაიძინე, ცაუ, ნურაფერზე ნუ იფიქრებ, შენს თავზე და შენს სწავლაზე იფიქრე, დანარჩენი მე მომანდე.

— აღარ გტკივა, ბატა? იცი წუხელ რა ცუდად იყავი, სულ ბოდავდი. დედას გაფიცებ, აღარ გტკივა?

— ვერა ხედავ, ორფუთიან გირას ვეჩაჩები, ერთი... ორი... სამი... რომ მტკიოდეს, გიყი ვარ... ოთხი... ხუთი...

ბატას ფეხები ფართოდ გაედგა განზე, გირა მალა აეტაცა, მკლავს რომ გამართავდა, გირა ჰქერს ებჯინებოდა. როგორც ნამდვილი ძალოსანი, იდგა შუა ოთახში, ვარჯიშობდა და ელოდებოდა, ცაუ როდის დაიძინებდა.

ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან. ტაქსში ჩაჯდა და ჰრელაძეებს დილაადრიანად კარზე სტუმარივით მიადგა. გზადაგზა თითქოს მოიფიქრა, გაიანზრა, რას უზამდა ჯაგას, მის სახლ-კარს, საშინელი და საზარელი რამ წარმოიდგინა. მაგრამ ჰრელაძეების ზარს როგორც კი თითი დააჭირა, რალაც სხვა განწყობილება დაეუფლა. ჰიშკარი ჯაგას მამამ გაუღო. იგი ხელებდაკაპიწებული ეზოში ხეხილს რწყავდა.

— თქვენ აღბათ რეზო გინდათ, მალლა აბრძანდით, აი, იმ კიბეებზე! — უთხრა გაიოზმა.

შებანდული ბიჭი გაიოზს არ გაკვირვებია. მის ნაშიერთან ხშირად დადიოდნენ შებანდულები.

კიბე აიბრძინა, კარი გამოაღო თუ არა, ფართო შესასვლელში დიდი სარკე იდ-

გა, სარკეში თავისი შებანდული დაინახა. საიდნლაც ჯაგას ხმა მიეხვეწებოდა. ოთახის კარი ღია იყო და მისი სხეული შევიდა. ჯაგა არ ჩანდა. ოთახში წითელი სავარძლები ჩაემწკრივებინათ. მაგიდაზე დიდი ტელევიზორი იდგა, იქვე უფრო დიდი რადიომიმღები. კედლებზე ფაიფურის მოჩუქურთმებული თეფშები და ნაკეთობანი ეკიდა, ჰქერზე უზარმაზარი ბროლის ქალი. საკვირველი კი იყო. როგორ იმაგრებდა ამხელა ქალს ჰქერი. საიდნლაც ჯაგას ხმა მოისმოდა, ვილაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა. ბატამ წითელ სავარძლებს ჩაუარა და ღია კარიდან მეორე ოთახში შეიხედა. აქ ყავისფერი პრილა კარადები ელაგა და დიდი მაგიდა იდგა. ის, ვისაც ეძებდა, არც ამ ოთახში იყო.

ბატამ მესამე ოთახის კარისაკენ გასწია. ჯაგა ხის დიდ საწოლში იწვა და თეთრი ტელეფონით ვილაცას ელაპარაკებოდა. როგორც კი შებანდული კაცი დაინახა, ტელეფონი დაადგო, წამოჯდა და უცნობს გაკვირვებით მიაჩერდა. ვერ იცნო. ბატას მთელი თავისი საზარელი გეგმა ჩაეშალა. პატარა, მაგრამ კონტაეზომ, ფართო და ნათელმა დარბაზებმა. ბოლოს ლოჯინში მწოლმა, წელს ზევით სულ შიშველმა ჯაგამ გული მოუღბოთუ რა იყო, ხანგრძლივად ნაფიქრი და ნაზარევი ერთ წამში დაენგრა და მასპინძელს თითქმის ვედრებით უთხრა:

— გთხოვ, ჩემს დას თავი დაანებო. ჯაგამ ხმა რომ გაიგონა, ფეხზე წამოიჭრა.

— ახლავე ჩავიცვამ და წამოვალ, — თქვა მან და ჩაცმა დაიწყო.

— მე არსად ვარ მივდივარ, ჩემს დას თავი უნდა დაანებო, — ხმას აუწია ბატამ. მივარდა, ტანსაცმელი ხელიდან გამოგლიჯა, გადაადგო და ხელებგაშლილი, დაკუნთული, დაჭიმული წინ ვადაუღდა.

— გირჩევნია, ჩემს დას თავი დაანებო! — შეჰყვირა ბატამ და იგრძნო, რომ ცალი მუხლი აუკანკალდა.

— ჩუმად, ბიჭო, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია!

— ჰო, მომბეზრდა, ყველაფერი მომ-  
ბეზრდა, თავი დაანებე, თორემ...

ჯაგამ, ვითომ „ავიყვანო“ და, რო-  
გორც იცოდა ხოლმე, ისე გამოცრა კბი-  
ლებიდან:

— საცა დამარტყამ, იქ გაგიყრი, იცო-  
დე!

— აი, აქ დავარტყამ! — იფეთქა ბატამ.  
იგრძნო, რომ რალაცას გადაბიჯა, რა-  
ღაც ბორკილი დაამსხვრია, თითქოს  
ფრთები გაშალაო, თითი შუბლზე დაუ-  
მიზნა და... ჯაგამ იფიქრა, დავასწრებო.  
დააპირა წელში შევარდნოდა. ბატამ ეს  
მოძრაობა დაიჭირა და, როგორც კი ჯა-  
გა ოდნავ მოიხარა, თავისი ტყვიასავით  
მუშტი შუბლში თხლიშა, მართლაც იმ  
ადგილას, სადაც დაუმიზნა. ჯაგა ჩაჭდა  
ბატა მივარდა, წამოაყენა, ხელში იტა-  
ცა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგმევინა და  
ზურგით პრიალა კარადს იმგვარად მია-  
ხეთქა, კარადის ფართო კარი შუა გაი-  
პო: ხმაურზე გაიოზი შემოვარდა. ბატამ  
გონდაკარგული ჯაგა კვლავ ხელში იტა-  
ცა და ახლა მამამისს მიახეთქა. მამა-შვი-  
ლი იატაკზე გაიშხლართა. გაშმაგებული  
ბატა უკვე თვალბუმში ველარ იხედებო-  
და, რას აკეთებდა, არ იცოდა. ჯერ ჯა-  
გას შედგა წიხლებით, მერე უცებ, თით-  
ქოს მეორე ჯაგა იპოვაო, ტელევიზორს  
ეცა, გადმოაგორა და იატაკზე დაახეთქა.  
ტელევიზორს რადიომიმღები მიაყოლა,  
კედლებზე ფაიფურის თეფშებს მუშტე-  
ბი დაუშინა და დაიწყო საზარელი  
მტვრევა.

გაიოზი ფანჯარასთან მივარდა და ყვი-  
რილი მორთო—მიშველეთო. ბატა დიდ  
ოთახებში შესულივით დარბოდა, ყვე-  
ლაფერს ამტვრევდა, ანგრევდა. ხელი  
დასტაცა წითელ სავარძელს, ჯერ სერ-  
ვანტს დაუშინა და დალენწა, მერე ჭერზე  
დიდ ჭალსაც დაუმიზნა, მაგრამ ვერაფე-  
რი დააკლო. შემოსასვლელში კარის სი-  
მაღლე სარკე იდგა, კაცოვით მაღლა იი-  
ტაცა, დაჰკრა იტაკს და დაფშვნა.

გადარეული ჩაიჭრა ეზოში. კიბეს-  
თან თავშეყრილ დაფეთებულ მეზობ-  
ლებს ქორივით გადაავლო თვალი, ჰიშ-  
კარი შიახეთქა და ქუჩაში გავარდა.

აწრილდნენ ჭრელაქეები. გაიოზი  
და ანთიმოზმა, როგორც იტყვიან ხოლმე,  
მთელი თბილისი ფეხზე დასვეს.  
გაიოზი ვადარეული იყო, — ვიღაც  
სტუდენტს შინ მოვარდნას როგორ ვა-  
პატიებო! თავყბამონგრეული, ლოგინად  
ჩავარდნილი შვილი კი ამშვიდებდა: ჯა-  
ვრი ნუ გაქვს, ბიჭებს ვეტყვი და „მოუ-  
ხაზავენო“.

სასამართლოთი ჭრელაქეებმა ვერა-  
ფერი ვააწყვეს. როცა ბატას წინააღმდეგ  
სისხლის სამართლის საქმე შედგა, ბა-  
ტა მივიდა თავის პროფესორთან და ყვე-  
ლაფერი დაწვრილებით უამბო. თბილი-  
სში რაც კარგი მოსამართლე და გამომ-  
ძიებელი მუშაობდა, ყველა იმ პროფე-  
სორის გამოზრდილი იყო. მართალია,  
კოდექსებით ბატას „დამნაშავე“ ერქვა—  
ჭრელაქეებს შინ არ უნდა მივარდნო-  
და. მათ მოწმეები ჰყავდათ, ბატას კი  
არა, — მაგრამ პროფესორი თავის საუ-  
კეთესო მოწაფეს, სამაგალითო სტუ-  
დენტს ცინეში არ გაუშვებდა. როცა იძა-  
ლეს და იძალეს ჭრელაქეებმა, ბატას  
დასაცავად მთელი უნივერსიტეტი დაი-  
რახმა. უნივერსიტეტის რექტორმაც კი  
აიღო ყურმილი.

გაიოზი ტრაბახობდა: მე არ ვიყო  
გაიოზი, ის სტუდენტი თბილისიდან თუ  
არ გავსახლოო. მას ავეჯი სწავდა  
გულს, შვილს რა უჭირს, მორჩება, მაგ-  
რამ დალენწილ ავეჯს რა მოარჩენსო.

მუქარა მუქარად დარჩა. ბატა თბი-  
ლისიდან ვერც გაასახლეს და ვერც  
„მოუხაზეს“. ეს ამბავი კი მთელმა უნი-  
ვერსიტეტმა, მთელმა ქალაქმა გაიგო.

როცა ბატა ცალს ხელს ჩაავლებდა და  
ჩვეული მედიდურობით ჭაჭუკაძის ან  
რუსთაველის პროსპექტზე გაივლიდა,  
ბიჭები და ვოგოები ჩუმ-ჩუმად ერთმა-  
ნეთს აჩვენებდნენ — აი, ის არის ცალს.

შემოდგომის თბილი საღამოა. ბატას  
ჩაუვლია თავისი დისთვის ხელი და რუს-  
თაველზე გამოსულა. მკერდგამილი  
ბატა მიაბიჯებს რუსთაველზე და გულში  
თავისი ანგელოზი დით ამაყოფს.



ბატას ცაუ თეატრში მიჰყავს. ცაუს გლოვა და დარდი ეყოფა. ცაუს აღარაფერი აქვს სადარდელი, ცაუ მთელ თბილისში ყველაზე მხიარული და ბედნიერი გოგო უნდა იყოს. ასე უნდა ძმას და ასეც იქნება.

როცა თეატრში შევიდნენ, დიდი ჭაღებით განათებულ ფოიეში ბატამ პირველად შეამჩნია, რომ მისი და ძალიან ლამაზი იყო. „მართლა ლამაზია, თუ მეჩვენება?...“

— ამაღამ ნეტა ვინ ითამაშებს? — იკითხა ცაუმ.

ბატამ პროგრამა იყიდა.

— მე ძირს ჩავალ, პაპიროსს მოგწევ. — უთხრა ბატამ.

— მეც წამოვალ...

— წამოდი.

„ერთი წუთით არ შეუძლია მარტო დარჩენა, ნეტავ კიდევ რისა ეშინია?“ — გაბრაზდა ბატა, მაგრამ არაფერი არ თქვა. სხვა დროს ეჩხუბება ხოლმე „რა მოგივიდა, გოგო! გაიხედ-გამოიხედ, ნახე, შენი ტოლები რა ამბავში არიანო“, ახლა კი მშვიდად უთხრა, წამოდიო. ეს სადამო ცაუსია, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, ოღონდ არ მოიწყინოს, ოღონდ ნაღვლიან სახეს ნუ უჩვენებს. მერე როგორი მოწყენა იცის! ისე საცოდავად დაუნაღვლიანდება თვალები, სახე, რომ მზად არის, ცხრა მთას იქით გადაიკარგოს და არასოდეს ნახოს თავისი საყვარელი და. თვითონაც არ შეუძლია მოწყენა, როგორც კი დარდი შემოაწვება, მთელი მისი სხეული, გონება, გრძნობა ამხედრდება დარდის წინააღმდეგ და... შეუმჩნეველად იწყება სიხარული.

გული ბოღმით ევსება, როცა ნაღვლიან ადამიანებს უყურებს. უნდა ყველას აუხსნას, გააგებინოს, რომ ნაღვლიანობა სიძნელეა! ნაღვლიანობამ მიჩვევა იცის.

თეატრის დარბაზსა და ფოიეში თუმცა უამრავი ხალხია, მაინც საოცარი სიწყნარე სუფევს. დადიან დინჯად, ერთმანეთს ჩუმად ელაპარაკებიან. ცაუს თვალები უბრწყინავს, ცაუ კმაყოფილია,

რომ თეატრშია და სურათებს ათვალიერებს. კედელზე თეატრის მთელი ისტორიაა გამოფენილი. ბატამ მისი მისი ბოლოს სცემს. ხანდახან მიდის კედელთან და ჰამლეტის სურათს მერამდენედ აკვირდება, თითქოს რაღაც გამოარჩაო, დახედავს და კვლავ ბოლოს ცემას მოჰყვება. „ნეტავი არტისტი ვიყო, — ფიქრობს ბატა, — მომიხდებოდა არტისტობა, — გონებაში თავის გოლიათურ სხეულს ათვალ-ჩაათვალიერებს. — ეჰ, ცხვირი მიშლის“... იხსენებს მსახიობებს, ვისაც კეხიანი ცხვირი აქვს. კეხიანცხვირიანი მსახიობები ბლომად ჩამოთვალა, წითური მსახიობებიც, მაგრამ ისეთი, ვინც, წითურიც იყო და კეხიანი ცხვირიც ჰქონდა, ვერა და ვერ გაიხსენა.

— საარტისტოზე უნდა შევიდე, ცაუ! — რა გაყვირებს, ბიჭო, სირცხვილია, — ცაუმ ძმას ხელი მოჰკიდა და წაიყვანა.

— მეორე ზარია.

— შევიდეთ.

ლოჯაში არავინ იყო. ცაუს ძალიან გაუხარდა. ერთმანეთის გვერდით მოთავსდნენ და დარბაზს გადახედეს. „საწყალი მამაჩემი“, — ვაიფიქრა ცაუმ.

— ბევრი ხალხია, — თქვა ბატამ და ცაუს ფიქრი გაუწყდა.

— რა კარგია, რომ ჩვენს ლოჯაში არავინ შემოდის, — თქვა ცაუმ.

— ჯერ აღრეა, მოვლენ! — ბატამ საათს დახედა.

— კომედიაა?

— პროგრამა რისთვის გიყიდე?

ცაუმ პროგრამა გადაშალა.

— დრამა ყოფილა. კომედია მერჩია.

ლოჯაში ხმაურით შემოვიდნენ ბატას სიმალის ბიჭები. ძალზე მაღალი, წარმოსადეგი ვაჟაკები თავს დაადგნენ ცაუს. მათ ერთი ქალი ახლდათ.

— უცხოელები არიან, — უთხრა ბატამ დას.

უცხოელები ფეხზე დიდხანს იდგნენ. ათვალთვლებდნენ დარბაზს, შესცქეროდნენ ჰერს და ხმამაღლა მუსიკობდნენ, ბატას ენა არ ესმოდა, მაგრამ მიხვ-

და, რომ ქალი თარჯიმანი იყო. როგორც იქნა, დაწყნარდნენ. ყველაზე მაღალი ბატას გვერდით დაჯდა; დანარჩენები მათ ზურგს უკან დასხდნენ. ქალა შუაში მოიქცეის და შეკითხვები დააყარეს. ხმამაღლა, მოურიდებლად ლაპარაკობდნენ. მთელი დარბაზის ყურადღება მიიქცეის. პარტერიდან, იარუსებიდან გოგობმა კისერი მოიგრისეს.

— აჰა, კალთბურთელები არიან, — გაახსენდა ბატას.

— რაღა ჩვენს ლოჯაში შემოვიდნენ, მთელი ქვეყანა გვიყურებს, — თქვა ცაუმ.

ერთი უცხოელი წამოდგა და მეორე იარუსზე ვადმოკიდებულ გოგობებს კოცონა გაუგზავნა. ბიჭი ძალიან ლამაზი და ახოვანი ჩანდა, კოხტად ეცვა. იარუსიდან არ უპასუხეს. ბიჭი დაჯდა და რაღაც თქვა, რამაც სიცილ-ხარხარი გამოიწვია.

ამასობაში სინათლე ჩააქრეს და ნელ-ნელა ფარდა აიხადა. ყველაზე მაღალმა ბიჭმა სკამი წინ გააჩოჩა, და-ძმას ზურგით აეფარა. ბატა შეცბა. არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. ცაუს გადახედა. ცაუ დამფრთხალი კურდღელივით მიყუჩულიყო კუთხეში და ვითომ სულ არ ხედავდა უცხოელის ზურგს, სცენას მიშტერებოდა. უცხოელი ბატასა და ცაუს არც ამჩნევდა, ქალს უსმენდა, ჩურჩულთით რომ უხსნიდა სპექტაკლის შინაარსს, თითქოს მის ზურგს უკან არავინ იჯდა.

ბატა ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა. სპექტაკლი დაიწყო. ერთი მსახიობის გამოჩენას დარბაზი ტაშით შეხვდა. ბატამ შეამჩნია, რომ ცაუმ თავი ჯერ მარჯვნივ გადასწია, მერე მარცხნივ. ეს იმიტომ, რომ მსახიობმა სცენა ჩქარი ნაბიჯით გაიარა. „ვერ ხედავს“, გაიფიქრა ბატამ და უცხოელის სირაქლემასავით გაქიმულ კისერსა და წვრილ თავს ზიზღით შეხედა.

— ვერ ხედავ? — ჩუმად გადაულაპარაკა დას.

— როგორ არა, როგორ არა!

— მართალი მითხარი.

— მამას გეფიცები, ხელს არ მშავლის, — იცრუა ცაუმ. თავის ცხოვრებაში ტყუილზე პირველად დაიფიცა.

ბატა უკვე არც ცაუს უსმენდა, არც მსახიობებს, სცენიდან რომ გაჰკოიოდნენ. გაქვავებული იჯდა, სტუმარს თვალს არ აშორებდა და საკუთარ თავთან დაობდა. „რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ხელს მოვკიდებ და უკან დავწვივ“ — გაუელვა უეცრად თავში, მაგრამ გაახსენდა ჩვენი ხალხის საყვარელი გამოთქმა: „სტუმარი ღვთისაა“, რამაც სულის სიღრმემდე შეძრა.

„სტუმარი ღვთისაა“ — ამ ორმა სიტყვამ შეაშინა, შებოროკა და სრულიად სასოწარკვეთილმა შეხედა სკამზე საცოდავად მოკუნტულ ცაუს. იგრძნო, რომ კუნთოვან მკლავებსა და განიერ მკერდში ცხელმა სისხლმა დაუარა. მის თვალწინ საოცარი სურათი დაიხატა. ვითომ საკუთარი თავისქალა აეხადა, გამოჩნდა ანატომიის სახელმძღვანელოში დახატული დანაოქებელი ტვინი. ამ ტვინზე ლოზუნგავით წითელი ასოებით ეწერა: „ჩემი ცაუსათვის — ყველაფრის წინააღმდეგ“.

სცენას უკვე ცაუც არ უყურებდა, მაღლულად შესტკეროდა ძმას და შიშისაგან კანკალებდა.

— მე არ მომწონს ეს მსახიობი, — უჩურჩულა მან ბატას, ვითომ კარგად ვხედავო. ბატა დას მიუხვდა და არ უპასუხა, უცხოელებისავე გადაიხარა და ქალს ჩუმად გადასძახა:

— ქალბატონო! — ქალმა საუბარი შეწყვიტა და ბატას შეხედა.

— რა გნებავთ?

— თქვენს ამხანაგს უთხარით, უკან გაიწიოს.

— როგორ გეკადრება, ალბათ, ასე უკეთ ხედავს, სტუმარია.

ქალმა თავისი დიდი გაკვირება იმით გამოხატა, რომ რამდენჯერ გაიმეორა: „გაფუქდა ახალგაზრდობა“ და „ღმერთო ჩემო!“

— კი, მაგრამ იგი ხელს უშლის ჩემს დას, ვერა ხედავს.

— თავი დაანებე, გაგიყდი? — ფეხზე

წამოხტა ცაუ, — იცოდე, ახლავე გავიქ-  
ცივეი აქედან!

— ეჰ, ჩაგვმწარდა ეს საღამო, ცაუ, —  
თქვა მან ნაღვლიანად და სცენას შეხე-  
და, მერე გარინდულ დარბაზს მოავლო  
თვალი, ლოყის მოაჯირზე ორივე მუშტი  
ერთმანეთზე შემოსდო, ზედ ნიკაპით  
დაეყრდნო და გაირინდა. სპორტსმენმა  
ბატას და ცაუს ერთი მოხედა, გულზე  
ხელები დაიკრიფა და მაგრად დაამოქნა-  
რა, ფეხები გაჭიმა და კვლავ უაზროდ  
მიაჩერდა სცენას.

„ამ ცაცს სკამი უკან უნდა გავაწევინო,  
თორემ გული გამისკდება, — გაიფიქრა  
მან, — რა იქნება, რომ გავაწევინო? გა-  
ნა ეს დანაშაულია? რომელიმე სახელმ-  
წიფოს შეუტაცხყოფა?“

ჩხუბს და აყალმყალს ბატა მუდამ  
გაურბოდა. რაც ჯაგასთან მოუვიდა,  
მსგავსი რამ არსად, არავისთან არ მოს-  
ვლია. იგი დარწმუნებული იყო თავის  
ძალაში, მაგრამ ჩხუბს უსათუოდ აიცი-  
დენდა ხოლმე: „მილიციასა და სასამარ-  
თლოში წოწიალისათვის არ ჩამოვსულ-  
ვარ თბილისში“.

უნივერსიტეტში კრივისა და ჭიდა-  
ბის სექციების მწვრთნელები კუდში  
დასდევდნენ; საოცარი ძალის პატრონი  
ხარ და თავს რად იფუჭებო.

ბატას სამართალი უნდა შეესწავლა, ამ  
ქვეყანაზე მართალი გულითა და სიმარ-  
თლით უნდა ეცხოვრა. სასაცილოდ არ  
ჰყოფნიდა მწვრთნელი რომ გვერდზე  
გაიხმობდა და სერიოზულად უმტიციებ-  
და, ცხოვრება დღეს სპორტსმენისააო.  
სულ სხვანაირად ფიქრობდა, ზმირად  
წარმოიდგენდა ხოლმე თავისთავს ტრი-  
ბუნაზე ან სცენაზე. რატომღაც ეგონა.  
დიდი რამ სათქმელი ჰქონდა და ერთ  
მშვენიერ დღეს უსათუოდ იტყოდა. ამი-  
სათვის ემზადებოდა, მთელი მონდომე-  
ბით მეცადინებოდა, ფიზიკური ძალა და  
ენერჯიაც ამისთვის სჭირდებოდა.

„უნდა გავაწევინო, — დაყინებით  
ფიქრობდა ბატა, — რომ არ გასწიოს,  
მაშინ რა ვქნა? მაშინ წამოვხტები, ვტა-  
ციებ ხელს და სკამიანად ლოყიდან გადა-  
ვავდებ, ცაუ სცენას ვერ ხედავს, ცაუს

ხელს უშლის სპორტსმენის ზუკა, —  
თეატრში ზმირად არ დადის. მას დღეს  
ხელს არფერი არ უნდა უშლის! —  
გორ გავაგებინო, როგორ შევაგებინო  
ამ გადამთიელს, რომ ეს ასეა?“

ცაუ ძმას თვალს არ აშორებდა და  
გული ჩიტვიით უცემდა. „რა ვქნა, რა  
მოვუხერხო ბატას? შეგონება და ჰკუ-  
ის დარიგება რომ დაეუწყო, სულ გადა-  
ირევა. მაშ რა ვქნა? ხომ ვიცი, რასაც  
ფიქრობს? ღმერთო ჩემო, დავიღუბე-  
ბით, ორივენი დავიღუბებთ.“

უცებ თვალწინ დედა წარმოუდგა-  
რატომღაც გაახსენდა: დედას რომ გაუ-  
ჭირდებოდა, წმინდა გიორგის ევედრე-  
ბოდა. არ სწამდა, არ სჯეროდა და მაინც  
წმინდა გიორგის ავედრებდა ქმარ-  
შვილს. ეჰ, წმინდა გიორგი არ მიშვე-  
ლის, რაღაც უნდა მოვიფიქრო. ავღგე-  
ბი, მივალ სპორტსმენთან და ვთხოვ ცო-  
ტათი ვასწიოს სკამი. რომ არ შეიძლება?  
რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, ფიქ-  
რობდა ცაუ, საცაა ცრემლი წასკდებო-  
და. ცაუს ახლა ცრემლისაც ეშინოდა.  
ძმას რომ ცრემლი დაენახა, მეტი კი არ  
იყო საჭირო.

„მე მაჯუყებს, ვითომ სცენას უყუ-  
რებს, — ფიქრობდა ბატა, — მე ხომ ვი-  
ცი, ცაუ, შენ რაზეც ფიქრობ. არა, შენ  
ვერავინ აგეფარება. გადაწყვეტილია. ამ  
საღამოს სპორტსმენი თუ ჰკუთით არ იქ-  
ნება, ლოყიდან გადავარდებ, ოღონდ  
მოფიქრებაა საჭირო, იქნებ მშვიდობი-  
ანად მოვაგვარო“.

— ბატა, ცუდადა ვარ, გული მერევა,  
წამომყევი, — თქვა უცებ ცაუმ და წა-  
მოღგა.

— დაჯექი მანდ, მე ვიცი, შენ რად გე-  
რევა გული!

— მიშველე, თორემ დავეცემი, — ისე  
სასოწარკვეთილმა წამოიძახა ცაუმ, რომ  
ბატას შეეშინდა, წამოხტა და ლოყიდან  
გაიყვანა.

— მართლა ცუდადა ხარ? მართლა?  
ცაუმ ცხვირისახოცი აიფარა და გაიქ-  
ცა, ბატამ დას მისდია. კიბე ჩაირბინეს  
ცაუმ შვებით ამოისუნთქა.

— რა მოგივიდა?

— რა ვიცი, ძალიან ცუდად ვარ, შინ წავიდეთ, უნდა დავწვე.

— კარგი, წავიდეთ.

თეატრიდან გამოვიდნენ. ცაუს ეგონა, მამა მოვატყუეო, ბატაც მოტყუებულ კაცს თამაშობდა და ცაუს ატყუებდა.

ჩვეულებისამებრ ჩაავლო ხელი თავის დას და სტუდენტებით სავსე რუსთაველს დაუყვია. ჭადრების გაჩირადნებულ ხეივანში ლამაზი, ტანადი ქალიშვილები და ჭაბუკები დასეირნობდნენ. ბატამ ლამაზ გოგოებს თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „თქვენზე ნაკლები არ არის ჩემი ცაუ. აბა ერთი თეატრში გენახათ? რა ვუყოთ მერე. ცაუს შეიღებავს

თმას, წვრილქუსლებიან ფეხსაცმლებს/ ჩაიცვამს, შეიკერავს ფერად-ფერად ხალხურ ბებს და მაშინ ვნახოთ. ცაუს გზა უნდა დადარიდო ეყოფა. ცაუს აღარაფერი აქვს სადარდელი, ჩემი ცაუ მთელ თბილისში ყველაზე მხიარული და ბედნიერი გოგო უნდა იყოს“.

რუსთაველზე ბატაც დადის, რუსთაველი ბატასაც ეკუთვნის. მიაქვს თავისი გოლიათური მხრები, მიაბიჯებს ამაცი, მკერდგაშლილი, ზვიადი და ანგელოზივით და ესახელება.

გოგოები კი ერთმანეთს ჩუმად აჩვენებენ: აი, ის არის ბატა.





### ლამაჲო ღღეო

მოხვალ, მომიტან უამრავ განცდას,  
მოდი, მობრძანდი, ლამაზო ღღეო.  
რაც სიჭაბუკის ღღეებში ამცდა,  
უნდა მიბოძო, ლამაზო ღღეო.

უნდა მიბოძო დასტად და დასტად,  
რისთვისაც ადრე გიწვდიდი ხელებს...  
და გაზაფხული ბოლომდე გასტანს  
და იჩუხჩუხებს პატარა ღღელე.

აწყდება ჩემი მაღალი ლანდი,  
გზებსა და ხრამებს, კლდეებს და მინდორს...  
ვრცელზე უვრცესი სიცოცხლე განდე,  
შენს ხელისგულზე იყოს და იღოს.

ვიცი, რომ ჩემი ფიქრი და ხვედრი  
არ უნდა ჰგავდეს ნამცეცა წვეთებს...  
და გაიგონე ძახილი მხედრის  
ყოფნა-არყოფნას როდესაც სწყვეტენ.

შენა ხარ ჩემი რწმენა და ძალა,  
სული და ჩემი სიცოცხლის აზრი,  
და თუ სიმღერას არ ამიკრძალავ,  
ყველა სიხარულს ბალღივით გავზრდი.

გეძახის ჩემი მღულარე სისხლი  
და გასაქცევიც არა გაქვს არსად...  
უნდა იცოდე ტრფიალი მისი  
ვინც გულისკარი ბოლომდე გახსნა.

უნდა იცოდე, გაზაფხულს ასე  
რატომ ვეტრფი და... ნურაფერს მკითხავ...  
და ვიგალობებ საწუთროს გზაზე  
ძალიან დიდხანს, ძალიან დიდხანს.

მომიაღერსე და მომეფერე,  
თეთრი ყვავილის დაგიწნავ გვირგვინს,  
საგზლად გაგატან საამო ფერებს,  
რაც არის ჩემში, გარეთ თუ ირგვლივ.

და ჩემი ცრემლი, ცხარე თუ მწუთხე,  
ნიშნად ღხენისა იელვებს თვალში...  
და მოსულ წუთებს და განვლილ წუთებს  
უთუოდ ფასი ექნება მაშინ.

ვიცი, არ ვხარჯავ სიცოცხლეს ფუჭად,  
და გული ჩემი მღერის და მხნეობს.  
ლოდინში თვალებს ვახელ და ვხუჭავ  
და გელოდები, ლამაზო დღეო.

### გამხელილი ფიქრები

მივცურავ თითქოს ამ ცათა მიღმა,  
ჩემივე გულის სიმღერა მესმის...  
და არ ვემღერი ბედსა და იღბალს, —  
იზრდება ჩემი ტოტი თუ ფესვი.

არ მინდა ვგავდე მიგდებულ ნაფოტს,  
მაქვს მიზეზები სევდის და ღხენის...  
და თუ თქმა არის — ხმამალლა ვამბობ,  
თუ სიმღერაა — ხმამალლა ვმღერი.

და გაზაფხულის მზეში და ცვარში,  
სიზმარს მაგონებს შრიალი ხეთა...  
და კაცმა რომ თქვას, რა მინდა ცაში,  
მე აქედანაც ქვეყანას ვხედავ.

\* \* \*

დავდივარ, ჩემი სიმღერა მართობს,  
და ვიცი მთვარის ზომა და წონა.  
და მინდა ყოფნა სრულიად მარტო,  
სადმე მინდორში გულადმა წოლა.

არა და... ვეღარ გავექეც ქალაქს,  
დიდი ქალაქის ქუჩებს და ქარებს;  
ზოგჯერ ალერსიც მწყურია ქალის  
და მოვედები სიცილად ჰაერს.

ხშირად დუმილი ტვირთივით მაწევს,  
ტვირთი მიძძივებს მხრებსა და ხელებს;  
და სულის ფსკერზე ვპოულობ განცდებს,  
რომელსაც გზებზე მღერიან მერე.

მგონია, გულში ყველაფერს ჩავტევ,  
 ფიქრი ჩიტივით აწყდება ფანჯრებს...  
 ზოგჯერ ცხოვრება ამიყვანს მჩატედ  
 და მთელი ძალით მარწევს და მანჯღრევს.

ზოგჯერ სულ ცოტა, სულ მცირე ეჭვი  
 მიმიძიებს პაერს და სუნთქვას მიშლის...  
 და მაინც სიტყვებს, ვით ოქროს კენჭებს,  
 ვეძებ და... ხელებს ვაფარებ შიშით.

და ვილაც მლანძღავს და ვილაც მაქებს,  
 მე ყოველივეს დუმილით ვისმენ...  
 არ მსურს ქვეყნიდან უბრალოდ გავექრე  
 და თეთრი ღამე მრავლდება ისევ.

და გაგზდი უფრო ღინჯი და მძიმე,  
 უფრო ჭკვიანი თუ ამის მსგავსი...  
 და ვეჭვილები პატარა იმედს,  
 რომელიც დიდი იმედით მავსებს.

\* \* \*

პეპელას დასდევს გოგონა ნაზი,  
 გზად მოთამაშე ბიჭუნას გამჩნევ...  
 და გვრძნობ, სად არის სიცოცხლის აზრი,  
 და ვეწაფები სიცოცხლის ჩანჩქერს.

მივდი-მოვდივარ გზებზე და ასე  
 შორი ვარსკვლავი ანათებს მკრთალად...  
 და ვარ სინათლით, სიკეთით სავსე  
 და მსურს სიკეთე შეიცნოს თვალმა.

ამგვარად ვიწვი, ამგვარად ვბორგავ,  
 პაერით, მიწით... ათასი რამით...  
 მე ვილაც მშველის, მე რალაც მბორკავს  
 და მენატრება ახლა ცის ნამი.

...მე თვით სიკვდილიც სხვაგვარად მესმის,  
 შევტრფი, შევხარი სიცოცხლის კოცონს...  
 მაგრამ შემდეგაც აღვსდგები ლექსად  
 და დაფიქვირებ: — მე ისევ ვცოცხლობ!





მოთხრობა

ადრე დილით სარკმლიდან გადაიხედავთ და მოხუც მეეზოვეს დაინახავთ. ქალაქში ყველაზე ადრე ის იწყებს შრომას. დილის ბინდბუნდში მოხრილი, თავჩაქინდრული მოდის, თავისი განუყრელი ცოცი უჭირავს. ცოცხს ასფალტზე აფხაკუნებს, ხანდახან თავისთვის იღიმება, ღიმილს მერე სიმღერას მოაყოლებს, ეტყობა, თავისი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო შემთხვევები აგონდება. თუ რაიმე ჰკითხვ, ხელს ოდნავ ჩაიქნევს:

— ეპ, რა არის ისეთი, მე რომ არ გადამხდენია, ჩემი ცხოვრება ერთი გრძელი ამბავია! — მოკლედ მოსჭრის და კვლავ სხვა სამუშაოზე მიეშურება. ემინია, მზემ არ მოუსწროს. სულ არ უწევს ანგარიშს, რომ წლები ამ სიჩქარესა და ფაციფუცშიც ამავე სიჩქარით გაირბენენ და გაღუნავენ მოხუცის მხრებს. ალბათ ვერც მოისვენებს, ვიდრე ეს წლები სულ არ წააქცევენ.

მაგრამ ქალაქის ქუჩებს ნაგვიანევი სტუმრებიცა ჰყავს. ესენი ღამის დარაჯებია. ზამთრის ღამეში ჩქარა მიდიხარ, ეშურები, რომ თბილ ბინას თავი შეაფარო. მაგრამ ხედავ, მალაზიის ვიტრინის დიდ შუშას ქურქში შეხვეული მოხუცი მისწოლია, ხელები ტყავის სახელოში დაუმალავს. ცოტა მოშორებით ცეცხლიცა ბეჭუტავს. ერთი შეხედვით, მოხუცი ცეცხლს უნდა უცქეროდეს, მაგრამ თვალეები ისე წასვლია ფიქრებში, მგონი ცეცხლსაც ვერ ამჩნევს, ნაბიჯს ძალაუნებურად შეაჩერებ და შეეკითხები:

— ამ ყინვიან ღამეს როგორ გაათევ?

მოხუცი ოდნავ დამცინავად იღიმება:

— მიჩვეული ვარ.

— მიჩვეული?

— ჰო, ლოგინში მაინც ვერ ვისვენებ. უძილობა მჭირს.

მოხუცი ოხრავს. იმას სცალია, ღამე



დიდია. შეუძლია თავისი ოხვრის მიზეზზე მთელი ღამე ილაპარაკოს, ძველი ნასალდათარია. როგორც თვითონ ამბობს, მის გარშემო სიკვდილს ამოღებული ხმალივით უტრიალია, არავინ შეურჩენია მასლობელთაგან. მარტოობა აწუხებს და აქ ღამის სადარაჯოზე გამოსულა. რატომღაც, არ გინდა მისი მწუხარება ბოლომდე მოისმინო და შენთვის ფიქრობ, — კიდევ კარგი, ყინავს, დიდხანს ვერ გაჩერდები და ძალაუნებურად გარბინარ მისგან. მაგრამ ადამიანების ავსა და კარგს ვერ გაეჭევი, ყველგან წინ გზვდება, ამას ძებნაც არ უნდა. აი თუნდ ეს კაცი, უკვე ხანში შესული, ძალიან ხშირად მთიდან ჩამოდის და ხმამალა ყვირის:

— ყვავილების მიწა... მატყლის ჯოხები!

ეს ხმა სხვა დროსაც გამიგია, მაგრამ ერთ დილას რატომღაც ყურადღება მივაქციე. შეიძლება იმიტომ, რომ დილა ნოემბრისა იყო, ნისლიანი. ქარი უსიამოვნოდ უბერავდა, ხანში შესულ კაცს ანაზღად თვალი გავაყოლე, ზურგზე პატარა ტომარა წამოეგდო. მეორე ხელი კი შეკრული ჯოხებისათვის ჩაეჭიდა და, რაც შეეძლო, ხმამალა ყვიროდა ერთი და იგივეს: ყვავილების მიწა... მატყლის ჯოხები...

ძალიან მიკვირს, რომ აიძულა, რომ წვალობს. გაჭირვების მიზეზია თუ ადამიანური მოუსვენრობის.

ეზოში მოულოდნელად ყვირილი ატყდა. მოზინადრეებმა აივნებიდან გადმოიხედეს, ერთმა ქალმა გულგრილად ჩაილაპარაკა:

— არაფერია, უპატრონო კატებს იჭერენ.

მოხუცის ხმა აღარ ისმოდა. ის ერთ ადგილზე იდგა, ზურგიდან ფუთა ჩამოეხსნა. ქარი გარშემო ცივად უსისინებდა მოხუცს, შარვალში ჩატანებულ ხალატს ბერავდა. ვიღაც მაღალმა, ზორბა ტანის ბიჭმა იქვე ახლოს ჩაურბინა. მოხუცმა ხმამალა დაიყვირა:

— ეს შენა ხარ, ბიჭო, სოფლიდან იმიტომ გამოიქეცი, რომ აქ საცოდავ კა-

ტებსა სდიო? მე შენ გითხრა, ვაქცულ ვეფხვს გამოეკიდე და ჯილდო მოგვლის. ბიჭი გაჩერდა.

— მერე, შენ ვინა გკითხავს?

— განა არა, ამას წინათ მამაშენი მეუბნებოდა: ჩემი ბიჭი ქალაქში კარგ საქმეს ადგიაო. ეს არის საქმე, ამ სიმაღლე ვაქცავი დამფრთხალ, შეშინებულ კატებს ვფხდაფხვ დასდევ?!.

— შენ დააყე ენა, მოხუცო. სოფელში „ბოროტას“ გეძახიან, იმ სიბოროტეს აქაც არ იშლი? შეილი ხომ ამოიჭამე და მეტი რა გინდა.

მოხუცი გაჩერდა, ერთხანს იდგა, თითქოს დანაშაულზე დაიჭირესო, რაღაცას ფიქრობდა. ეზოში ცნობისმოყვარე ადამიანები იმ წუთში გაჩნდნენ, ერთი ცნობისმოყვარეთაგანი მოხუცს სულწასული ღიმილით მიუახლოვდა.

მოხუცი შეიძლება მიუხვდა სულწასულობას და ცოტა არ იყოს უქმეხად გადახედა:

— რა გინდა, ჯოხი გინდა თუ ყვავილების მიწა?

— რა ვიცი, სულ ერთია, ჯოხი მომეცი.

მოხუცმა ერთხანს არჩია, მგონი ყველაზე სუსტი წკებლა გამოიღო. ხელში რამდენჯერმე გადალუნ-გადმოლუნა. ჩანდა, მყიდველს დიდი ინტერესი ვერ შეატყო და ამ გულგრილობამ გააბრაზა: — რაო, არ მოგწონს, კამეჩებისათვის თუ ყიდულობ, არ ვიცი, ისე კი სწორედ მატყლისათვის არის ასხებილი!

ცნობისმოყვარე კაცმა იმ წუთში ჰკითხა: ეს მიწა საიდან მოგაქვს?

— ზევით, საქონლის ბაკებიდან ვეზიდები.

— ეს ჯოხები?

— ეჰ, შენ გახარებას, ნეტავ ერთი რას მეკითხები.

ცნობისმოყვარემ არ იცოდა, ლაპარაკი საიდან და როგორ განეგრძო:

— მართლა! ძიაკაცო, ბოროტა რატომ გქვია, ეგ რა უცნაური სახელია. რა ვიცი, ძალიან კეთილ კაცად კი მომეჩვენე. კატების მოსარჩლეც გამოხვედი.



— ეჰ, რაც უნდა შემარქვან, თუნდ ბოროტა დამიძახონ, თუნდ ეშმაკი და ქაჯი, მე არ დავეძებ და შენ რას კითხულობ? ნეტავი მაგის მეტი სადარდებელი არ შემხვედროდა. ეჰ, რაც იყო, იყო, შენ ეს მითხარი, — და მოხუცმა სიტყვის ბანზე ავდებდა დააპირა, — ეს ქალაქის ხალხი რატომ ხართ ასე გულცივები, ამ ცემენტის კოლოფებში გამოკეტილხართ და რა ხდება დედამიწაზე ვერ ხედავთ. ჩვენში ერთი ფშაველი მეცხვარე იყო, ოთხმოც დაბერებულ ძაღლს ინახავდა, სალაფავსაც აჭმევდა და პურსაც — ცხვარს ერთგულად ემსახურნენ და ახლა თოფით ხომ არ ამოხვოცავო. თქვენ კი რასაც ნაგვის ყუთებში საჭმელსა ყრით, ერიპაა...

უცნაური ცნობისმოყვარე ისევ თავისას ეკითხებოდა:

— ბოროტა, ალბათ, ბავშვობისას ხუმრობით დაგიძახეს.

— ეჰ, რა ვიცი, ადამიანის გული ხან ბოროტია, ხან კეთილი. ჰო, დამიძახეს, მხოლოდ არ ვიცი, რადა და რისთვის დამიძახეს, ისე ბოროტება არასოდეს ჩამიდენია. ერთადერთი — უსაქმურები მეჩავრებოდნენ, მე თვითონ შრომა მიყვარდა. ზაფხულში ტყესა და მინდორს ვიყავ მოდებული. ზამთარში ხომ სულ ერთავად წალდს ვაჩაყუნებდი. შინმყოფებს კი ძალიან ვეჩხუბებოდი, იშრომეთ-მეთქი. განსაკუთრებით ძილს ვემტერებოდი, მძინარა ადამიანი მეჩავრებოდა, ეჰ!

მოხუცი გაჩერდა, ხელი ჩაიქნია და თავის ფუთას დასწვდა. წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ცნობისმოყვარე ადამიანს ასე ადვილად ვერ გაუსხლტა.

— ის ბიჭი რაღაცას აბრატუნებდა. შეილზე ვგ როგორ გითხრა. ისე შეილები გყავდა?

— შევილიცა მყავდა და ძირიც, მგერამ, რას ჩამაცვივდი! ერთ დილას ის ჩემი ბიჭი აღრე გავაღვიძე. რა ბიჭი მყავდა! რატომ ის დღე არ დაიქცა. ჯერ ისევ სისხამი იყო, ბიჭი გავაღვიძე და ვუთხარი, წადი, ჩემს მაგიერ ტრაქტორისტს ხენაში მიეშველე-მეთქი. თვალის გახე-

ლა დაეზარა, მინც წამოდგა. ზღაპრული გაიარა. ვიდრე გავიდოდა, დერეფანში თავის კატს გაეთამაშა. კისერზე წითელი ლენტის შეაბა. ან სად იპოვა იმ დროს ის ლენტი! მე დავუყვირე: ამ გახურებული საქმის დროს კატებს დასდევ, შენგან კაცი არ დადგება-მეთქი.

კატას წისლი ეკარი. ბიჭი თვალების ფშვინებით გავიდა გარეთ, მგონი ტიროდა, ისე წავიდა. მინდორში ძილისათვის თავი ვერ დაედწია, იქვე შამბებში გაწოლილიყო და... ეჰ, ტრაქტორის გუგუნსაც ვერ გაეღვიძებინა. აი როგორ დამელუბა ბიჭი! — მოხუცი უკვე წასვლას აღარ ჩქარობდა. უძრავად იდგა. კარგახნის შემდეგ თავი აიღო:

— მერე როგორ იცოცხლე იმის შემდეგ, ან რა ჰქუა შეგზრა? — ცნობისმოყვარე უკვე შეუბრალებლად ეკითხებოდა.

— აბა რა ჰქუაზე დავრჩებოდი, ერთ დამეს ისე შევდონდი, რომ ჯავრს ველარ გავუძეღ, ზეზე წამოვხტი. ჩემს გასაჩერებლად არც არავინ განძრეულა. არ მინდოდა მეცოცხლა, ოთახის კარი გაცოფებულმა გამოვადე, რომ ფეხებში რაღაც რბილად გამებლანდა, რამდენჯერმე დაიკნაულა. ჩემი ბიჭის კატა იყო. იქამდე სადღაც იყო გადაკარგული. წითელი ლენტის კისერზე ისევ ისე ჰქონდა შებმული. დაეხარე, მომჩერებოდა, თან კნაოდა. ხელში ავიყვანე. ეს აფორიაქებული კაცი გამაჩერა, ადამიანს რამდენი ამისთანა შემთხვევა აჩერებს ხოლმე. მეც ვაგჩერდი, მხოლოდ იმ არემარედან გადმოვიკარგე. აქეთ დავსახლდი.

— ახლა მარტო ხარ? — შეეკითხა ცნობისმოყვარე.

— ეშმაკი ხომ არა ვარ, რომ მარტო ვიყო. ცხოვრებამ ხან რა დამანახვა სახარბიელო, ხან რა და მიმიტყუა. ომი თავდებოდა. ორი ობოლი ბავშვი ავიყვანე გასაზრდელად და ისევ იმ მოუსვენარ ადამიანად გადავიქციე. ყველაფერი ძველებურად მწადიან — შრომაც, გარჯაც. ქონებაც მინდა. ხომ იცი, ადამიანი კლდესავით ძნელი გასატეხი ყოფილა.

ისევ ისე ვშრომობ, ისევ ისე ვაჩაყუნებ და საკვირველია, ისევ ისეთი სურვილი მაქვს, ჯეელობას რომ მქონდა — როცა პირველად სახლს ვაშენებდი. მიხდა, ჩემს ბავშვებს სწორედ ისეთი სახლი ავუშენო, ამიტომ ვწვალობ! — მოხუცმა თავის ფუთას გადახედა და ამოიოხრა. — ეგ არის, ძილისათვის აღარავის ვეჩხუბები. ეძინოს ყველას, რამდენიც უნდა, იმდენი ეძინოს. იმათ მაგიერ მე მეღვიძოს და მღვიძავს კიდევ. ვფიქრობ და ვფიქრობ.

მოხუცმა თითქოს პირველად შენიშნა ჩემი იქ ყოფნა, მე მომიბრუნდა და უთხრა: — როგორი ძნელი გასატეხი ყოფილა ადამიანი! ყველაფერს ერევა, ყველაფერს უმკლავდება, რას არ აკეთებს, ჰაერსაც კი აუსწრო ცაში და იქ ფეხის-მოსაკიდებელ ადგილს ეძებს, მაგრამ რა, ხანდახან ასეთ ყოვლისგამძლე ადამიანს სულ ცოტა ჰყოფნის, შეიძლება ცვარმა დაახრჩოს ან კიდევ პატარა ქვამ წააქციოს. ხშირად, როცა არ მძინავს, ამაზე ვფიქრობ.





## მეჩაბ ვლიოზიშვილი



# კობჯაუჯოჯა სიფათი

ნარკვევი

ჰანივაბა, არ წახვიდე!

— მერაბ, შვილო, რა ვინდა? რა ჯანდაბა ვინდა? რათა ხარ ფათერაკების მაძიებელი? დაჯექი, იმუშავე, როდის შენ პიესა უნდა ჩაგებარებინა ან მოთხრობებს რატომ აღარ წერ, შვილო?

— ეჰ, თავი დამანებე ერთი, თქვენ რომ ყური გიგდოთ კაცმა, სახლიდან გარეთ არ უნდა გაყო თავი.

— დამიჯერე, შვილო, შენ მიდიხარ, მიდიხარ, დანარჩენებს რალას ერჩი?

— ვერჩი რა, მოსაკლავად ხომ არ მიმყავს?! გავივლით, თვალს წყალს დავალევინებთ. „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“ ახლი აზერბაიჯანელები რას ამბობენ მტკვარზე, იმასაც გავიგებთ, ერთ ორ-სამ დღეს ბაქოშიაც გავიკუნტრუშებთ და... თეფზი ხომ გიყვარო? დოში, ზურგიელი, ჩამოგიტანთ.

— არაფერი არ მინდა, შენს ცოლ-შვილს მიხედვ.

— ცოლი ხმას არ იღებს. იცის, რომ უნდა წავიდე და სამგზავროდ მამზადებს, აწყობს, აუთოებს.

ტელევიზორი ჩართულია: თეთრი მაისურები და შავი ტრუსები... მესზი, მეტრეველი, იამანიძე... კვლავ თამაშია, ილო დათუნაშვილი კუთხურზე გადის, აწვდის. ამ ტელევიზორში ხომ ფეხბურთის მეტი აღარაფერია!

— თეთრი მაისურები სამი ცალი, ტრუსები ოთხი ცალი, ორი ახალი და ორი ძველი, — ვითვლი და ზურგჩანთაში ვაწყობ.

— ორი ძველი ტრუსი?! — ვბუზღუნებ ჩემთვის.

— იყიდე და გექნება, როდისმე გიყილია?

— მაშ ვინ ეშმაკი ყიდულობს?

— დედაჩემი არ გიგზავნიდეს, ნახავდი!

სწორია და ვჩუმდები. სტუდენტი ვიყავი — იყიდე შვილო ტრუსები! — ჩამჩინებდა დედაჩემი: სტუდენტობას მოვრჩი და...

ტელევიზორში ხეალის პროგრამა გამოაცხადა ჩაფუნთუშებულმა, ზედმე-



ტად გადაღებულმა დიქტორმა და თვალები დახუჭა.

— ...დღეს რომ დამეძინებაა, სტოლზე დაგდებ დანას მე! — ვლიდინებ ჩემთვის.

— კარგი, გეყოფა უხამსობა, — მაფრთხილებს მეუღლე და უკანასკნელ ძაფს აგდებს ჩემს სამგზავრო ჩანთაში.

— რათა უხამსობა?! ტარი ნინი-ნანი-

ნაა, — ვუღიმი მეუღლეს და ტელევიზორს ვთიშავ.

— ნეტავ თუ შინ დაბრუნებას ველოვარ, ჩემო ჰაიავატა, როგორც შინიდან წასვლა?

— დაბრუნება და შინ მოსვლაა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო დელა-ოო, — წავიმღერე და მივეფერე...

და დადგა დიდი ღამე...

## წინასიტყვაობა

რაღა დავიმალოთ და, ჩემში მოიძებნება მარცვლი მოგზაური ადამიანისა. მშობლებსა და ნათესავებზე უფრო მეტად ვგავარ ჩემს ხუთი წლის ბიჭს, დილიდან საღამომდე რომ ვერ იბოვის კაცი შინ.

ბევრჯერ გამიყოლებია თვალი მინდვრიდან მოტაცებული ბაბუაწვერასათვის და ცხარე ცრემლით დამთუთქვია დაქალაქა ლოყები.

ვინ იცის, სად მიფრინავ?! რამდენ ხევ-ხუესა და ტყე-ღრეს გადაივლი, ჩემო ბაბუაწვერავ?! ივლი, იფრენ, ინავადებ და ბოლოს, როცა ფრენა მოგწყინდება ან წვიმა დაგნამავს, სადღაც ჩაითესები. გაზაფხულზე კვლავ ამოიწვევრები, შუა ზაფხულში თავს გაიბურღავ და კვლავ გაფრინდები და ასე შემ-

დეგ და ასე შემდეგ და ა. შ. და ა. შ. ეექვ, „სად ნახავ სამას ნამგლის ტრი-ალსა!“ ცოლი, ორი შვილი ჩაფრებივით შემოგცქერიან თვალის გუგებში. კარკი ბიჭი ხარ, „მწერალკაცო“ და ცოლის კაკლისმურაბისფერი თვალების იქით სხვისა თვალი დაინახე! დაიწყება ჩივილი, მოთქმა, შეგონება, ჩაგონება, ბოლოს „ახალი აღთქმა“ და განახლებული ოჯახური სიყვარული, ნამდვილად წრფელი და ყოვლისმომცველი სიყვარული! ესეც თქვენა, დროებითო მიჯნურებო ჩემი სულისა: ბაბუაწვერებო და სასროლო ბადეებო, თოფო და ჩემო ერთგულო „ლავერაკო“ — ძაღლო ქედანა! თქვენს სიყვარულს ბოლოს მაინც ერევა ხოლმე ცოლ-შვილის სიყვარული!

## „სინდბადი“

„სინდბადი“ რეზინის ექვსსექციიან ნავს დავარქვით. მისი სიგრძე სამი მეტრია, ხოლო სიგანე მეტრნახევარი. ერთი სექცია თუ გამოვა მწყობრიდან, დანარჩენი ხუთი გაბერილი რჩება. და ასე იტივტივებს ნავი, ვიდრე მთლად არ დაიჩუტება.

ნავი გათვალისწინებულია ოთხი ადამიანისათვის, თავის ბარგიანად.

ერთ „ქარავანში“ მოგზაურობის დროს გარკვეული თანხა დავაგროვე, ცოტა ავეჯი შევძინე-შემოვიძინე სახლ-

კარს, თვალმარგალიტის ნაწილი წლის სარჩოდ გადავინახე შემნახველ სალა-როში. მოგეხსენებათ, ყველაზე მყარი ადგილია განძის შესანახად ჩემისთანა ფათერაკებიანი მოგზაურისათვის! თანხის მეორე ნაწილი ავტომანქანა „ვოლგისთვის“ მქონდა გადადებული. რა თქმა უნდა, ისიც სახელმწიფო სალაროებში იდო. კიდევ ერთხელ მინდა დავძინო, რომ ურყევი და საიმედოა ასეთ ადგილებში ფულის მიბარება. წლების განმავლობაში უნდა ელოდო ავტოს, ისიც



ძველმოგზაურთა მხარდაჭერით თუ ავი-  
ყვანენ ავტოს მყიდველთა სიაში, 969  
ნომერს ამოგდალავენ ბეჭეზე და წადი და  
ელოდე! უსაზღვრო იქნება შენი მოლო-  
დინი, რაგინდ პატიოსანი მოგზაურიც  
არ უნდა იყო! სახელმწიფო სალაროში  
განძის დაბანდებით ოჯახი მაინცაა დაზ-  
ღვეული მეკობრეთა თავდასხმებისაგან  
და მოგზაურობის დროს გული საგულეს  
გაქვს...

ამჯერად მოგზაურობას „ნაპრულ-  
ქურონიზე“<sup>1</sup> ვაპირებდი ჩემს სამ თანამე-  
მამულესთან ერთად.

ერთი მათგანი, პავლე ბაყბაყდევძე,  
წინა მოგზაურობებშიაც ბევრჯერ მხლე-  
ბია. ადრე იგი ალბინისტურ ქარავენებს  
დაპყვებოდა კავკასიისა და შუა აზიის  
მწვერვალებზე. ამ ხეტიალში ერთ უწ-  
ყინარ მეცხვარეს ქალიშვილი მოსტაცა  
და ცოლად დაისვა, მშვიდი ოჯახი შექმ-  
ნა და სამი შვილიც ააყივევივა ძალზე  
მოკლე ხანში.

შვილების ხათრით მწვერვალებზე სა-  
შიშ ფორჩხიალს თანდათან უკლო პავ-  
ლემ, ბოლოს შეწყვიტა მთამსვლელობა  
და კალმახით დაწინწკლულ წვრილ ხეო-  
ბებსდა აპყვებოდა ხოლმე ბადითა და  
ანკესით. ეს იყო და ეს. როგორც კი გაი-  
გო, რომ რეზინის ნავი შევიძინე, მაშე-  
ნვე მოგზაურის ცეცხლი აუვიზვიზდა  
გულში და შვებულების ხელფასიდან  
150 ლინარიც შემოიტანა სამოგზაურო  
თანხაში.

დანარჩენი ორი მოგზაური ახალბედე-  
ბი გახლდნენ. მოგზაურობის სურვილი  
კი დიდი გამოთქვეს, მაგრამ მთლად მონ-  
ღობილებად ვერ ჩაითვლებოდნენ. ერ-  
თი მათგანი, სახელად ივანე, დემურია-  
ანთ ტომისა, ჩემი თანაკლასელი გახლ-  
დათ. მას ჩემთან ერთად ჰქონდა დამთავ-  
რებული ცხინვალის თავშიცემის სემი-  
ნარია. რამდენჯერმე იყო დასმული სა-  
კოთხი სემინარიის ღირექციის წინაშე

ვანოს თავიდან მოწყვეტის შესახებ, მაგ-  
რამ ვერასდიდებით ვერ მოიშორეს.

სემინარიის დამთავრების შემდეგ  
მდინარე ლიახვისა და მტკვრის შესარ-  
თავთან მდებარე ქალაქ გორის უმაღლეს  
სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები  
ხტუნვა-რბენისა და ბურთის თამაშის  
ფაკულტეტზე. ოთხი წლის შემდეგ წარ-  
ჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავ-  
ლებელი სპორტთამაშების განხრით,  
მშობლიურ ქალაქში დიდხანს რიგიანი  
სამუშაო ვერ აღმოაჩინა, გაბრაზდა,  
დაჰკრა ფეხი და მოსკოვს ჩავიდა. აქ იგი  
პატივით მიიღეს და წლების მანძილზე  
მისი აღზრდილები პირველობას არავის  
უთმობდნენ დიდ დედაქალაქში. მერე  
სამშობლოს წყალი მოსწყურდა და ქე-  
ბის სივლეებით აჯონჯლილი დაბრუნდა  
შინ. შესაფერისი სამუშაო ვერ აღმოჩე-  
ნილი არ ჰქონდა და ამიტომაც გახლდათ  
დარდიან გუნებაზე, ცოტა დაბნეულიც  
იყო და მთლად გულიან მოგზაურად ვერ  
ჩათვლიდა კაცი.

მეოთხე თანამგზავრი ცხინვალის მახ-  
ლობლად მდებარე სოფლის მცხოვრები,  
თენგიზ მინდიაშვილი გახლდათ. იგი  
ცხინვალის საშუალო სემინარიაში მსა-  
ხურობდა ლაბორანტად და ცხინვალის  
აკადემიაში განაგრძობდა დაუსწრებელ  
სწავლას.

ამ ყმაწვილ მოგზაურს ნაკლებად ვიც-  
ნობდი, მაგრამ მაინც გული მიმიწვედა  
მისკენ. სხვებმაც მიქეს, კარგი მექარავ-  
ნე დადგებო. ქვეყნის საქმეები ჰქონდა  
საკარმიდამო ნაკვეთში, მაგრამ ისევე,  
როგორც ბევრ თანამედროვე უცოლო  
ყმაწვილკაცს, მასაც მაინცადამაინც გუ-  
ლი ვერ დაედო მიწათმოქმედებისათვის  
და ძალიან დაუჭდა ჭკუაში ჩვენისთანა  
გამოჩენილ მოგზაურებთან ერთად ნა-  
ვით საქართველოდან კასპიის გამგზავ-  
რება. მანაც ზაფხულის ხელფასიდან 150  
ლინარი შემოიტანა საერთო სალაროში.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე  
და რამდენიმე დამე.

<sup>1</sup> მდინარე მტკვრის არაბული სახელწოდებაა.



— არა და არ იშლი განა, შვილო? — მელულდულდება თვალცრემლიანი დედაჩემი, — გაფრთხილდი, იცოდე წყალსა და ცეცხლთან თამაში არავის გამოსდგომია.

— ნუ გეშინია, დედი! — დედას ოდნავ ვემთხვიე, სამაგიეროდ ცოლს ველარ გამაშველეს.

— ეგრე არა, შვილო?! — ნიშნისმოგებით მიქნევს თავს დედაჩემი და თან ცრემლი უციაგებს, საცაა დაეშვებოდა დაწვებ.

— რამდენჯერმე უნდა ავიარ-ჩაგვიაროთ, ერთ კოცნას არ გაკმარებთ, — ვუღიმი და ერთხელ კიდე ვკოცნი დედას, მამას. დარწმუნებული ვარ, წყნარ ოკეანეში რომ მივდიოდე ნავით კი არა და ნაფოტით, მაშინაც იგივე სცენა დაიწერებოდა, არც მეტი, არც ნაკლები! კიდე კარგი, ბავშვები მაღალმთიან სოფელში მყავს გარეკილი, თორემ იმათ კვილს „მეც წამიყვანე, მეც წამიყვანეს“ — ვინ გაუძლებდა! მანქანის ძარაში მსხდომი პავლე, ვანო და თენგიზი უიმედოდ იხედებიან, არა სჯერათ, თუ როდისმე ეღირსებათ დაძვრა.

— აბა შენ იცი, პავლე, მთელი იმედები შენზეა! უფროსიცა ხარ და შენ იცი! — ისე აბარებს ჩემს თავს დედაჩემი, თითქოს პავლე ძველისძველი მეკობრე, ზღვათა დამლაშქრავი ყოფილიყოს.

— ცეცხლსა და წყალს გაუფრთხილდი! — მანქანის ხმაური ფარავს დედის ძახილს.

დედაჩემის ეს დაჟინებული გაფრთხილება ერთ რამეს მაგონებს: როცა უმაღლესში მისაღები გამოცდები ჩავაბარე და უნივერსიტეტში ჩამრიცხეს, შინ დავბრუნდი. ერთი მეცხვარე დამხვდა ჩვენსა, თავის საქმეებზე იყო ჩამოსული ქალაქში. უნივერსიტეტში ჩარიცხვა მომილოცა და მითხრა, საგანგებოდ გამაფრთხილა, ახლა ერთი კარგად დაგარიგებ და თუ შენ ჩემს ნათქვამს შეასრულებ, კაცი ვერავინ გაჯობებს ცხოვრებაშიო.

მეც დიდი ამბით ჩამოვჯექი მოსხდულ უნაგირზე და მოსასმენად მოვემზადე. ვფიქრობ, რა უნდა მითხრას ამ დროულმა ვაჟკაცმა-მეთქი?!

— სამ რამეს გაუფრთხილდი, ჩემო მერაბ, — მარიგებს მწყემსი.

— გისმენ, ძია, — მივუგე და ახლოს მივუჩოჩდი.

— აი ამ ოხრობას ნუ მოსწევ! — ანთებული პაპიროსი შეატრ-შემოატრიალა ნიკოტინით გაყვითლებულ თითებში და ისე გემრიელად მოქაჩა, რომ კინაღამ წამომცდა, „სოროკი“ დამიტოვე-მეთქი. ცოტა ჩამელიმა გინგლივით უღვაშებში. მწყემსმა კიდე ერთი ნაფაზი დაჰკრა დამაჯერებლობისათვის, მუყაომდე დასული ნამწვი ნაღვერდალში შეუძახა, ზედაც ერთი კარგი პურჭყვი მიაყოლა და გამოწვდილი ღვინის ჭიქა ჩამოართვა მამაჩემს.

— მეორე, ჩემო მერაბ, აი ამას ერიდე, ნუ დაღვე! იცოდე, ამჯერად განსაკუთრებით გაფრთხილებ! სასმელს თუ მიეჩვიე, მორჩაა! — განაგრძობს მწყემსი დარიგებას, თან ერთი სული აქვს, როდის გადაჰკრავს ქამრიან ჭიქაში აციმციმებულ ლალისფერს. ის კი არ იცის ამ კეთილმა ძიამ, რომ რვაწლედის დამთავრების აღსანიშნავ ქალთა და ვაჟთა სკოლების გაერთიანებულ ღრეობაზე ისე გამოვბეჭუტურდი, რომ ჩემს წინ მჯდომ ქერათმიან ქალიშვილს გავუმიჯნურდი და სულ ცხარე ცრემლით გტიროდი სუფრაზე. რა თქმა უნდა, მარტო მე არ მიღრიალია, ჩემი ამხანაგების უმეტესობა ტიროდა. ნეტა რა გვატირებდა?! ღვინისა და ცრემლისაგან დასველებული მივბანდალდი შინ. ჭიშკართან წავიბოროდიკე. ალიბუხარისა და ჭანჭუჩის ხეთა შუა ვადებულ ლატანზე გადავეკიდე და „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების“... მას აქეთ ისე აღარ დამიღვევია, მაგრამ აღსანიშნავ დღეებში ოდნავ მაინც შემირყევია ტვინი თითო-ოროლა ჭიქით.

— მესამე და ყველაზე დიდი თხოვნაა, ჩემო მერაბ, ქალებს მოერიდე! სწავლის პერიოდში ნუ გაეკარები და მერე შენ იცი! მანამდე კი უნდა მოითმინო, სხვას არ უნდა აყვე! გახსოვდეს, ჩემო მერაბ: პაპიროსმა ღვინო იცის, ღვინო ქალებთან მიგიყვანს და ქალები უფსკრულში გადაგჩეხავენ. დრომდე თუ ამ სამ ბო-

როტებას თავს აარიდებ, იცოლე კაცი ხარ, ჩემო მერაბ!

მწყემსის დარიგების სამი მუხლიდან მხოლოდ მესამეში ვიყავი უცხოელთა ამიტომაც უფრო ვერ დავეთანხმე გულში ჩემს დამრიგებელ კეთილ მწყემსს.

ფიქრებში წასულს მაგრად ჩაძინებოდა.

## სიზმარში ნანახი მეგობრები

მესიზმრა, თითქოს თერთმეტსართულიანთან რეზო ჭეიშვილმა გადაგვიღობა გზა. ვკოცნე და ვკოცნე რეზო, სიზმარი იყო და რა მენაღვლებოდა. — შენ რომანის საქმე როგორ არის, ჩემო რეზო, გიბეჭდავენ თუ არა „ნაკადულში“ — მეთქი? — ვლულულულებდი უცხვირპიროდ. „რას მეკითხები; წიგნის რედაქტორი შენ ხარ და იმის ნაცვლად, რომ აქეთ მამიდებდე, მე მეკითხები?“ — ბურღლუნებდა გაფითრებული რეზო და ცალი ლოყა ისე ებერებოდა დარდისაგან, თითქო კრაზანას ნაკბენიაო. — ეგ ამბავი გულს ნუ გაგიტეხს, ჩემო რეზო, და წერე, წერე, ნუ გეზარება, თორემ ვისაც არ ეზარება, ყველა წერს. მოინდომე, სიზარამაცეს სძლიე! — ჩაგჩინებდი დარდისაგან გაბერილ მეგობარს... — წინდაწინ გულს ნუ გაიტეხ! პროზის სექციას წარუდგინე, იქიდან რომ დასტური მოვა, წინ ვედარავინ დაუდგება შენ რომანს-მეთქი! — ამ სიტყვებთან ერთად ნამტირალევი თვალებში ვკოცნიდი რეზოს.

ეგპო! — ისე ამოიგვინა რეზომ, რომ მაშინვე მივხვდი, რა ზვიადურის მარჯვენაც გახლდათ პროზის სექციას! პაპიროსის ფერფლი დაგვაყარა ზემოდან ვიდაცამ, ავიხედეთ და არჩილ სულაკაური გვაფერფლავდა ფილტრამდე ჩამწვარ სიგარეტს. თანაც რაღაცას ჩამოგვძახოდა ღიმილაღქცეული. ხან ლექსად გვაყრიდა სათქმელს, ხანაც აპროზავებდა. უფრო პროზას ეძალეობოდა მგონი... არჩილს ხელი დავუქნიე და კიდევ ერთხელ დავარიგე რეზო: წერე, ჩემო რეზო, კინო-

სტუდიას ნუ შეაკლავ თავსა-მეთქი. „ვიდას ეუბნები, შე არტისტო, შენაო, სიზარამაცე და კინოსტუდიანობა შენ რომ გლრდნის, ისე არავის, ჩემგან გახსოვდესო!“ — მომძახოდა და მოსდევდა დამარულ მანქანას რეზო და თანდათან უჩინარდებოდა.

ელბაქიძის აღმართის ბოლოს ერლომ ახვლედიანი მესიზმრა. „სამაიასთან“ რომ საათთაქო მალაზიაა, დიდი სათვალე რომ აქვს რეკლამად, აი სწორედ იმ სათვალეებიდან გამიღიმა ერლომმა და „სალამ ალეიქუმო!“ მითხრა.

— ალეიქუმ ასალამ! მაგრამ შენ საიდან იცი, რომ აზერბაიჯანში მივემგზავრები-მეთქი? — „არსაიდანაც არ ვიცი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე რომ ვსწავლობდით, აღარ გახსოვს?!“ — ალერსით ჩამჩურჩულა სათვალის რეკლამასთან ქრისტესავით აკრულმა ერლომმა. პირჯვარი გამოვისახე და თავი დავუქნიე... „შენს მოთხრობებზე მინდა მოველაპარაკო!“ — მაკნია ერლომმა ღიმილით. — როცა ვაგებარდეს, ჩემო ერლომ-მეთქი, — ვუღიმი მეც და ვატყობ, რომ მთავარი სათქმელი ისე მჩრება. თავს ძალა დავატანე და სათქმელს დავეშურე, თორემ ისეთი იერა პქონდა ჩემს მოპაჟირ მეგობარს, თითქო საცაა ზეცაში მოიკითხავენ სულითხორციანად... — წერე, ჩემო ერლომ! წერე, კალამს ნუ ახმობ; ნუ გეზარება, თორემ ვისაც არ ეზარება, ყველა წერს და ეგრე აფიცრული დამჩრები ემაგ შუშებს იქით, როგორც თევზი აკვარიუმში-მეთქი. უცბად კვალწმინდად დაიგა-



ვა და დაწკრილდა რუსთაველის გამზირი. აღმინი რომ სიზმარს ხედავს, ხომ არ იცის, რომ სიზმარშია და არა ცხადში. მეც ამ მდგომარეობაში ვიყავი და მიკვირდა, ასე რამ დაწმინდა ეს შესანიშნავი გამზირი, რომ აღმინიშვილს ველარავის ვპკრეტ, ვერ ვუმზერ-მეთქი?! ეს გავიფიქრე თუ არა, სიცილ-ხარხარით მომესმა საიდანღაც. გავოცდი, ირგვლივ არავინ ჩანს და სიცილ-ხარხარი საიდანღა იფრქვევა-მეთქი?! მალე სანახობაც ვიხილე: ორი ბერიკაცი აქეთიქიდან ამოსდგომოდა დაახლოებით 1928 წელს დაბადებულ ახალგაზრდა კაცს. ამ სამუელს წინ დედაბერი მიუძღოდა. ოთხივენი იცინოდნენ, კვდებოდნენ სიცილით; ტყვექმნილი ახალგაზრდა კაცი უღიტინებდა ბებრებს ფერდებსა და ფეხის გულუბზე, მათაც აცინებდა და თვითონაც კვდებოდა სიცილით...

ვიძახი, ეს თუ ნოდარ დუმბაძეა თავისი ბებია და ილიკო-ილარიონით, ულვაში რაღაზე გაუპარსავს ამ კაიკაცს-მეთქი? ისე კი, უხდებოდა უუღვაშობა! სიყვარულით გაცისკროვნებული ალალ-მართალი კაცი მოკუნტრუშობდა სამ ბებრუხანას შორის. ოთხივენი ფეხშიშველები გახლდნენ და მკლავზე თეთრი ნაჭრები ჰქონდათ შემოკრული, თითქო სალოცავში მიდიან შეთქმულებით.

ლენინის მოედნიდან მზე ამოდიოდა და რენტგენის სხივებივით ჰვალავდა ამ ოთხ არსებას. ისეთი კრიალა გულები ჰქონდათ საგულეში, რომ კარგა ხანია მსგავსი სიწმინდე აღარ მენახა. სკოლიდან რომ წაგვიყვანდნენ ბავშვებს გასაშუქებლად, რენტგენოლოგს ვთხოვდი და ყველა ჩემი ამხანაგის გულს მიჩვენებდა ხოლმე. მას აქეთ აღარ მინახავს ასეთი წმინდა გულები.

ნოდარი არა ხარ, ბიჭო-მეთქი?! — გაუბედავად შევეხმაურე. „აბა ვინ ჯანდაბას დაატარებენ ეს ბებრუხანები მთელ საბჭოთა კავშირშიო!“ — გამიღიმა ნოდარმა. ახლა სადღა მიჰყავხართ, ბიჭო, თუ არ გინდა...

„რას ამბობ? ამათ სად გავექცევი, ბევრიც რომ მინდოდეს?! აი, ახლაც შოთასთან მივყავარო“...

შოთა? რომელ შოთასთან, ნოდარ-მეთქი? „როგორ თუ რომელთან? ჩვენ შოთასთან, რუსთაველთან“ — დააშინა-ვე? რა გჭირს საპილიგრიმო-მეთქი?

„მესამე რომანს ვწერ კარგა ხანია, ველარ მოვრი, ვერ დავაყენე საშველი და ახლა შოთას ძეგლთან უნდა დამაფიცონ, რომ უთუოდ ახალი წლის დადგომამდე დავამთავრებო“. — რაზეა შენი ახალი რომანი, მითხარი, ბიჭო?! — ყელს ვუწევ... „ახალგაზრდობაზე, რწმენასა და ურწმუნოებაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე“. უფრო კონკრეტულად ვერ მეტყვი-მეთქი? თავი გააქნია უარის ნიშნად, „გინდა კია გადაამღერო, პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობებზე დააქუცმაცო და „დილაში“ მიიტანო, არაო?“ — ამას მეუბნება და თან ისე იღიმება, რომ ბრაზის ნაცვლად სიყვარული მერევა.

„სად მიბნაღალე, შე ბომბორა თავგასიებულო? თუ გგონია, რომ შენა „თეთრი ქარავანი“ დიდხანს გაჰმეგს პურს, ამასაც ვნახავთ! წერე, ძმაო! ნუ გეზარება! თორემ ვისაც არ ეზარება, ყველა წერს და შენ იხეტიალე აღმადამა“.

ნელ-ნელა მშორდებოდნენ პილიგრიმები...

დუმბაძე-დუმბაძე, დუმბაძე-დუმბაძე — სიმღერასავით მესმოდა ჩვენი მანქანის ძველი, მანყეტჩაფენილი „პაკრიშკის“ რიტმული რახუნი ძილში მყოფს...

ლენინის მოედანთან გამომადვიდა შოფერმა.

— გეყოფა, კაცო, ამდენი ძილი! — მანჯღრევდა ალექსი.

— სად ვართ? — თვალების სრესით კვითხე შოფერს.

— სადა და ლენინის მოედანზე; აგერ მონკავშირის მალაზიები, ტყვია-წამლის ყიდვა რომ გინდოდა! — მანქანიდან გადმოვედი, ბიჭებიც გადმოხტნენ, სიროპიანი წყლის დასალევად მოუხვეს.

შინისაკენ მომავალ გურამ გეგეშიძეს მოვკარი თვალი. მეუღლესთან ერთად იყო.

— გურამ, გამარჯობა! — ახლოს მივედი.

— გაგიმარჯოს, საით?

— გახსოვს, რომ გეუბნებოდი რეზინის ნავით მინდა მტკვარს ჩავეყვე-მეთქი, შენ აქი დაგპატიე?

— მახსოვს, მაგრამ არა მცალია!

— კარგი, სხვა დროს იყოს.

— ჰო, წავედით, მერაბ, გვეჩქარება.— ღიმილით დამემშვიდობა გურამი. მეუღლემაც გამიღიმა და თავი დამიკრა.

წავიდნენ. ბიჭის მოლოდინშია გურამი, ცოტას კიდევაც ღელავს, მაგრამ ძნელად შეატყობ.

საკვირველი ხალხია ჩემი თბილისელი მეგობრების ერთი ნაწილი. ამაღლელებელი სიტუაციის დროს რომ ჰკითხო, ხომ არ ღელავო, გიბასუხებენ, ვერაფერს ვხედავ ამაღლელებელსო. განსაკუთრებით სტუდენტობისას შემინიშნავს ეს ამბავი ჩემი ტოლებისათვის.

გურამ გეგეშიძეს ჯვარი სწერია ოთხივ კუთხივ და საწყალი გურამ რჩეულიშვილი მაგონდება. აბა იმან იცოდა, თუ იცოდა თავის დაოკება და თავის აშკვებაც.

— გიყვარს, გურამ?

— არ მიყვარს.

— ღელავ, გურამ?

— არა, სულელი ხომ არა ხარ?!

— არ გეშინია, ბიჭო?

— ჰამლეტი ვარ, — იღიმება და უნივერსიტეტის წინ დიდ ჭადარს უზომავს განს ბეჭეებით.

— სერიოზულად გეკითხები!

— ნახე რა კუნთებია, — კვლავ იღიმება, შილიფად ამოშლილ ხალათს ხელისგულის ერთი ასმით მკერდამდე იწევს და იღიმება. ცერისტოლა, თანაბარი კუნთებითა ჰქონდა მოჭედილი მთელი მუცლის არე. არაბული ულაცყვიით ნაზად უფეთქავდა კოხტა ნესტოები. აქ უკვე მღვიძავს, აქ სიზმარს არა ვყვები, აქ მინდა გაეხსენო ერნესტ ჰემინგუეის ერთი თქმა: „ხშირად ვფიქრობ, რომ ლიტერატურასა და კრიტიკას შორის ჯიბრი უფროა, ვიდრე ურთიერთდახმარების სურვილი“, — ბრძანებს თანამედ-

როვე პროზის ერთ-ერთი დიდოსტატი ამერიკელ ჟურნალისტთან, რობერტ მენინგთან საუბარში და აქედან გამომდინარე იგი დასძენს, რომ — „ჩვენს დროში მწერლები ბევრს ვერაფერს ისწავლიან კრიტიკოსებისაგან. კრიტიკოსებმა უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოზ გარდაცვლილი მწერლების შემოქმედებას. გარდაცვლილი მწერლებისაგან ცოცხლებიც ბევრს ისწავლიან“.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ოდესღაც ხელმოცარული მწერლები არიან და ამდენად შეუძლებელია მათი კრიტიკის კრიტერიუმის ალაღმართლობა. მათ აწრედაქციამდე ვერ გაუბედავთ მოთხოვნებით და ლექსებით მისვლა, ანდა პირველ ნაწარმოებებზე დაშინებულან საკეისროთი და მეორის გამოქვეყნება ველარ გაუბედავთ. ამრიგად, ხელი აუღლიათ მწერლობაზე და ამით გაღიზიანებულები, უდროოდ და უზომოდ აფრქვევენ კრიტიკის შრაანელს ფეხმოუკიდებელი ნიჭიერი მწერლის მიმართ და სეზონის გახსნამდე ბრაკონიერის ბათქით აწვენენ ჯერ კიდევ ფრთასუსტ მწერლებს შემოუსვლეღ ყანაში...

ნურა კრიტიკოსი ნუ დაივიწყებს, რომ სკოლის მერხიდან უნივერსიტეტამდე კომკავშირის სამკერდე ნიშნებით გვივლია და ათასობით ახალგაზრდა მწერლისა თუ მხატვრის მკერდზე ასეთი სამკერდე ნიშნები საბრძოლო გმირობის ორდენებითა და მედლებით შეცვლილა თავის დროზე. ასევე იქნება მომავალშიც! მაღლობას გწირავთ ამფერო კრიტიკოსებო დღეგრძელობისათვის. როგორც ჩემი გამარჯვებისათვის იბრძოდეთ, ისე გაგიმარჯოთ თქვენც!

ელიშერ ყიფინთან გასაგზავნი წერილი მაშინდა მომავონდა, მონკავშირის მაღაზიის კართან რომ შევეჩერდი. კონკერტი ამოვიღე, მივიხედ-მოვიხედე და მახლობელ საფოსტო ყუთში ჩავუშვი. შესანიშნავი ოჯახისა და სამწერლო საქმიანობის დიდი სიყვარულით მოკითხვასთან ერთად ელიშერს ვეკითხებოდი:

„...რა იქნა ორი წლის წინათ რომ მოთხრობა გამოგვავენე ბაქოდან „მნა-

თომში“, რამ შექამა ვენახი, ჩემო ედი-  
შერ-მეთქი?!“

მონკავშირის მაღაზიაში ტევა აღარ  
იყო, იმოდენა მუშტარი ეხვია დასლებს.  
მეორე დღეს იხსნებოდა ნადირობის სე-  
ზონი და ბრალიანი თუ უბრალო ტყვია-  
წამლისკენ იშვერდა ხელს. „სულ აგრე  
არ აწყდებოდით თოფ-იარაღს, ერეკლე  
რომ მარტოხელა შეება აღამაჰმადსა-  
მეთქი?! ნახევარი სტადიონისოდენა  
ხალხი გაჰყოლოდა ერეკლეს შავნაბა-  
დასთან, რა ბიჭიც იყო, მერე გაიგებ-  
დით-მეთქი!“ — ვბუზღუნებდი ჩემთვის  
და წითელ თუმნიანებს ვუფრიალებდი  
ნოქარს.

„...უნგმა — თოფი, თოფმა — თხა,  
თხამ ვენახი შექამა“.

ტყვია-წამალი ვიყიდე და მანქანას მი-  
ვაშურე. პუშკინის ძეგლის გვერდით სი-  
როპიანი წყლით იჰყიბებოდნენ ბიჭები.  
ძალზე ცხელოდა და სამიოდე ჭიქა მეც  
ვუთაქე.

ლენინის მოედანს გავცდით და კლდე  
ერთხელ შევაგლე თვალი კონკრეტული  
ხეივანზე თეთრად აელვარებულ „ქართ-  
ვლის დედას“. ორთაჭალის გზას დავა-  
დექით.

მანქანის რიტმულმა რახუნმა და გა-  
განია სიცხემ წამით კვლავ მომგვარა ძა-  
ლი. ჩავთვლიმე თუ არა, რეზო ინანიშ-  
ვილის ლანდს მოვკარი თვალი. თეთრ  
ჩოჩორს მოაგელვებდა საგარეჯოს მხრი-  
დან. საით რეზო-მეთქი?! „ნაკადულში“  
მივთქრიალებთო“. მერედა, შე ოჯახქო-  
რო. ავტობუსი განა ცოტა მოდის თქვე-  
ნი მხრიდან, რაღა ვირზე გადამჯდარხარ-  
მეთქი?! „ხანდახან ვირზე ჯდომაც კარ-  
გიაო!“ — დამიძახა რეზომ და დეზი  
ჰკრა თავის თეთრ დიდყურას. წიხლი აგ-  
რე არ უნდაო, აბა ვირმა ჰყარა თუ ჰყა-  
რა! სულ ტყუბ-ტყუბს ისროდა!

...დუმბაძე-დუმბაძე, დუმბაძე-დუმბა-  
ძე...

### მტკვრის დასასრულის დასაწყისი

რუსთავის საგუბარს იქით, რკინითა  
და რეზინის ნაგლეჯებით ამოჩხორილ  
მტკვრის ნაპირას გადმოვყარეთ ჩვენი  
ბარგი-ბარხანა.

მეთევზევებითა და მობანავევებითა  
გაქედილი მდინარე მტკვრის გაღმა-გა-  
მოღმა ნაპირი. ხან აქ, ხან იქ ზუზუნით  
აბობს ჰაერს ანკესის თოკზე გამობმულა  
საძირავი და მთელ სიგანეზე ჰკვეთს  
მრავალანკესიანი ლარი მტკვარს.

ქმუტუნებს საბერველი და „სინდბა-  
დი“ წელში იმართება. კლდის ძირს ასკ-  
დება ასწრაფებული მტკვარი ჩვენს ქვე-  
მოთ, მერე გულაღმა ბრუნდება და ერთ-  
ხანს კიდევ მიბორგავს განაწყენებული.

მასლობელი ბუჩქებიდან ორი ქალიშ-  
ვილი მდინარეში ჩამოჰყავს თავგაბურ-  
ღულ ახალგაზრდა კაცს და მტკვრის სა-  
ხიდათო მოსახვევი დროებით გვაიწყ-  
დება... ვიწრო, საბანაო ტრუსები აც-

ვიათ ქალიშვილებს და ეს უფრო მეტ  
ეფექტს ახდენს. დანარჩენ მობანავეთა-  
გან არავის აცვია ასეთი კონტა, ფერადი  
ტრუსები, ყველას რაღაც ფართო-ფურ-  
თოები აქვთ აფარებული და მათ ფონ-  
ზე ეს ორი ქალიშვილი მართლაც შესა-  
ნიშნავია. ისე შესხარტალდნენ წყალში.  
თითქო ლაბიანი ბლის კურკა გამისხლტა  
თითებიდანო. თუმცა, კაცმა რომ თქვას.  
მე არაფერი გამისხლტია.

აბა მერე უნდა ვენახათ, ბაქოში, კას-  
პის ზღვის სანაპირო-პლაჟებზე რომ  
აირღაირია თავ-ფეხი! იქ უკვე ძნელი  
იყო სინატიფისა და სისხარტის დანახვა,  
მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ აღრეა, ნუ  
აეჩქარდებით!

საზამთროები დავხეიქეთ რიყეზე და  
ვეება ნაჭრები ავიფარეთ პირზე.

შემდეგ ბარგის დაწყობას შევუდე-  
ქით. აქ მოხდა სეირი: ბარგმა ნავი ისუ-

ამოავსო, რომ ზედ კაცის დასაჯლოში აღ-  
გილი აღარ დარჩა. ვკრათ წიხლი, ბარგი  
კასპიას გავვზავნოთ და ჩვენ ისევ უკან  
გამოვბრუნდეთ! ან ბარგი უკან დავაბ-  
რუნოთ და ჩვენ მტკვარს გავყვეთ! —  
ასე დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი  
ჩვენს წინაშე, თანაც მოსახვედში მტკვა-  
რი დგაფუნობდა!

— ჰა, უნდა წავიდე, ან ისე გადაწყ-  
ვიტეთ, ან ასე! — გამოგვიცხადა შო-  
ფერმა.

ჩავფიქრდით. მე პავლეს ვამტყუნებ  
და ვებუზღუნები:

— ისე დავგეტვირთე, თითქო მწვერ-  
ვალზე მივდივართ და გზად არც სოფე-  
ლი და არც მალაზია არ შეგვხვდება. ეს  
ამდენი ანკესი და მილიონნახევრის  
ტყვია-წამალი ერთმანეთს ხო არ უნდა  
დავცეთ, ჩემო პავლე-მეთქი.

თავი რომ გადაადრღნა პავლეს ლაპა-  
რაკითა და საყვედურებით, ხმას არ გაგ-  
ცემს, არც შემოგხედავს! არის თავისთ-  
ვის გატვრენილი და რაღაცას ფათუ-  
რობს...

— ჰა, რა ვქნათ, პავლე?

— ზედმეტი ბარგი უკან გავატანოთ,  
აუცილებელი კი წავიღოთ.

— მართალი ხარ! — ისე ვეთანხმები,  
თითქო პავლემ ამერიკა აღმოაჩინაო.  
ბარგის განახევრებას ვიწყებთ.

— თხუთმეტი პური ბევრია, ორი და-  
ვიტოვოთ, ცამეტი უკან გავატანოთ.

— ცამეტი თარსია, ცამეტს ნუ გამა-  
ტანთ, გზას ვადგავარ! — აღუღლა შო-  
ფერი.

— ჩვენც გზას ვადგავართ, ჩვენ რა?!

— თქვენ სამი რომ დაიტოვოთ, მე  
თორმეტი გამომივა.

— „ხლებეცი“ ოცი შეკვრა გვაქვს! —  
აცხადებს პავლე.

— რა ჯანდაბად გვინდა ამდენი?!

— შედედებული რძე ათი ქილა!

— ვაჰ!

— ძროხის ხორცის კონსერვი—თხუთ-  
მეტი ქილა!

— ვაჰ, კაცო, დუქანი ხომ არ უნდა  
გავაღოთ?!

— საპონი ათი ცალი!

— ბიჭო, ავქაფდებით!

— ამდენი და ამდენი ჩარევა ზეთი!

— დავიზეთებით!

— ამდენი და ამდენი მიტკალი, სა-  
შარვლეები და სახალათეები, კბილის  
პასტები და ჯაგრისები. ამდენი რაღ  
გვინდა? ოთხს ერთი კბილის ჯაგრისიც  
გვეყოფა! ჰაი, ჰაი! მე სულაც ქვიშით  
შემიძლია!

— მეც ხომ გეუბნებოდით!

— ხომ გეუბნებოდით!

— მეც თავიდანვე ვამბობდი!

— მოძმე რესპუბლიკაში მივდივართ  
და ამოდენა ტყვია-წამალი?!

— დავაბრუნოთ!

— გადაეყაროთ!

— სულ შენი ბრალია, პავლე!

— რა თქმა უნდა!

— გამარჯვების პიკზე ხომ არ მივდი-  
ოდით, რო!

— შეხელდა-უშმა-მაზერის ტრავერსი  
ხომ არ გეგონა?!

საგუბარიდან წყალმა იმატა, ნავი  
ატივტივდა და სასწრაფოდ მივაწყდით  
ნავს. შოფერი ხელს გვიქნევს და ნაპირ-  
ზე დატოვებულ ბარგს მანქანაში ჰყრის.

მე და ვანო წინ ვსხედვართ, პავლე და  
თენგიზი უკან. თხელი ჩქერი გაღრმავდა  
და გაძლიერდა, ტალღა ასწრაფდა და  
ზეწრისფერი დაგვედო, როცა ნავმა პირ-  
დაპირ კლდისაკენ აიღო გეზი. აბა გიყ-  
ვარდეს, დაუშინეთ ნიჩბები ერთმან-  
ნეთს! დროდადრო წყალშიაც ვყოფდით  
ნიჩაბს. ტალღამ ჩქაფანი გააღინა ნავში  
და ვუჭუო! — დავიძახეთ.

— მანდიდან მოუსვით!

— თქვენ მოუსვით, ჩვენ რათა?

— მაშ როგორ?!

— ჰარიქათ, მიგვაგდო!

— ბრუნდება, ბრუნდება!

— რა ბრუნდება?

— ბრუნდება კი არა, უხვევს უნდა  
მეთქვა, მოუხვია ნავმა! წყალთან ერთად  
მოუხვია!

აქეთ-იქით თევზაობენ, ბანაობენ, გა-  
ჭედლილია მტკვარი ხალხით. „აი ასე ის-  
რჩობა ხოლმე კაცი პლაჟზე, ჩაიძირება  
და გვერდით მყოფს ჰგონია, ყურყუმე-



ლაობსო“ — თანდათან ჩქერები ქრება და ნავი წინ მიიწევს. გასაოცარი სიჩუმე გამეფდა მტკვრის ხეობაში.

— არა, ასეთი „ბაზარი“ არ ივარგებს, ერთი ვინმე უნდა ამოვირჩიოთ უფროსად, — ააყყანა სიჩუმე ვანომ.

— ნავი ჩემია, თაოსნობა ჩემია, პასუხს მე ვაგებ თქვენზე, — ვაცხადებ მე.

— ბურთი შენია, კაპიტანიც შენა ხარ, არა?! — იღიბება პავლე.

— ვგრე არ იქნება, კაპიტანი ყოველდღე უნდა იცვლებოდეს! — კივის ვანო.

— არა! — უარს ვამბობ კვლავ.

— აბა, თუ ყველამ განკარგულებები გავეციოთ, ნიჩაბი ვილამ უნდა მოუსვას?! —

კვლავ აყყანდა ჩვენი „კონგლომერატი“ და ასეთი დავიდარაბა და ყყყანი, იცოცხლეთ, არ მოკლებია „სინდბადს“ მთელი მოგზაურობის განმავლობაში!

ნაპირზე მყოფ მეთევზეს რომ ჩავუვლით, მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ ნავის სისწრაფეს და გვსიაშოვებებს. სამი საათის ნიჩბოსნობის შემდეგ რუსთავის ქარხნების გიგანტი მილები კვლავ ისე ახლოს იყვნენ აყუდებულები, თითქოს ქალაქს ერთი ნაბიჯითაც არ დავშორებოდათ. გავხედავდით მდინარისპირა ხეს, ან ლოდს და ნავის სისწრაფეს თვალნათლივ ვატყობდით, გავხედავდით რუსთავს და საკვამლე მილები ისევე იმოღვნებოდა ჩანდნენ.

ძალიან ცხელოდა. ნავზე წინასწარ აღმართული საჩრდილობელი არ გამოგვადგა, ნიჩბების მოსმაში გვიშლიდა ხელს და დანადგარი გავაუქმეთ. ერბოკვერცხივით ვიწვებოდით გავარჯარებულ რეზინის ტაფაზე ოთხივენი უკლებლივ, მაგრამ რაღაც სიამე ჰქონდა მტკვარს, ირგვლივ გადამლილ სივრცეს. რაღაც სწრაფვითა და მოლოდინით ვიყავით აღსავსენი.

და უეცრად, ზურგს უკან, ზედ თავთან, წყვილი ბათქი გაისმა. ძალიან ახლოს, თანაც გაუფრთხილებლად იყო ნასროლი და ისე დამიარა ტანში, თითქო ჩემს მარჯვენა ნეკნს გამოჰკრეს ჩახმანის მაგივრად, ხერხემლის კრიალო-

სანმა დაიჭექა თოფის მაგივრად და თიჯე გავარდა ტყვიის მაგივრად.

— შენ იქნები ჩვენი ნავის მანქანა, რის თავმჯდომარე, — ნაძალადევი ღიმილით მივუბრუნდი თენგიზს, რომელმაც სეზონის გახსნამდე ერთი დღით ადრე დაარღვია სიცხით გაგუდული მყუდროება. თითქოს გერმის ბალიში გაფხრიწესო, ისე ჩამოიშალა უფერო ზეციდან ქედნის ბუმბული. ჩაითვლება თუ არა ბრაკონიერად ის, ვინც სეზონის გახსნამდე ერთი დღით ადრე მოკლავს ნადირს ან ფრინველს?

ამ შემთხვევაში არ გამოდგება ხალხური სიბრძნის ბჭკარი, თითქო აქლემისა და ნემსის ქურდი ერთი ყოფილიყოს. არა. გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სახელდობრ ხვითში, არის მონადირე არჩილ რაღაცგვარი, ვფიცავ, გვარი არ მახსოვს, თორემ არც გვარს დავმაღავდი. ჰოდა, აი ეს ხანშიშესული კაცი ზამთარ-ზაფხულ ზოცავს ყველანაირ ფრინველს, რასაც კი ფრენა შეუძლია. ლამის არის უღელტეხილზე დახვდეს შორი გზიდან მოდენილ გამვალტყავებულ მწყერს და საფანტის წვიმაში გაახვიოს. წლის განმავლობაში დასანსალებს ეს „ბატონიშვილი“ ორი ირლანდიური სეტერით მხარდამშვენებული და დაუზოგავად ჟლეტს ყველას, ადამიანების გარდა. დარწმუნებული ვარ, არც ადამიანს დაინდობს ასეთი კაცი, თუკი თოფზე ხელი აუკრა ვინმემ. აი ვინ არ არის დასაუზოგი, აი რა დროს გვაგონდება შუასაუკუნეებისდროინდელი არაადამიანური სასჯელები! საგანგებოდ მივედი პროკურატურაში, სამართლის წიგნი გადმოვალებინე და წავაკითხე ხმამალა ერთ მეგობარ პროკურორს. ნეტა არ წაეკითხა, ისე მომიკვდა გული; თურმე ნუ იტყვით და, ბრაკონიერი, რომელიც საშინელ საწამლავს ჩაყრის მდინარეში ჩვენი ბუნების მშვენების — კალმანის მოსასპობად და ასობით მეტრის მანძილზე თევზის საზრდო ჰიასაც კი მოსპობს მდინარეში, — დიდი-დიდი, ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება! ზემოთ ნახსენები ხვითელი ბრაკო-

ნიერის — არჩილის შესახებ ახლო-მახლო სოფლებში ამბობენ, თითქო მან ყოველწლიურად რამდენიმე კილოგრამი მწყურის ქონი ჰქონდეს გადამდნარი და ერთი ძროხის წონა მწყურის ხორცი ჰქონდეს დამარილებული. ნეტავი როდის მუშაობს ასეთი ბრაკონიერი კოლმეურნეობის საკეთილდღეოდ და რა აზრისაა მასზე ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე?!

მთელი დღის ნაბეგვი მზე დასავალს მიეშურებოდა. დღე სრულდებოდა. „სინდადზე“ შედარებით წესრიგი გამეფებულიყო, ისე აღარ ვულრენდით ერთმანეთს. საათში თხუთმეტამდე კილომეტრს გარბოდა ჩვენი ნავი, მაგრამ რუსთავის ქარხნების გიგანტური მილები კვლავ ისე ახლოს იყვნენ ჩვენგან, თითქო ქალაქს ერთი ნაბიჯითაც არ მოვშორებივართო.

ხელმარჯვნივ, ლამის შიგ მტკვარში, გადამუშავებული ნამწვის ზოდების მთელი ქედი შემოჭრილიყო. ნამწვზე ლიანდაგი დაეგოთ, ალბათ კიდევ ვზიდებოდნენ ნამწვის ზოდებს, რაკილა რკინიგზა არ აეშალათ. ერთი დროც მოვა და ამ ნამწვის ამომღები მალაროებიც გაიჭრება-მეთქი ამ მიდამოებში. ნეტა მაშინ როგორი იქნება მტკვარი? ან მასზე ლექსის მთქმელი პოეტები როგორი ბიჭები იქნებიან?!

რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო ავიწროებებს მტკვარს აქეთ-იქიდან მომდგარი ჭალები.

ალაგ-ალაგ ისეთი გოლიათი ხე აიტოტება, რომ იტყვი, რამ გაგზარდა, შე დოვლათიანო, შენაო?! მტრედების ან გვრიტების გუნდი რომ აიშლება გოლიათიდან, ხე უფრო მალლდება, უფრო ცაში ადის.

ეგ არის, რომ ზღვამ გაშლილი სივრცე იცის, თორემ გოლიათი ცაცხვებით მხრებშედგმულ მტკვარს ნაკლები სიბრძნე და სიმშვიდე როდი ახლავს! მტკვრის სიბრძნეს ტყის სიბრძნე ემატება და გარინდულია ირგვლივ ყოველი. საითაც არ გაიხედავ, ისეთი გრძნობა

გეუფლება, თითქო დედამიწა დაგეულა პარაკება სადაცააო!

გამგზავრების წინა დღეებში ტელესტუდიაში შევიბრინე, გუჯა კავკასიძესთან მიმასწავლეს, სამდინარო ტურიზმის ოსტატია და რჩევას მოგცემსო. ვერცხლისწყალივით ცოცხალი და მოძრავი კაცი გამოდგა გუჯა, მანამდე კი ვიცნობდი, მაგრამ სასაუბრო-საბაასოდ არ მომცემია მასთან საქმე. სულ რაღაც საათნახევრის განმავლობაში იმდენი ვილაპარაკეთ, რომ კინაღამ დავემგობრდით. ბევრ კარგთან ერთი საეჭვო მოსაზრებაც გამოთქვა გუჯამ მტკვრის მისამართით. გუჯამ თქვა: ჩვენ, სამდინარო ტურიზმის სპორტის ოსტატებს, მიგვაჩნია, რომ მდინარე მტკვრის ხაზი უნდა გამოცხადდეს საერთაშორისო თუ საკავშირო ტურისტულ მარშრუტად. რა თქმუნდა, სანაოსნო მარშრუტს გულისხმობდა ელგუჯა კავკასიძე.

საკითხის ასე დასმა არაა მიზანშეწონილი, ჩვენი აზრით. მტკვრის ხეობა თბილისიდან ან, უფრო სწორად, რუსთავიდან კასპიის ზღვამდე არ უნდა წარმოადგენდეს უცხოელისთვის ანდა ჩვენი ქვეყნის ტურისტისთვის რაიმე განსაკუთრებულ სანახაობას. აქ არც დარიალისა თუ დომბაის ხეობებია, არც რიწის ტბა თავისი წარმტაცი აღმართით, არც მწვანე კონცხი და სხვადასხვა. აქ სიმშვიდეა, მხოლოდ სიმშვიდე და თუკი ამას მოტორიანი ნაგების ლაწა-ლუწით ამოავსებ, მაშინ ეს საოცარი სიმშვიდეც გაქრება და აღარაფერი დარჩება. იქნება მხოლოდ ხე და წყალი, ჩვეულებრივი ტყე და მდინარე, როგორებიც ათიათასობითაა მთელ დედამიწაზე. ყველაფერ ამას რომ თავი ვავანებოთ, მდინარე მტკვარი მოტორიანი ნაგებისთვის გაუვალი მდინარეა: მოულოდნელად ვიწროვდება და მოულოდნელად ფართოვდება მტკვრის კალაპოტი. ორმოცდაათკილოიანი მსუბუქი რეზინის ნავითაც კი ჭირს მოძრაობა მდინარეში!

გაზაფხულის წყალუხვობისას მოდილებული მტკვარი განუწყვეტლივ რეცხავს მარცხნივ და მარჯვნივ ქანებს, და-

უზოგავად აცლის ფესქვევ მიწას გო-  
ლიათ ხეებს და სიმწვანით ახასხასებუ-  
ლი ორმოცმეტრიანი ბუმბერაზები გაო-  
ცებულნი ჩაეხეთქებიან მდინარეში და  
თავისივე სხეულით დაგუბებულ წყალ-  
ში იხრჩობიან. ზაფხულობით მდინარე  
კალაპოტს იცვლის, ლამზე დარჩენილი  
ხე მზისაგან გამოხმება, მოვლენ შეშის  
დამამზადებლები, დაეხვევიან და ატყ-  
დება ცულების კაკა-კუკი...

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები წერენ  
და წერენ ათასობით ლექსს შავი ზღვის  
ტალღებზე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი  
და, წერენ ფირუზისფერ კენჭებზე, ეშ-  
ერას ფაცხასა და ბათუმის შავ ყავაზე,  
ჩაძირულ გემებსა და ჩაძირულ ადამიან-  
ებზე. თბილისის ახლო-მახლოს ხომ და-  
სეტყვილია მტკვარი ფუნიკულორის  
პლატოდან აკაკანებული მელექსეების  
ტყვიამფრქვევებით! ზოგიც ნარიყალას  
ქონგურებიდან აფრქვევს მტკვრის სა-  
დიდებელს. ამობენ, ფიქრის გორადა-  
ნაც მოსჩანსო მტკვარი!

— მარცხენა მხარემ ნიჩაბი მოუს-  
ვით! — ვბრძანებ მე.

— ვუსვამთ, აბა რა?!

— აქო და ბურთი შენია, კაპიტანიც  
შენია ხარ, ჰა?!

— მაშ რა გეგონათ?! სდექ, ახლა ჩვენ  
მოვუსვამთ!

— არის!

— ახლა ორივე მხარემ დავცხობ!

ნელ-ნელა ნაპირს მიეუახლოვდით და  
ნავი თხელში აფხოტიალდა. გადმოვხ-  
ტით. მტკვარსა და ტყეს შორის ქვიშნა-  
რი იყო შემადლებული კარგა დიდ ფარ-  
თობზე და კარავიც იქ დავეცი. ხელუხ-  
ლებელი საპნები დავაძრეთ სასაპნებე-  
დან და დედნობობლებმა მტკვარს მივა-  
შურეთ. ძალზე თბილი იყო წყალი. ისე-  
თი თბილი იყო, რომ შიგ დაძინება შეიძ-  
ლებოდა. საპნის სასიამოვნო არომატი  
ამოვიყოლეთ თან და ხერხეშა პირსახო-  
ცებით დავიქლიბეთ ტანი;

— უუჰ, ვცხონდით!

— ამაზე პატარა აბაზანა აღარც უნდა  
ჰქონდეს კაცს სახლში.

— მე არც მაგის ნახევარს დავიწუნებ-  
დი!

— ეჰ, ეგრე თუ წავიდა, არც ისე  
დავიწუნებდი, როგორც აბაზანაზე!

— ბიჭო-ბიჭო, კურდღელს ვეცნო!

— სად ხედავ?

— აგერ, ქვიშაზე!

— მკვდარია.

— ჰო, „ნატყვიარი სჭირს ბეკის თავს,  
ზედ ცეცხლი ეკიდებისა“...

— არც ისე დიდი ხნის მოკლული  
ჩანს, ჰემა შეიძლება.

— ფუი, გადი!

— დაუკრებია კი ყურები, საწყაალს!

— ხშირად ხდება, დაჭრილს სირბი-  
ლის თავი კიდევ აქვს, გავარდება და და-  
ეკარგება მონადირეს. მეგრე კი ასე მოკვ-  
დება, უპატრონოდ. — ავეცხნა ჩვენმა  
„მონკაემირმა“.

ნავი გადმოვებრუნეთ, ძეხვი და პური  
დავჭერით, ნიორი დავკბილეთ, მარილი  
მივაბნ-მოვაბნეთ და ისეთი ხრამა-ხრუ-  
მი ატყდა, რომ კულარის თავლაშიაც შე-  
შურდებოდათ მწარმოებელ ულაყებს.  
პავლემ ყავა აადულა პატარა პრიმუსზე  
და დანიერული პირ-ხახა ჩავიწყვრიალეთ.  
როს გავძეხით, ხუმრობა და ტლინკის-  
ყრა დავიწყეთ რბილ ქვიშაზე, სულ თი-  
თო წლის კვიცებივით ვცხობდით.

ნარიყის მოქნილ წვერებზე სალოკი  
თითისოდენა ჩანგლები იყო დადებული

— ასეთი ჩანგლებით ლოქოს იჭერენ  
ხოლმე. მოდი, ბადე ისროლე, ეგებ  
ჩვენც გაგვიღიმოს ბედმა,—ბადე ავიღე  
და ყურეს მივაშურე; საღამოყამს სწო-  
რედ ასეთ ყურეში შემოდის თევზი, პირ-  
ველ სროლაზე ერთი საშუალო ზომის  
შამია დავიჭირე. წყვილს მანეთად რომ  
ყიდიან ვერის ბაზრის წინ გამყიდ-  
ველები, სწორედ ისეთი გახლდათ. კი-  
დევ რამდენსამე ადგილას ვისროლე ბა-  
დე, მაგრამ ორიოდ ცეროდენა მურწახ  
გარდა არაფერი ამოყვა. ერთი რამ მიკ-  
ვირს: დამარილებული, მშრალად გამოყ-  
ვანილი შამია ჯერ მაღაზიაში არ მინა-  
ხავს! მიყიდია ორაგული ბაქოს თევზე-  
ულის მაღაზიებში, ათასგვარი წვერა, კუ-  
ტუმი, ლოქო, შესანიშნავი ქაშაყი, ორა-  
გულის ჯიშის რამდენიმე სხვა სახეობა,





უფროსთან ცალმხრივი საუბარი შედგა; მას არაფერი უკითხავს ჩემთვის, ყველაფერი მე მოვახსენე: „სინდბადის“ ეკიპაჟის გვარი-სახელი, ვინაურობა-სადაურობა, უმანკოება-უბიწოება, თითოეული ჩვენგანის პროფესია, საბუთებისა და ცნობების მთელი კატალოგი ჩავიკითხე ზეპირად და იქვე დავძინე, რომ თუ თქვენი ნებაც იქნება, ყველა საბუთს მოგართმევთ-მეთქი. ერთი სიტყვით, კარგად შევვლონ გული.

ბოლომდე მომისმინა. შემომხედა, თავი დამიქნია თავისუფლების ნიშნად და სტარტერს დააწვა. დანარჩენებიც სასწრაფოდ ჩასხდნენ მანქანაში და ჩემთვის აღარც შემოუხედავთ, ისე გაუჩინარდნენ მტკვრის გაყოლებით. უფრო მდინარისაკენ ეჭირათ გეზი. „გაზიკის“ საბურავებისაგან შემოფრქვეული ქვიშა გავაკნაწუნე კბილებით და ბიჭებისაკენ წავედი...

მსტოვრები რომ მეკითხებოდნენ და ბოლოს მაინც მიყვიროდნენ: მიდი, იმას უთხარი, მე არაფერი ვიციო! — აი, ამაზე ვიყავი გაბრაზებული და გულგასიებული. თუ არაფერი გეკითხება, რაღას მეკითხები?!

### „პაბუკები ღარჩინე მბრბლ“...

მართალია, აგვისტოა, წყალიც თბილია, ჰაერიც გამთბარია, მაგრამ წუთის განმავლობაში მაინც გაყრკილებს დილაობით, ვიდრე ნავში არ ჩაჯდები და ნიჩაბს არ მოუსვამ. როგორც კი ოდნავ ამოიწვევრება მზე, უკვე ყველაფერი რიგზეა; თანდათან მატულობს სიცხე. პირველი-ორი საათისათვის ოფლი გდის და თვალი სიცხის მეტს ვეღარაფერს ხედავს. შუადღისას ნავი ნაპირზე გაგვაქვს და მტკვარში ვწვებით კამეჩი-ბივით. ხან ისეც ხდება, რომ განუწყვეტლივ მიეცურავთ, შუადღის შესვენებაზე უარს ვამბობთ. გზის დასასრულს დიდი ქალაქი გველოდება და ანდამატივით გვიზიდავს. წინასწარ ყველა თავისებურადაა განწყობილი ამ დიდი, ევრ-აზიუ-

მალე „გაზიკის“ ავტომანქანა „გორი-ვაც“ გამოედენა ტყიდან, ისიც მტკვრის პირას ჩავიდა ჩვენგან მოშორებულ მდინარის იქით.

— რაო, რა გითხრეს?

— პავლე ბაყბაყდევძის შუბლზე ემთხვიო, — ვეუბნები პავლეს და ნავზე ვჯდები რბილად.

— ეგ ადვილი საქმეა. მომეცი, თევზებს გამოვწვლავ!

— გამოვწვლავ, თორემ შენც ზვინი არ დადგა! სამი ბიჭყინაა, რაც გინდა უქენი.

ბანაკში სანიმუშო წესრიგი დაემყარებინა პავლეს, სველი ხარა-ხურა თოკებზე შრებოდა, იარაღი კარავში ეწყობანაკის გარშემო რამდენიმე ადგილას გოგირდი ხრჩოლავდა იისფრად. ნავზე გადავწევი და თავქვეში ჩემი ზურგჩანთა ამოვიღე. დაბერილი ვარსკვლავებით მოქედლი აგვისტოს ცა ჩამონგრევას იყო.

...სად წაუხვალ, რომც ჩამონგრეს-მეთქი?! — ვფიქრობდი. ძაღლურ გუნებაზე დამდგარს ჩამეძინა. მეორე დილას მითხრეს ბიჭებმა — მთელი ღამე ყეფდიო. ხომ არავინ დამიგლეჯიხართ-მეთქი?

რი ქალაქის მიმართ. თენგიზი სიამოვნებით კრუტუნობს: „ვეეტომ გოროოდე დობრის ლიუდევი!“ — რას იზამ, უცოლო კაცია და ბედის საძიებლად დადის...

ვანო კვლავ გაფანტულია: ერთ-ორჯერ საზამთროს ნაჭერი დაუვარდა ხელიდან. ერთხელ ძეხვის ნაჭერიც ამოვუნგლა ქვიშაში. ეს სამი „მარცხი“ მის დარდსა და ფიქრთან დავაკავშირე და რამდენჯერმე წინასწარ გამოვიცანი, თუ რა სახის პროდუქტი უნდა გავარდნოდა ხელიდან ფიქრისაგან დაზაფრულ ვანოს: ერთხელ ყველის დიდი ნაჭერი გაუვარდა და ერთხელაც ორცხობილას სამი მეოთხედი გაატანა მტკვარს...

გამგზავრებამდეც და მგზავრობაშიაც ბევრჯერ გვექონდა საუბარი თანამედრო-

ვე ფრენბურთის სირთულესა და პერსპექტივებზე. ვანო აღტაცებულია იაპონელ ფრენბურთელ ქალთა დიდი წარმატებით, რასაც მათ ძალზე მოკლე დროში მიაღწიეს; ბოლო ხანებში იგი მოსკოველ სპორტის ოსტატებს ავარჯიშებდა ფრენბურთში, დიდი შინაგანი პათოსით მიაძობს ვანო.

— ვიცი, უკეთეს შემთხვევაში, მე აქ მესამე თანრიგოსნებს ჩამაბარებენ და წადი და იხტუნავე! წყალში გადამეყრება ექვსი წლის წვალება. მესამე თანრიგოსნებით რა შედეგს უნდა მივადწიო?! თანაც ჩვენი ბაზები გაცილებით სუსტია მოსკოვის ფრენბურთის ბაზებთან შედარებით და საწვრთნელი მუშაობაც დაბალ დონეზე დგას, მცირე გამოხატვისის გარდა!

ჩვენი თაოსნობის წინ საქართველოს პირველობაზე უმსაჯია ვანოს და გულნაკლულად არის: ძალზე უპერსპექტივო სპორტსმენები ჰყავთ გუნდებში და ამიტომაც საკავშირო პირველობაზე ჩვენი რესპუბლიკის შედეგები სპორტის ამ სახეში ყველაზე სავალალოა.

— ნეტავი შენ!—დამშვიდებას ვცდილობ.

— როგორ თუ?!

— თუ გამოსავალი არ ჩანს?!

— გუნდი მომცენ, გამოვაჩენ!

— როგორი გუნდი?

— კარგი სპორტსაზოგადოების ბაზაზე პირველთანრიგოსნებიდან ორ წელიწადში საუკეთესო შედეგს მივადწივე. ფრენბურთელი რომ მძიმე წონის ძალისანსა ჰგავს, მისგან არაფერი გამოვა.

— დამშვიდდი, ივანე, რალაც გამოჩნდება.

— რალაც, რალაც!

— რა გქნა, ძმაო, თუ გინდა, ჩემს ჩინურ კალამს გაჩუქებ, თუ წერას აუტანინხარ.

— მართლა, წერა რომ დავიწყო! — იღრიჯება ვანო.

— მიდი, ვანო, ეგვე გაგიმართლოს? — ემასხრება პავლე, — მთავარია, არ გეზარებოდეს.

— მიდი, ვანო!

— მიდი, პავლე!

— აბა ჰა!

— მიდი, მიდი! ეს მდორე აღგვიღებ სწრაფად გავლით და ჩქერში დავისვენოთ, დინება თვითონ დაგვაქანებს!

და დავუშინეთ ნიჩბები მდორედ გაწოლილ მდინარეს.

ჩქერებში ასწრაფდა ნავი, მაგრამ არც იქ შევეშვით ნიჩბებს. ნაპირთან ახლოს მდგარ ბუჩქს რომ ჩავუქროლებოთ, სიამოვნებით ვფიქრობ, საბარგო ავტომობილის პირველ სიჩქარეს არაფრით ჩამოუვარდება ჩვენი „სინდბადის“ სრბოლა-მეთქი. გულდაგულ მივერეკებით, ტყე ხან მარცხნიდან წამოგვეჯვამება. ხან მარჯვენა მხრიდან გვიყელებს.

კარგა ხანია, რაც მარცხენა ფლანგზე ვილაც მხედარი მოაგეღვებს ცხენს ტყე-ტყე. ყვირილიც გავიგონეთ, რალაცას მოგვძახის რუსულად, ხელს გვიქნევს. სისწრაფის შენელებას არა ვფიქრობთ, როცა დაგვეწევა დაგვეწიოს, ეგვე ვინმე ტყის მფარველი იქნება და საბუთების გასინჯვა ენდომება!

ბოლოს, როგორც იქნა, გამოაგდო ცხენი ქვიშნარზე და ჩვენც ნაპირისაკენ მივწიეთ ხავი.

— სლუში, თაქ დავნო ზა ვამი სკაჩუ, ვა ფერვიზ, დობრი დენ, გურზინი დაა?

— და, გრუზინი.

— დობრი დენ, იოლდაშ!

— ვრომ დელო?

— სლუში, გურზინ, ლოთქა ნაშოლ, ჰაიდა ფაშოლ? ნე ვიდიტ, ვონ თამ ნა ფავაროთე რიბნადზორო, ფანიმაეშ? სქოლქო სქაქალ, სქოლქო სქაქალ, ჩუთ ლოშად ნე უბილ!

— Спасиби, но мы не браконьеры, — ჩავარუსულე მე.

— აქთო გავარით, შთო ვი ბრაგონიერი, აღინ-დვა შთუქ ფუდ ჩალავეკ რიბ ფაიმალ, რაზვეე ეთა ბრაქანერ?!

მადლობა ვუთხარით გარჯისათვის და ნავი დავძარიტ.

— სლუში, — გვეძახის კვლავ მსტოვარი, — შთო სთბილისსქი დინამო? სლუში, მი თაქ ფერეჟივაემ, შთო!

— პრაშლაგოდნი ზოლოტომ აწყინა,

ზოლოტო ვინავათ! — გავძახეთ მხედარს და დინებას დავადევნეთ ნავი.

უკვე კარგა ხანია, ნაკლებობა შევნიშნეთ ჩვენს კილობანში. რამდენიმე შეკვრა მოსკოვური ორცხობილას გარდა ორიოდ ნატეხი პურიღა დავერჩა. შიმშილობა ჯერ სად არის, ხუთი ცალი კონსერვაცია გვაქვს, მაგრამ მაინც დაისვა საკითხი პურის შოვნისა და აქეთიქით ვაცეცებთ თვალს, რომ ან სოფელი, ან სხვა დასახლებული პუნქტი შევნიშნოთ და პური მოვიმარაგოთ.

— სადმე თუ სუფთა შენაკადი ან წყარო დავინახოთ, დასაღვეი წყალიც ავიღოთ, თორემ წუხანდელივით მტკვრის წყლის სმა მოგვიწევს.

— დიდი ამბავი! რუსთავის შემდეგ მტკვრის წყალს ხმარობს სასმელად მოსახლეობა, აგერ კიდევ ხორთუმი! — ფერდობიდან მტკვარში ჩამოშვებული წყალსაქაჩი აგრევატისაყენ გაიშვირა პავლემ ხელი. რიტმულად რახრახებდა წყალსატუმბი დანადგარის მოტორი.

— რამდენ თევზს შეისრუტავს!

— ჩემს მეზობელს ორი თვე გაფუჭებული ჰქონდა ონკანი, ბოლოს მიღები ამოყარეს, დათხარეს, დაჭრეს და, რას ხედავენ, ბაყაყია გაჭედდლი!

— რაკილა გამანათავისუფლე, ბედსა გწევო, არ უთხრა ბაყაყმა?

წყალზე საუბარმა მოწყურება იცის!

არც ვაცივე, არც ვაცხელე, მოვიძრე ჩემი კალათის ქუდი, ამოვხაპე მტკვრიდან წყალი, დავლეე და თავზეც მოვიმხე ერთი კალათი წყალი. დასიცხულები ვალაგვივართ გავარვარებულ რეზინის ტიკზე! ვიღა იცვამს დიდის ამბით შეკერილ ხავერდის მოკლე, ტურისტულ შარვლებს!

თითო ქუდი წყალი ბიჭებსაც მივასხმოვასხი, მაგრამ არც ამან გვიშველა. ნიჩბებს ნავზე ვაწყობთ და წყალში ვხტებით. „სინდბადი“ თავისთვის მიცურავს, ჩვენც ერთხანს აქეთ-იქიდან მივდევთ ცურვით, შემდეგ კვლავ ნავზე ავდივართ. როგორც კი წყლიდან ამო-

ვალთ, ისევ ისე გვენთავს მარტორით გავარვარებული ხეობა.

ზურგით მივეყრდენი ნავის კიჩოზე დამაგრებულ ბარგს და ათიოდე წუთით ჩამეძინა კიდევ... ვილაცის ყვირილზე გავახილე თვალი. პავლემ ნაპირს მომდგარი ოთხი კაცისაყენ მიმახედა:

— ალბათ ეგენი არიან კანონის დამცველნი, წეღან რომ გავგაფრთხილა უცხო მხედარმა.

— ეი, თავარიშ, მოკბით ხლებ იესო, დავი ნიმნოქა! — მკვეთრად გავარჩიე მათი ძახილი.

— ალბათ გაიგეს, რომ პურის კრიზისი გვეწყება! — ილიმება თენგიზი.

— შტო, შტოო! — გავძახე მე.

— ხლება, ხლება დავი! — განმეორდა ძახილი.

— თბილისის „დინამოზე“ თუ გვკითხეს, რატომ აგებენო, აი, სეირი მაშინა ნახე! — ჩაიცინა „მონკავშირმა“.

— აბა, მივიდეთ ნაპირთან თუ არა?!

— რა ვიცი!

ამსობაში ნავი კარგა მანძილით ჩასცადა იმ ადგილს, საიდანაც დამშეული ოთხეულის ძახილი ისმოდა.

— იქნებ გადაიფიქრეს თხოვა, გავწიოთ ერთი, გვიანდება!

— გადაიფიქრესო?! აგერ ტყაპა-ტყუპით დავგვედვენენ, გაიხედე!

მართლაც მოგვედევდენ.

— ჯანდაბას ჩვენი თავი! შიმშილითაც რომ დავწყდეთ, მაინც უნდა გავუმართოთ ხელი! ვინ იცის, როგორ უჭირთ?!

ნიჩბებს დავაწექით და ნაპირს მივაშურეთ. ოთხი მოშეიებული ტყისმჭრელი გვთხოვდა პურად დახმარებას. მტკვარში გადმოჩეხილ ხის წვერზე გამოცვივდნენ ოთხივენი. წვერი მოშეებული ჰქონდაო და პრილა ნაჯახებით იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ ჩვენ ამ სურათისა არ შეგვეშინებია, ნავის ქიმიდან სამი თოფი უმზერდა ხის წვერზე მოქანავეებს „აბორდაჟის“ თავი სად ჰქონდათ, პური შიოდათ საწყლებს და მივეციოთ თუ არა ორცხობილები, ჩვენკენ აღარ მოუხედათ, სულ ხრამა-ხრუმით შეცვივდნენ ტყეში და გაუჩინარდნენ.

გალმა სოფლიდან იყვნენ და დრო დიდი უნდა დაეკარგათ, ვიდრე შინ მიბრუნდებოდნენ პურისათვის. ასე აგვიხსნეს მათ თავიანთი გასაჭირი.

— შტო სთბილისსკიმ დინამო, პაჩიმუ ფრაიგრივავეთ? — მათ ნაცვლად, ხუმრობით მკითხა პავლემ.

— აღინაცატ ჩალავექ მალო, ნადო დაბავით ეშო თრი ჩალავექ ი თავღავიგრაეთ, — უპასუხოდ არ დამიტოვებია პავლეს შეკითხვა.

— აბალამ, ფრათიენიქ შოთ, ფლოვ ქუშით, თოქე დაბავით!

ამ ხუმრობა-ლაზღანდარობაში ნავი ნაპირს ვეღარ მოვაშორეთ, არადა პური აბა ჩვენა გვაქვს საშოვნელი თუ გვაქვს!

— მოუსვი, ბიჭო, ნიჩაბი. ხომ ხედავ, გავირიყენით!

— შენ ნულარ მოუსვამ და სწორე ვამოვა.

— კი არ ვუსვამ და პირიქით, ვამუხრუჭებ, ვერ ხედავ?

— დამუხრუჭებას არავინა გთხოვს!

— წინ იხედეთ, დინება ხერგილში მიგვათრევს!

— მერედა მოუსვით, ვისი ბრალია?!

— მარცხნივ ავიღოთ, მარცხნივ!

— მარცხნივ რათა? დინება მარჯვნივ გვრჩება და კვლავ თავთხელში უნდა ვახრიგინოთ ნავი?!

— ერთი ვინმე თუ არ გამოვყავით კაპიტნად, სულ ასეთი „ბაზარი“ იქნება ნავზე, რუსთავთანაც ხომ კინალამ გადავბრუნდით?!

— მერე, ვისი ბრალი გახლდათ?!

— თქვენი, მარცხენა ფრთისა!

— როგორ არა, ჩვენი!

— მაშ ვისი?!

— კარგით, გვეყოფა!

— არა, ძმაო, კაპიტანი საჭიროა, დამიკერეთ!

— კაპიტანი არა, აღმირალი, უბრალოდ ერთ ვინმეს დაუუჯეროთ ხოლმე.

— მეც მაგას მოგახსენებ, თორემ კაპიტნის ეპოლეტები დიკეროს და ნელსონივით აიხვიოს თვალი-მეთქი, ის კი არ მითქვამს!

— კარგით ასლა, გავათავოთ ზედიზეტები!

უსწორმასწოროდ ვაჩქაფუნებდნენ ბებს წყალში, მაგრამ ბედი გვეწყალობს და ხერგილებს გვერდს ვუვლით, კბილებდაკრევილები ვსხედვართ ნავზე, ერთმანეთისაკენ არც კი ვიხედებით. რომ შეიძლებოდეს ნავის ოთხად გაყოფა და ცალ-ცალკე ცურვა, კარგი იქნებოდა, დავიშლებოდით, დავმშვიდდებოდით და მერე ისევ შევერთდებოდით.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ვიმიდღრებდით ცოდნას, მაგრამ ამგვარი ლაპარაკი და ღრენა უფრო მატულობდა ნავზე. საქმე ის გახლდათ, რომ ამ ოთხი მოგზაურიდან თითოეულს რაღაც თავსატეხი გვექონდა შინ დატოვებული და ამგვარი დარღობით წამოსულბებს ხანდახან გვეჩვენებოდა, თითქოს ჩვენი ვადაუჭრელი საკითხების არსებობაში ყველა დამნაშავე იყო, საკუთარი თავის ვარდა. პავლე ბაყბაყდევით უმეტეს შემთხვევაში ჩუმად გახლდათ და დავიდარაბის შემდეგ ყველაზე საყვარელ და კარგ კაცად ის გვეჩვენებოდა.

ყველას, ვისაც კი სადმე გამგზავრებისა თუ სხვა რამ საფათერაკო საქმეთა სურვილი ავითანთ, ვირჩევთ თქვენს ერთ-ერთ თანამგზავრად პავლე ბაყბაყდევითე გაიხადოთ!

შორს, ხელმარჯვნივ, მტკვრის მარჯვენა ციკაბო ნაპირზე ყავისფერი „პობედა“ შევენიშნეთ. მანქანის მახლობლად რამდენიმე კაცი მიმოდოდა. ალბათ ამათთანაც დამპირდება კალათის ქუდის მოხდა-მეთქი, — გავფიქრე.

— წინასწარ მიუუახლოვდეთ ნაპირს, თორემ დაგვიწყებენ ძახილსა და ჭაჭლანს!

— რაკილა ბურთი შენია, კაპიტანიც შენა ხარ!

არაფერი არ ჩავვიდენია ცუდი და მაინც ვღელავ. რვა თუ ცხრა მიწერილობისა და ცნობის აღება დაგვეჭირდა მტკვარში რომ დავსველებულიყავით! ამას თავი გავანებოთ, უფრო სასაცილო ამბავს მოგვყვებით. რამდენიმე ღღეს ამოდ დაშვრა პავლე ბაყბაყდევითე, ალპინისტი და სპორტის ოსტატი, რომ



მშობლიური ალბიური კლუბიდან ორი საძილე ტომარა გამოეტანა სამგზავროდ; დედასთან რომ მიხვიდე და ძუძუ არ მოგაწოვოს! ვიდრე კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან არ გამოგვაცოლეს კაცი სპორტკავშირში მთელი დასტა განცხადებებითა და ცნობებით, მანამ არაფერი გამოგვივიდა. თუმცა აქ უკვე პავლე ბაყბაყდევით აღარაფერ შუაში იყო. რომ ნახა თავისი გაწბილება, კუდი ამოიძუა და ცხინვალს მიაშურა: ცოტა რამ მოსაგვარებელი დამრჩა ოჯახში.

ამასობაში გავუთანაბრდით ნაპირზე მდგომთ და ოდნავ შევაჩერეთ კიდევ ნავი. როგორც არ ჰგავდნენ ცნობების შემომოწმებლებს!

— ბიჭი დაიღუპა, ბიჭი! ეგება სადმე შეგხვდეთ, თვალი გეჭიროთ! — დაიბღვლეს ნაპირიდან.

რამდენი ლექსიკონის ქექვაა საჭირო, რომ იმ წამში ლახვარჩაცემული ჩვენი განწყობილება როგორმე ქალღმერთად მოვიტანო! მეგობრებს გადავხედე და ადამიანის ფერი აღარცერტს ედო.

— ...ჩვიდმეტი წლისა, მაღალი, შავვრემანი! — განავრძობენ ღრიალს ნაპირიდან.

ელანაცემებს ნავის შეკავება გვაფრწყვლავდა და დინება თანდათან გვაშორებს ნაპირს. ერთ-ერთი გამოგვედევნა:

— არ დაიზაროთ, თქვენი ჭირივ! — გვეხვეწება იგი.

— სად მოხდა ეგ ამბავი? — როგორც ექნა დავძარი ენა.

— აი აქ, მანქანა სადაცაა გაჩერებული, მყვინთავებიც გვყავს ჩამოყვანილი, მაგრამ მაინც ათვალეგრეთ, თუ ხათრა გაქვთ!

— რად გვეხვეწები, მაშ რა ჯანდაბას ეიხამთ?!

— შვილი იყო ჩემი, შვილი! — ახლა მანქანასთან მდგომმა დაგვადევნა სიტყვა.

კარგა ხანს გვათრია დინებამ თავის ნებაზე, ნიჩბის მოსმა აღარავის ახსოვდა, ისე ვიყავით ყურებჩამოყრილნი. მერე ერთბაშად აფყაყანდით.

— ნეტა რამდენი წლისა იყო?

— ჩვიდმეტისაო, ავი გვითხრეს!

— მშობლები თუ ჰყავდა, საწყალს?

— ეყოლებოდა, თუკი ჩვიდმეტისა იყო. გინელიძე

— ასაკი რა შუაშია, მამაჩემი თერთმეტი წლისა იყო, რომ დაობლდა.

— მამა ვარო, ნაპირიდან არ დაგვიძახა ერთმა?!

— მართალია, დაგვიძახა!

— მაგის მეტი თუ ჰყავს შვილი?

— მაგასაც ხომ არ შეგვატყობინებდა!

— საწყალი! ჩვიდმეტისა ყოფილა!

— ჰო, მაღალი, ლამაზიო.

— კიდევ როგორ ყოჩაღად გამოიყურებოდა მამამისი?!

— საკვირველია, როგორ დაიხრჩო, ადგილი იციან მაგ კაი ხალხმა, ვეღარ უშველეს?! რაღა ოხრად უნდა მამამისს ცოცხალი თავი?!

ჩვენს შორის ყველაზე მეტად ვანონერვიულობდა, წაღმა-უკუღმა აბნევედა უთავბოლო შეკითხვებს. მაინცადამაინც დალაგებულად არც ჩვენ ვლაპარაკობდით, მაგრამ ვანო მაინც მეტისმეტად განიცდიდა. ნელ-ნელა დამშვიდვებასაც ვცდილობთ, ხუმრობა საქმე როდია ჩვენი ტოლი კაცისათვის ასეთი ამბის უცბად მონელება?! წყალში, რომელსაც ვსვამთ და რომელშიაც ჩვენი „სინდბადი“ მივიკვლევს გზას, კაცია გაჩხერილი და მისთვის აღარაფერი აღარ არსებობს, არც თბილისი, არც ბაქო, არც დღე, არც ღამე... წყალიც კი აღარ არსებობს.

ვცდილობთ დაიწყებას მივცეთ უბედური შემთხვევა, ხან თოფის გასროლა დავაპირეთ, ხანაც სასიამოვნო ამბის მოყოლა, მაგრამ მაინცადამაინც ვერაფერს მოვებით თავი, მივიღვართ ასე გასუსულები და თვალბდაჭყეტოლები.

ვანო მაინც განავრძობს ნერვიულ აბდა-უბდას დაღუპულის მისამართით და ახლა უკვე მისი ლაპარაკი მახლეებს და მალიზიანებს:

— სხვა რამეზე ილაპარაკე, არ შეგიძლია?

— როგორ თუ სხვაზე ვილაპარაკე, კაცი დაიღუპა!

— მერე რა ვქნათ, ჩვენც გადავცვივდეთ წყალში?

— არა, მაგრამ განცდას ვერსად წაუხვალ.

— შენ, ძმაო, ექვსი წელიწადი მოსკოვში ცხოვრობდი და რა გიშავს!

— მოსკოვი რა შუაშია?!

— იმ შუაშია, რომ მოსკოვში არ გესმოდა ასეთი შემთხვევები, ჩვენ კი ნერვები გვაქვს დაწყვეტილი. აბა ერთი ვინმე დამისახელე, რომლის დაკარგვამაც გული დაგწყვიტა ამ ექვსი წლის განმავლობაში!

ვანომ არაფერი მითხრა, განზე გაიხედდა. წამის განმავლობაში გადაეგლო მისი ფიქრი განვილილ ექვს წელიწადს. მაინც დუმდა ვანო, უხმოდ უსვამდა ნიჩაბს.

წამის განმავლობაში მეც გადაავლე თვალი განვილილ რამდენიმე წელს და ბოლომით გამეცო გული. პირველი ლანდი გელა გაბუნიასი ამომიტივტივდა: მაჩაბლის ქუჩის კუთხეში შემხვდა ფილტვის კიბოს ოპერაციის შემდეგ. ოპერაცია თუ გაკეთებული ჰქონდა, არ ვიცოდი. მე მხოლოდ კიბო ვიცოდი და მკვდრეთით აღდგენილივით გამოცა მისმა დანახვამ. მართალია, დიდი ხნის ნაცნობობა არ გვაკავშირებდა, მაგრამ სიხარულით აფორიაქებულმა სამჯერ გადავკოცნე. ნასიამოვნები კაცის ღიმილი; დაეტყო გაცრეცილ სახეზე გელას. ორიოდვე კვირის შემდეგ მის ცხედარს მივასვენებდით...

...სიყვარულით, პროზაიკოსის დიდატლანტითა და ვაჟკაცი კაცის სილამაზით აღსავსე გურამ რჩეულიშვილმა გვადრიალა ცხარე ცრემლით. მისი წასვლის დარდი, მისი ცარიელი ადგილი დღემდე კი არადა, დღეის შემდეგ უფრო ძვირფასია ჩვენთვის!

ამის შემდეგ ორი მეწინავე წერო მოსწყდა ჩვენი ტოლობის ქარავანს: ვეფხევივით დაიღუბნენ მეძმარიაშვილი და კუხო... ნეტა თუ ამაზე ლამაზი სიკვდი-

ლი არსებობს კიდევ სადმე?! ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გურამ რჩეულიშვილი მწვერვალზე დაღუპულმა პლიაზე მყოფმა დამსვენებლებმა რომ იხილეს ამ ყველასათვის ძმასავით საყვარელი ვაჟკაცის დაღუპვა; ეს მახელებს, სხვა არაფერი!

სულ ცოტა ხნის წინათ, ჩვენი ტოლობის ქარავანს გურამ თიკანადე ჩამოცილდა, ისიც მთებში ჩაიჩხვხა. იქნებ არ დაჩხვნილა ეს ლამაზი ვაჟკაცი და ზევით აიწია, მწვერვალებისაკენ?

რა ადვილია ჩასული კაცის ცხოვრება შეგიღმილიონიან ქალაქში!

ჯუმბერს დილის ძილი უყვარდაო, — მიაშბო პავლემ. — იერიშის წინ ყველაზე გვიან ჯუმბერი იღვიძებდა თურმე. იღვიძებდა კი არა, ვაღვიძებდით. კარგიდან გამოყოფდა ნამძინარეც თავს, გაიზმორებოდა და ღიმილით იკითხავდა: კიდევ გათენდაო?

...სიზმარი ძილის წინ ნანახის თუ განცდილი ამბის განმეორებააო. — გვეჩიჩინებოდნენ და გვასწავლიდნენ ხოლმე სკოლაში.

იმ დამეს კი ოტია იოსელიანი მესიზმრა: წვერგაუშპარსავი იყო თუ მე მეჩვენებოდა ასეთი, სწორე ვერ გეტყვით. უნავისფერი სვანური ქუდის ფუნჯს შესტკეპროდა და თუ არ ცვდები, მგონი მე მელაპარაკებოდა. კი არ მელაპარაკებოდა, ბლის კურკასავით მიშენდა სიტყვებს. ბოლოს, როგორც იქნა, მომახვედრა კურკა ყურში: „ჩემი მოთხრობების კრებული გამოვიდაო“. ხელი ჩამოვართვი ოტიას და მივულოცე: მოხარული ვარ-მეთქი! „აბა რა იქნებაო!“ — გამოდიმა და კვლავ სვანური ქუდის ფუნჯს გახედა.

კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ თვალსა და ხელსშუა გაუჩინარდა.

## ხილქვეშ

შუადღემდე ღრუბელი ირეოდა. შუადღის შემდეგ ცა დამძიმდა, ჩამოიძენჭა და კარვის გაშლა ძლივს მოვასწარი. რომ წვიმამ დაგვცხო. ფოილოს ხიდი-

დან ორასიოდე მეტრის დაშორებით ვსხედვართ კარავში და ანკესებს ვმართავთ.

ათიოდე წუთის განმავლობაში უტყა-

პუნა წვიმამ კარავს, მერე გაიშვიათლა წვეთი და ბოლოს მზის სვეტიც მოგვენდო. გარეთ გამოვედით. პავლემ და თენგიზმა ბარგის წესრიგში მოყვანა და თევზაობა ირჩიეს, მე და ვანომ ფოილოს სადგურს მივაშურეთ პურისათვის. კარგა ხანს ვეჯდნეთ სადგურის მებუფეტეს პურის თაობაზე. არა და არ იძლეოდა: „ფურნე დაგვეწვა ეს ორი ღლეა და მე რომ თქვენ ათი ფუნთუშა მოგცეთ. ხალხს რაღა ვაჭამოო?!“ ხალხი, თორემ სულ ბუზივით გეხვევა მუშტარი, მოგვეცი, გზას ვადგვიარ-მეთქი, — კვლავ დავედრიგე გამყიდველს. ბოლოს, როგორც იქნა, დავტყუეთ ხუთი ცალი და შამხული ფუნთუშა, თუკი ამასაც ფუნთუშა ეთქმოდა. შოთები თევზის შესახებ ბადეში ჩავჩხორე. ორი მკვახე საზამთროც ვიყიდეთ ბაქანზე და უკან გამოვბრუნდით.

გზად ვირის საზიდარი შეგვხვდა, შეშით აშენებული. შეშებზე გასაოცარი სილამაზის შვიდი-რვა წლის ბიჭი იყო წამოსკუპული. საზიდარში სამი ვირი ება: დიდი ვირი შუაში შეებათ, ხოლო აქეთ-იქიდან ორი მომცრო ვირი აკვეროდა. ასე გვეგონებოდათ, ფიროსმანის ნახატი გაუცოცხლებიათ.

მდინარის მხრიდან ორი მეთევზე მოდიოდა. ჯერ კიდევ შორიდან მორთეს „რიბა! რიბას“ ძახილი. ზურგზე ორივეს ტომრები ჰქონდა აკიდებული. რამდენი ცალი გყავთ თითოს-მეთქი? ერთმა თქვა ოთხმოცდაათი შამაია მყავსო, მეორემ ას ხუთიო. პასუხთან ერთად შეჩერდნენ და ერთი ადგილის ტკეპნა იწყეს, თევზის მუშტრები ვეგონეთ.

ვანოს პურები უკავია, მე ორი საზამთრო და ასე გადავდივართ მტკვრის შემკად პატარ-პატარა ტოტებზე. ჩვენი „სინდბადი“ კარავთან ვედარ დავინახეთ, გაღმა ნაპირთან დააცურებდა ორი უცნობი. კარგია, ქირასაც ჩავვიჩხრიალებენ-მეთქი!

ჩვენკენ ვილაც ტანსქელი კაცი მოაბოტებდა წყალ-წყალ.

- გამარჯობათ!
- გაგიმარჯოთ!

— სალამი, რაღაც ნაცნობი გაქვთ, — ვეუბნები და ვათვალისწინებ.

— მე ისა ვარ, ბიჭი დაგვეცნობო, რომ გეძახდით, — გვაცნობა მგზავრმა. კინალამ ღმერთი გამიწყრა და ვუთხარი: მერე და რა გაცილებს, შე ოხერო-მეთქი! როგორღაც სასხვათაშორისო იერით მოგვიანლოვდა ეს ღმერთგამწყრალი. ერთი წამით გავეიჭირე, ნამდვილად არ დღუპულა ბიჭი, რაღაც ოინი თუ მოგვიწყეს-მეთქი.

— იპოვეთ? — ვკითხე გაურკვეველად.

— ჯერ არ გვიპოვია, აგერ ჩვენი ჩამოყვანილი მყვინთავეები დაეძებენ, ნაფიითხოვეს თქვენგან.

— აკი შვილი იყო? — გავბედე დაეძებება.

— არა კაცო, ისე ვითხარით, რომ უფრო გულიანად გეთვალეირებინათ, თუმა თქვენ კი არადა, აგერ ორი ღლე დავხოცეთ ორ-ორი მყვინთავი წყალში და ჯერ ვერას გავხდით.

— არც იმ კაცის შვილია, მეორე რომ იდგა მანქანის გვერდით? — ვკითხე ისევე მე.

— არავისი შვილიც არ არის...

— როგორ, უპატრონოა?!

— არა, ჩვენი შვილი არ არის-მეთქი, ამის თქმა მინდოდა.

— ჰოო...

— სოფლელი ბიჭია, სამეგრელოდან ჩამოვიდა თბილისში, უმაღლესში მოსაწყობად. ის, მეორე კაცი რომ იდგა მანქანასთან, ჩემი მეზობელი, მისი შორეული ნათესავია. ხშირად ჩამოდიოდა მასთან, ნათესავი კაცია და! სათევზაოდ არასოდეს გამოგვეყოლია. ფუი! ეშმაკად შევძახე, თუ ვინდა შენც წამოდი, მანქანაში ადგილი მაქვს-მეთქი. ნეტა ენა გამხმობოდა! მართლა არ წამოგვეყვა, კაცო?!

— წერაა!

— ჰო, წერაა!

— მშობლები თუ ჰყავს?

— როგორ არა, სოფელში.

— მეტი თუ ჰყავდათ?

— საში შმა და ერთი და. დაღუპვამდე არც ვიცოდი ჰყავდა თუ არა ძმები, მე-რე ვკითხე ჩემს მეზობელს...

— კიდეც კარგი!

— გაახნია, ვისთვის!

— მაინც დიდი შეღავათია, რას ამბობ?

— ჰო, დიდი შეღავათია. დამშვიდებულიც ჩანხართ, უცხო იფიქრებს თითქოს არ განიცდიდეთ ამ ამბავს.

— მოგკვდი წყალში თრევით, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ?!

— შობლებს როგორ უნდა გააგები-ნოთ? ხუმრობა ხომ არ არის მოწიფუ-ლი ვაჟკაცის დაკარგვა?! თანაც ასე სულელურად!

— შევატყობინეთ, დღეს დილას გავეუგზავნეთ დეგეშა, — კაცმა ფეხებზე დაიხედა, — ნახე, როგორა მაქვს გადატყავებული, ორი დღეა წყალში ვყრივართ!

— მაინც როგორ მოხდა? — ჰკითხა ვანომ.

— როგორ, შენ ხარ ჩემი ბატონი და, მტკვარგაღმა გავედით, იქიდან უფრო მარჯვე იყო თევზაობა. ტანისამოსი გამოღმა დავეტოვეთ, პაპიროსიც დაგვრჩა. აუ, რა კარგი იქნებოდა პაპიროსი რომ არ დამეტოვებინა-მეთქი, წამომცდა ეშ-მაკად. მე ვავალო, — წამოხტა ის უბედური. საშიში არაფერი იყო, მტკვარი წელამდე გვეწვდებოდა მთელ სიგანეზე. მერე და ისიც მაღალი ბიჭი იყო. ყველაზე მაღალი ის იყო. წამოიღგა და გავიდა. თვალი გავაყოლე კიდევაც, მშვენივრად გავიდა! იქიდანაც კარგად მოდიოდა. უსაქმურობისაგან კარტი გავახურეთ.

„კარტი დაგეტოვებინა და პაპიროსი გამოგეტანა, არ გერჩივინა, შე ოხერო, შენა-მეთქი!“ — ამემღგრა გული.

— კარტს ვთამაშობ, მაგრამ თან იქით ვინედები. ნაპირს მოახლოებული იყო თითქმის, უცბად ჩაყვინთა და შემდეგ აღარც გამოჩენილა. წამოვცვივდით, მაგრამ თვალით აღარ გვინახავს! აგერ

უკვე ორი დღე გადის, დავწყდით წყალში ყოფნით!

„დაგებჩვი, შე ღორო-მეთქი“  
მომაწვა ყურებში სისხლი.

— უყურე ერთი შენ! — თქვა უეცრად ჩემმა მოსაუბრემ და როგორღაც ბრყეულად შემომხედა. ცოტა შევეცბი, მაგრამ სახეზე შევატყვე, რომ ჩემი მისამართით არ ჰქონდა ფრაზა ნათქვამი. ალბათ უკვე გამოძიებელს ან მართლმსაჯულების რომელიმე სხვა წარმომადგენელს ეჯავღანებოდა გუნებაში: არც დაგვემშვიდობა, ისე აპყვა მდინარეს; ტოპვა-ტოპვით მიდღლაფუნებდა. თან აქეთ-იქით აბრუნებდა თავს.

კარვისაკენ გამოვემართეთ დაღვრემილები. ისევე აგვეშალა სიკვდილზე ფიქრი და გუნება გავვიოხრდა. კარავთან კვლავ იღგა ჩვენი „სინდბადი“, ახლა მყვინთავები შემოგვეფეთენენ, გინდა თუ არა, მაინც სიტყვა-სიტყვას გამოედევნა და კვლავ გაიბა უსიამოვნო ლაპარაკი.

— პროფესიონალი მყვინთავები ხართ? — ვკითხე უფრო ახალგაზრდა, შავვკრემანსა და ლამაზ ბიჭს.

— მე არა და ეს კი, — თვალთ მანიშნა მეორე მყვინთავეზე.

ის მეორე რუსი იყო, პაპიროსის მოკიდება გეთხოვა. ვანომ გაუკრა ასანთი. მყვინთავემა გააბოლა და გზას გაუდგა. მშრალი საიდანა აქვს სიგარეტი-მეთქი? — გამიკვირდა. მყვინთავები წავიდნენ.

— ძალიან შორს ნუ წახვალთ, იქნებ ჩვენი ამოყვანაც დაგჭირდეთ! გუნება-გაოხრებულმა გავძახე მყვინთავებს.

ამ დღეს გაცილებით ადრე დაღამდა. პაულემ გოვირდი აახრჩოლა ბანაკის გარშემო და კარავში შეძკრა. ვანო და თენგიზიც შეიხვეტნენ კარავში. მეც ვადმოვებრუნე „სინდბადი“, მის ფართოდ რბილ „ლეიბზე“ გავიშოტე და ვარსკვლავებით დახუნძლულ აგვისტოს ცას შევაჭყიტე თვალები. ბელტიბივით ვარსკვლავები სწყდებოდა ცას. ისე დიდხანს მიეჩანებოდა ვარსკვლავი ცაზე, რომ თა-



ვისუფლად შეიძლება ყველაზე უკრძესი ნატურის ჩაფიქრებაც კი. მეც რა მენაღვლებოდა, ჩაფიქრე და ჩაფიქრე! იმდენი ვინატრე, ყველა რომ ამსრულდებოდა, ალბათ გული გამისკდებოდა სიხარულით.

არავისი სიკვდილი არ მინატრია, ერთი აღამიანის გარდა; ისიც უფრო იმიტომ გავიმეტე, რომ კარგა გადაბნელებული ვახლდათ. შვილი მას არ ჰყავდა და შვილიშვილი; და და ძმა არ გააჩნდა; მის კარს ფოსტალიონისა და შუქის ფულის ამკრფის გარდა არაფერი მიჰკარებ-

ბია. ცოლიც გვიან შეირთო, სიმკრის გამს, ერთი დაჰმუქუნულ-დაბუდრულ ქალაბერა მიიყვანა! ეგ იყო და მამაჩემი გამრავლება აღარ მოხერხდა მისი მოღმის. უცვლელი იყო არსება მისი. უფრო მეტს იწყევლებოდა, ვიდრე ილოცებოდა, და თუკი ლოცავდა ვინმეს, ისიც მხოლოდ თავისაფთი გადამღრძვალსა და გადაძევაფებულს...

ცვიოდა და ცვიოდა დიდრონი ვარსკვლავები ზეცას. ბიჭების სახელითაც ზევრი ვინატრე! ქვეყნის ნატურა ჩავითქვი იმ ლამეს.

### ცოუნებათა ნიამ-პარები

ერთი საიდუმლო მინდა გავანდო ქალებს. ვთქვა, თუ არა ვთქვა? მოდი და ვიტყვი, რაც იყოს, იყოს! კაცი შინიდან გარეთ არ გაიშვება, ქალებო!

აი უკვე მეოთხე დღეა რაც მოვტივტივებთ და წამსა და წამს შუა ფიქრი საქალეთისაკენ მიგვაფრენს.

თუკი შემთხვევა მიეცა, არც თვალი გვრჩება გულნაკლული. ამ გოლიათი ხეებით ჩაწნულ-ჩაგრეხილ მტკვრის ხეობაშიაც პოულობს მამაკაცის თვალი მთელი დღის საზრდოს; ერთხელ ნანახ ხელაბანდას თუ კაბის ბოლოს კიდევ რამდენჯერმე ამოიტეტივებს თვალი დღის განმავლობაში და სიამოვნებით ჩაიჭუტება...

აგერ, მოტოციკლი გაუჩერებია ვილაცას; ორი ქალი და ერთი მამაკაცი ბანაობს მტკვრის მდორეებში, გოლიათი ხეების ფერხით. ერთი ქალი მოტოციკლისტის ცოლია ალბათ, მეორე ცოლისდა იქნება, — დავასკვენით „სინდბადელებმა“, ცოლს თვალი აგარიდეთ და ცოლისდას ვუწყეთ თვალთერება.

მანძილი დაახლოებით ასი, ასოცი მეტრი ვახლდათ, ვანათება საუკეთესო, თვალის ყველას აღმასივით გვიჭრიდა და ესეც რომ არა, პავლეს „ბინოკლს“ რა ოხრად დავარჩინდით!

„როგორ წეროსავით ამოზიდულა

წყლიდან!“ „ნეტა რას გაჩერებულა, რატომ არ ბანაობს?“ „დააცათ, ემზადება!“ „არა, მგონი „ზაგარს“ იღებს!“ „ცოტა იქით გაიწი, გამკვირვალე ხომ არა ხარ?“ „სადღა გავიწიო, წყალში გადაგვარდე?“ „მომეცი ეგ ოხერი ბინოკლი, ზედ ხომ არ ჩაგვთვლიმა?“ „ამ წუთში შენ არ გეკავა, რა გაყვირებს?“

პავლეს „ბინოკლზე“ დიდი მოთხოვნილება გაჩნდა, სულ ხელიდან ხელში გადადიოდა. მისი მეშვეობით ერთი ათად ვაიზარდა და გაზვიადდა წყლიდან ამოტოტვილი ქალის გამოსახულება. შესანიშნავი საბანაო კოსტუმი ეცვა!..

მერე იყო და. მახლობელ სოფლელი ქალები ჩამოსულიყვნენ. მტკვარზე სიცხისაგან გაოგნებულები, უგრძესი, აღმოსავლური კაბები ემოსათ. გაგრძობაც უნდოდათ საწყლებს, მაგრამ მამაკაცის შიშით კოჭებს ზევით ვერ გაებედათ კაბის აწევა და სხეულის გახალისება. იდგნენ ასე საწყლად, ყვანჩალებივით ამოეფიჩხათ მტკვრის სანაპირო თავთელეები. ამ საცოდაობას თვალი ვეღარ გავუსწორეთ, ნიჩაბს ავუჩქარეთ, რომ მალე გავცლოდით გასაჭირში მყოფთ და შედავათი მიგვეცა.

ვერც პატოსნებას დამალავ გრძელი კაბით და ვერც უპატოსნობას დააფარებ ხელს. აღამიანის პატოსნებაცა და

ყოველი სხვა ნიჭიც ჩაბუდებულია ადამიანისავე გონებაში, სულში!

თქვენ წარმოიდგინეთ და, პურის ნაკლებობამ კვლავ შეგვაწუხა. კარგა ძალი ხალხი დაკითხეთ ამის თაობაზე. მიგვასწავლეს, რომ აქედან დაახლოებით რვაასიორდე მეტრის მანძილზე ბორანია და იქ იშოვით პურსო. აბა გიყვარდეს, გავახუროთ ნიჩბოსნობა.

შარი-შური, შარი-გოგდი, ბაქოშია, შუქურ-მაქო, გოგო შუშანაო!

სიმღერაც გავაჩაღეთ. პავლემ დრო იხელთა და ფოტოაპარატი ააჩხაკუნა, რათა ჩვენი ღიმილი აღებეჭდა ფირზე: „გოგო შუშანაო“.

ჩვენს წინ, მოსახვევში. ბორანის გამოჩენაზე ადრე წითელბორბლებიანი „გაზიკი“ დაეინახეთ. მილიციის მუშაკები გრილდებოდნენ მდინარეში. სამი წითელკანტიანი ქუდი იდო დიდ ქვებზე დაწყობილ ფორმის ტანისამოსზე.

„სინდბადი“ მონუსხულივით მიიწვევდა მათკენ. „სალამ ალეიქუმი“ ამოვთქვით როგორც იქნა და ნავიდან კოჭებამდე წყალში ამოვედით. იყო თუ არა საპასუხო „სალამ ალეიქუმი“ მობანავეთა მხრიდან, ამას ვერ გეტყვით, აღარ მაგონდება, მაგრამ ჩვენ ნამდვილად მივესალმით. დარწმუნებული ვარ და სველ ტრუსებში ამოწურწურებული მილიციელები შევათვალეირეთ.

ასოთხმოც სანტიმეტრზე დაბალი ჩვენში მხოლოდ ვანოა და ესეც ბევრი ხტომა-ვარჯიშისაგან სულ კუნთებადაა ქცეული. რას დაგვამშვენებდა კოხტად შეკერილი მილიციელის ფორმა-მეთქი. არადა, კაცმა რომ თქვას, რატომ ეჩოთირება ბეგრ ახალგაზრდა კაცს ამ მოხდენილი ფორმის ჩაცმა და სახალხო მილიციის რიგებში შესვლა. მასწავლებლობა და მთავლელობა კარგია, მაგრამ აბა წარმოიდგინოთ მილიციელის ტანისამოსში ჩამჯდარი ოთხი სპორტის ოსტატი, ვეფხევივით ლამაზი და მოქნილი ბიჭები სერავენ რუსთაველის გამზირს ან თუნდაც რომელიმე მცირე ქუჩას! ვინ იქნება მათი სიტყვის შემბრუნე-

ბელი, წინააღმდეგობის გაწევნა ალარაფერი ვთქვათ!

მთელი ჩვენი ბარგი ერთ დიდ მაფრაშაში აწყვია ცალ-ცალკე გამოკრული. მე მაფრაშაში ჩავეყუდე, რათა საჭირო საბუთები ამოვულავო მილიციელებს. მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე გადავუშალო მათ საბუთების დასტები: პასპორტები, მონკავშირისა და მწერალთა კავშირის წიგნაკები, პირადობის მოწმობები და შრომის წიგნაკები. მილიციელები კვლავ უნდობლად შემოგვეცქერიან და აგდებით გვათვალეირებენ. ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყეს საბუთების ფურცვლა; სინჯეს და სინჯეს პასპორტები, წიგნაკები, მოწმობები, სულ გამადიდებელი შუშებით უტრიალეს და უკირკიტეს. საბუთის ყოველი გვერდის გადაფურცვლისას კვლავ ჩვენ გვათვალეირებენ.

— ქუდა იედიოთ?

დიდხანს ვლაქლაქებ, რომ მეგობრობის მოგზაურობას ვაწყობთ ეს ოთხი ახალგაზრდა კაცი აზერბაიჯანის მიწაწყალზე და ჩვენი მოგზაურობის საბოლოო პუნქტი ბაქოა-მეთქი.

ბაქოს გაგონებაზე მცირე ღიმილმა ვადაუარა სახეზე ჩემს დამკითხველს. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მოიღუშა.

— ზნაჩით. ვი გავართე ვბაქუ იედიოთე?

კი-მეთქი, კვერი დაეუკარი მე.

— პაჩმუ ავთობუსომ ნი ედიშ ბაქუ?

კვლავ ავუსხენი, რომ ჩვენ ეს გზა ვირჩიეთ სხვადასხვა მოსაზრებათა გამომეთქი.

— ავთობუსომ ვედ უდობნო ი დიო-შოვო?! — ჩაერია ლაპარაკში ახლა მეორე მილიციელი.

ერთმა მილიციელმა, რომელიც თოფებს გვისინჯავდა, ტყვია მოგვთხოვა. თოფი უნდა გავსინჯოყო. ძალიან ღრმად გეჭონდა ტყვიები ჩაყრილი ჩანთაში და ამოღება დამეზარა. ვუთხარი კიდევ, ამოდენა მაფრაშაშია ჩაყრილი და პოვნა გამიჭირდება, მთელი ბარგის ამოყრა დაგვჭირდება ამის გულისათვის-მეთქი. მეორე მილიციელმა უთხრა, თავი დაანებეო.

— აქაქოი ეთო მელქოქალიბერნო, მოქებით ბესშუმნი? — ისეთი სერიოზულობით ჩაილაპარაკა თოფის გამსინჯველმა, რომ გამეცინა. ისედაც უანგიაზო ჩვენი „გეკო“ წყალში ყოფნას სულ უანგით შეემოსა და აბა ამას რა საბუთი თუ სინჯვა-ჩხრეკა სჭირდებოდა?!

მილიციელებმა ჩაიცივეს ტანისამოსი და მანქანაში ჩასხდნენ: მაგ საბუთებით, სულ ერთია, ბოლომდე ვერ ჩახვალთ, სადმე ამოგსვამენ და ავტობუსში ან მატარებელში ჩავსვამენო. — საოცარი მშვიდი კილოთი გადმოგვილაპარაკა პირველმა მილიციელმა. წითელბორბლებიანი მანქანა მოგვშორდა.

— კარგა დიდხანს გვაჯანჯღარეს!

— პო...

— ნეტა რომელ სოფელში ამოგსვამენ?

— არ ჩაგვაცივდა, ავტობუსით უფრო მალე ჩახვალთო?!

რუკას თუ დააკვირდებით, მაშინვე შენიშნავთ, რომ მტკვარს სპირალისებური ფორმის კალაპოტი აქვს. ქვეითმა თუ ვითხრათ რვაასი მეტრი ვაჭეთ ვასავლელო, უნდა ერთი „ნულიც“ დაუმატოთ და ზუსტ კილომეტრებს მიიღებთ. აი ახლაც, მილიციელები რომ ჭყუმბალაობდნენ, იმ ადგილიდან ბორანამდე მისვლას ბარე ნახევარ საათს მოუვლით. ბორანი გაფუჭებულადა და დიდძალი ხალხი ელოდებოდა მის გამართვას. ბაგირის ორივე მხარეს ავტობუსები იდგა და გაღმა ნაპირზე დარჩენილ მგზავრებს ელოდა. ბორანი რამდენიმე სათის გაფუჭებული იყო და პატარა სასურსათო მაღაზია ერთიანად გადმოეღრღნათ ბორანის ცდაში მგზავრებს. ძლივს გადარჩენილი გამხმარი ნახევარბური გამოგვიჩინა გამყიდველმა. პური იქვე დავხარით, მხოლოდ ნავთან დარჩენილი თენგიზის წილი გადავიჩინეთ. თითო ბოთლი ადგილობრივი, შემოუსვლეელი შინდისფერი ლიმონათიც მოვიყუდეთ; სულ ბუყბუყით გამოვცალეთ სიმყავეშეპარებულ სითხე. მერე სიმართლისათვის რამდენი-

მე კაპიციც ჩამოგვართვა ნოქარმა და აჩუ-პანჩურო, მაღაზიას ვკეტავთ. ვაჭეშვილი გვიშვა.

ნავთან რომ დავბრუნდით, თენგიზი შესანიშნავ სიფრიფანა ლავაშებს შეექცეოდა. ბარე ასზე მეტი იქნებოდა თხელი ლავაში. ავტობუსის შოფერი გამომასპინძლდა, ყველიც მითავაზა, მაგრამ გეახელით და ბოდიშით. მაღლობა ხომ უთხარი-მეთქი? მაღლობაც ვუთხარი და თბილისის „დინამოს“ ამბავიც ჩავუქიკვიე; მკითხა, შტო სთბილისსკომ დინამოო?!

ნავში ჩავსხედით და ლავაშის ხრამუნით ვაუღდექით ვზას. ყოველი მეორე აზერბაიჯანელი, რომელსაც ჩვენთან საუბრის სურვილი გამოუთქვამს, უმალ თბილისის „დინამოს“ წაგებათა მიზეზს გვეკითხებოდა: არა გრცხვენიათ, ამას რას სჩადითო?! — სოფლებში რალამ ვადარია ხალხი-მეთქი, ვფიქრობდი. ბაქოელი ფეხბურთის გულშემატკივრები უფრო მეტი პროფესიონალიზმით გვეკითხებოდნენ ხოლმე ჩვენი „დინამოს“ დაცემის მიზეზებს და გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ ჩვენც მაგ დღეში ვართ, ბაქოელები, ჩვენც ზედმეტად ვავუგორდით ფეხქვეშ ჩვენს ფეხბურთელებს და მაღლობის ნაცვლად ზედ შეგვდგნენო.

რეზო ჭეიშვილი მეუბნებოდა ერთხელ: რა ვასაოცარი ხალხი ვართ, ჩვენი საუკუნის შედეგები რომ შექმნა ლიტერატურაში, ამდენ პატივს ვინ დავდებს, რაც ფეხბურთელებს პატივი აქვთ ხალხისაგანო. „ბ“ კლასის გუნდის სათაღარიგო მოთამაშე მეტად ფასობს, ვიდრე „ა“ კლასის მწერალიო...

საღამოვდებოდა. ადგილი შევარჩიეთ. დავბანაკდით და გოგირდი ვახრჩოლეთ. მე კვლავ გადმობრუნებულ „სინდბაღზე“ ვავიშოტე დასაძინებლად:

„...ხეჩა, ხეჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი“.

კვლავ ვარსკვლავებით იყო მოქედლი ცა...



ამ აზერბაიჯანული კერძის თითოეული თავი ცალ-ცალკე ჭურჭელში მზადდება. საფითე თიხის ჭურჭელს დონიჯ-შემოყრილი ქალის ფორმა აქვს. ალუმინის დიდ ქვაბში, რომელშიაც ბორშის ან სხვა რომელიმე სუპს ვხარშავთ, ფითი ვერ მოიხარშება, არ გამოვა!

საფითე ქოთნის ტევადობა 800 გრამს არ უნდა აღემატებოდეს და 600 გრამზე მცირე აღარ შეიძლება.

ავილოთ 2-3 ნაჭერი ცხვრის მკერდის, კისრის ან ბეჭის ნაწილი, თითოეული 80 გრამზე მეტი არ უნდა იყოს და 55 გრამზე ნაკლები უხერხულია. წინასწარ გარჩეული ხმელი მუხუნლო დავალებოთ ცივ წყალში დაახლოებით ოთხი ან ხუთი საათის განმავლობაში, შემდგომ ამისა ხორცი და მუხუნლო უნდა ჩავაწყოთ თიხის ჭურჭელში, დავასხათ ცივი წყალი, ისე, რომ საერთო რაოდენობამ ექვსას ვგრამს არ გადაამეტოს. შევდგათ ქოთანი ნელ ცეცხლზე და ვხარშოთ. ქაფი დროდადრო უნდა მოვხადოთ სასიამოვნო მსუბუქი ქაფჭირით. ხორცის მოხარშვამდე ნახევარი საათით ადრე ქოთანში ჩავუმატებთ კარგად გათლილ, გარეცხილ, საშუალო ზომის კარტოფილებს (ქათმის კვერცხზე დიდი არ ივარგებს, ჰარმონია დაირღვევა და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება გამოუცდელ კლიენტს, თითქო კარტოფილის სუპს მიირთმევდეს და არა შესანიშნავ აღმოსავლურ კერძს). კარტოფილთან ერთად ქოთანში ჩავუშვებთ კარგად გარეცხილ ალუჩას და მარილს. როგორც კი ქოთანი თუხთუხს დაიწყებს, ჩავუმატებთ მომცრო, ოთხკუთხედ ნაჭრებად დაჭრილ ძველ ხახვს და ოთხი-ხუთი ამოსუნთქვის შემდეგ ყოველივე ზემოჩამოთვლილს დავურთავთ წვრილად დაჭრილ ღუმას, მარილს გემოვნებით და სანელებლებს.

ამ დროს, როცა ქოთანი თავისთვის თუხთუხებს ზომიერ ცეცხლზე, ჩვენ ვამზადებთ ზაფრანის ნაყენს: ფიორ ზაფრანას დავასხამთ ას გრამ მღულარე წყალს და ნაყენიც მზადაა. თითოეულ

ქოთანს საუზმის კოვზით უნდა ვამზადებთ როთ ზაფრანის ნაყენი. ამის შემდეგ ქოთანი ღუმელის კუთხეში უნდა გავწიოთ, რათა უმნიშვნელო ცეცხლზე დასრულდეს ხარშვა. ბულიონი ოდნავ ყვითელი და გამკვირვალე უნდა იქნას, ვითარცა ლიმონის წვენი. არმატი ისეთი აღმოხედვის ქოთნიდან, რომ ნერწყვისდენა ველარ შევიჩერო, ვიდრე არ შევექცევი გემოზე.

გამზადებული ფითი იმავე ქოთნით მოგვერთმევა, რაშიაც დამზადდა, კოხტა, წელში გამოყვანილი ქოთანი დონიჯ-შემოყრილი შემოგვექვრის: ჩქარა გამანთავისუფლე თუ ღმერთი გწამსო. ქოთანს თიხის ჯამიც უნდა ახლდეს, რათა ფითი ქოთნიდან ჯამში გადმოიღო და ისე შეექცე. იქვე უნდა იდგას სამიოდე თავი გარჩეული ხახვით შემკობილი საუზმის პატარა თეთრი თეფში და პატარა, სამარილესნელა ჭურჭელი სუმანის ზევიდან მოსაყრელად.

ფითი სეზონური კერძი არ გახლავთ. ზამთარ-ზაფხულ შეიძლება მისი მირთმევა. თუ შემოდგომაზე მივირთმევთ ამ შესანიშნავ საჭმელს, ქოთანში ჩავუმატებთ ცოტაოდენ კომშსა და წაბლს. ამ შემთხვევაში ალუჩის დამატება საჭირო აღარ იქნება.

ხომ გეამათ ყოველივე ზემოჩამოთვლილი? გეამათ! დამერწმუნეთ, რომ ჩვენც ამ აზრისა გახლდით, როცა სიცხისაგან გადამდნარ რომელიღაცა თიხისფერსა და თიხით ნაგებ ჭვარტილიან პაწაწასადილოს წინ, არარაობადქცეულ ჩრდილში გამოდგმულ ღურ-ალუმინის მსუბუქ, თანამედროვე მაგიდებზე დამხობილები ფითის შევექცეოდით.

აუპ, რა ფითი იყო!

მზისა და ღუმელის სიცხით გამოზუგულ სამზარეულოში შოლტივით მკვირცხლი, შავგვრემანი, ჩენი ხნის ბიჭი დაბზრიალებდა და საამო, ნაზი აზერბაიჯანული გალობით გვემსახურებოდა. ცხელი ფითის შემდეგ რვა ტიქა მუქი ჩაი



გამოვცალე და ისე შევეთვისე ამ პატარა სასადილოსა და ირგვლივ გამეფებულ უზომო სიციხეს, რომ მაგიდიდან ადგომა აღარ მინდოდა.

ქვემოთ, მდინარის პირას მდვარ ერთადერთ ტირიფთან, სიციხისაგან გავიწმინდებული შვიდი-რვა სული ცხვარი ერთმანეთს ეტყნებოდა და დაკვლის მოლოდინში ერთ მხურვალე ნაკვთად ქცეუ-

ლიყო. პოი, რა რეგენი პირუტყვი! წყლისპირზე ყოიან და წყალში ჩასვლა აზრადაც არ მოსდით-მეთქი! ფიქრე.

სანამ მზე კარგად არ გადავიდა, მანამდე დავრჩით ამ პატარა და შესანიშნავ საჩაიე-საფითეში; დიდი მადლობა შევიწირეთ აქაურობას და „სინდბადი“ თავქვე დავატურეთ.

## შვიარაღებული ომგადახდილი

რამდენიმე დღეა მოვცურავთ და ნელ-ნელა ირგვლივ გამეფებულ სილამაზე-საც ბზარი ეპარება, სულ უფროდაუფრო მცირდება ტყიანი ნაპირები და მატულობს სტეპი. თუმცა ჯერ კიდევ შორსაა მტკვრის ხეობის გაქოსავება, ჭალე-ბი ჯერ კიდევ დიდია.

ქალაქზე სიმღერას უმატა თენგიზმა: „ვეტომ გოგორდე, დობრიხ ლიუდეი“... — ღიღინებს, ხანაც სტვენით გამოთქვამს რწმენას, რომ „ფათერაკე-ბით“ აღსავსე ჩვენს მგზავრობას როცა იქნება მოეღება ბოლო და ტკბილმოუბარი ხალხის ლამაზი დედაქალაქი გულში ჩაგვისუტებს. პავლე ბაყუბაყდევიქსაც ფეხი უფრო მეტჯერ აქვს ჩაყოფილი მტკვარში, ვიდრე ნიჩაბი. ვანო გაჩუმებულია, არც სიმღერით გამოხატავს განწყობილებას და არც უმოქმედობით. ფრენბურთის გუნდის წვრთნის დარდი მაინც აღელვებს ივანეს, ამის გამოცნობა მხოლოდ მე შემიძლია. თენგიზი და პავლე ამ საკითხიდან მოშორებით ტივტივებენ.

— შარი შური, შარი გოგდი, ბაქოშია შუქურ მაქო, გოგო შუშანაო, — ვლიღინებ გუნებაში.

ჩემი დამოკიდებულება მოძმე რესპუბლიკის მშენიერი დედაქალაქის მიმართ არც წუთიერია და არც გუშინდელი. ჯერ კიდევ ბავშვობის დროიდან მსმენია ამ ჭეშმარიტად აღმოსავლური ქალაქის ავ-კარგის შესახებ; ჩემი ნათესავები, ბიძაშვილ-გვარისკაცები სწავლობდნენ ბაქოს ერთადერთ ქართულ

საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ ომამდენ ზაფხულობით ჩემი ბიძაშვილი ბიქე-ბი ნუგზარა, ალე და სოსო ცხინვალში ჩამოდოდნენ მამა-პაპეულ სახლში არდადეგების გასატარებლად და ათას ამბავს გვიყვებოდნენ ამ ქალაქზე; ოცეწლის წინათ ნახსენებ მათ მისამართს: „პალუხინადგეცატვოსემ და ტელეფონ-ნაიაპიატ“-ს ლექსივით ვამბობ დღესაც, ათეული წლების შემდეგ. სხვებისათვის უცხოა ეს ტაეპი. ერთ ზაფხულსაც ვილაც უცნობი, თეთრკაბიანი და თეთრბაფთებიანი, საოცარი სილამაზის თეთრი გოგონა ჩამოიყვანეს მათ. არც-თუ დიდი ხნის გადმოსული იყო გოგონას ოჯახი ბაქოში ლენინგრადიდან, მაგრამ გულითად ურთიერთობაში იყვნენ ბიძის ოჯახი და ლენინგრადელები. ისეთი მოძრავი და ნაზი, ისეთი წესიერი და ანგელოზივით მიმზიდველი თეთრი პეპელა ჩამოიყვანეს ბიძაშვილებმა დასასვენებლად, რომ მთელი ზაფხული მათ კარმიდამოს არ მოვცილებდნენ, სულ მასთან ვთამაშობდი. ცხინვალის ჯაგებ-ბარდებში დახორკლილი და გაველურებული, მეთოთხმეტე წელში გადამდგარი ჩემი არსება საოცრად დაწვეწა და გაანაზა ამ ანგელოზური სულისა და გარეგნობის პატარა ქალიშვილმა. გვეგონებოდათ ბალეტსა ცეკვავსო, ისე დაქვრივლებდა თეთრი ქოჩებით და მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ სიხმარს არა ვყვები, ეკლესიის გუმბათზე აირბინა და ჩამოირბინა ერთ იისფერ საღამოს. ჭინკა არ ყოფილა. უამრავი მისი ტოლი ქა-

ლიწვილივით, უეცრად ფოთოლს რომ მოწყვეტენ და ღებვას დაიწყებენ ხოლმე. ჭინკობით არ მოსვლია მას ეკლესიაზე ასვლის სურვილი. იგი როგორღაც უხმოდ, პეპელასავით მახსოვს აფრენილი გუმბათზე...

ეკლესია კი გვჭონდა საკარმიდამოზე, ერთი პატარა ქვევრიც იყო ჩაგდებული ჩვენს მარანში, სამთავარანგელოზო ქვევრი, მაგრამ ისე იყო მირღვეულ-მორღვეული და მიღღაფნულ-მიღღაწილი ჩვენი ეკლესია, რომ მასზე ასვლა არამცთუ არ შეიძლებოდა, არამედ გუმბათიც კი არსად გააჩნდა, თანაც ისეთი მოხდენილი გუმბათი, ზედ აფრენილი თეთრი პეპელა რომ თვალწინ მიდგას.

მერმისსაც ჩამოვიყვანთო, — განაცხადეს ბიძაშვილებმა და მთელი წელი ეელოდნენ შემდეგ ზაფხულს. მარტონი ჩამოვიდნენ მეორე წელს, სისხლის გათეთრებით დაიღუპაო ქალიშვილი, მეტრევილი არცა ჰყავდათ უბედურ მშობლებს...

მახსოვს, ჩემი უფროსი მამიდაშვილი დაგვსვამდა ხოლმე მე და ჩემს ძმას, დაგვიდგებოდა წინ და „უსახლკაროს“ კითხვით გვადრიალებდა. თვითონაც ცრემლში იხრჩობოდა ჩვენთან ერთად. მაშინ ჭერ არ შეგვეძლო კითხვა, რაღაც პირველ კლასებში ვსავსავებდით.

1952—53 წლების ზამთრის არდადეგებზე ჩვენი უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი ალექსანდრე ნასიძის დირიჟორობით ბაქოს გაემგზავრა, რამდენიმე კონცერტი ჩაებატარეთ, შესანიშნავი მომღერლები და მოცეკვავენი გვყავდა და ტაში არ დაგვკლებია. ერთი დიდი ბანკეტიც მოგვიწყობა ბაქოს უნივერსიტეტმა. ბანკეტის შემდეგ კონსერვატორიაში უნდა გაგვემართა კონცერტი და „ნახევარ ბოთლზე მეტს ნურავინ დალევსო!“ — თვლების ბრიალით გაგვაფრთხილა დირიჟორმა. ბაქოს უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლექტორი იყო თამადად და ბიჭი იყავ და არ დაგვლია! სულ რაზ, დგა, ტრის ძახილით გვაცლევინა ჩაის ჭიქები, თანაც არეული ღვინო იყო. სხვადასხვა მარკის ბოთლები ახან-

დალდნენ ფლავ-ფლუვებით გახიზნილებულ მაგიდაზე.

კონსერვატორიაში გამართულმა კონცერტმა უზომო მხიარულებაში ჩაიარა, სიცილ-ხარხარი და ტაში არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა. თავოტისტები შუა სიმფონიაში შემოფრატუნდნენ სკამების ბრაგუნითა და დაკვრა-დაკვრით. ღვინით დამბალ ფრაკს იგლეჯდა ეს ღმერთივით კარგი კაცი, ჩვენი დირიჟორი.

საითაც არ ვაიხედავდი, ზეთისხილის ხეები იყო გამწყრივებული, სხვა ხესათუ მცენარეს ნაკლებად წააწყდებოდა თვალი ბაქოში.

მას შემდეგ ერთიანად გადაიჭრა ქალაქის გათანამედროვეებისა და გამწვანების საკითხი.

შემდეგ კი მოსწავლეთა კონტიგენტი ძალზე შემცირდა და განათლების ორგანოები იძულებული შეიქმნენ სკოლა გაეუქმებინათ...

მესამე მოგზაურობისას შვიდი დღის და შვიდი ღამის დიდმა ღელვამ აფშერონის ნახევარკუნძულზე გამრიყა. დანარჩენი მოგზაურნი ერთიანად შთანთქა თვალუწვდენელმა ზღვამ. გონიხილი ვეგდე ქვიშაზე და თვალი რომ ვავახილდე, თავქვეშ რაღაც მაგარი ნივთი ვიგრძენი, ბოთლი გამოდგა, თავდახუფული ნახევარლიტრიანი. დახუფულ ბოთლში რაღაც სულიერი არსება დაწრიბინებდა. კარგად რომ დავაკვირდი, ნახევარციდა, პატარა ქალი შევიცანი, კოჭებამდე ნაწინავეში იყო ჩაწნული. „გამიშვი და ბედსა გწევო!“ — ამოაწვდინა ბოთლში მომწყვდეულმა პატარა ჭინმა ხეწუნა-მუღარა. გამოცილილი მოგზაური ვახლავართ და ცთუნებას არ ავყევი. ვიდრე ბოთლი სამშობლოში არ ჩამოვიტანე მშვიდობით ვადარჩენილმა, მანამ არ გამოხსნია. დავაძრე თუ არა ბოთლს საცობი, ბოლმა დაფარა ჩემს ირგვლივ ყოველი და როდესაც ბოლი გაიფანტა, ჩემი მეუღლე იდგა ჩემს გვერდით. და მას შემდეგ იგი ბოთლში აღარ ჩამიძვრენია, თუმც დამიპირებია კია ბევრჯერ!

ამის შემდეგ მრავალჯობს გაემგზავრებულვარ ბაქოს, ცოლოურში.

შემდეგ იყო და „თეთრი ქარავნის“ გადამღებმა ჯგუფმა ექვსი თვე ბაქოში გაატარა; ფილმის ზღვისპირა და ქალაქის სცენები ბაქოსა და მის მიდამოებში გადავიღეთ. ყოველივე ამის შემდეგ იმდენად მახლობელი და ნაცნობი გახდა ჩემთვის აზერბაიჯანის დედაქალაქი, რომ საკუთარ დედა თბილისში ველარ ვარჩევ!

ჯერ მხოლოდ გზის მესამედი გვაქვს გავლილი, ხვალ, ნაშუადღევს, უნდა შევერწყყათ მინგეჩაურის წყალსაცავს, ასე გვაქვს ნაგარაუდები.

მზე ჩასაღალზეა. მარცხნივ ტყეა, მარჯვნივ — ველი. დადლილები ვართ, პუჩოცა გვშია. ღამის გასათევ ადგილს ვათვალეებ.

— სალამ ალეიქუმ, გურზინი. ასთანავი პარახოდ, არბუზ ფაქუშაემ, დინიუ სლათქუიუ ფაფრობუიუ. ისქანდერ ფროსით ვას, ისქანდერ უფაყაიეთ ზემილიაქოვ! ასთანავი ფარახოდ, ბრათია გურზინი, უ ისქანდერა ი ბარან იესთ. ი ქაზლიონოქ იესთ, რადნიქოვუიუ ვოდუ ფაფოთუ, ქაქ ბუმაგუ-ლავაში ფაქუშითუ, ისქანდერ ხოჩეთ სვამი ფაგავარით, ფაბესედოვათ. შამაიაქუ ნალავით სქოლქო უგოდნო, სქოლქო ნადო, ეშხო რაზ სალამ ალეიქუმ! — ორი საზამთრო გადმოადგაფუნა მუდარადქცეულმა აზერბაიჯანელმა მასპინძელმა ნაპირიდან მტკვარში და კიდევ ერთხელ გვესროლა მძივივით ასხმული სალამი.

იცოცხლეთ, დათოფილებივით ვიშვირეთ ფეხი ნავიდან და სულ „ალეიქუმ სალამის“ ძახილით ავიღეთ ის მცირე აღმართი, რომლის ქედზეც ეს ჭეშმარიტად სტუმართმოყვარე აზერბაიჯანელი გადმომდგარიყო მოპატიყედ.

ცეცხლი იღველფება კარვის წინ. აქაიქ გოგირდის ალი ციაგებს ლურჯად და დროდადრო ვახველებთ. მე, პავლე, ვაწო და თენგიზი საჭმელს შევექცევით პირქვედამბობილ „სინდბაღზე“. ჩვენს წინ, ცეცხლს იქით, ისქანდერის თვალეები ანთია ცეცხლივით. ფეხმორთხმითა ზის ისქანდერი და ათას ამბავს გვიყ-

ვება. ფრონტზე ყოფილა სამამრლო ომის დროს ისქანდერი და ახლაც თეთრი ჰკილია მხარზე. ახლა იგი უკვე მთავის საზამთროს ფართობს დარაჯობს.

— გოგირდს რაზე ახრჩოლებთ, მოკვდი ხველებით. — ილიმება ისქანდერი.

— გველი რომ არსაიდან შემოგვიძვრეს ბანაკში, იმიტომ ვახრჩოლებთ, ჩემო ისქანდერ, თორემ განა ჩვენ კი გვინდა ხველა და ქუში?

— ყოველ საღამოს ოთხი გველი შემოსრილდება ხოლმე ჩემს კარავში ღამის გასათევად. აგერ, თუ გინდა ახლაც წამომყევით, გაჩვენებთ.

— გველმა სიბრძნე იცის. შავი ყავა მიართვით ისქანდერს!

პავლე ყავით სავსე ფინჯანს უწვდის. ისქანდერი ჯერ უარზე დგას, მერე ართმევს ფინჯანს.

— რამდენი კაცი გეყოლება მოკლული, ისქანდერ? — ვეკითხები და ყავას ეხვრიბავ.

ისქანდერმაც მოსვა ყავა.

— აბა რა ვიცი, ხელჩართული ბრძოლა არ ჰქონია ჩვენს ნაწილს, ისე კი რას გაიგებთ. მოკალი თუ არა.

— როგორ, ისქანდერ, თოფს ხომ ესროლი?

— აი, მაგალითად ქერჩში, ცა და დედამიწა გაწითლებული იყო ცეცხლითა და სისხლით. სანგრიდან თავის ამოყოფა უთაოდ დარჩენას უდრიდა, რომელ დამიზნებაზე მელაპარაკები, ისე ვისროლით თოფს.

— მაინც რაზე ფიქრობდით ისეთ წუთებში, ისქანდერ? — არ ვეწვები მე.

— ცეცხლისა და უძილობისაგან ისე გვექონდა ტვინი გადამდნარი, რომ ბევრი ფიქრის თავი აღარ იყო.

ასე ვსაუბრობთ კარვის წინ და ნესეგითა და საზამთროთი გაზრდილ მუცლებს ყავითა და არყით ვიპატარავებთ. დროდადრო გადმოიღებს მხრიდან თოფს ისქანდერი და სიბნელისაკენ დააგრიოლებს — ბაშტანში არავინ გადმომეპაროსო.

— ქერჩშიაც ასე ვუბათქუნებდი, —

ილიმება ისქანდერი და ახალ საზამთროს ფატრავს. ვჰამთ და ქერქებს მტკვარში ვისვრით. ბარე ორი-სამი საათიც იქნება, რაც ამ დღეში ვართ. ჩვენი დახარული საზამთროს ქერქები ალბათ უკვე მინგეჩაურს უახლოვდებიან.

— ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ერთხანს ჭრილობებს ვიშუშებდი, — განაგრძობს თბრობას ისქანდერი, — მერე ცოლ-შვილს მოვეკიდე და ვცხოვრობ ჩემთვის...

ერთხელაც სხვა რაიონში მიმავლინეს ჩვენი კოლმეურნეობის საქმეებზე. ავტობუსში ერთ მგზავრს დავაკვირდი, საოცრად ჰგავდა ეს სავსებით უცხო ახალგაზრდა კაცი ერთ ჩემს თანამებრძოლს: ცხვირით, თვალებით, ფერით.

ერთი სიტყვით, მსგავსებაზე რამდენი ვილაპარაკო, როცა თავისი სხეულის არც ერთი წვეთით არ განსხვავდებოდა იგი ჩემი მეგობრისაგან. გადავჭექი მის გვერდით და ვეკითხები: ამა და ამ კაცი-სა რა ხარ-მეთქი? ჯერ შეკრთა, ალბათ იფიქრა, ვაითუ რაიმე დანაშაული აქვს მამაჩემს ბრძოლებში ჩადენილიო და უარი მტკიცა, არავენაც არ არის ის კაცი ჩემიო. მთელ გზას ვეჩიჩინე, დავამშვიდე და ბოლოს გამოტყდა, იმ კაცის შვილი ვარო. აბა გიყვარდეთ ჩემი სიხარული, ვკოცნე და ვკოცნე. შინ წამიყვანა, მეგობარი მაჩვენა. ახლაც დიდი მისვლამოსვლა და მეგობრობა გვაქვს, — ილიმება ნასიამოვნები ისქანდერი და ზოლ-ზოლად დაჭრილ ნესეს გვთავაზობს.

— ახლა უფრო საკვირველ ამბავს ვამბობთ, — გვაიმედებს ღიმილში ჩაკარგული ისქანდერი და ჩვენ ველარ გვხედავს, ისეთი შინაგანი ხედვით იმსჯელება მთელი მისი არსება. კიდევ ერთი ფრონტელი მეგობრის გასაოცარ აღმოჩენაზე გვიამბობს ამჯერადაც.

მარილწყარილ ნესეს ვაყოლებთ ისქანდერის მოყოლილ კიდევ ერთ გასაოცარ ამბავს.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ისქანდერს ასე აღმოჩენილი მეგობრების არც მისამართი და არც სადაურობა აღარ ახსოვს და მხოლოდ მოულოდნელი აღმოჩენებით პოულობს და ცნობილობს.

— ერთ ოჯახში გავათიე ღამე, ცხენის საყიდლად ვიყავი ჩასული იმ ქალაქში და ღამის გასათევად შემიკედლე. ვზივარ კუთხეში და საოჯახო ალბომს ვათვალიერებ. უცებ ნაცნობ სახეს ვხედავ, სამხედრო ფორმაში გამოწყობილს. ვიცანი ჩემი მეგობარი, ბელორუსიის ფრონტზე ვიბრძოდით ერთად.

— ამ კაცს ვიცნობდი, — ვამბობ და თითს ვადებ.

— საიდან? — მეკითხება შავებით მოსილი ოჯახის დიასახლისი.

— ფრონტიდან ვიცნობდი, — ვამბობ მე.

— როგორი იყო? — მეკითხება აღელვებული დიასახლისი.

— ორი ხალი ჰქონდა ზურგზე. შაური-ანისხელა ორი ხალი.

— კიდევ? კიდევ რა ნიშანი ჰქონდა?! — ზეზე წამოიჭრა დიასახლისი, იგივე ჩემი მეგობრის მეუღლე.

— ორივე ფეხის ნეკა-თითები მოკრუნჩხული ჰქონდა, — კვლავ ვეუბნები და ახლა უკვე მე ვღელავ, ფრონტზე დაიღუპა ვაჟკაცი, ვაითუ არ იციან და რომ მკითხონ — რა ვუპასუხო-მეთქი. ქალი ტირილით მომვარდა:

— სად არის? როგორ არის? — მეკითხება საწყალი.

— დაჭრილი იყო, ერთად ვიწვექით ჰოსპიტალში, ჩემზე უფრო მსუბუქად იყო დაჭრილი, — ვამშვიდებ მე. იმდენი ვეჩიჩინე, რომ დავარწმუნე, ნამდვილად ცოცხალი იქნება-მეთქი. ნეტა კი ცოცხალი იყოს და სადაც უნდა იქ იყოს და რამდენი ცოლიც უნდა ჰყავდეს, ოღონდ კი ცოცხალი იყოს და არაფერს აღარ დავეძებო.

კიდევ დიდხანს ვისხედით ცეცხლის პირას, ვვარშობდით და ვმუსაიფობდით; გულუხვი და გულღია ისქანდერის ლაპარაკს ვუგდებდით ყურს. დაკარგული თანამებრძოლების აღმოჩენათა მთელი წყება გვიამბო. კაცი იფიქრებდა. ისქანდერს ამ საქმისათვის ვადაუდგია თავიო. არადა, ერთი კაცი ნამდვილად არ ეყოფოდა ამ საპოვნელა-საქმეს. ამ საუბარში არც საზამთროს დარაჯობა ავიწყ-



დებოდა ჩვენს მასპინძელს, დროდადრო გამართავდა ხოლმე თოფს და ბეთქავდა უკუნეთს. ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ მხოლოდ ისქანდერის თოფის ბათქველა გვეღვიძებოდა, ხოლო მისი გასათოცარი ამბების თხრობისას კი გვეძინა. დაღლილები ვიყავით და რა გვექნა? ვერც ისქანდერს ვეუბნებოდით მოსმენაზე უარს და ვიყავით ამ გასაჭირში. ბოლოს თვითონაც შეგვატყო მძინარობა და ღამე მშვიდობისათო, — დაგვემშვიდობა და წავიდა, — დილაზე აღრე მოვალ, საზამთროსა და ნესვის მოგიტანთო, — გამოგვძახა სიბნელიდან.

პავლემ გააცილა მცირე მანძილზე. უკან რომ მობრუნდა, გვითხრა: ისქანდერმა მითხრა, სადღაც მინახხარ და ვერ კი გავიხსენე თუ სად და როდის შემხვედრინხარ, ისე კი ძალზე ნაცნობი, სულ ახლობელი ადამიანის იერი გაქვსო.

— თვალში მოუხვედი კარგი ფეკაცო და ძმობა დავიპირა, თორემ სად ეშმაკებში უნდა ჰყავდე ნახახი, — მივუგე პავლეს, ნამცეცებიტა და მარილით დინავიანებულ „სინდბაღზე“ გავიშოტე,

ნავის გადაბერტყვის თავიც კი აღარა მქონდა.

მეორე დილას უთენია ვვეწინდით, ისქანდერი და რამდენიმე ცალი საზამთროც ჩამოგვიგორა ნავში. მისამართები გვთხოვა, იქნებ როდისმე ჩამოვიდე თბილისში და გინახულებთო. თბილისში ბინა არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა, მაგრამ გვეუხერხულა და ჩვენი თბილისელი ნათესავების მისამართები ჩავუწერეთ ისქანდერს უბის წიგნაკში, თუ მშვიდობა და აღრიცხვაზე აყვანას ბანის მიღებით დაადგა საშველი, უეჭველად გავუგზავნი ისქანდერს ჩემს ნამდვილ მისამართს, ჯერჯერობით კი დეიდაჩემის მისამართით დავამაყოფილდეს!

ისქანდერს დიდი მადლობა შევწირეთ მასპინძლობისათვის, დავემშვიდობეთ და თავქვე დავაცურეთ „სინდბაღი“. სადაც არ გავიხედავდით, სულ საზამთროსა და ნესვის ქერქები მიტივტივებდნენ მტკვარში.

მინგეჩაურამდე ჩავგაცილეს ისქანდერას საზამთროებმა და ნესვებმა, მერე კი თვალს მიეფარნენ.

## განხეთქილებასთან მიახლოება

მინგეჩაურის ზღვას ვუახლოვდებით. როგორც მერე გამოვარკვეით, მინგეჩაურის ზღვა არის დიდი ტაშტი, სადაც რამდენიმე მდინარე ერთად ირევა. მტკვარიც ამ ფაფაში იხარშებდა, რალა თქმა უნდა, შემდეგ მთელი ეს ნარევი მინგეჩაურის ტურბინებში იცრება. და საგუბარს იქით უკვე მტკვარი აღარაა, თუმცა მას კვლავინდებურად არაბული სახელი — ქურრა ანუ Кыра ჰქვია. ხარი ხართან დაბიო, ანდაზა რომაა თქმული, ასე ემართება არსიანიდან მომავალ მდინარეს, მინგეჩაურის ზღვას უახლოვდება და თვითონაც განზე იწევს, ფართოდება, სატახე ჯაგებსა და ბალახ-ბულახშია გაბლანდული, ერთ ადგილზე ბუყბუყებს. ვითომ გაიგეთ და მეც ზღვა ვარო. კალოში რომ წყლით გაავსო და ზღვა დაარქვა, საკმარისია, — თეთრი

თოლიები მაშინვე იქ გაჩნდებიან, იქაც სასეა ამ ოხერ-ტილით სივრცე! თავის დღეში რომ არ დამიჭერია და არც სხვისი დაჭერილი მიხილავს, აი, იმოდენა შამაია ამოათრია ერთმა თოლიამ და სანამ თოფს გავმართავდით, დამალვა მოასწრო.

იხვების გუნდმაც გადაგვიარა რამდენჯერმე, მაგრამ სათოფე მანძილი არ დაუცავთ და თოფი არ გვისვრია. ნიჩაბს მე და ვანო ვუსვამთ, პავლე და თენგიზი ისვენებენ. უკვე მეორე დღეა, რაც მორიგეობა დავაწესეთ. ხან მე და ვანო ვუსვამთ ნიჩბებს, ხან პავლე და თენგიზი.

ბევრს ვფაფხურობთ მე და ვანო, მაგრამ ამ უმოძრაობაში ორი ნიჩბით ვერასა ვხდებით. მინდა ბიჭებს ვუთხრა, რომ გაერთიანებული ძალებით დავცხოთ-

მეთქი, მაგრამ რამდენჯერაც არ მივიხე-  
დავ უკან, იმდენი სძინავთ, განცხრომაში  
არიან. ჩვენი მორიგეობის საათი ჯერ არ  
გასულა და დროზე ადრე რომ ვუთხრა,  
არც ეგ მინდა. არადა ცხელა. ჩვენი „სი-  
ნდბადი“ ლამის მთლად გაჩერდეს.

— მოუსვი, ვანო, ხომ ხედავ, სულ  
შენკენ ბრუნდება ნავი! — შენიშვნას  
ვაძლევ ვანოს, მაგრამ რატომღაც არც  
ვანოზე მოქმედებს ჩემი ნათქვამი; ერ-  
თი-ორს გააქნევს ნიჩაბს ცოტა მძლავ-  
რად და მერე ისევ ნარნარ ნიჩბოსნობა-  
ზე გადადის. „შენც, ბრუტოს?!“ —  
ვღრიალებ გულში და უფრო მეტად ვი-  
ხრები წინ, ნავის ცხვირისაკენ, რათა მე-  
ტი წყალი გამოვხაზო ჩემი მხრიდან და  
წინ კი არ წავიყვანო ამით ნავი, არა-  
მედ ვანოსაკენ შევებრუნო. „რომ გაბ-  
რახდება, უფრო გაიჩრება“ — ვფიქრობ  
გულგასიებული.

— სალამ ალეიქუმ, პრავილნო პლი-  
ვიომ?! — შევეხმაურე უცნობ მენავეს.

— პრავილნო, ტოლკო ვსიო ვრემია  
ბლიეე ბერეგუ დერეიტე, ათო ეთო მინ-  
გეჩარ. ნი თაქ ფროსთო! — დაგვარივა  
მეთევზემ და მოგვშორდა.

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასას-  
რული, მოგეხსენებათ და, პავლემ და  
თენგიზმაც ინებეს თვალის გახელა, თუ-  
მცა ისე უგულოდ უსვამდნენ ნიჩბებს,  
რომ ვატყობდი, ასეთი იწილობიწილო-  
თი შორს ვერ წავიდოდით. ავდექი და  
მეც განვაგრძე ნიჩბის მოსმა, მორიგეო-  
ბას აღარ გავყვევი. მარჯვენა ფრთაზე  
ორნი ვნიჩბოსნობთ, მარცხენაზე — ერ-  
თი, ნავი მარცხნივ იღრიცება და ვანოც  
იძულელებულია საქმეში ჩაერთოს.

გაშლილ ტბაში გავედით, ნაპირს რა-  
ტომღაც მოვცილდით. სიო ქარში გადა-  
იზარდა და შემხვედრმა ქარმა ისეთი  
ტალღები წამოგვაყარა, რომ გამოცდი-  
ლი მეთევზე ნამდვილად უარს იტყოდა  
წინსვლაზე და ნავს ნაპირისაკენ შეაბ-  
რუნებდა. ნაპირი კი საძაგელია, ჭაგები-  
თა და ძეძვითაა ამოჩხორილი.

— ნაპირისაკენ გეჭიროთო, ხომ დაგ-  
ვარივა მეთევზემ, — ამბობს თენგიზა  
და სიმღერას წყვეტს.

— ნაპირ-ნაპირ შეიძლება საოპოპო-  
დეც ვერ მივალწიოთ მეთევზეთა მეტე-  
ნობას, — განვაცხადე საკმაოდ მტყუან-  
ცედ ჩემი აზრი და იმ პატარ-პატარა უკ-  
მეხობა-უთანხმოების საბადლოდ, თანამ-  
გზავრებს ზომიანე მეტი რომ აღმოაჩნ-  
დათ, ვცდილობ ჩემი გავიყვანო და ნავი  
პირდაპირი მიმართულებით ვატარო.

გადის საათი, ორი... უხმოდ ვუსვამთ  
ნიჩბებს, როგორღაც ლაპარაკისა და სი-  
მღერის იშტა დაგვეკარგა. ნაპირისაკენ  
მიბრუნებას უკვე აზრი აღარა აქვს, იმ-  
დენად შევეტოპეთ. ახლა ერთილა დაგვრ-  
ჩენია, წინსვლა, მხოლოდ და მხოლოდ  
წინსვლა და ძლიერი მოსმა.

ამ ათი წლის წინათ, როცა მინგეჩაუ-  
რის ტბა გაკეთდა, გოლიათი ხეები არ  
ამოუჩეხავთ და ახლა, წლების განმავ-  
ლობაში ფოთლებგაცვენილი და სიღამ-  
პლით გაშავებული მუხები ზეზეულა  
დამხრჩვალეხსა ჰგვანან და შემზარავად  
დაგვეყურებენ მათ სიახლოვეს ჩავლილ  
ცოცხალ არსებებს. ბიბლიური წარღვნის  
სურათი ცოცხლდება ჩვენს თვალწინ.

პავლემ კვალწმინდად აიღო ხელი კა-  
ხური ანეგდოტების მეჩვიდმეტედ მო-  
ყოლაზე, არც თენგიზი მღერის „ვეტომ  
გოროდეს“, აღარც ვანო მექიშპება ნათქ-  
ვამში და აღარც მე ვეძალები ყაყანს.  
ოთხივენი ვუსვამთ ნიჩაბს მთელი ძა-  
ლით, ტალღიდან ტალღაზე ხტის ჩვენი  
უწყინარი და უენო „სინდბადი“, იგი  
არც არავის ეხუმრება, არც არავის ემ-  
დურება, მიდის და მიხტის თავისთვის.  
მას არ აღარდებს საკუთარ ტანზე ჩამომ-  
ხრჩვალი, შავად გალიბული გოლიათი  
მუხები და ჭადრები. ეს „შავი მავია“  
მხოლოდ აღამიანებზე მოქმედებს შემ-  
ზარავად და გულისმომკვლელად.

გადის კიდევ ერთი მომქანცველი, და-  
ძაბული საათი. ნეტა თუ შესაძლოა დახ-  
რჩობა ასეთ სიტუაციაში? — მეზადება  
შეკითხვა. დახრჩობა ნამდვილად არ შე-  
იძლება, მაგრამ მაინც მოსალოდნე-  
ლია! — ამ დასკვნაზე უკეთესი დასკვნის  
გაკეთება ჩემთვის შეუძლებელი ვახდა.  
აღენ ბომბარს ვერ შევეკამათები დახრ-  
ჩობისა და გადარჩენის შანსების დადგე-

ნის თაობაზე, მაგრამ ერთი ჩვეულებრივი დასკვნის გაკეთება მაინც შემიძლია: სულ მცირე უთანხმოება და ურთიერთ-ღრენაც კი საკმარისია, ჩემი აზრით, რომ ორ ადამიანში ერთს მაინც ინფარქტი დაემართოს, სული განუტევოს ზედ ნავზე და ასე, კბილებდაკრეჭილი ან პირ-მოკუმული ჩავარდეს ზღვაში და დამბრ-ჩვლად ჩაითვალოს!

აქედან მხოლოდ ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობს, რომელიც მე აღარ მეკუთვნის, ეს დასკვნა კარდეოლოგების აღმოჩენა გახლავთ.

1. იყავით ოპტიმიტები დაბადებიდანვე! (ამისათვის, მე მგონია, მშობელი დედის ოპტიმიზმიც საჭიროა).

2. იყავით გულკეთილები მიწაზე ფეხის დადგმისთანავე!

3. არ ისარგებლოთ ტრანსპორტით ქალაქში ყოფნისას! (ამას მოგზაურისათვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს).

4. არ მიიღოთ ცხიმები და ნახშირწყლები! (აქ უკვე ჭამა-ჭონებაზე კილიაო). ამ ოთხი აკადემიური რჩევიდან ჩემი საკუთარი დასკვნა მინდა მოგახსენოთ:

— დაუთმე მოგზაურობაში ყოფნისას მეგობარს ყოველი სიტყვა თუ საწადელი და დიდად ნასიამოვნები დარჩები ორი რამით:

1. იმით, რომ მეგობარზე ძლიერი ხარ, შეგიძლია აბატიო.

2. რომ შესაძლოა მეგობარმაც და-

ვითმოს და ამით სიამოვნება და სიმშვიდე გაგიათკეცლება.

ასეთი ურთიერთდათმობის გამოყენებით სიმოგზაუროდ ფეხის გადგმა შესაძლოა დამლუბველი გახდეს მოგზაურისათვის. ჯობია მეგობრის თუნდაც მცდარი აზრი გაიზიარო, ვიდრე შენი ჭეშმარიტი აზრის თავსმონხვევით დაახრჩო მეგობარი, რომელსაც იმ წამებში არ ძალუძს შენი გენიის გამოცნობა...

თანდათან ვუახლოვდებით მიზანს. როგორც იქნა გავლიეთ ლელვა და მე გულანხლილად განვაცხადე, რომ შიში ვჭამე-მეთქი. ოო, აბა ამაზე მომდგნენ მენიხენი და ერთბაშად ისეთი ყაყანი ატყდა „სინდბაღზე“, რომ უკვე დავრწმუნდი ჩემს სიმართლეში: თენგიშმა „ვეტომ გოროდეს“ — სიმღერა გააჩაღა, პავლემ — სამაიათას ხუთასჯერ მოგუსვი ნიჩაბი იმ მონაკვეთიდან აქამდეო, „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა-მეთქი“. ჩემო პავლე, — გავიფიქრე გუნებაში. ვანომაც ცივი უარი მტკიცა — ერთი წუთითაც არ გამივლია შიშით. ლაპარაკის თავი აღარა მქონდა და გავჩუმდი. ნავი ამოვათრიეთ და მშვიერ-მწყურვალნი მინგეჩაურში ჩავეყარენით. გადარჩენილი, დამბრჩვალი მუხები და ჭადრები ამოშვებულიყვნენ შორს, ჰორიზონტზე, ზღვის სიღრმიდან.

ერთი თვის წინათ ორი მეთევზე დავიღუპა ლელვამო, გვითხრეს მეთევზეებმა ნაპირზე.

### გაზრანებაი

მინგეჩაურის მთლიან გადაცურვას სამ-ოთხ დღეს მაინც მოვუნდებოდით. ამიტომ გადავწყვიტეთ საგუბარს იქით ჩავგვეშვა ნავი, მანამდე კი კიროვაბადის სასტუმრო „განჯას“ მივაშურეთ. მეორე დილით ავტობუსით ან რაიმე სხვა მანქანით უნდა გადავისროლოთ ბარგი ჰესის იქით და ნაოსნობის ახალი საფეხური უნდა დავიწყოთ.

კიროვაბადი ტურიზმის განა ისეთი რა სარტყელია, რომ სასტუმროში ვერ

მოვეწყობოთ, ვფიქრობდით სასტუმროს მოახლოებულნი, მაგრამ მომღერალი ტურისტებით სავსე რამდენიმე თავგადაგლეჯილმა ავტომანქანამ რომ ჩავვიქროლა, მაშინ კი გულმა რეჩხი გვიყო. მართლაც და დიდი გაჭირვებით მიგვიღეს პირველ სართულზე, საპირფარეშოს გვერდით.

ღმერთი გავვიწყრა და ცოტაოდენი ჩვენი ორნახალი შევიტანეთ რესტორანში, სულ თითო ბეწო გადავკარით, მაგ-



რამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა ამდენი ხნის წყალში ტივტივისა და ნერვიულობის შემდეგ და კინალამ ერთმანეთი შევატანეთ სასმელს!

მეორე დილას შვიდ საათზე ავდექი და ცივი წყლით ჩამოვიბარსე გაჯაგრული წვერი. პავლე კიდეც დიდხანს ექიდავებოდა ლოგინს, ძილისაკენ აპირებდა მიბრუნებას, მაგრამ ვერ მოახერხა და ახლა იგი შეუდგა პარსევას. თენგიზმაც დააგვიანა ადგომა, ვანომ ხომ ძლივს დაგვაყენა საშველი.

— გვიანდება, ბიჭებო, გამგზავრება. დროზე! — ვემუდარები. ისაა უნდა გავიდეთ ქალაქში, რომ ახლა ვანომ მოინდომა წვერის გაპარსვა. დალაქთან გამოიჭიმა და თმის შესწორებაც მოსთხოვა.

მერე იყო და პავლემ შეუშვირა ზურგი მხეს, ზედ სასტუმროს წინ, მოედანზე. ისე გაყუჩდა სითბოთი და ქალაქის ცენტრალური მოედნის თვალიერებით, რომ ადგილიდან დაძვრას აღარ აპირებდა. პავლეს თენგიზი ამოუდგა მხარში. რაღაც ექვის თვალით მივაჩერდი ორივეს და თითქოს ამას ელოდნენო, ორივემ ერთად ჩაიმღერა, რომ კიროვობადიდან ბაქოში გაფრინდეთ, ნაოსნობის გაგრძელებას აზრი აღარა აქვსო!

ციებ-ცხელებასავით დამიარა ამ უსიამოვნო და მოულოდნელმა აზრმა. წლების განმავლობაში წვეთ-წვეთად და გულისფანცქალით შედგენილი მარშრუტი მეფუშებოდა. ჯერ კიდეც ორი წლის წინათ დაეიწყე ჩურჩული ამ შესანიშნავ მგზავრობაზე და კიროვობადში კი ვარდებოდა კოვზი ნაცარში. ბაქოშიაც გვინდა ხუთიოდე დღე დავყოთ და კიროვობადიდან ბაქოში გაფრენა ჯობიაო. ამა-სობაში ვანოც გამოვიდა გაპარსულ-გალამაზებული და საბაქოვედ გამზადებული. აბა იქით ვაწევა, აბა აქეთ გამოწევა! ვერ იქნა და ვერ მოვაცვლევიანე ფენი; გინდა თუ არა, ბაქოში გაფრინდეთო. გუნებაში ვაეიფიქრე, მე რომელია გარეული ტახი მნახეთ, რომ ბაქოს

პლაყებზე ტორღიალი არ მებრჩინოს მტკვარში ყურყუმელოობას, აბა, მე, მაწყენს სიდედრიანეთში ნებვირობა-შეთქე, მაგრამ რათა?! თუ ვთქვით, კიდეც უნდა შევასრულოთ, ისე რაღა ბიჭობაა?!

„არა, სკოლაში თუ ადრე არ გამოვცხადოთ, ისე არ გამოვა? — თავისას გაიძახოდნენ ბიჭები. სკოლაში, თორემ თქვენც კიბერნეტიკის გაკვეთილები გაქვთ ჩასატარებელი, ფიზკულტურის მასწავლებლები ხართ და უთქვენოდაც იბტუნავენ ბავშვები-მეთქი. არა და არაო! — ცივი უარი მტკიცეს. ასეთი განწყობილებით არამც თუ მოგზაურობის განგრძობას, არამედ განჯის დათვალიერებასაც აღარ ჰქონდა აზრი, უკან დაბრუნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. კარგით, თქვე არამზადებო, თქვენა-მეთქი, ვთქვი და შემნახველ სალაროს მივაშურე ფულისათვის, რათა დიდი ამბით წამოწყებული თაოსნობა გაფრენით დაგვევირგინებინა. გავიქეცი კიროვობადის ცენტრალურ სალაროში და მერე ისე სწრაფად ვიშოვე თვითმფრინავის ბილეთები, რომ სინარულისაგან კინალამ დავწვი პავლე და თენგიზი.

ორ სხვადასხვა თვითმფრინავზე მომცეს ბილეთები. გადაწყდა, რომ პავლე და თენგიზი პირველ თვითმფრინავს გაყვებოდნენ, ვითარცა ამ თაოსნობის წამომწყებნი, ხოლო მე და ვანო სამი საათის დაგვიანებით ავიწეოდით ზეცაში. ტაქსი ვერ ვიშოვე, სასწრაფო დახმარების მანქანა გაუფიქრე და სულ საყვირით გაიქროლეს აეროდრომისაკენ.

ჩვენი ბარგის ნახევარი შემნახველი საკანის უფალს ვაჩუქეთ. სულ თვალეზგაბრწყინებული გვართმევდა ქვაბებსა და ჯამებს, ჩაისა და ყავას, კონსერვებსა და ტყვია-წამალს განარებული შემსაკანის მოხელე. ბარგის შესანახი ფულიც გამოგვართვი-მეთქი, გულწრფელად ვთხოვე მას, მაგრამ უარი გეტყვია, როგორ გეკადრებათ, ამდენი რამე მაჩუქეთ და რა ნამუსით უნდა ავილო თქვენგან შაურებო.





დიდი და პატარა ქალაქი ერთადაა ამ შესანიშნავ ქალაქში. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩატარებულმა არქიტექტურულმა ოპერაციებმა მთლიანად გამოუცვალეს იერი ქალაქს. მინისა და ბეტონის ასობით თანამედროვე გრანდიოზულმა თუ მცირე შენობამ და მხატვრის ფუნჯმა ერთიანად გააღამაზა ბაქო.

ზღვის ნაპირისაკენ მიჯრილ ქალაქის ცენტრს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ვასდევს სანაპირო ღია პარკი, ვენეციისმაგვარი არხებითა და ხიდებით დაქსედილი; ფართო ხეივანებითა და ზედმოდგარი თეთრი გემებით დამშვენებული.

ზღვაში ჩამდგარ მარგალიტის რესტორანში ორაგულის მწვადს მოგართმევენ მაშარაფით ან ლიმონის წვენი, სანაპიროზე სიარულით დაღლილი მამედ-ალის საქაბაბეში ჩახვალ და ქაბაბის მორთმევამდე მარტო სუნიც დაგათრობს. ჩვენსავით კატლეტივით ქაბაბს კი არ შემოგატყუებენ, არა, ცვრით გაქლენთილ, წვნიან ქაბაბს მოგართმევენ სუმახითა და ხახვით და, კარგი სტუმარი ხარ და, რაგინდ ნასაუზმევიც არ იყო, გაუძეღ ცთუნებას! საქაბაბედან ამოსული უძველესსა და უმაღლესს — ქალწულის კოშკს ჩაუვლი და შესანიშნავი ფერებით აჭრელებულ კაფე „ნარაგისში“ შეხვრებავ ცხელ შავ ყავას და ნაყინით ან სხვა გრილი სასმელით მიმოიგრილებ მოთენთილ სხეულს. მცირე ფიჭვის შუამდეგ რომელიმე კინო-თეატრში შეხვალ ან დახუნძლულ ბაზარზე ნაყიდი შავლაქიანი საზამთროთი აღჭურვილ-შეიარაღებული პლაჟზე გავარდები და, საზამთროსავით ვაბერილი, გვიანობამდე იტივივებ კასპის ტალღებზე.

ქალაქის მრავალ ადგილს სიამოვნებით ვიგონებ: სადაც არ გავიხედავ, ლამაზი და მრავლისმთქმელი კადრები ამოძრავდება, კადრები, რომელთა უმრავლესობა არ შესულა იმ ორიათას ექვსას

მეტრ კინო-ფირში, რითაც შეიქცა ჩვენი „თეთრი ქარავანი“.

გურამ ლორთქიფანიძე, იმედა კახიანი, ელდარ შენგელია, თამაზ მელიავა, გიზო გაბესკირია, დოდო აბაშიძე, ტიტო კალატოზიშვილი და სხვა ყმაწვილკაცები გახლდნენ გმირები ბაქოში გატარებული შესანიშნავი დღეებისა.

მზე ჩასავალზეა, ცენტრალურ პროსპექტზე, კინო-თეატრ „ნიზამის“ წინ, ასფალტი საგანგებოდ დაუსველებიათ და დროდადრო კვლავ ასხურებენ წყალს სარწყავი მანქანები. აპარატზე მიჰყვებილი ტიტო კალატოზიშვილი რაღაცას ღრიალებს და ილანძღება. მილიციელს ტრანსპორტის მოძრაობა შეუჩერებია გადამღები ჯგუფის თხოვნით. ერთმანეთზე მიჯრილი მანქანები წამდაუწყებლად საყვირს იძლევიან, არ იციან, თუ წინ კინოს იღებენ და გზის გაკაფვას ითხოვენ...

სასაუზმოდ შევდივარ სასტუმრო „ინტურისტის“ კაფეში, ბიჭები ძალზე აქებდნენ, „კატლეტი პო-კიევსკი“ შესანიშნავი აქვთო. შევდივარ და თავისუფალ ადგილზე ვჯდები, სვეტის გვერდით მდგარ მაგიდასთან. ჩემს წინ ერთი ადგილი დაკავებულია; ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის მსუყე ქალი შეეჭმევა ცარიელ შავ ყავას. მოვუჩქეი თუ არა მაგიდას, ქალს მივესალმე და მაღიანობა ვუსურვე. გამიღიმა, მომესალმა და აგრეთვე მისურვა მაღიანობა. იცოცხლე, დავცხე პირველ-მეორე-მესამეს! რომ მოვრჩი, გამასავით გავიმეორე კიდევ ერთხელ.

ამ ამბავში რომ ვარ, ნაცნობი სიცილი შემომესმა. მივიხედე, გურამ თიქანაძე და ჩენი კინოს ბიჭები დავინახე კუთხის მაგიდაზე. გურამს ფოტო-აპარატი ჰქონდა მომარჯვებული. ჩემი და ჩემი შემთხვევითი თანამეინახის მათკენ მიხედვა და ფოტო-აპარატის ჩხაკუნის ერთი იყო: — ყველაფერი აპარატშია მოყუჩებული, კარგ პურ-მარილს თუ არ იკისრებ, სათანადო მისამართით გავიგზავ-

ნით ფოტოს საჩუქრად, — იცინის გუ-  
რამი.

— აბა, აბა! ეგეთები არ იყოს! — ვი-  
ლრიჭები და ვატყობ, რომ ჩანგალზე  
ვარ.

— არა, უპურმარილოდ არაფერი გა-  
მოგვია! — თავს აქეთ-იქით აქნევს იმე-  
დაც.

გარეთ გამოვდივარ. მეცინება.

— ვინ არიან? — მეკითხება ჩემი თა-  
ნამეინახე.

— ჩვენი კინო-მუშაკები არიან, მსახი-  
ობები, — ვუთხარი მე.

— უნდა გავცნო ჩემთვის ისინი.

— როგორ არა, გამეცნო! — ჩავილულ-  
ლულე ჩემთვის.

— რა ბრძანეთ?

— სხვა დროს იყოს. — ვუთხარი და  
დავემშვიდობე.

რვა მარტია, ქალთა დღეა, გურამ თი-  
კანაძე ყიზლარში წავიდა, კაფეში გადა-  
ღებული ფოტოები ბიჭებს დაუტოვა და  
იმდენი მიტრიალეს იმედამ, გურამმა და  
რამაზ შარაბიძემ, რომ ორმოცი მანეთი  
დამახარჩინეს ქალთა დღეს „ინტურის-  
ტის“ შესანიშნავ რესტორანში. გურამ  
ლორთქიფანიძემ იქ სიმღერა თქვა, —  
სამოცამდე მაგიდა გააჩუმა. მეორე ხმას  
იმედა ეუბნებოდა, მესამეს რამაზი და მე  
ვანერხებდით...

\* \* \*

— ალო! რა ქენით, გაიღვიძეთ? —  
ვურეკავ ბიჭებს სასტუმროში.

— მოვდივართ, ათ წუთში მანდ ვიქ-  
ნებით.

ათი წუთის ნაცვლად საათზე მეტი გა-  
დის ბიჭების გამოჩენამდე. ეზოში აყფ-  
და დახლადფურთა ძაღლი და შარვალგა-  
მოგლეჯილმა პავლემ შემოაღო ოთახის  
კარი.

— ძაღლმა დამგლიჯა, — იცინის ფერ-  
ნაკრავი პავლე ბაყაყდევძე და ამო-  
კურთხულ შარვლის ტოტს მიჩვენებს.

— აჰა, ნემსი და ძაფი, საღამოზე ჩვე-  
ნებს უკეთ დავაკერებინებ.

— რად მინდა, მეც კარგა შევძლებ, —  
ნემსსა და ძაფს მართმევს პავლე.

ვანო და თენგიზი შემოდიან. პური,  
ძეხვი და საზამთრო მოაქვთ.

— რად ვინდობათ? საესეა მაცივარი!

— ღმერთმა ნუ გამოლიოს!

— მაგ საზამთროს პლაჟზე წავიდებთ,  
აქ ცივი ვქამოთ.

ესაუზნობთ. ოთხ დღეში ძირი გავარდა  
ჩვენი ფონდის სამ მეოთხედს; დაგვრ-  
ჩა ბილეთისა და თითო წყვილი ფესსაც-  
მლის ფული. ამოვარდა რესტორანობანა  
განრიგიდან. რამდენიმე დღის წინათ ერ-  
თი ნაცნობი კინორეჟისორი შემხვდა

ქუჩაში, რესტორანში შეგვიყვანა, პატი-  
ვი გვცა. მეორედ შეხვედრას გაფურბი-  
ვართ და სულ ფეხის წვერებზე დაცუ-  
ნცულებთ ქუჩებში, რომ ან ის, ან სხვა  
ვინმე ძველი ნაცნობი არ გამოგვიჩნდეს,  
ახლა ხომ ჩვენი ჯერია პატივისცემის...

— მაინც რა არის რესტორანი, ჰა!

— არ გავაძრო ტყავი?

— თითო წყვილი ფესსაცმელი ვიყი-  
დოთ და დაექუსლოთ სამშობლოსაკენ,  
თორემ შავად! — ვამბობ მე.

— ჰო, ვიყიდოთ ფესსაცმელები და  
დაექუსლოთ! — მხარს მიჭერს პავლეც,  
დანარჩენებიც ამ აზრისა არიან. ჰოი, რას  
შევხმატკბილდით და შევდულაბდით ჩე-  
სური ფესსაცმელების შეძენის საკითხ-  
ში!

საუზმეს ვამთავრებთ და მალაზიებში  
დავძრწით. შუადღის უკან უკვე მთელ  
ქალაქში ახალი ფესსაცმელები ჭრაპუ-  
ნობენ.

ტაქსი გავაჩერეთ და მახლობელ პლა-  
ჟზე გავწიეთ.

— ერთი საზამთრო არ გვეყოფა, მო-  
დით, გზად ერთიც ჩავიგოროთ.

— ბაზარი სად არის? — ვეკითხები  
შოფერს. ისეთი ამოიოხრა, რომ შევატ-

ყვეთ, რა გულითაც უნდოდა ბაზართან შეჩერება და ორიოდ წუთის დაკარგვა.

— რა გინდათ ბაზარში? — უგულოდ გვკითხა შოფერმა.

ბაზარი გზად შემოგვხვდა, ჩვენ ხმა აღარ ამოვიღეთ, შოფერიც გაისუსა და ას ათი კილომეტრი ასჭიმა სპიდომეტრზე.

— ერთი სიტყვა მაინც წამოსცდნენოდა, აქ გახლავთ ბაზარიო.

— შენც არ მომიკვდე.

— მეტი საქმე არა აქვს, ე ფულს მაინც ორჯერ მეტს წაგართმევს და რაში ენადღვლება.

— თუ არ მივცემ ზედმეტს?

— კი, როგორ არა, ყოველთვის მაგას ვამბობთ და!

ერთი ორიც მიუხვ-მოუხვია და მანქანა მალღობზე შედგა. ქვემოთ კამკამებდა ზღვა და ფუთფუთებდა შებრაწული პლაჟი. ერთი მანეთი და ცამეტი კაპიკი აღებუქდა მრიცხველს. ხუთმანეთიანი გავუწოდე შოფერს და ხურდას დაველოდე, ორი მანეთი მომცა მხოლოდ და ისე გახედა პლაჟს, რომ მაგრძობინა, ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა ჩვენს შორისო.

— ხურდა, ძიაჯან, ხურდაა! — ცერი და სალოკი თითი ავუცმატუნე მრიცხველის მახლობლად.

არ ესიამოვნა შოფერს, უხეშად ჩაითხარა ჯიბეში ხელი, მანეთიანი ამოიღო და უკმეხად მოგვიფილა.

რაკილა გადავწყვიტეთ, რომ ზედმეტი არ მიგვეცა, კაპიკის დატოვებაც აღარ იქნებოდა სწორი და ასეც მოვიქეციით. გამწარდა, მაგრამ რას იზამდა? ისეთი სიბრაზით დააპროწილა მანქანა უკან, რომ კარგს არას უქადადა ტრანსპორტს. მერე სიჩქარე გამოცვალა და გაზით დაახრჩო მანქანა, ისე დააწვა...

დაახლოებით სამოცდაათი მეტრის სიგანისა და ორი კილომეტრის სიგრძეზე ზღვის გასწვრივ ნემსიც კი არ ჩაიგდებდა პლაჟზე, იმდენი ხალხი მოილტვის შუადღის შემდეგ გასაგრძობლად და

დასასვენებლად. არავითარი ჩხუბი და აყალ-მაყალი, არავითარი უწესრიგობა მშრომელი მოსახლეობა ზღვისპირას ვახშმობს შინიდან წამოდებული საგზლით. ათასობით სხვადასხვა ეროვნების, სქესის, ასაკისა და გარეგნობის ადამიანი მზის ჩასვლის ბრწყინვალე სანახაობის მაყურებელია ყოველ საღამოს.

რამდენსამე ალაგას ფრენბურთი გაუხურებიათ ახალგაზრდებს, ზღვაში წყალბურთს თამაშობენ სხვანი. არც სპინინგისტები ჩაითვლებიან სპორტის მოძულეებად. წამდაუწუმ ამოაქეთ ანკესზე აფართხალებული მოყვითალო კასპიური ღორჯობები. არქიტექტორები, მშენებლები, მბურღავები, თერაპები და სპორტსმენები, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ტანადი თუ ფაშგმოკიდებული, ყველა ელტვის აქ გამეფებულ მზის მცხუნვარებას, არც ერთ ნაკვთს არ იტოვებენ მზის სხივის გარეშე. განსაკუთრებით ქერათმიანები ბრუნავენ შამფურზე წამოგებულელებივით, მათ ყველაზე მეტად სურთ ფერიცვალემა...

მხოლოდ სამი აბისინიელი ზანგი სტუდენტი ზის თეთრ საჩრდილობელქვეშ. სექტემბერი მოახლოებულია და სწავლის დაწყების წინ, რამდენიმე დღით აღრე ჩამოსულან ისინი ბაქოში. ალბათ რომელიმე ინსტიტუტში სწავლობენ. რამდენჯერაც არ მოვდივართ ზღვაზე, ისინი მუდამ საჩრდილობელქვეშ გვხვდებიან. დროდადრო შეცკვიდებიან ზღვაში, შავად დახაზვენ ზღვის ლურჯ ზედაპირს და მერე კვლავ საჩრდილობელს მიაშურებენ. ზანგებს არ უნდათ „ზაგარი“, „თიჰამას\* თავისი ფინიკიც ეყოფა!“

ჩვენ ხალხმრავალ ადგილებს ვერიდებით, კლდოვან ნაპირზე ვიხდით; აქ უკვე ყველა გვიცნობს, ვანომაც მოასწრაფრენბურთის გუნდის ჩამოყალიბება. ჩვენს მახლობლად ქვიშაზე მტკაველნახევრიანი ქერა ბავშვი იღებს „ზაგარს“. იგი მთლად დედამოზილად დადოლავს ქვიშაზე. ხანდახან ფრენბურთის თამაშს თავს ანებებს დედამისი. მივა შევილთან, აკოცებს, შესაბრაწი გოჭივით ვადააწ-

\* თიჰამა — ფინიკით მდიდარი რაიონია არაბეთის ნახევარკუნძულზე.



რუნებს და კვლავ ფრენბურთის თამაშში ებმება. დროდადრო სპინინგის ტყორცნაში გართული მამაც აბრუნებს ბავშვს ოქროსფერ ქვიშაზე.

ხუთ საათზე ჩემი სიდედრ-სიმამრნაცვალის დაეშვებიან ხოლმე თავივე კაბებივით. ზღვისაკენ მოილტვიან ორივენი და შესმატბილებულნი ტივტივებენ გარინდულ ზღვაზე გვიან საღამომდე. იტივტივონ, თუკი აგრე ძალიან უნდათ! ერთხელ იქნება, აგორდება სამაგათო ტალღა და, მერე ნახონ! განა ყოველთვის მოიტანს კოკა წყალსა რომ! დედას! მე განა დამვიწყებია ქალის მოცემა რომ

არ უნდოდათ! ხან ასე მჩხრიკეს, ხან ისე: ვინ ხარ? რა შეგიძლია? ცხვარებებს ყავლი თუ გაგეგებაო?! ერთი სიტყვით ჯვარს მაცვეს! რომ მეკითხებოდნენ, რას მეკითხებოდნენ? რა უნდა შემძლებოდა, შვიდი ფუთი მაშინაც ვიყავი და ახლაც ვარ. ოღონდ ეგ იყო, მაშინ სამი მოთხრობა მქონდა მიბარებული ჟურნალში და მათი ბედ-იბოლისა ბევრი არაფერი მჯეროდა.

ახლა აღარც სიდედრ-სიმამრნაცვალის მემდურებიან, სულ თვალბში შემომყურებენ: რა ესაიშოვნება ჩვენს ძვირფას სიძე-ბატონსაო.

### აზრინდა ჰორი, აზრინდა

სპილოს სიმშვიდე არარაობაა ვეშაბით გარინდული ვერცხლისფერი რეაქტიული თვითმფრინავის სიღინჯისთან. ახალი ფესსაცემლებით ავკრიბინდით ტრაპზე და ისეთი სიამაყით გადმოვიხედეთ თვითმფრინავის კარიდან, თითქო ოკეანე გადავცურეთ მკლაურითა და ახლა კოსმოსში ვაპირებთ ამაღლებასო. ისე ვიჯივებოდით, გეგონებოდათ მთელი ბაქოს მოსახლეობა გამოფენილიყოს ჩვენს გასაცილებლად. მერე თვითმფრინავში შევლაგდით და, რბილ სავარძლებში გადალექილნი, ფიქრებში წავედით.

განვლილ თოთხმეტ დღეს გადავავლე თვალი. შინ გაგზავნილი „სინდბადიც“ მენატრებოდა და მომავალი მგზავრობის გეგმაც მიციმციმებდა საღღაც შორს, ტვინის რომელიღაც მისახვევ-მოსახვევში.

ერთი-ორჯერ გაურკვეველი ჩაილაპარაკა ჩვენმა თვითმფრინავმა და მერე, თითქო ვეფხვმა გალია გადარღვნაო, ისე

აბლავლდა რეაქტიული და დგარა-დგური იწყო მთელმა ვეშაბმა. ერთხანს ადგილზე იტორებოდა და ბღღვირს ადენდა დემიწას ეს ანდამატი და მერე ნელ-ნელა დაიძრა წინ. ჯერ კიდევ სიმშვიდე სჭარბობდა მის დიად არსებაში და ეს უფრო ხაზს უსვამდა და ამძაფრებდა მის ძლიერებას. ერთი დიდი მონაკვეთი გაირბინა და მძლავრი ნახტომის გასაკეთებლად მიეჯაჭვა ბეტონს. ფრთების ნაწილი მიწას აფარა და მთელი ძალით ჩართულმა გოლიათმა სრული თავისუფლება მოსთხოვა ცასა და დედამიწას. მერე თითქოს თხოვნა ითაკილაო, გაუგონარივით ასწყდა ხმელეთს და ერთის ღრიანცელითა და სიხარულის კიყინით შეაფრინდა ზეცას. ერთი დიდი, ცხოვრებისხელა კამარა შეჰკრა, რკინა-ხორციანად ზეცას მიენდო და გაქრა.

მშვიდობით, ძმანო აზერბაიჯანელნო!  
მშვიდობით, შავო მარგალიტო!  
და თუ ვერ გაქო — შემინდე, ბაქო!






## ქუთაისი ბაგრიცკი

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს შესრულდა ცნობილი რუსი საბჭოთა პოეტის ედუარდ ბაგრიცკის დაბადების 70 წლისთავი.

პოეტი ალტაეებით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას. 1919 წელს იგი შევიდა პარტიზანულ რაზმში; წერდა სააგიტაციო ლექსებსა და მოწოდებებს.

1926 წელს ბაგრიცკიმ დაწერა პოემა „ფიქრები ათანასეზე“. ეს ნაწარმოები ასახავს უკრაინაში სამოქალაქო ომის დრამატულ სურათებს. 1928 წელს გამოდის ბაგრიცკის ლექსების პირველი კრებული „სამხრეთ-დასავლეთი“. 1932 წელს კი — მეორე კრებული „გამარჯვებულნი“. იმავე წელს გამოვიდა ბაგრიცკის ლექსების მესამე კრებული „უკანასკნელი დამე“, რომელშიც მოთავსებული იყო პოემა „პიონერის სიკვდილი“.



### პოემა

ვალია, ვალენტინა,  
ეს რა დღეში გხედავ?!  
ეს პალატა თეთრი  
რად გინდოდა, ნეტავ?  
ვით ობობას ქსელი  
ლაწვკვეშ იწვის სხივი  
და ქუნთორუშის ალი  
სასიკვდილოდ ღვივის.

ხმას ვერ იღებ, სდუმან  
ბაგეები ცხელი,  
ო, რამდენი ზრუნავს  
ჯადოსნური ხელი!  
აღერსს გრძნობენ ბუძვად  
შეკრეჭილი თმები,

ვალენტინა, მითხარ,  
ასე რატომ დნები?  
ალმურია ირგვლივ  
და ბალახი შავი,  
ამ საშინელ სიცხეს  
როგორ უძლებს თავი?!  
ენის წვერთან უხმოდ  
რად ჩერდება კენესა?  
შენს წამწამებს ძილი  
რად გაურბის დღესაც?  
ძილი, ძილი, ძილი...  
კარს აღებენ — ხედავ? —  
თავზე გადვას შენი  
ცრემლიანი დედა:  
— ჩვენი ქოხი, გოგო,

ახლა მწუხრში არი...  
მოგიტანე, შვილო,  
შენი ნათელის ჯვარი.  
საოჯახო საქმე  
მიგდებულა არი,  
ტალახი დგას ქოხში,  
შინ შემოდის ღვარი.  
ქათმებს არვინ ამწყვდევს,  
ღორებს არვინ უვლის  
და მშიერი ძროხა  
გამწარებით ზმუის.  
ნულარ ამბობ უარს —  
მომამორე ჯვარი:  
დაიკიდე მკერდზე  
შენი ნათელის ჯვარი!

ღედის დამტყნარ ლოყას  
წვავს ცრემლებს ნამი...  
პალატაში დგება  
განსაცდელის ჟამი.

ბინდით მოცულ თვალებს  
ბავშვი ახელს წამით.

ბობოქრობენ ზღვები  
მოქუფრული მხარის,  
გაქლენთილა წვიმით  
შავ ღრუბელთა ჯარი.

პალატიდან მოჩანს, —  
ბაღთან, მწვანე გზაზე,  
როგორ მისდევს რაზმი  
ბიონერთა რაზმებს.  
ყელსახვევის მსგავსი  
მიჰქრის ელვის ხაზი.

წვიმის წვეთთა შუქზე  
ღრუბლის ფენებს გაშლილს  
დაეხატა თითქოს  
თავი ათას ბავშვის.  
ისმის კაშხლის ნგრევა,  
ატყდა ბრძოლა დიდი, —  
ლურჯაპერანგა ლაშქარს  
როდი აკრთობს ბინდი.

ნაღარების გრგვინვამ  
შესძრა ველი მშვიდი.

აგერ ტბასთან ახლო,  
ბალის მწვანე გზაზე,

შეკრება აქვთ დიდი  
ბიონერთა რაზმებს.

შენ ბიონერს ამდენს  
სად ნახავ და როდის?  
ბიონერთა რაზმი  
კუნცევოდან მოდის,  
სეტუნოდან მოდის,  
ნოგინოდან მოდის...

აქ კი შვილთან შფოთავს  
გულდამწვარი დედა, —  
ბავშვის ხელის გულებს  
გაცივებულს ხედავს.  
სიცხით დამწვარ ბავშვს  
მძიმე ბინდი ფარავს,  
ვალენტინა ქრება, —  
არ იცოცხლებს, არა...

— შენთვის, განა სხვისთვის,  
ვაგროვებდი დოვლათს!  
ფარჩაც გაქვს და ვერცხლიც.  
არ მოგაკლე მოვლა.  
გიკერავდი კაბებს,  
არ მეძინა ღამე,  
თავს ვიკლავდი, ოღონდ  
შემეძინა რამე.  
ლამაზსა და ძვირფასს  
გიმზადებდი მზითევს,  
რომ ქორწილში კაბას  
ეციმციმა მზისებრ.

ვალენტინა, შვილო —  
მომამორე ჯვარი:  
დაიკიდე მკერდზე  
შენი ოქროს ჯვარი!

დაე, სიტყვა მწირი  
მოდიოდეს ღვარად, —  
სიჭაბუკე ცოცხლობს  
და იცოცხლებს მარად!

წინ გვიძლოდა იგი  
ხმლით ლაშქრობის დროსაც,  
დაგვაძგერა მკერდით  
ყინულოვან კრონშტადტს.

ჩვენ მივყავდით ცხენებს  
შესახველრად მტერთა,  
გაშლილ მოედნებზე  
ჩვენ გვხოცავდნენ ერთად.

ცხელი სისხლის ტბიდან  
ჩვენ ვდგებოდით მყისვე  
და უჩინო თვალებს  
ჩვენ ვახელდით ისევ.

მეგობრობა იშვას  
ყორნისა და მხედრის,  
ფოლადმა და ტყვიამ  
აწრთოს გმირთა მკერდი,

რომ მრისხანე მიწა  
დაიცალოს სისხლით,  
რომ წამოდგეს ძვლებზე  
სიყმაწვილე ფიცხი.

ამ ერთ ბეწო ჩონჩხშიც  
გაზაფხულის ენით,  
რომ ამღერდეს მუდამ  
სიჭაბუკე ჩვენი.

ვალია, ვალენტინა,  
ხედავ, ბორცვზე მოჩანს  
პიონერთა რაზმის  
ალისფერი დროშა!

და ამ დროშის კალთა  
მზის სხივებზე ბრწყინავს,  
„მზად იყავი, გოგო!“ —  
გესმის მეხის გრვეინვა.

ამწვანებულ მდელოს  
წვიმის წვეთი ნამავს.  
ვალენტინა აძლევს  
პიონერულ სალამს.

საწოლიდან უცებ,  
სინანულის მგვრელი,  
აიწვევა მაღლა  
ბავშვის სუსტი ხელი.

„მე მზადა ვარ მუდამ!“ —  
ისმის სიტყვა წყნარი  
და ეცემა ნოხზე  
მისი ნათელის ჯვარი.

კვლავ წაერთო ღონე,  
დადგა წამი მწველი,  
ბალიშებში რბილად  
ჩაიძირა ხელი.

თეთრ პალატის ფანჯრებს  
ლურჯი სითბო ავსებს,  
ოთახს შუქი ავსებს.  
მზე კაშკაშებს ცაზე.

ბავშვს ჩაეკრა დედა,  
აქვითინდა მწარედ!  
ჩიტუნები ამ დროს  
ჭივჭივებენ გარეთ.


ყველაფერი მორჩა!

სიმღერა კი ჩქარობს.  
ამ სიმღერით რაზმი  
მიაბიჯებს, ხარობს.

და სიმღერა აღებს  
იმ სამყაროს კარებს,

გულგამლით რომ ხედება  
გაშმაგებულ ქარებს!

თარგმანი ვანო ლაფარაშვილისა.



# სომელი

ყველანი შემოეხვევიან ტახტს რომელზედაც პაეი ზის. შარლი ხალხში იმა-  
ლებს. შემოდის ქანა მარტოდმარტო, პატარა, ბრწყინვალე აბჯრებისა და ლამაზი  
ქულების ფონზე თავისი უბრალო ტანსაცმელით უფერული ჩანს. ყველანი უკან  
იხევენ და გზას უთმობენ ტახტისაკენ. იგი მზადაა მუხლი მოიყაროს, მაგრამ  
ყოყმანობს, წითლდება, უცქერის პაეს. დედოფალი იოლანდა — (ყურში უჩურ-  
ჩულებს) მეფის წინაშე პირქვე უნდა დაემხო, გოგონავ.

(ქანა დაბნეულია. მოტრიალდება მისკენ თითქმის მოწამებრივი სახის გა-  
მომეტყველებით, მერე აკვირდება ყველა იქ მყოფს, რომლებიც უხმოდ ადევნე-  
ბენ თვალს. უსიტყვოდ მიარღვევს ხალხს და მიდის შარლისაკენ. ეს უკანასკნელი  
ხედავს, რომ მას უახლოვდება, ცდილობს თავი აარიდოს, თითქმის გარბის, უნდა  
სხვებს ამოეთაროს, მაგრამ ქანა უკან მისდევს. ისიც, თითქმის სირბილით, კუთხე-  
ში დაეწევა და იჩოქებს მის წინაშე).

შარლი — (შეშფოთებული, უცებ გამეფებულ სიჩუმეში). რა გინდათ ჩემგან,  
მადმუაზელ?

ქანა — კეთილო დოფინო, მე ქალწული ქანა ვარ. ზეციერმა მეუფემ ინება  
ჩემი პირით ეთქვა თქვენთვის, რომ თქვენ გვირგვინს დაგადგამენ და მი-  
რონს გცხებენ ქალაქ რეიმსში და დაჯდებით უფლის შოადგილედ, რო-  
გორც ეს საფრანგეთის მეფეს შეჰფერის.

შარლი — (აფორიაქებული). ჰმ... ძალიან კარგი, მადმუაზელ. მაგრამ რამდენ-  
ნადაც მე ვიცი, რეიმსი ინგლისელების ხელთ არის. როგორ უნდა შე-  
ვალწიოთ იქ?

ქანა — (ისევ დაჩოქილი). უნდა დავამარცხოთ ინგლისელები, კეთილო დოფი-  
ნო! ჩვენ ჯერ ორღეანიდან დავიწყებთ და მერე რეიმსამდეც მივალთ...

ლატრემუი — (უახლოვდება). ჰო, მაგრამ, განა ყველა ჩვენს საუკეთესო  
სარდალს ეგ არა სურს, სულელო? მე ხომ ვიცი ეს, მე მათი უფროსი ვარ.  
სურთ, მაგრამ არაფერი გამოდის.

ქანა — (წამოღება). მე გამოძივა.

ლატრემუი — ეგებ გვითხრა, როგორ?

ქანა — შეწევნითა ღვთისათა, რომელიც არს ცათა შინა და რომელმაც მე გა-  
მომგზავნა.

ლატრემუი — მაშასადამე, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ღმერთმა  
გადაწყვიტა დაგვრთოს ნება ავიღოთ ორღეანი?





ქანა — დიახ, ბატონო, ავიღოთ და გავრეკოთ ინგლისელები.

ლა ტრემუი — (სიცილით). აი საუცხოო აზრი! მაგრამ ვანა მას არ შეეძლო ეცნობებინა ეს ჩვენთვის? ნუთუ შენი მოციქულობა და?

ქანა — დიახ, ბატონო.

არქიეპისკოპოსი — (მივიდა ქანასთან). ქალიშვილო... (ქანა მის დანახვაზე პირქვე ეცემა და მანტიის კალთას ემთხვევა. არქიეპისკოპოსი საკოცნელად უწვდის ბეჭდიახ ხელს და წამოაყენებს). თქვენ ამბობთ უფალს ნებავს საფრანგეთის სამეფოს განთავისუფლებათ. თუ უფალს ნებავს, ჯარი არ დასჭირდება.

ქანა — (თვალს უსწორებს). ო, თქვენო უწმინდესობავ, უფალს როდი უყვარს ზარმაცები. ბრძოლა მეომრებმა უნდა დაიწყოს, ხოლო გამარჯვებას უფალი ანიჭებს.

შარლი — (მისჩერებია შეშფოთებული, უეცრად ეკითხება). როგორ მიცანიო? მე ხომ თავს გვირგვინი არ მედგა.

ქანა — კეთილო დოფინო! ეს არააობა თქვენს ტახტზე თქვენი მოკაზმულობით, თქვენი გვირგვინით მართლაც კარგი ხუმრობაა, მაგრამ ზედვე ეტყობოდა. რომ იგი არააობაა და მეტი არაფერი.

შარლი — თქვენ ცდებით, მადმუაზელ, ეს ძალიან წარჩინებული დიდებულების შვილია...

ქანა — მე დიდებულთა წარჩინებაში ვერ ვერკვევი... მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ თქვენთან, ჩვენს ხელმწიფესთან შედარებით ის არააობაა.

შარლი — (დაბნეული). ვინ ვითხრა, რომ მე ხელმწიფე ვარ? ჩემს სახესაც არ ეტყობა რაიმე განსაკუთრებული...

ქანა — უფალმა მითხრა, კეთილო დოფინო, უფალმა, რომელმაც გაპოგარჩიათ შამითა და პაპით და მეფეთა მთელი წყებით, რამეთუ ყოფილიყავით მისი სამეფოს ფელობელნი (არქიეპისკოპოსი და ლა ტრემუი გაღიზიანებული შეხედავენ ერთიმეორეს).

არქიეპისკოპოსი — (გამოდის წინ). თქვენო უდიდებულესობავ, ამ გოგონას პასუხები მართლაც საინტერესოა და ადასტურებენ მის გონივრულობას. ასეთ სათუთ საქმეში დიდი სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო. ბრძენთა და სწავლულთა საბჭომ აუჩქარებლად უნდა დაკითხოს და გამოცადოს იგი. შემდეგ, მათი მოხსენების საფუძველზე, ჩვენ გადავწყვეტთ, დროულია თუ არა ამ გოგონას დაშვება უფრო ხანგრძლივ აუღენციაზე. დღესდღეობით კი არ არის აუცილებელი, რომ მან თავი შეგაწყინოთ. მე თვითონ ვიკისრებ მის პირველ დაკითხვას. მომეყვი, შვილო ჩემო.

შარლი — არა, არა! (შეაჩერებს ქანას). შეჩერეთ! (მობრუნდება არქიეპისკოპოსს, თან ქანას ხელს არ უშვებს, რომ მეტი გაბედულება ჰქონდეს). მან მე გამომიცნო, გამომელაპარაკა. მე მსურს მასთან მარტო დამტოვოთ.

არქიეპისკოპოსი — კი მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ, უნერხულია ასე ხელდახელ... თქვენი უშიშროებისათვის ზრუნვა...

შარლი — (ამ სიტყვებმა ცოტა შეაკრთო, მაგრამ ქანას რომ შეხედა, ისევ გამხნევდა). ჩემს უშიშროებაზე მხოლოდ მე ვზრუნავ. (იმეორებს გავეთილივით). შამითა და პაპით და მეფეთა მთელი წყებით (თვალს ჩაუკრავს ქანას). სწორად ვამბობ? (მოუბრუნდება სხვებს, მშვიდად). მიბრძანდით, მოწყალე ხელმწიფენო, მეფე ბრძახებს (ყველანი თავს ხრიან და ვადიან. შარლი წამიერად ინარჩუნებს დიდებულ პოზას, შემდეგ იცინის). წავიდნენ? გადასარევი გოგო ხარ, ღმერთმანი! პირველად დავატანე თავს ძალა, რომ ვინმესთვის ყური დამეგდო... (შესცქერის ქანას, უეცრად შეწუხებული). მაგრამ მისი გადაკრულად ნათქვამი ჩემს უშიშროებაზე ხომ სიტყუა? ჩემს მოსაკლავად ხომ არა ხარ მოსული? კაბაში დანას ხომ არ მალავ? (უცქერის, ქანა უღიმის). არა, შენ კარგი სიფათი გაქვს. ირგვლივ სულ ყაჩაღები მარტყია და დამავიწყდა კიდევ, თუ არის კარგი სიფათი. ბევრნი არიან შენებრ პირმშვენიერები ჩემს სამეფოში?

ქანა — (ისევ იღიმება. ჩაფიქრებული). კმარა, თქვენო უდიდებულესობავ!

შარლი — მაგრამ მე თქვენისთანებს იშვიათად ვხედავ. ხეპრეები, ხუცესები და კახბები, აი ვინ ტრიალებენ ჩემს ირგვლივ (ასწორებს). მართალია, ჩემი

პატარა დედოფალი ლამაზია, მაგრამ სულელია. (ისევ შეხტება ტახტზე, ფეხებს გადაადებს სახელურებზე, ოხრავს). აჰა! ახლა შენც დამიწყებ ნაწვის მობეზრებას იმის ჩიხინით, რომ მე უნდა გავხლე დიდი ხელმწიფე.

ქ ა ნ ა — (დაყვავებით). დიახ, შარლ.

შ ა რ ლ ი — (დგება, რაღაც აზრი მოუვიდა). მისმინე. ჩვენ აქ ერთი საათი მაინც უნდა ვიყოთ ჩაკეტილები, რომ იმათზე შთაბეჭდილება მოვანდინოთ, თითქოს ჩვენ... მაგრამ ვერასვებით ვერ გავიძლებ ერთ საათს, თუ შენ მარტო დმერთზე და საფრანგეთის სამეფოზე მეჩიხინე. მე წინადადება მაქვს, ამ ხნის განმავლობაში სულ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ (მოულოდნელად). ბანქოს თამაში იცი?

ქ ა ნ ა — (ფართოდ ახლს თვალებს). ეგ რა არის?

შ ა რ ლ ი — ეს ძალიან თავშესაქცევი თამაშია. მამაჩემის გასართობად მოიგონეს, როცა ავად იყო. აი ნახავ, მე შენ ვასწავლი. მე ესეც მომწყინდა ბოლოს და ბოლოს, როგორც ყველა სხვა თამაში, რადგან, რაც გავჩნდი, თამაშის მეტს არაფერს ვაკეთებ. ეს შენ ძალიან მოგეწონება. (ქეჩავს ზანდუქს). იმედია, ამას მაინც არ მომპარავდნენ. ყველაფერს მპარავენ. ბანქო კი, რომ იცოდე, რა ძვირია! იგი მხოლოდ ყველაზე დიდ ძეგლებს აქვთ. მე მამამ დამიტოვა, თორემ ბანქოს საყიდელი ფული სად მქონდა... თუ იმ ღორებმა მომპარეს... ახ, არა, აგერ არის. (ბრუნდება ბანქოთი). შენ იცი, რომ მამაჩემი გიყი იყო? ზოგჯერ მინდა ვიგრძნო, რომ მისი შვილი ვარ. მაშინ უფრო დავიჯერებდი, რომ მეფე ვარ. მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, სჯობს უკანონო შვილი ვიყო, ოღონდ იმის შიში არ მქონდეს, რომ ოცდაათიოდე წლისა მასავით ჭკუაზე შევიშლები.

ქ ა ნ ა — (დაყვავებით). შენ რომელი გირჩევნია, შარლ?

შ ა რ ლ ი — (გაოცებული მიბრუნდა მისკენ). „შენო“, მე მითხარი, თუ მომეჩვენება? რა საოცარი დღეა, რა მზიარული ამბები ხდება! მე მგონია, რომ დღეს არ მომწყინდება; შესანიშნავია!

ქ ა ნ ა — ამიერიდან შენ არასოდეს აღარ მოგწყინდება, შარლ.

შ ა რ ლ ი — შენ ავრე ფიქრობ? მეკითხები, რომელი გირჩევნიაო? იმ დღეებში, როცა ვაჟკაცურად ვარ. მიჩვენებია ერთხელ გავგიჟდე, რომ შემდეგ ნამდვილი მეფე ვიყო. ხოლო იმ დღეებში, როცა ვაჟკაცობა მალატობს, ყველაფერს მინდა ზურგი შევაქციო, ჩემი ორი გროშით მოვუსვა სადმე უცხოეთისკენ და იქ მოსვენებით ვიცხოვრო. შენ აგნესას იცნობ?

ქ ა ნ ა — არა.

შ ა რ ლ ი — (ბანქოს ურევს). ლამაზი გოგოა. არც იმასთან მწყინდება იმდენად. მაგრამ მოითხოვეს, რომ სულ რაღაცას ვყიდულობდე მისთვის.

ქ ა ნ ა — (უეცარი სერიოზულობით). დღესა, შარლ, დღეს ვაჟკაცურად ხარ?

შ ა რ ლ ი — დღეს... (ფიქრობს). ჰო, მე მგონია, რომ დღეს კი ვარ ცოტა ვაჟკაცურად: ძალიან არა, მაგრამ ცოტა — კი, ხომ თვითონ ნახე, რა დღე დავაყარე არქიებისკობოსს.

ქ ა ნ ა — ამიერიდან შენ ყოველდღე ვაჟკაცურად იქნები, შარლ.

შ ა რ ლ ი — (დაიხრება მისკენ, ინტერესით). შენ რა, რამე ხერხი იცი?

ქ ა ნ ა — ჰო.

შ ა რ ლ ი — შენ, ალბათ, ჯადო გაქვს. თუ გამანდობ, არაფერი მოგივა. ხელსაც ვერავინ გახლებს, გეფიცები, კაციშვილს არ ვეტყვი. ადამიანის წამებას ვირ ვიტან. ერთხელ ერტიკოსი ქალის დაწვა მაყურებინეს. მთელი დაძვეული მერეოდა.

ქ ა ნ ა — (ღიმილით). არა, შარლ. მე ჯადოქარი არა ვარ, მაგრამ ხერხი გიცი.

შ ა რ ლ ი — მაგ ხერხს ისე გერ მასწავლი, რომ სხვამ არავინ იცოდეს? მდიდარი არა ვარ, მაგრამ თუ მომყიდი, ხაზინაზე მიგიწერ თამასუქს.

ქ ა ნ ა — გასწავლი, შარლ.

შ ა რ ლ ი — (დაეჭვებით). უსასყიდლოდ?

ქ ა ნ ა — ჰო.

შ ა რ ლ ი — მაშინ არ მინდა. ეგ ან ვერაფერი ხერხია, ან ძალიან ძვირი დამიჯდება. უანგარო ადამიანი ყოველთვის ძალზე ძვირი გვიჯდება. (ურევს

ბანქოს). იცი, რა? მე თავს ვისულებ ხოლმე, რომ მომეშვან და მომავალ

შანა — შენ მეტად ბევრი იცი, შარლ.  
შარლი — მეტად ბევრი? მეტად ბევრი არასოდეს არ შეიძლება იცოდე.

შანა — ზოგჯერ ხდება.  
შარლი — არ დაიჯერო. ერთი ჩემს ადგილზე შენ იყო! ჩემს ირგვლივ მხოლოდ

პირუტყვები არიან, რომლებიც სულ იმას ფიქრობენ, როგორ ჩამკინ ხანჯალი ზურგში. შენ რომ ბუნებითაც ჩემსავით უსუსურო იყო, მაშინ მიხვდებოდი, რომ ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი სხვებზე გაცილებით მეტი ჭკუა გქონდეს! და ეს ასეც არის, მე სხვებზე გაცილებით ჭკვიანი ვარ, მხოლოდ ამის წყალობითაა ვძლებ ბურჯში ჩემს პატარა ტანტზე.

შანა — (ხელზე ხელს დაადებს). ამიერიდან მე შენთან ვიქნები და დაგიცავ.

შარლი — ვითომ?  
შანა — კი. აი მე ძლიერი ვარ, არაფრის არ მეშინია.

შარლი — (ამოიოხრებს). რა ბედნიერი ხარ!... (ბანქოს გამლის). დაჯექი ბაღში.

შანა — (იღიმება, ტანტის გვერდით ჯდება). კეთილი, რაკი შენ ასე გსურს, მერე მეც გასწავლი რაღაცეებს.

შარლი — რასა?  
შანა — იმას, როგორ არ უნდა გქონდეს არაფრის შიში და როგორ არ უნდა იყო ზედმეტად ჭკვიანი.

შარლი — კარგი, მოვიჩინებ, ხედავ კარტებს? მათ ფიგურები ახატია. აქ ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში: მსახურები, დედოფლები, მეფეები. ზოგსაც კიდევ პაწია გულები, შუბები ახატია. ესენი ჯარისკაცები. ჯარისკაცები ბევრი არიან. რამდენსაც გინდა, იმდენს დაარიგებ და დახოცავ. კარტი ისე უნდა დაარიგო, არ ხედავდე. კარტის მოსვლა ბედზეა — ბელი ბევრ კარგსაც შეგახვედრებს და ბევრ ცუდსაც. იწყება ბძოლა. კარტები ერთი მეორეს იმის მიხედვით იყვანენ რომელს რა ძალა და ფასი აქვს. შენი ფიქრით, რომელია ყველაზე ძლიერი?

შანა — ხელმწიფე.  
შარლი — კი, ეს ერთი უძლიერესთაგანია, მაგრამ ბანქოს თამაშში, შვილო ჩემო, არის მეფეზე ძლიერიც. მაგალითად, აი ეს კარტი. ხედავ ამ ობოლ გულს? იცი, ამას რა ჭკვია?

შანა — ღმერთი. რაღა თქმა უნდა. ხელმწიფეების მბრძანებელი მხოლოდ ღმერთია.

შარლი — (გაღიზიანებული). არა, შე კერპო! ღმერთი მოასვენე. ჩვენ ახლა ბანქოს ვთამაშობთ. ეს ტუზია. კიკოა.

შანა — რაო, კიკოო? სისულებლეა ეს შენი ბანქოს თამაში. ხელმწიფეზე ძლიერი დღის გარდა ვინდა უნდა იყოს?

შარლი — კიკო. სწორედ ტუზი. ტუზი კარტების ღმერთია. ოღონდ ყველა ბანაკს თავისი ღმერთი ჰყავს. აი ხომ ხედავ, ჯვრის ტუზი, გულის ტუზი, ყვავის ტუზი, აგურის ტუზი. ყოველ ბანაკს თითო ტუზი ჰყავს. ეტყობა. შენს სოფელში ბევრი არაფერი იციან! შენ რა, ხომ არა გგონია, რომ ინგლისელები ჩვენზე ნაკლები გულმოდგინებით ლოცულობენ? შენ გგონია. მათ არა ჰყავთ ღმერთი, რომელიც მათ იფარავს და გამარჯვებას აძლევს? ან ჩემი ნათესავი, ბურგუნდიის ჰერცოგი! ბურგუნდიისათვის მასაც თავისი საკუთარი პატარა ღმერთი ჰყავს, სულ ჩვენნაირი, ძლიან ყოჩაღი და ეშმაკი ღმერთი და ის ღმერთი ყოველთვის ახერხებს გასაჭირიდან ჰერცოგის გამოყვანას. ღმერთი. შვილო ჩემო, ყველასთან არის. იგი მსაჯია, ქულებს ითვლის. ხოლო საბოლოოდ ის მუდამ მათთან არის, ვისაც მეტი ფული აქვს და მეტი ჯარი ჰყავს. რატომ და რის იმედით მოისურვებ, რომ ღმერთი საფრანგეთის მხარეზე იყოს, საფრანგეთს რა გააჩნია?

შანა — (ხმადაბლა). იქნებ სწორედ იმიტომ რომ არაფერი გააჩნია, შარლ.

შარლი — (მხარებს აიჩიჩავს). შენ აბა, ღმერთი არ გცოდნია!  
შანა — ვიცი, შარლ, და შენზე უკეთაც ვიცი. ღმერთი მამაცთან არის, და არა



ძლიერთან, იგი მათთან არის, ვინც სხვაზე ვუღაღია. არის ამაში აზრი, ღმერთს ლაჩრები არ უყვარს.

შარლი — მაშინ არც მე ვყვარებივარ. და თუ მე მას არ ვუყვარვარ, მე ვინ ვარ? ღმერთს ვინ ვუყვარვარ? მას ხომ სულ ადვილად შეუძლია მამაცად მაქციოს. მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა.

ქანა — (შეაცრად). შენ რა, ღმერთი შენი ძიძა ხომ არ გგონია? იმას შენს გარდა საზრუნავი არავინ ჰყავს? შენ თვითონ არ შეგიძლია საჭიროები-სამებრ მოიხმარო ის, რაც ღმერთს შენთვის მოუციო? მართალია, შენ ისეთი ღონიერი ხელებით არ დაგაჯილდოვა, როგორც ბატონ ლა ტრემუის აქვს და მეტისმეტად გრძელი და გამხდარი ფეხები გამოგაბა...

შარლი — შეშინებ? კი შექმლო ღმერთს ჩემთვის ცოტა უკეთესი ხელ-ფეხი შეგხვედრებინა. ამას განსაკუთრებით ახლანდელი შოდის გამო ვგრძნობ. რომ იცოდე, ამ ფეხების პატრონს აგნესა არასოდეს არ შე-მიყვარებ. ღმერთს რომ თვალთ კარგად ვაეზოზა, წვრილ ფეხებზე ვე-ნება ბარძაყებს მაინც არ დამადგამდა...

ქანა — ამაში მართალი ხარ. ბარძაყებზე ვუღუხვობა გამოუჩენია. მაგრამ უფალმა სხვა რამეც მოგცა: შენს საძაგელ ბატარა თავში პაწაწა ღვთა-ებრივი ნაპერწკალი ჩააგდო და ის ნაპერწკალი უფალს გამსგავსებს. შენ შეგიძლია კარგადაც გამოიყენო ის ნაპერწკალი და ცუდადაც, შარლ, ამა-ში უფალი სრულ თავისუფლებას გაძლევს. შენ შეგიძლია იგი ზანქოს თამაშისთვისაც გამოიყენო და წვრილმანებში არქივისისკოპოსის გასაბამ-პულეზადაც. მაგრამ შენ შეგიძლია იმისთვისაც გამოიყენო, რომ ალა-მალღო სახელი შენი და გააძლიერო სამეფო შენი გაპარტახებული. შენ უმცროსი დედოფლისაგან ვაჟი გყავს. რას დაუტოვებ ვაჟიშვილს შენი სიკვდილის შემდეგ? ინგლისელების გამოხრულ საფრანგეთის ნაგლეხს? ნოთუ არა გრცხვენია? როცა შენი შვილი გაიზრდება, შენსავე იტყვის, ღმერთმა ჩემთვის არ მოიცალაო! სინამდვილეში კი შენ არ მოიცალე მის-თვის. შენი შვილისთვის ხომ შენა ხარ ღმერთი. შენი ვაჟის გამო პასუხს შენ აგებ. უფალმა მოგცა მეფობა, დიდი ტვირთი ვანდო. საწუწუნო არა-ფერი გაქვს. ეს უდიდესი მოწყალებაა, რისი მოღებაც უფალს შექმლო

შარლი — (კვნესის). მაგრამ რა ვქნა, ხომ ვითხარი, რომ ყველაფრისა მე-შინია!

ქანა — (უახლოვდება). მე შენ გასწავლი. შარლ. გაგიმხელ. რა ხერხიც ვიცი, ოღონდ იცოდე; არავის უთხრა, მეც ყველაფრისა მეშინია. შენ იცი, რატომ არის უშიშარი ბატონი ლა ტრემუი?

შარლი — იმიტომ რომ ღონიერია.

ქანა — არა. იმიტომ რომ ბრყვია. იმიტომ რომ ჭკუა არა აქვს. იმიტომ არ იციან შიში არც გარეულმა ტახებმა, არც ხარებმა. ჩემთვის აქ მოსვლა უფრო საძნელო იყო, ვიდრე შენთვის შენი სამეფოს აღდგენა. მე იძუ-ლიებული ვიყავი ყოველივე ამეხსნა მამაჩემისათვის, რომელსაც ეგონა, რომ ჯარისკაცების კახა ვხდებოდი. მან მცემა, იცოცხლე, მამაჩემმა ცემა იცის! ყველაფერი შედარებითია და მამაჩემის დარტყმა ინგლისელების დარტყმებზე მტკივნეულია. დედაჩემის ტირილსაც ვაუშქელი. შეუძლებ-ლად შეჩვენებოდა ბღენში ბოდრიკურის დაყოლიება: გონდაკარგულივით რომ ყვიროდა და თავი ბოროტი აზრებით ჰქონდა გამოტენილი... შენა გგო-ნია, არ მეშინოდა? შიშისაგან გული მიმდიოდა.

შარლი — მერე რა გზას დაადექი?

ქანა — მი წარმოვიდგინე, თითქოს არ მეშინოდა. ეს იყო და ეს. შარლ, შენ ხომ ერთხელ სინჯე. უთხარი შენს თავს: „მართალია, მეშინია, მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა და სხვას არავის ეკითხება. ჰოდა, დაიწყე მოქმედე-ბა“. და შენ იწყებ მოქმედებას. ხოლო თუ შენს წინაშე რამე დაუძლეველს ხედავ...

შარლი — მავალითად აღრიალებულ ლა ტრემუს...  
ქანა — თუნდაც მაგას, თუნდ ორლენანის სიმაგრეებში მაგრად ჩამჯდარ ინ-გლისელებს, ასე უნდა იმსჯელო: „რა ვუყოთ, რომ ისინი ჩვენზე მეტნი არიან. გარს სქელი კედლებიც არტყვათ, ხარბახნებიც ჩვენზე მეტი აქვთ და მშვილდ-ისარიც. დე, ასე იყოს. მეშინია, შიშით ერთხელ მაგრად ავ-



ცაცხებდი, აი, ასე და მორჩა. მერე კი, შიში რომ გამივლის, მე თვითონ  
დავცხებ“. მოპირდაპირე გხედავს, რომ არ გეშინია, მაშინ მას თვითონ  
აიტანს შიში. შენ უშინობად მათ რიგებს გაარღვევ და გაიმარჯვებ, ანაგრევს  
რომ მათზე ჭკვიანი ხარ, მათზე გობიერი და იცი, რომ შენი წილია მათთან  
ერთობე უკვე ჰამე და გაათავე. ეს არის და ეს მთელი საიდუმლო.

შარლი — მაგრამ მტერი ითუ მაინც უფრო ძლიერია?

ქანა — ეგ არაფერია, რომ სხვაზე ძლიერი იყო. მე ერთხელ ჩემს სოფელში  
ბრაკონიერი ბიჭი ვნახე. ბატონის მამულში გარბოდა და ორი უშველე-  
ბელი ძალი მისდევდა. ბიჭი უცებ შეჩერდა, დაელოდა, ეცა ყელში და  
ორივე წაახრჩო, ჯერ ერთი, მერე მეორე.

შარლი — მერე არ დაკბინეს?

ქანა — როგორ არა. სასწაული არ ხდება. დაკბინეს და მერე როგორ! მაგრამ  
მან მაინც თავისი ქნა, ძაღლები მაინც დაახრჩო. იმ ძაღლებს პატარა ბრა-  
კონიერზე გაცილებით მეტი ძალა ჰქონდათ. მაგრამ უფალმა ადამიანს მის-  
ცა ის, რაც მას ცხოველზე ძლიერს ხდის. ამიტომაც პატარა ბრაკონიერი  
შეჩერდა, შიში დაძლია და თავის თავს უთხრა: „მეყოფა, შიში გავათავე.  
ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ორივეს არ გავვლდა“.

შარლი — სულ ეს არის?

ქანა — ჰო, სულ ეს არის.

შარლი — (გულგატეხილი). ეს რა ჯაღოა!

ქანა — (ღიმილით). არა, ეს ჯაღო არ არის. მაგრამ ადამიანისათვის ესეც საკ-  
მარისია. უფალი ადამიანებისაგან არაჩვეულებრივს არაფერს მოითხოვს.  
ოღონდ ადამიანი მასშივე მოთავსებულ იმ პაწაწა ნაპერწკალს უნდა მი-  
ენდოს, რომელიც თვითონ არის ღმერთი. საგნებს ცოტა ზევიდან უნდა  
უხურო. მერე კი ყველაფერი თავისთავად გაკეთდება.

შარლი — (ჩაფიქრებული). შენ გგონია, ეს სერბი ყოველთვის გასჭრის?

ქანა — ყოველთვის. რასაკვირველია, ამასთან ერთად ჭკვიანიც უნდა იყო.  
მაგრამ ამ მხრივ შენ ყველაფერი რიგზე გაქვს. ჩემმა ბრაკონიერმა ბიჭ-  
მა ის დრო შეურჩია, როცა ძაღლებმა კურდღელი დაინახეს და ერთმანე-  
თი მიატოვეს. მაშინ იხელთა და ორივე რიგრიგობით დაახრჩო. მაგრამ  
მთავარი აი რა არის: როცა შიშისაგან თავისუფლდები, გაქცევაზე აღარ  
ფიქრობ მდარისკენ შებრუნდები, ე, მაშინ შოლის ღმერთი შენთან.  
მაგრამ შენ ხომ იცი, როგორი ხასიათი აქვს ღმერთს. მას ყოველთვის ის  
სურს, რომ პირველი ნაბიჯი შენ გადადგა.

შარლი — (პაუზის შემდეგ). მაშ შენ საჭიროდ თვლი, რომ შენი სერბი ეცადოს?

ქანა — რა თქმა უნდა. ცუდა ბედის მონახებურა.

შარლი — (უეცრად დააფრთხობს თავისივე გაბედულება). ზვალ იყოს.  
მომეცი დრო, მოვემზადო...

ქანა — არა, ახლავ, შენ მზადა ხარ.

შარლი — მაშინ დავუძახოთ არქივებისკოპოსსა და ლა ტრემუის, ვეტყვი, რომ  
შე შენ განდობ არმიის სარდლობას და ვნახოთ როგორ დაეჭლახებთ  
ცხვირ-პირი.

ქანა — დავუძახოთ.

შარლი — მეშინია, შიშით ვიგულები.

ქანა — რაეი ეგრეა, ყველაზე დიდი სიძნელე გადალახულია, ახლა მთავარია,  
იმით გამოჩენისას აღარ გქონდეს შიში. მართლა ძალიან გეშინია?

შარლი — (მუცელზე ხელს იჭერს). მეშინია და მერე როგორ!...

ქანა — მაშინ საქმე კარგად არის. შენ იმათ ღაასწარი. იმათ რომ შიშის ზა-  
რი დაატყდებათ, შენ შიში დაძლიეული გექნება. მთავარია, სხვაზე უწინ  
დაძლიე შიში და ისიც ბრძოლის წინ. აი ნახე. ვეძახი (მიღის სიყენის სიო-  
რმეში. ეძახის). ბატონო არქივებისკოპოსო, ბატონო დე ლა ტრემუი! მის  
უდიდებულესობას, ბატონ დოფინს სურს თქვენთან ლაპარაკი.

შარლი — (პანაქურად ყვირის, ფეხებს აბრახუნებს). ვაი, რა მეშინია! უი,  
რა მეშინია!

ქანა — მიდი, მიდი შარლ. უფრო მეტად, რაც ძალი და ღონე გაქვს!

შარლი — (კბილების რაკენით). ამაზე მეტად აღარ შემიძლია!

ქ ა ნ ა — მაშინ ყველაფერი რიგზეა. ღმერთი შენ გიციქვრის, ელიმება და ამბობს „შარლს ეშინია, მაგრამ მაინც ეძახის“. ერთ კვირაში ორღეანი ჩვენიაქნება, ჩემო ბიჭო.

(გამოდიან გაცებული არქიებისკობოსი და ლა ტრემუი).

არქიებისკობოსი — ჩვენ გვეძახით, თქვენო უდიდებულესობავე?

შარლი — (უკანასკნელად შეავლებს თვალს ქანას. სულმოუთქმელად). დიას. მე გადაწყვეტილება მივიღე, თქვენო უწმინდესობავე, გადაწყვეტილება, რომელიც თქვენც გეხებათ, ბატონო ლა ტრემუი. მეფის არპიის სარდლობას მე ვავალებ აქ მყოფ ასულს (ყვირილით განაგრძობს). ხოლო თუ თქვენ ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით, ბატონო ლა ტრემუი, გთხოვთ მზობით თქვენი ხმალი. თქვენ დაპატიმრებული ხართ! (ლა ტრემუი და არქიებისკობოსი აღვილზე გაქვავდნენ).

ქ ა ნ ა — (ტაშს შემოჰკრავს). ყოჩაღ, ბატარა შარლ. ხომ ნახე, რა იოლი ყოფილა! შენ მაგათ სიფათებს შეხედე!... არა, შენ მხოლოდ შეხედე მაგათ სიფათებს! შიშისაგან კვლებიან! (ხარხარებს. შარლიც ხარხარს იწყებს. ორივენი ხელებს ირტყაყენ ბარძაყებზე, ვაშემებულ არქიებისკობოსსა და ლა ტრემუის უცქერენ და ვერ იოკებენ სიცილს. ქანა იჩოქებს). მადლობა შენდა, უფალო!

შარლი — (ისიც იჩოქებს და უყვირის). დაიხოქე, ბატონო ლა ტრემუი! დაველოცე, არქიებისკობოსო, ოღონდ ჩქარა. ჩვენ არ შეგვიძლია წუთის დაკარგვა!... ახლა, როცა ყველამ საკმაო შიში გავიარეთ, წინ, ორღეანისკენ!...

(თავსარდაცემისაგან გაოგნებული ლა ტრემუი მუხლებზე ეშვება, დაბნეული არქიებისკობოსი დაუფიქრებლად იწყებს დალოცვას).

ვარვიკი — (სცენის სიღრმეში დაიწყო სიცილი და კომონთან ერთად წინ მოდის). სინამდვილეში მთლად ასე როდი იყო. საფრანგეთის მეფის კარზე საბჭო თათბირობდა, დიდხანს წონიდნენ და მსჯელობდნენ, რა ნაბიჯი უნდა გადაედგათ და ბოლოს, ვითომ ხალხის ხმას დაუჯერეს, გადაწყვიტეს ქანა ღრომად გამოეყენებინათ. ერთი სიტყვით, ქანა ერთგვარ თილისმად იქცა იმისათვის, რომ უბრალო ხალხი გაებრუებინათ და სასიკვდილოდ წაერეკათ. ხოლო ჩვენ, ინგლისელები, ჩვენს ბიჭებს იერიშის წინ ჯინის სამძვავ ულუფას ვაძლევდით, მაგრამ მაინც არ სჭრიდა. იმ დღიდან სტრატეგიის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ დაგვცხეს და შემოგვიტყეს. ამბობდნენ, თითქოს არავითარი ქანას სასწაული არ ყოფილიყოს. რომ ორღეანთან ჩვენი პოზიციები უნიჭოდ იყო გამაგრებული და საჭირო იყო მხოლოდ იერიშის დაწყება, რაშიც ადვილად დაარწმუნეს არმანიაკების ჯარის შტაბი. ეს ტყუილია. სერ ჯონ ტელზოტი ბრიყვი არ იყო და თავისი ხელობა კარგად იცოდა. ეს მან დაამტკიცა ორღეანზე შეტევის წინააღმდეგ და შემდეგაც. თეორიულად მისი სიმაგრების ქსელი აუღებელი იყო. ამის გარდა, სამართლიანიც უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ ბრძოლებში რაღაც უჩინარი ძალაც ერიო. დაე, ეს ღმერთი იყოს, თუ თქვენ ასე გსურთ, თქვენო უწმინდესობავე. შტაბები ღმერთს ანგარიშს არასოდეს არ უწევდა... თუ გნებავთ, ეს იყო ტოროლა, რომელიც ჯარისკაცებს თავს დამღეროდა საფრანგეთის ციდან. პირადად მე, თქვენო უწმინდესობავე, ძალიან მიყვარს საფრანგეთი. ამიტომ ჯაფრი მომკლავს, რომ დავკარგოთ. საფრანგეთი განსაზიერებულია ამ წმინდა წკრიალში. პაწაწა ტოროლას ამ მხიარულ და უაზრო სიმღერაში, როცა ფრთოსანი ცაზე, მზის სხივებში წაშით ჩერდება და გულში სასიკვდილო ისარი ხვდება. ეს არის ყველაზე ძვირფასი, რაც საფრანგეთს აბადია. განა საფრანგეთს ცოტა ჰყავს ბრიყვები, უნიჭოები და არამზადები? მაგრამ ღროდადრო მის ცაზე გამოჩნდება ხოლმე ტოროლა და მათ არსებობას გვაფიწყებს. მე ძალიან მიყვარს საფრანგეთი.

კოშონი — (ხმადაბლა). ჰო, მაგრამ თქვენ ხომ მას კლავთ.

ვარვიკი — აღაშინა წინააღმდეგობათაგან არის შექმნილი, ბატონო ეპისკობოსო. ჩვენ ხშირად ვკლავთ მას, რაც გვიყვარს. მე, მაგალითად, ცხოველებზე ვკოყვები და ამავე ღროს ნადირობისთვის ჰქუას ვკარგავ. (უცებ მკაცრ სახეს იღებს. წამოდგება, ფეხსაცმელებზე სიკვს ირტყამს, ორ ჯარისკაცს ანიშნებს). ტოროლა გაება. კომპიენის მახეში მოხვდა.

ისტორიის უბრწყინვალესი ფურცელი გათამაშებულია. შარლსა და მის/კარს ჟანასკენ არც მიუხედავთ, ისე მიატოვეს თილისმა, რომელსაც თითქოს ბედნიერება აღარ მოაქვს მათთვის და ძველ. ნაცად პოლიტიკაში უბრუნდებიან.

(მართლაც, შარლი, ლა ტრემუი და არქიეპისკოპოსი წამოიღვნენ, თვალი აარიდეს და გაეცალნენ ჟანას, რომელიც დაჩოქილი განაგრძობს ლოცვას. შემდეგ ჟანა წელში გაიმართება, გაოცებულია, რომ მარტო-მარტო დარჩა და შარლი დამნაშავეის სახით მიდის. წამოიღება. გუმავს გაჰყავს ჟანა).

კოშონი — (უყვირის, ხაზს უსვამს მომხდარ ამბავს). შენი მეფე გტოვებს, ჟანა. რატომ ჩიუტობ. რატომ იცავ მას? შენ გუშინ წაგიკითხეს ყველა ქალაქში დაგზავნილი მისი წერილი. ამ წერილით მან გილაღალა და გაცუა.

ჟანა — (პაუზის შემდეგ, წყნარად). მაგრამ ის მეფეა ჩემი.

შარლი — (ჩუმად არქიეპისკოპოსს). ისევე ამ წერილს გვაყვივდებიან.

არქიეპისკოპოსი — (ჩუმად). წერილი აუცილებელი იყო, სირ. ახლანდელ გარემოებაში საფრანგეთის საქმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაკავშირებული ჟანას სახელთან.

კოშონი — კარგად მომისმინე, ჟანა, და ეცადე, გამიგო. შენი მეფე ჩვენი მეფე როდია. ყველა წესის მიხედვით შედგენილი ხელშეკრულების ძალით ჩვენი მეფე გახდა ჰენრი მეექვსე ლანკასტერელი — მეფე საფრანგეთისა და ინგლისისა. აქ ჩვენ პოლიტიკური პროცესი არა გვაქვს. ამ წუთას ჩვენ გვინდა, ჩვენი სინდისის კარნახს დავემორჩილოთ და რაც არ უნდა მოხდეს, დავუბრუნოთ გზაბნეული ცხვარი წმინდა ეკლესიის წიაღს. მაგრამ ჩვენ მაინც აღამიანები ვართ, ჟანა. ჩვენ ჩვენს თავს ვფვლით მისი უდიდებულესობის ჰენრი მეექვსის ერთგულ ქვეშევრდომებად. ჩვენმა სიყვარულმა საფრანგეთისაღმე — ისეთივე დიდმა და ისეთივე გულწრფელმა, როგორც შენი სიყვარულია, გვაძულა ვცნოთ ჰენრი მეექვსე ჩვენს უმაღლეს მმართველად, რათა საფრანგეთმა აღადგინოს დანგრეული, მოიშუშოს ჭრილობები და ბოლოს და ბოლოს თავი დააღწიოს ამ საშინელსა და დაუსრულებელ ომს, რომელმაც სისზლისაგან დაცულა იგი. არმანიაკების ამაო წინააღმდეგობა, ვისაც შენს მეფეს უწოდებ, მისი სასაცილო პრეტენზია ტახტის მიმართ, რომელიც მას არ ეკუთვნის, ამბოხი და ყაჩაღური მოქმედება თითქმის მიღწეული მშვიდობიანობის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს გაიგე, რომ ტიკინა, რომელსაც შენ ემსახურებოდი, ჩვენი მბრძანებელი არ არის.

ჟანა — რამდენიც უნდა ილაპარაკოთ. მაინც ვერაფერს გახდებით. ღმერთმა ეს მეფე მოგცათ. რა ვუყოთ, რომ გამხდარია. გრძელი ფეხები აქვს და ვეება ბარძაყები...

შარლი — (არქიეპისკოპოსს ჩუმად). ბოლოს და ბოლოს, ამის მოსმენა ჩემთვის უსიამოვნოა.

არქიეპისკოპოსი — (მიჰყავს იგი, ჩუმად ეუბნება). მოთმინება, სირ. ესენი სწრაფად ჩაათავებენ პროცესს, კოცონზე დასწვავენ ჟანას და ამის შემდეგ მოვიხვენივით. დამეთანხმეთ, რომ ინგლისელებმა სამსახური გაავიწყის, როცა თვითონ იკისრეს მისი შეპყრობა და დასჯა. ისინი რომ არა, აღრი თუ გვიან, ჩვენ მოგვიხდებოდა ამის გაკეთება. იგი აუტანელი ხდებოდა. (გადიან. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდებიან და ხალხს შეუმჩნეველად შეერევიან).

კოშონი — (განაგრძობს). შენ ხომ უგნური არა ხარ, ჟანა. შენ ეს ბევრი კანდიერი პასუხით დაგვიმტკიცე. წუთით შენი თავი ჩვენს აღვილას წარმიოდგინე. როგორ გინდა ამდენმა ხალხმა აღამიანური გაგების მთელი სიღრმით აღიაროს, რომ შენ გამოგზავნა ღმერთმა იმ საქმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. როგორ გინდა დავიჯეროთ შენი ნათქვამი, რომ ხმები გელაპარაკებოდნენ და რომ ღმერთი ჩვენს წინააღმდეგ არის?

ჟანა — თქვენ ამას ნახავთ, როცა საბოლოოდ დავამარცხებთ.

კოშონი — (მხრებს იჩეჩავს). შენ პატარა კერპ გოგოსავით მიპასუხებ. რო-



გორც ჩვენი წმინდა საყდრის დამცველთ, შენი სიტყვების დამადასტურებელია ლაღ რა ჭეშმარიტი საბუთები გავაჩინა? იქნებ გგონია, რომ შენ პიტივენი ხარ მა გავიგონე ხმები?

- ქ ა ნ ა — (წყნარად). არა, უთუოდ არა.
- კ ო შ ო ნ ი — შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი. ნუთუ გგონია, რომ ჩვენი ეკლესია კიდევ იარსებებდა, თუ სოფლის საყდარში რომელიმე გოგოს ყოველ განცხადებას „მე წმინდანი ან ქალწული მარიამი ვიბოლე, ხმებს ვუსმინე, რომელთაც დამავალეს ამისა და ამის გაკეთება“, „კი-ურე დაიჯივრებდა და ნებას დართავდა, რაც სურდა ის ეკეთებინა?“
- ქ ა ნ ა — არ ვიცი.
- კ ო შ ო ნ ი — რასაკვირველია, არ იცი, მაგრამ შენ გამჭირაბი გოგონა ხარ და მინდა ჩემთან ერთად იმსჯელო. შენ სარდალი იყავი, ქანა?
- ქ ა ნ ა — (ამაყად გაიმართება წელში). კი. მე ვსარდლობდი ასეულობით მამაც ვაჟკაცს, რომლებიც მოწყვებოდნენ და ჩემი სწამდათ!
- კ ო შ ო ნ ი — ესე იგი სარდლობდი. და აი, ერთ დილას, შეტყვევის წინ, ერთ-ერთ შენს ჯარისკაცს რომ გავეგონა ხმები, რომლებიც მას დაარწმუნებდნენ, რომ იმ კარზე კი არ უნდა მიგეტანათ იერიში, რომელიც შენ აირჩიე, ან სულაც არ არის საჭირო იერიში, რას იზამდი?
- ქ ა ნ ა — (წამით დაიბნევა, მერე სიცილი აუფარდება). აი რას ნიშნავს, რომ თქვენ ხუცეაი ხართ, ბატონო ეპისკოპოსო. თქვენ ახლოს არასოდეს გინახავთ ჩვენი ჯარისკაცები. ის კი მართალია რომ ვაჟკაცურად იბრძვიან და უგონოდ თვრებიან, მაგრამ მათ რომ ხმები გაიგონონ...
- კ ო შ ო ნ ი — ხუმრობა პასუხად არასოდეს არ ითვლება, ქანა... მაგრამ შენ იმ წუთას მიპასუხე, როცა ყოყმანობდი და არ იცოდი, რა გეპასუხა. მამ იცოდე, რომ ეკლესია არის არმია ჯერ კიდევ ურწმუნოებითა და ბოროტი ძალებით საყვ დედამიწაზე. იგი ისევე უნდა დაემორჩილოს ჩვენს უწმინდეს რომის პაპს და მის ეპისკოპოსებს, როგორც ჯარისკაცები უნდა დაემორჩილებოდნენ შენ და შენს ოფიცრებს. იმ ჯარისკაცს, რომელიც შეტყვევის დღეს განაცხადებდა, ხმებმა მირჩიეს არ შეეტუთოთო, ყოველ არმიას, და მათ შორის შენს არმიასაც, აიძულებდნენ ხმა ჩაეკმინდა. ამას გაცილებით უფრო სასტიკად მოიმოქმედებდნენ, ვიდრე ჩვენ ვმოქმედებთ შენს მიმართ.
- ქ ა ნ ა — (მოიკრუნჩხება, თავს იცავს). მიიტყით მაგრად. თქვენ ამის უფლება გაქვთ, ხოლო მე იმის უფლება მაქვს, რწმენის უარყოფაზე უარი გითხროთ.
- კ ო შ ო ნ ი — ეცადე სძლიო მედიდურებას, ქანა. შენ ძალიან კარგად გესმის, რომ ჩვეს, როგორც აღაპიანებასა და ეკლესიის მსახურებს, არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავიჯივროთ შენი მისიის ღვთაებრივი წარმომადგელობა, მხოლოდ შენ ერთსა გაქვს საფუძველი ეს დაიჯივრო. ამას, ალბათ, შენი დალუბის მსურველი ეშმაკი გეხმარება. საუფუძველი აქვს კიდევ მას, ვისაც სურს თავისი საჭიროებისათვის გამოგიყენოს. თუმცა მათ შორის ყველაზე გონიერებს შენი არასოდეს არ სჯეროდათ. ამის საუკეთესო დადასტურებაა მათი დამოკიდებულება შენი დატყვევების მიმართ და ის, რომ შენზე ხელი აიღეს. შენი არავის არა სწამს, ქანა, უბრალო ხალხის გარდა, რომელსაც ყველაფერი სჯერა და ხელს სულ სხვას იწამებს. შენ მართლდამართო ხარ. (ქანა არ პასუხობს, სულ პაწაწინა მოჩანს მათ შორის). არ გეგონოს, შენი გაუტეხელი წინააღმდეგობა, ხასიათის სიმტკიცე, იმის მომასწავებელი იყოს, რომ ღმერთი შენს მხარეზეა, ეშმაკიც ჭიუტი და ჭკვიანი. სანამ აჯანყდებოდა, იგი ყველაზე ჭკვიანი ანგელოსთაგანი იყო.
- ქ ა ნ ა — (პაუზის შემდეგ). მე, ბატონო, ჭკვიანი არა ვარ. მე ისეთივე უბრალო სოფლელი გოგო ვარ, როგორიც ყველაა. მაგრამ შავს თუ ვხედავ, არ შემიძლია ვთქვა, რომ ის თეთრია. ეს არის და ეს.  
(ისევ პაუზა).
- მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — (მოულოდნელად ამოუდგება ზურგს უკან). რა ჯადოთი მოხიბლე მეფე, რატომ განდო მან თავისი ლაშქარი?
- ქ ა ნ ა — მე უკვე ვილაპარაკე, აქ არავითარი ჯადო არ იყო.



მთხრობელი — მოსაჯადოებლად მანდრაგორა აქამე?

ჟანა — არ ვიცი, რა არის მანდრაგორა.

მთხრობელი — შხაპით მოაჯადოვე ან შელოცვით. მაგრამ შენს საილუმინოს სახელწოდება აქვს და ჩვენ ამ სახელწოდების გაგება გვინდა. რა მითითებები შენს მეფეს შინონში, რომ უცებ გამბედაობა მიეცა? ხომ არა აქვს იმ წააღას ძველიარაული სახელწოდება? ეშპაკი ყველა ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ სხვა ენებზე ძველებრული ურჩევნია.

ჟანა — (ღიმილით). არა, ბატონო. ეს სიტყვა ფრანგულად გამოითქმის და თქვენ სწორედ ახლა ბრძანეთ იგი. გამბედაობა, აი რა ჩავუნერგე მეფეს.

კოშონი — მაგრამ ღმერთი ან, ყოველ შემთხვევაში, ის ძალია, რომელსაც შენ ღმერთს ეძახი, არ მონაწილეობდა მაგ საქმეებში?

ჟანა — (სახე გაუნათლდა). მე მგონია, ბატონო ეპისკოპოსო, რომ ღმერთი ყოველთვის მონაწილე იყო ამ საქმის. როცა გოგონა რამდენიმე გონიერ სიტყვას ამბობს და მას უსმენენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი იქ ახლავს არის. ღმერთი მფლანგველი როდია. სადაც ერთი გროშის საღირსაა აზრი კმარა, იქ სასწაულებს როდღი დახარჯავს.

ლადვენიუ — (წყნარად). აი თქვენო უწმინდესობავ, კარგი და სათნო პასუხი, რომელსაც ჩვენ ვერ ჩავიწყრთ მის წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

მთხრობელი — (წამოდგება, ღვარძლით აღესილი). ვნახით! მაშ შენ არ გჯერა საღვთო წერილის სასწაულები? შენ უარყოფ, რომ შაცხოვარშა ჩვენმა, იესო ქრისტემ სასწაული მოახდინა ქანაანში ქორწილზე? შენ უარყოფ, რომ მან ლაზარე აღადგინა?

ჟანა — არა, ბატონო, უფაღმა ჩვენმა, ალბათ, გააკეთა ყოველივე, რაკი ეს ნათქვამია მის წიგნში. მან აქცია წყალი ღვინოდ ისევე, როგორც მანვე შექმნა წყალიცა და ღვინოც. მან ხელახლა გააბა ლაზარეს სიცოცხლის ძაფი. მაგრამ სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფისათვის ეს ისევე ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო, როგორც ჩემთვის თითისტარის ტრიალია.

მთხრობელი — (ღრიალებს). გაიგონეთ, გაიგონეთ, რას ამბობს. სასწაულები არ არის!

ჟანა — არა, ბატონო, მე მხოლოდ მგონია, რომ ნამდვილი სასწაულები ფოკუსები ან თავშესაქცევი ვარჯიში როდია! ასეთებს ჩემი სოფლის მოედანზეც აჩვენებდნენ ბოშები. ნამდვილი სასწაულები ის არის, ცაში უფაღს რომ მოსწონს და სიამოვნების ღიმილს გვრის. ასეთ სასწაულებს აღამიანები ღვთისგანვე მინიჭებული ჭკუითა და გაბედულებით ახდენენ.

კოშონი — უწევთ თუ არა ახგარბშს შენს სიტყვებს, ჟანა? შენ არჩეინად გვეუბნები, რომ უფლის ჭეშმარიტი სასწაული მიწაზეა და იგი სხვა არაფერია, თუ არ აღამიანი. აღამიანი, რომელიც მთლიანად შედგება ცოდვისა, ცთომილებისა, უმეცრებისა და უღონობისაგან...

ჟანა — ...მაგრამ აგრეთვე ძალისა, გამბედაობისა და ნათელგონიერებისაგან მანაშნაკი, როცა იგი ყველაზე დაგლაზავებული გეჩვენება. ასეთები მე ომში მინახავს...

ლადვენიუ — თქვენო უწმინდესობავ, მართალია, ჟანა უხერხულად გამოთქვამს თავის აზრს, მაგრამ იგი სწორედ იმას ამბობს, რასაც გული უკარნახებს. ყოველ შემთხვევაში, მისი აზრი იმდენად გამოკვეთილი არ არის, რომ ჩვენი დიალექტიკის ფორმით წარმოვიდგინოთ. ჩვენი შეკითხვებით შესაძლებელია იგი ვაიჰულოთ იმაზე მეტი გვითხრას, რის თქმაც სურს, ან ის გვითხრას, რაც არა სურს...

კოშონი — ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად სამართლიანად შევაფასოთ უხერხული გამოთქმები მის პასუხებში, ძმაო ლადვენიუ, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ბოლომდე მიეცევიანოთ მისი დაკითხვა. ესეც არ დაგავიწყდეთ, ჩვენ არც ისე დარწმუნებულნი ვართ, რომ საქმე მართლ ჟანასთან გვაქვს. მაშასადამე, ჟანა, შენ ამართლებ აღამიანს. შენ მას თვლი უფლის ერთ-ერთ უდიდეს სასწაულად და ეგებ ერთადერთ სასწაულადაც.

ჟანა — დიან.

მთხრობელი — (გონდაკარგული ყვირის). ეს ღვთის გამობაა. აღამიანი



ტალახია, საზიზღრობაა, უხამსი მოჩვენებაა. მას ღამე სარეცელზე სხებს ცხოველური ნდომა...

ქ ა ნ ა — დიახ, ბატონო, აღამიანი ცოდავს, იგი ბიღწია, შემდეგ კი, უცებ, კაცმა არ იცის რატომ (ძალიან კი უყვარდა ამ ძალს ცხოვრება და განცხრომა), გარყვნილების სახლიდან გამოსვლისთანავე მოახტება მის წინ მიძქროლავ ცხებს, მიაქენებს უცნობი ბავშვის გადასარჩენად და ძვლებდალწილი მშვიდად ლევს სულ იგივე კაცს, რომელმაც ასე დაცხრომაში გაატარა ღამე...

მ თ ხ რ ბ ე ლ ი — იგი მხეცივით ცოდვილი, დაწყვვლილი კვდება, მღვდლისაგან უხიარებელი.

ქ ა ნ ა — არა. იგი კვდება სახეგაბრწყინებული, განწმენდილი და უფალი მას დომილით ელის, რადგანაც ორჯერ მოიქცა იგი აღამიანურად, როცა ბორბოს სხადიოდა და როცა სიკეთეს შერებოდა, ხოლო უფალმა იგი სწორედ ამ წინააღმდეგობისათვის შექმნა (ქანას სიტყვებზე ხუცესები აღწვთობას გამოთქვამენ).

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (ხელით ანიშნებს დაწყანარდითო. უეცრად წამოდგა, მშვიდა ხმით). ქანა, მთელი პროცესის მანძილზე მე შენ გაცალე ლაპარაკი, თითქმის არც მოპიცია შეკითხვები. მე მიხლოდა, რომ შენ გული გადმოგეწალა. ეს დიდხანს გავრძელდა. მოხრობელს ყველგან ეშმაკი ეჩვენებოდა, ეპისკოპოსს — წარმართებით თავბრუსხვევითი გოგოს მედიდურობა, მე კი ველოდი, რომ შენი არხეინი სიჯიუტის, შენი კერა შუბლის იქით სხვა რაღაც გამოჩნდებოდა და აი, გამოჩნდა. მე აქ წმინდა ინკვიზიციაა წარმოვადგენ, მე ინკვიზიციის ვიკარი ვარ საფრანგეთში. მისი უწმინდესობა, ბატონი ეპისკოპოსი შენ ძალიან ჰუმანურად გელაპარაკებოდა, რომ იგი ინვლისელებთან დაკავშირებულია საქმით, რომელსაც იგი სამართლიანად თვლის და რომ მისი აღამიანური გრძნობები უერთდება გრძნობებს ეკლესიის იმ მსახურისა და მეთაურისა, რომელსაც მინდობილი აქვს დაიცვას ინტერესები წმინდა საყდრისა. პირველად ჩამოვედი ესპანეთიდან, პირველად ვარ აქ წარმოვზავნილი. მე არც ინვლისელების ბანაკი ვიცი, არც არმანიაკების. ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება საფრანგეთის მმართველი, შენი მეფე თუ ჰენრი მეექვსე ლანკასტერელი. რაც შეეხება დისციპლინას, ჩვენს ეკლესიაში, რომელიც ყველაზე კეთილი განზრახვით მოქმედ სექტანტებსაც კი სდევნის და ყველას წესიერებისაკენ მოუწოდებს, მე უკვე ვეღარ ვიტყვი, რომ ამ ეკლესიის ბედი ჩემთვის სულ ერთი იყოს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს მეორეხარისხოვანი საკითხი პოლიციის სამუშაოა, რომელსაც წმინდა ინკვიზიცია ეპისკოპოსებს და მღვდლებს ანდობს. წმინდა ინკვიზიციის ვალია დაიცვას უფრო ამბოღებული და უფრო მოუწვდომელი რამ, ვიდრე ეკლესიის ამქვეყნიური ხელშეუხებლობაა. იგი აწარმოებს ფარულ, უხილავ ბრძოლას ამ მტრის წინააღმდეგ, რომლის აღმოჩენა მართო მას ძალუძს და იმ სამშობროების წინააღმდეგ, რომლის საფრთხის შეფასება მართო მას შეუძლია. ზოგჯერ მისი რისხვა თავს ატყუდება იმპერატორებს; ზოგჯერ იგი გარეგნულად უწყინარი, მსცოვანი სწავლულის ან შორეული მითიანი სოფლის მწყემსი გოგონას წინააღმდეგ. მეუფენი ამა ქვეყნისანი იცინიან, როცა ხედავენ, რამდენ ღონეს ხარჯავს წმინდა ინკვიზიცია იქ, სადაც მათთვის საკმარისი იქნებოდა თოკის ნაწყვეტი და სერჟანტის ხელმოწერა სიკვდილით დასჯის განაჩენზე. დე იცინონ, ამბობს ინკვიზიცია. მას შესწევს უხარი გამოიკნოს და ღირსეულად შეაფასოს მტერი, სადაც არ უნდა იყოს იგი. მისი მტერი რქიანი ეშმაკი, ურჩი ბავშვების დასაშინებელი საურთხობელა როდია, რომელიც ბატონ მთხრობელს უჩვენება ყველგან. მისი მტერი, მისი ერთადერთი მტერი, შენ უკვე ახსენე იგი — აღამიანია. ადექი ქანა, და მიპასუხე. ახლა მე ვიწყებ შენ დაკითხვას!

(ქანა წამოდგება, მისკენ მიბრუნდება. ინკვიზიტორი ეკითხება, ვითომ გულგრილად). შენ ქრისტიანი ხარ?

ქ ა ნ ა — დიახ, ბატონო.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — შენ მოვანათლეს და სულ პაწაწინას გზრდიდნენ შენი სახლის მოსახლვრე ეკლესიის ჩრდილში. ეკლესიის ზარების რეკით ანგა-



რიშობდნენ ლოცვისა და გარჯის საათს. თქვენს სოფელში გამოგზავნილი ჩვენმა ემისრებმა ერთი და იგივე ამბავი მოიტანეს: შენ ძალიან მეტყუარაა და სიბრალო გიყვარდა, მაინც ზოგჯერ, იმის მაგივრად, რომ სხვებთან ერთად გერბინა და გეხტუნა, ჩემად შეიპარებოდი ხოლმე ეკლესიაში და იქ დიდხანს იყავი მუხლზე დაჩოქილი, ხელთ ლოცვანიც არ გქონდა, ისე ფიქრში წასული მისჩერებოდი ფერად სარკმლებს.

- ქ ა ნ ა — დიას, ბატონო. მიყვარდა იქ ყოფნა.
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — შენ პატარა მეგობარი გოგონა გყავდა. ომეტს ეძახდნენ და შენ ის გულით გიყვარდა.
- ქ ა ნ ა — დიას, ბატონო.
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — შენ ის, ალბათ, ძალიან გიყვარდა, რადგანაც როცა ვოკულერს წასვლა გადაწყვიტე და იცოდი, რომ უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდი, ყველა მეგობარს ჩამოუარე გამოსათხოვრად, იმასთან კი არ მიხედი.
- ქ ა ნ ა — დიას, შეგებრალა, არ მინდოდა გული სტკენოდა.
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — აღამიანის არსებისადმი ეს სიბრალოე შენ ბევრის მიმართ გამოიჩინე. შენ უგლიდი ღატაკთა ბავშვებს და სნეულებს ისე, რომ ეს არაფის შეეტყო. ზოგჯერ ფეხით გაივლიდი რამდენიმე ვერსს, რათა ტყეში მიცხოვრები, ქონში ყველასაგან მიტოვებული დედაბრისათვის საძმელი მიგეტანა. ხოლო გვიან, პირველსავე ბრძოლაში დაჭრილებს ნახვამ სიბრალოელის ცრემლი მოგვეკარა და ტირილი ავივარდა.
- ქ ა ნ ა — მე არ შემიძლო მეტყვირა, როგორ იღვრებოდა ფრანგული სისხლი.
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — არა მართო ფრანგული. ორღეანთან შეტაკებაში ერთმა თავზე ხელოდებულმა ფრანგმა ორი ინგლისელი ჩაიგდო ტყვედ და ერთი მათგანი მოჰკლა, იმიტომ, რომ ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა. შენ თვალცრემლიანი ჩამონტან ცხენიდან, ბედშევის თავი მუხლებზე დაიდო, ნუგეშით უმსუბუქებდი სიკვდილის წუთებს, პირიდან ამომდინარე სისხლს უწმენდდი, მოფერებით ბიჭკოს ეძახდი და სამოთხეში მოხვედრას აღუთქვამდი.
- ქ ა ნ ა — თქვენ ესეც იცით, ბატონო?
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (წყნარად). წმინდა ინკვიზიციაში ყველაფერი იცის, ქანა, მან კარგად აწონ-დაწონა შენი აღამიანური გულკეთილობა, ვიღრე აქ გამოგზავნიდა შენს გასაამართლებლად.
- ლ ა დ გ ე ნ ი ე — (წამოდგება). ბატონო ინკვიზიტორო, მე მოხარული ვარ, რომ აქ დაწერილობით გაიხსენეთ ის, რაზედაც აქამდე დუმდნენ. დიას, ყველაფერი, რაც ქანაზე ვიცით, მისი ბალობიდან მოყოლებული, მოწმობს მხოლოდ სათიოებებს, სიხანჯესა და ქრისტიანულ გულმოწყალებას.
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (შემოტრიალდება მისკენ, მოულოდნელად, მკაცრად). გაჩემდით, ძმაო ლადვენიე. ვიმეორებ, ასლა დაკითხვას მე ვატარებ. გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ მე აქ წარმოვადგენ წმინდა ინკვიზიციას. მხოლოდ მას შეუძლია საღვთო სჯულისაგან აღიარებული ქრისტიანული გულმოწყალება განასხვავოს უგვან, საძაგელ და მღვრიე სასმელიანაგან, რომელსაც აღამიანური სიბრალოე ჰქვია... (თვალს მოავლევს ყველას). ჰოი, რა აღვილია, ბატონებო, ჩვენი გულის მოღობა. საკმაოა, ბრალდებული იყოს კეთილი, მიაშიტი პატარა გოგონა, რომელიც ფართოდ გახეულილი დიდი თვალებით გიქქერის, და თქვენ უკვე მოღბებით, მზად ხართ გაამართლოთ იგი. კარგი დამცველები კი ხართ სარწმუნოებისა. მე ვატყობ, წმინდა ინკვიზიციას ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. მას ჯერ კიდევ დასჭირდება ჩეხოს, და ერთხელ კიდევ ჩეხოს. ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, სხვები გააგრძელებენ ჩეხებას, ტყის შეუბრალებელ გამოხშირვას, რათა ტყე დავიცვათ და გადავარჩინოთ.
- ლ ა დ ვ ე ნ ი ე — (პაუზის შემდეგ). მეუფეს ჩვენსას მაცხოვარს, სწორედ ასეთი სიყვარულით უყვარდა, ჩემო ბატონო. რქვა მან: „აღსდგნენ და შეუდგნენ გზასა ჩემსა ყრმანი მცირენი“, მან დაადო ხელი მეძავს და რქვა: „ვლიდემ შევიდობით“.
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (მტეჟარე ხმით). მე თქვენ გიბრძანებთ გაჩემდით, ძმაო ლადვენიე. არადა იმულებული გავხდები თქვენთვისაც მოვიცალო. ჩვენ

გავალბებთ ეკლესიაში ქადაგებისას სახარების ნაწყვეტების კითხვას, ჩვენ მოვითხოვთ მღვდლებისაგან განმარტონ ეს ნაწყვეტები, მაგრამ განალოდნენ? მე ვთარგმნეთ სახარება უბრალო ენაზე? განა ყოველ ვიგინდარს უნდა ადამიანებთან მას ხელში? განა ბოროტმოქმედება არ იქნებოდა უბრალო ადამიანებისათვის დაგვერთო ნება სახარების ტექსტზე ემსჯელათ და თავისებურად აეხსნათ იგი მაშინ, როცა მხოლოდ ჩვენა გვაქვს მისი ახსნა-განმარტების უფლება? (დაწყნარებული). თქვენ ახლავართ ხართ, ძმაო ლადვენო, და ამდენად, ვფიქრობ, დიდსულოვნიც, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ახლავართ და დიდსულოვნება დამსახურებულად ითვლებოდეს სარწმუნოების დამცველთა თვალში. ეს საყმაწვილო სენია, რომლისაგანაც თქვენ გათავისუფლდით განსჯისაგან. სანამ ჩვენს საკრებულოში მივიღებდით, ჩვენ უფრო თქვენს ასაკზე უნდა გვეფიქრა და არა თქვენს ცოდვაზე, რომელიც, თურმე საკმაოდ ღრმაა. გამოცდილება მაღელვანაა, რომ ახლავართ და, დიდსულოვნება და ადამიანური სიბრალული მტრული ცნებებია. ყოველ შემთხვევაში, მე თქვენ ამას გისურვებთ. ეს კი იცოდეთ, რომ წინდაუხედაობაა გულუბრყვილო ხალხს ის ტექსტი მიცვლეთ, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობდით. ისინი იქიდან ადამიანის სიყვარულს შეითვისებენ. მაგრამ ვინც ადამიანს შეიყვარებს, მას უფალი არ უყვარს.

**ლ \* დ ვ ე ნ ი უ** — (წყნარად). მაგრამ უფალი ხომ განკაცდა...  
**ინ კ ე ი ზ ი ტ ო რ ი** — (შარბუნდება კომონისკენ, მკაცრად). ბატონო ეპისკოპოსო, მე გთხოვთ, გამოიყენოთ ის უფლება, რომელიც თქვენ მონიჭებული გაქვთ, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეს და დღესდღეობით უარი თქვათ თქვენი ახლავართა მსაჯულის სამსახურზე. მოგვიანებით, თუ ამის საჭიროება იქნება, მე თვითონ გადავწყვეტ, რა ზომები უნდა მივიღო მის წინააღმდეგ (უეცრად მქუხარე ხმით). მის წინააღმდეგაც და ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს! თქვენი იცით, რომ ჩვენთვის არ არსებობს მიუწვდომალად მაღალი პიროვნება. მე ჩემს თავსაც დავდებ ბრალს, თუ შეცდომას ჩავიდენ ნებითა უფლისათა (საზეიმოდ იწერს პირჯვარს). უფალმა მიხსნას და დამიფაროს ამისაგან!

(ტრიბუნალს შიშმა დაუარა).

**კ ო შ ო ნ ი** — (უბრალოდ, მობოდიშებით მიმართავს ძმა ლადვენო). მიბრძანდით, ძმაო ლადვენო.

**ლ ა დ ვ ე ნ ი უ** — (ვიდრე გავიდოდეს). მე ვალდებული ვარ დაგემორჩილოთ, ბატონო ინკვიზიტორო, ისევე, როგორც მის უწმინდესობას, ბატონ ეპისკოპოსის გემორჩილები. გტოვებთ და ვდუმვარ. მხოლოდ ჩვენს უფალს — იესო ქრისტეს ვევედრები როცა მის წინაშე მარტონი წარსდგებით, მან მოგავონოთ თქვენი პაწაწინა მტრის უმწყობა.

**ინ კ ე ი ზ ი ტ ო რ ი** — (არაფერს უპასუხებს, და როცა ლადვენო გადის, წყნარად ამბობს). რაც უფრო პატარაა ჩვენი მტერი, რაც უფრო სუსტია და ნაზი, წმინდა და უმანკო, მით უფრო საშიშია იგი (შემობრუნდება ქანასკენ და განავრძობს თავისი უვერგო ხმით). როცა პირველად ხმები გაიკონე, შენ თხუთმეტი წლისაც არ იყავი. თავდაპირველად მათ გითხრეს: „იყავ კეთილი და მორჩილი და ხშირ-ხშირად იარე ეკლესიაში“.

**ქ ა ნ ა** — დიან, ბატონო.

**ინ კ ე ი ზ ი ტ ო რ ი** — (ორაზროვნად იღიმება). ამ დრომდე შენს ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ბატონმა კომონმა უკვე გითხრა, ჩვენი არქივები სავსეა კითრეს მოხსენებებით იმის თაობაზე, რომ მის სოფელში პატარა გოგონას ხმები ესმის. ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. გოგონა, თავის საყმაწვილო დაავადებებთან ერთად, მშვიდად გადაიტანს მისტიციზმის კრიზისსაც. უკეთეს კრიზისი უფრო მოგვიანო ასაკშიაც გრძელდება, ქალიშვილი ჩვეულებრივად მიდის მონასტერში და ჩვენ წინამძღვარს გაფრთხილებთ, რათა მან შეუზღუდოს ფიქრისა და ლოცვის დრო და რაც შეიძლება მეტად მოქანცოს მძიმე სამუშაოთი: დაქანცვა — საუკეთესო წამალია და, ყოველივე ეს, ბოლოს და ბოლოს, ქრება და მშვიდობიანად მიჰყვება ჭურჭლის ნარეცხ წყალს. სხვა შემთხვევებში კრიზისი ხანმოკლეა, ქალიშვილი თხოვდება და როცა უკვე დედის კალთას ჩაფრენილი მეორე ბავშვი სჭყვივის, ჩვენ არხეინად ვართ, რადგან ვიცით, რა ხმებსაც



გაიგონებს იგი მომავალში. შენ კი კვლავ უსმენდი ხმებს. და ერთ მშვენიერ დღეს ხმებმა გითხრეს რაღაც გარკვეული, მაგრამ ციური ხმებისათვის უფლებელი.

ქ ა ნ ა — დიახ, მათ მიბრძანეს გადაამერჩინა საფრანგეთი და გამერეკა ინგლისელები.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — შენს სახლში, სოფლად, განა ვაწუხებდა ომი?

ქ ა ნ ა — არა. ჩვენთვის არასოდეს არაფერი არ გადაუწუცავთ. ერთხელ ინგლისელები ჩვენს სოფელს მიუახლოვდნენ და ავიყარეთ. მეორე დღეს რომ დავბრუნდით, არაფრისთვის ხელი არ ეხლოთ, სოფლიდან უკვე შორს წასულიყავნ.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — მამაშენი შეძლებული კაცი იყო. შენ მინდვრად მუშაობა არ გეზარებოდა.

ქ ა ნ ა — დიახ, მე ცხვრის მწყემსვა მიყვარდა. მაგრამ მწყემსი როდი ვიყავი. როგორც აქ ყველას ჰგონია (გაიმართება წელში და მიაშობი სიამაყით წარმოთქვამს). მე ოჯახის შვილი ვიყავი. მთელს რუანში ჩემზე უკეთეს მკირავსა და მქსოვდა ქალს ვერ იპოვით.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (ელმდება ამ ბავშვურ პატივმოყვარეობაზე). მაშასადამე, შენ მდიდარი და ბედნიერი ქალიშვილი იყავი. ხოლო საფრანგეთის ავტედობანი შენ მხოლოდ საღამოობით მონაყოლი ამბებით შეიტყვე. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შენ იგრძენი, რომ უნდა წასულიყავი.

ქ ა ნ ა — ასე მიბრძანეს ხმებმა.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — ერთხელ შენც იგრძენი, რომ უნდა გეტვირთა შენს ირგვლივ მყოფთა ჯვარი. და შენ უკვე იცოდი, რომ გზა შენი იქნებოდა მოკლე და სახელოვანი. მეფის კურთხევის შემდეგ მოხვდებოდი იქ, სადაც ახლა ხარ, ჩვენს შორის, მიმწყვედელი კოცონთან, რომელსაც ახლა ბაზრის მოედანთან აღავზნებენ. ნუ იცრუებ, ჟანა, შენ ეს იცოდი.

ქ ა ნ ა — ხმებმა მითხრეს, რომ მე შემობყრობდნენ, მაგრამ მერე გამანთავისუფლებდნენ.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (ღამილით). განთავისუფლება? ჯანა ეს სიტყვა (ციური ხმების შესაფერისია)? განა შენ არ გაიფიქრე, რომ სიტყვა „განთავისუფლება“ შეიძლება ნიშნავდეს რაიმეს იოლსა და ბუნდოვანს. სიკვდილი, რასაკვირველია, ანთავისუფლებს, შენ არც დედას და მამას გაუგონე, არცა დაბრკოლებებს შეუშინდი და გზას გაუღდექი.

ქ ა ნ ა — დიახ, ბატონო. ასე უნდა მექნა და ასი მამა და ასი დედაც რომ მყოლოდა, წელნებუ ფეხის დადგამაც რომ დამჭირებოდა, მაინც წავიდოდი.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — იმისათვის, რომ მოხმარებოდი შენს ძმებს, კაცებს, წმინდა კაცურ საქმეში — დეკვით ის მიწა-წყალი, სადაც დაიბადნენ და რომელიც, მათი ფიქრით, მათვე ეკუთვნით.

ქ ა ნ ა — არ შეიძლებოდა უფლოს ნებით ემარცვათ, ენოცათ და ებატონათ ინგლისელებს ჩვენს ქვეყანაში. როცა ისინი ზღვის გაღმა წაეთრევიან, თავიანთ სახლში, ისინიც ღვთის შვილები იქნებიან და მე არ წავალ მათთან საჩხუბრად.

მ თ ხ რ ო ვ ე ლ ი — პატივმოყვარეობა! შედიღურება, ნუთუ ვერ ხვდები, რომ გერჩივნა დედის გვერდით საკერავსა და საქსოვს ჯდომოდი?

ქ ა ნ ა — მე სხვა საქმე მქონდა, ბატონო, საოჯახო საქმის კი, რომელი ქალიც გინდათ, ია გააკეთებს.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — რაკი ზეცასთან, ასე ვთქვათ, უშუალო კავშირი გქონდა, შენ უნდა გცოდნოდა, რომ იქ, მაღლა, შენს ლოცვას განსაკუთრებით უსმენდნენ. შენ თავში არ მოგივიდა შენისთანა გუგოსათვის უფრო შესაფერისი აზრი — შენი სიცოცხლე ლოცვასა და სინანულში გაგეტარებინა და ამით მიგელწია ინგლისელებს განდევნისათვის.

ქ ა ნ ა — უფალს ენება, რომ ჭერ ებრძოლათ, ბატონო! ლოცვა უკვე დამატება იქნებოდა. მე ვარჩიე ამენსნა შარლისათვის, თუ როგორ უნდა დასხმოდა თავს მატრს, ეს უფრო იოლი იყო. მან დამიჯერა, სახელოვანმა დიუნუამაც დამიჯერა. ლა ირმაც, ქსენტრაიმაც, ჩემმა გააფთრებულმა ვეფხვებმა დამიჯერეს. ო, ჩვენ ერთად ბევრი კარგი ბრძოლა გადავიხადეთ. რა კარგად ვგრძნობდი თავს გარეთრახე, კეთილი მეგობრების გვერდით!

მთხრობელი — (მწარედ) იმისათვის, რომ ხალხი გეყლიტათ, <sup>ქანა</sup> უფალმა კაცის გულა გვიბრძანა?  
(ქანა არ უბასუხებს).



კოშონი — (წყნარად). გენახსებოდა ბრძოლა, ქანა?  
ქანა — (უბრალოდ). კი. ეს ერთი იმ ცოდვათაგანია, რომლებიც უფალმა უნდა მომიტევეს. საღამოს, ომის შემდეგ, მკვდრებით დაფარულ ბრძოლის ველს რომ გავცქიროდი ხოლმე, იმ უბედურების საცოდაობით ვტიროდი.

მთხრობელი — და მეორე დღეს ომა ხელახლა იწყებდი.

ქანა — ღმერთს ასე ეწადა, ვიდრე საფრანგეთში თუნდაც ერთი ინგლისელი ჭაჭანებდა. განა ეს აგრე ძნელი გასაგებია? ჯერ საქმე უნდა გაკეთებულიყო. თქვენ სწავლულები ხართ და მეტისმეტად ბევრს ფიქრობთ. თქვენ უკვე აღარ გესმით ჩემი ყველაზე რეგენი ჯარისკაცისათვისაც გასაგები ამბები. ხომ ასეა. ლა ირ?

(გგუფიდან უეცრად გამოჩნდება ლა ირი — თორ-აბჯარში ჩაჭედილი ბუმბერაზი, მზიარული, შაშის მომგვრელი).

ლა ირი — ეგრეა, მამა, ქალბატონო ქანა!  
(ყველაფერი სიბნელეში იძირება. მარტო ლა ირია განათებული. შორს გაისმის ფლეიტების მსუბუქი მუსიკა. ქანა წელი ნაბიჯით უახლოვდება, თითქოს თვალს არ უჯერებსო, ხელით ეხება).

ქანა — (ჩურჩულებს). ლა ირ...

ლა ირი — (იმეორებს გაზვიარებულ ხუმრობას). როგორაა საქმე, ქალბატონო ქანა, დილის ლოცვას მოვრჩით, ახლა, პირობის თანახმად, ცოტა ომი არ გააჩალოთ?

ქანა — (ეხვევა). ძვირფასო ლა ირ! ჩემო ბლენძო, ეს შენა ხარ? რა კარგი სუნი აგდის!

ლა ირი — (შეწუხებული). ცოტა ხანვი და წითელი ღვინო გიახელი. სულ ეს არი ჩემი საუხში. მამატიე, ქალბატონო ქანა, ვიცი გეზარება. მაგრამ დილაადრიან ვილოცე, რომ უფალს ღვინის სუნი არ მისვლოდა, როცა გევიდრებოდი... ძან ახლო ნუ მოდიხარ, ღვინის სუნი წაგაქციეს...

ქანა — რას ამბობ, საამო სუნი აგდის...

ლა ირი — ნუ დამცინით, ქალბატონო ქანა. თქვენ ყოველთვის ამბობთ, რომ წესიერ ქრისტიანს ამისთანა სუნისა უნდა რცხვენოდეს. ინგლისელებს რომ ქარის მზრიდან მივეპაროთ, მაშინვე ღვინის სუნი ეცემათ, და შენს გამო თავდასხმა ჩაიშლებაო. ერთი თავი ხანვი და ცოტაც წითელი ღვინო... სულ ეს არი... რაც მართალია, მართალია... ღვინოში კი წყალი არ გამირევიო...

ქანა — (მიხუტება). კეთილო ლა ირ, მე სულელი ვიყავი, არ მესმოდა. ხომ იცი, როგორებიც არიან გოგოები... მათ არასოდეს არაფერი უნახავთ, მაგრამ თავისი აზრი ყველაფერზე მზადა აქვთ. იმათ არ გაეგებათ, ისე ლაყბობენ. მე ახლა უკვე შევიგნე: შენ კარგი სუნი აგდის, ლა ირ, შენ ნადირის სუნი აგდის, ადამიანის სუნი.

ლა ირი — (მოკრძალებულად). რას იხამ, ომია! მეთაური კიურე როდია ან კარის ახნაური. ოფლიანდება ჩვენი ძმა. ჰოდა, როგორ გინდა ომში დაიბანო? ვინც იბანს, ის რა ვაჟაკია. ხანვზე აღარაფერს ვამბობ. რასაკვირველია, შეშემლო სხვებივით ნივრიანი ძეხვით მესაუხშია. იმას უფრო ასატანი სუნი აქვს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც ხანვის ჭამაა დიდი ცოდვა.

ქანა — (ღიმილით). არა, ლა ირ.

ლა ირი — რა ვიცი, თქვენი გადამკიდე...

ქანა — სადაც სიმართლეა, იქ ცოდვა არ არის, ლა ირ. მე სულელი ვიყავი, არ მესმოდა და ძალიან გაწვალუბდი. ჩემო დათუნია, რა კარგი სუნი აგდის — ცხელი ოთლის, უმი ხანვის და წითელი ღვინის. ეს ხომ კარგი, უწყინარი, ადამიანური სუნია, ჩემო გაბერილო დათვო. შენ მტერს ხოცავ, ივინები და ქალების მეტზე არაფერზე ფიქრობ...

ლა ირი — (უსახლვროდ გაკვირებული). მე? ჩემზე ამბობ?

ქანა — დიახ, შენ. ვითომ გიკვირს, მოხვერო, მამა აბრამის ბატკანივით თავს ნუ იკატუნებ.

ლა ირი — ნუთუ, ქალბატონო ქანა? თქვენ მაინც ასე ფიქრობთ? მიუხედა-



გად ძაღლური ცხოვრებისა, სამოთხეში მოხვედრის პატარა იმედოვნებ  
მაქვს, თუ ყოველდღე ვილოცებ, ჩვენ ხომ ასე შევთანხმდით?

ქ ა ნ ა — შენ მიგელიან, ლა ირ. მე ახლა ვიცი, რომ სამოთხე უფლის  
შენნაირი მამეცებით.

ლ ა ი რ ი — მართლა? გულახდილად რომ გთხრა, სამოთხეშიც მამაკაცებთან  
ყოფნა სჯობს. მე ცოტა ყოველთვის მარტოხედავდი იმის ფიქრით, რომ სამოთ-  
ხეში წმინდანებთან და ებისკოპოსებთან ყოფნა მომწყინდებოდა. იმათ  
უნდა ელაპარაკო...

ქ ა ნ ა — (მეგობრულად უტყაპუნებს). გაბერილო შტერო! სავსე გუდავ! ყუყუ-  
ჩო! არ იცი, რომ სამოთხე სულელებით არის სავსე? უფალმა ასე ინება.  
შესაძლოა, სამოთხეში მარტო სულელები მოხვდნენ. დიხარჩენებს, თავიან-  
თი ბიძგური თავების კარნახით იმდენი ცოდვა აქვთ ჩადენილი, რომ დიდ-  
ხანს მოუწყვეთ კართან ყურყუტი. შენი მამაკაცები კი სამოთხეში ატარე-  
ბენ დროს.

ლ ა ი რ ი — (მეუწუხებულად). ვაითუ ჩემს ძმებთან მომწყინდეს, ბაიყუშები-  
ვით თუ სულ წყნარად ვიქნები. ცოტა ჩხუბის ნება არ გვექნება?

ქ ა ნ ა — თუ გინდა, მთელ დღესაც იჩხუბებთ.

ლ ა ი რ ი — (მოწიწებით). მარტო მაშინ, როცა უფალი ვერ დაგვინახავს?

ქ ა ნ ა — იგი ხომ მუდამ გვეხედავს, შუ შტერო. იგი ყველაფერს ხედავს. თქვენ  
შემხედვარე უფალი ბევრს იციანებს და ზოგჯერ წაგაქეზებთ კიდეც ასე:  
„აბა ეცი, ლა ირ, მისცე ქსენტრას ნეკნებში. დაუზღო გვერდები, აჩვენე,  
რა ვაქცაიცა ხარ!“

ლ ა ი რ ი — ასე, უბრალოდ, ჩვენებურად?

ქ ა ნ ა — ჰო, მაგრამ, რასაკვირველია, სულ ასე ხეპრულად არა.

ლ ა ი რ ი — (აღტაცებული). ჰოი, ეშმაკმა დალახვროს...

ქ ა ნ ა — (უცებ ბრახდება, უყვირის). ლა ირ!

ლ ა ი რ ი — ბოლოში!

ქ ა ნ ა — (უღმობლად). თუ გინებას არ მოიშლი, უფალი კინწისკერით გამოგა-  
დებს სამოთხიდან.

ლ ა ი რ ი — ეს მე სიხარულისაგან წამოვიძახე, უფლის სამადლობლად.

ქ ა ნ ა — უფალი გაგიგებს, მაგრამ ამის მეტად აღარ წამოგცდეს, თორემ ჩემ-  
თან გექნება საქმე. დღისღოთობით გვეყოფა ლაცობა...ახლა კი, ძმობილო,  
ცხენებზე შევსხდეთ! (წარმოიღვენენ, ვითომ ცხენებზე სხდებიან და ირ-  
წვევიან ერთიმეორის მხარდამხარ, ვითომ მიაცხენებენ). რა კარგია, ლა ირ.  
დილაადრიან ამხანაგის მხარდამხარ ცხენის ჭენება! ირგვლივ ცერიათი ბა-  
ლახის სურნელი დგას. თბილ იქნებ სულაც ამისთვის ომობენ, რომ ცერია-  
თი ბალახის ნამდვილი სურნელი იგრძნონ განთიადზე, როცა ცხენდაცხენ  
მიქჭრიან, მეგობრის მხარდამხარ.

ლ ა ი რ ი — არიან ისეთებიც, დილას ფეხით ვასეირნება რომ ურჩევნიათ.

ქ ა ნ ა — ჰო, მაგრამ მათ არ იციან ნამდვილი სურნელი განთიადისა, ნამდვილი  
სითბო მხარდამხარ მიმჭროლავე ამხანაგისა... ღმერთმა რომ ეს განგაცდ-  
ვინოს, ამისათვის საჭიროა, გზის ბოლოში სიკვდილის ლანდი ფარფატე-  
დეს.

(პაუზა. განგარძობენ ჭენებას და ცხენებზე რწევას).

ლ ა ი რ ი — ერთიც ვნახოთ და ისეთ ინგლისელებს გადავეყარეთ, რომელთაც  
ჩვენსავით უყვართ დილის სურნელი?

ქ ა ნ ა — (გახალისებული). ქორივით ზედ დავცემით! რა იყო, ხომ არ შედრკი?

ლ ა ი რ ი — ვინა? მე?

ქ ა ნ ა — ვებდღვნათ, ძმობილო და ზურგზე ბოლი ავადინოთ. ჩვენ აქ სხვა საქმე  
არა გვაქვს რა!

(პაუზა).

ლ ა ი რ ი — მაგრამ თუ ასეა, ქალბატონო ქანა, თუ თქვენ სიამოთლეს მეუბ-  
ნებით, ისინი, ვისაც ჩვენ საიქიოს გავისტუმრებთ პირდაპირ სამოთხეში  
მოხვდებიანო, ინგლისელებზე სულელი ხომ ქვეყნად არავინ არის.

ქ ა ნ ა — რასაკვირველია, სამოთხეში მოხვდებიან. აბა შენ რა გეგონა? (უეც-  
რად დაიყვირებს). შეჩერდი!

(ორივე ჩერდება).

ვაიხიდე, იქ სამი ინგლისელია, მათ ჩვენ დაგვინახეს. ვარბიან!...არა, უკან მობრუნდნენ, დაგვინახეს, რომ მარტო ორნი ვართ. ცხენებს აქეთ მოაქუნებენ. ხომ არ გეშინია, ლა ირ? ჩემი იმედი მაინცადამაინც ნუ გამქვინდება! გოგო ვარ, ხმალიც კი არა მაქვს. რას იზამ, შევბრძოლები?

ლა — (გაიძრობს ხმალს და გახარებული დაიქუხება). შევბრძოლები და მერე როგორ, დედას ვუტირებ! (გამოვარდება წინ, ყვირის ცისკენ თვალაპყრობილი). შე არაფერი მოთქვამს, უფალო, არაფერი! ნუ მოაქცევ ყურადღებას... (შეიჭრება მოსამართლეთა ჯგუფში, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ხელით ლეწავს ყველაფერს, ბრძოლით მიიწევს წინ და სცენის სიღრმეში უჩინარდება).

ქანა — (დაჩოქებული). მას არაფერი უთქვამს, უფალო! არაფერი უთქვამს. იგი პურივით კარგია და კეთილი. იგი ისეთივე კარგია, როგორც ქსენტრეი. იგი ისეთივე კარგია, როგორც ჩემი ყოველი ჯარსკაცი, რომლებიც ცლავენ, ძალას ხმარობენ, ძირკვავენ და ილანძღებიან. იგი ისეთივე კარგია, როგორც მგლები, რომლებიც თქვენ უმანკობდალ შექმენით. მე პასუხს ვაგებ ყოველი მათგანის მავივრად (ისევე დაეცემა ლოცვად).

(მოსამართლენი შეგროვდნენ. ქანას ირგვლივ შუქი ანთო).

ქანა — (თავს აწევს, დაინახავს მათ და როგორც სიზმრისაგან გამოფხიზლებული, შეპყვირება). ლა ირ, ქსენტრეი, ჯერ ხომ საბოლოო სიტყვა არ გავითქვამს. აი ნახავთ, ისინი მოვლენ. თან სამასიოდღე ვაქყაცს მოიყვანენ და გამანთავისუფლებენ.

კოშონი — (წყნარად). ისინი იყვნენ, ქანა. რუანის კარამდე მოვიდნენ. შეიტყუეს, რამდენი ინგლისელია და უკანვე გაბრუნდნენ.

ქანა — (დაბნეული). ახ, გაბრუნდნენ? უომრად? (პაუზის შემდეგ განაგრძობს) ისინი მაშველი ჯარისათვის გაბრუნდნენ, რა თქმა უნდა. მე თვითონ ხომ სულ იმას ვარიგებდი, არასოდეს არ უნდა შეუტოოთ დაუფიქრებლად, როგორც აზნეკურთან-მეთქი.

კოშონი — ისინი სამხრეთისაკენ გაბრუნდნენ შუადღისას, ლუარის სამხრეთით წავიდნენ, სადაც ომით დაქანცული შარლი თავის არმიას შლის და ცდილობს ხელშეკრულება დადოს, რათა საფრანგეთის პატარა ნაგლეჯი მაინც შეინარჩუნოს. ისინი არასოდეს აღარ დაბრუნდებიან, ქანა.

ქანა — ტყუილი! ლა ირი დაბრუნდება. სულ უიმედოდაც რომ იყოს საქმე!

კოშონი — ლა ირი ბანდის მეთაურია მხოლოდ. როგორც კი გაიგო, რომ შენს მეფეს ზაგის დადება სურდა, მაშინვე სხვა მთავარს მოაყიდა თავი. ახლა იგი გერმანიისაკენ მიემართება, რათა იქ განაგრძოს ძარცვა-გლეჯა. ეს არის ლა ეს.

ქანა — ტყუილია.

კოშონი — (წამოდგება). განა მე შენთვის ოდესმე ტყუილი მოთქვამს, ქანა? ეს სიმართლეა. რატომ ეწირებოთ მსხვერპლად მათ, ვინც მიგატოვით? რა პარადოქსალურია, მაგრამ მთელ ქვეყანაზე მხოლოდ შენი ყოფილი მტრები და მოსამართლეები, მხოლოდ ჩვენ გცდილობთ ახლა შენს გადარჩენას. უარყავ, ქანა. შენ იმათი გულისათვის ჯიუტობ, ვინც სულ ახლახან გაგცა და გიღალატა. დაბრუნდი შენი მშობლიური ეკლესიის წილში. დაგემორჩილდი. იგი ხელში აყვანილს გატარებს. მე მჯერა, რომ გულის სიღრმეში შენ არასოდეს არ ავიღია ხელი ეკლესიის შვილობაზე.

ქანა — დიახ. მე ეკლესიის ასული ვარ.

კოშონი — მიენდე შენ დედას, ქანა, ყოველგვარი პირობის გარეშე. იგი აწონდაწონის შენს შეცდომებს და გაგანთავისუფლებს იმაზე ზრუნვისაგან, რომ შენი თავი შენვე განიკითხო. ფიქრი აღარაფრისა გექნება. შენ მიიღებ სასჯელს — მძიმეს თუ იოლს და ბოლოს და ბოლოს მშვიდობით წახვალ. ო, ალბათ, როგორ გინდა მშვიდობა!

ქანა — (პაუზის შემდეგ). სარწმუნოების საქმეში მე მივეწოდები ეკლესიას. მაგრამ რაც ჩამიღენია, იმას ვერ უარვყოფ (სამღვდელო პირები ამოძრავდნენ).

ინკვიზიტორი — (განარისხებული). აი ხედავთ, მეგობრებო, ხომ ხედავთ, როგორ წამოყოფ აღამიანმა თავი? ახლა ხომ ვესმით, ვის ასამართლებთ? ვფიცავ, იმ ციურმა ხმებმა თქვენც დაგაყრუათ. თქვენ დაჟინებით ეძებ-



დით მათ უკან დამალულ ეშმაკს. რა გვიჭირდა, საქმე რომ მართო ვინა  
ყოფილიყო. მას ჩვენ სწრაფად გავუსწორებოდით. ეშმაკი ჩვენზე მტკიცე  
შირეა. ბოლოს და ბოლოს, იგი ყოფილი ანგელოზია, იგი ჩივილია მთელი  
საა, თუმცა მას უფალი სძულს. გმობს, შეურაცხყოფს ღმერთს, მტკიცე  
მას მაინც სარწმუნოებასთან აქვს საქმე. ნათელი, მშვიდი აღამიანი ათას-  
ჯერ უფრო მაშინებს მე. შეხედეთ მას ბორკილადებულს და იარაღა-  
რილს, თავისიანებისაგან მიტოვებულს და, ცოტა არ იყოს, დაეჭვებულს.  
რომ კარგა ხნის დადუმებული ხმები ოდესმე მართლა ესმოდა. განა იგი  
პირაქვე იცემა და უფალს შველას სთხოვს? განა თუნდაც იმას ევედრება,  
რომ ის ხმები ისევ გააგონოს და გზა აჩვენოს? არა! აღამიანი ჩვენ პირ-  
დაპირ გვიტყობს, იმას ქედს ვერ მოახრევეინა წამებამ. ცემამ და დამცო-  
რებამ. ბნელ დილეგში ვდებამ. იგი თვალაპყრობილი მისჩერება თავისივე  
თავის შეუდრეკელ ხატებას (ყოფრო ხმამალა), რამეთუ იგი არის ქვეშა-  
რიტი უფალი მისი. აი რისი მეშინია მე! იგი ჩვენ გვიპასუხებს (გაიმეორე,  
ჟანა. შენ ამის გამეორების სურვილი გკლავს): „რაც ჩამიდენია...“

ჟანა — (წყნარად)... იმას ვერ უარეყოფ!

ინკვიზიტორი — (იმეორებს სიძულვილისაგან სახედაღრევილი)... „რაც  
ჩამიდენია, იმას ვერ უარეყოფ!“ ზომ გესმით ეს სიტყვები, რომელთაც იმე-  
ორებდა ხოლმე კოცონზე, ეშაფოტზე, საწამებელ ჭურღმულებში, მუღამ.  
როცა კი მისი შეპყრობა მოგვიხერხებია. სიტყვები, რომელთაც ასევე  
უორცხვად გაიმეორებს ის საუკუნეების მანძილზე, რადგანაც დევნა აღა-  
მიანისა არასოდეს არ შეწყდება. როგორ ძლიერებასაც არ უნდა მიადწიოს,  
როგორც არ უნდა გაბატონდეს ქვეყნად იდეა, როგორი სასტიკი, ზუსტი  
და გონივრულიც არ უნდა იყოს ჩვენი სამყაროს ორგანიზაცია და პოლი-  
ცია, მაინც საღაც გამოჩნდება კაცი, რომელსაც უნდა სიღონ შესაპ-  
ყრობად, ლტოლვილი, რომელსაც ბოლოს დაიჭერენ და სიკვდილით დას-  
ჯიან. და მწვერულებამდე ასული იდეის ძლიერებას იგი კვლავ და-  
ამცირებს იმით, რომ თამამად იტყვის „არა“. (ხიზოით უქქერის ჟანას  
და სისინით გამოსცრავს). ჰოი, თავხედთა მოღვაძე! (მიუბრუნდება ტრი-  
ბუნალს). ისიც ჰკითხეთ, რატომ ვაღმობტა იმ კოშკიდან, სადაც დატუსა-  
ლებული იყო? რატომ უნდოდა გაქცეულიყო, ან უფლისაგან დაწესე-  
ბული სიკვდილის ნაცვლად არაბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო?  
რატომ მიატოვა დღე-მამა და ჩაიკვა ეს ტანსაცმელი, რომელსაც ეკლე-  
სიის ბრძანების მიუხედავად არ იშორებს? იგი თქვენ გიპასუხებთ ისევ  
აღამიანის სიტყვებით: „რაც გავაკეთე, გავაკეთე. ეს ჩემი საქმეა. მას მე  
ვერავინ დამიშლის და რაც ჩამიდენია, იმას ვერ უარეყოფ. თქვენ მხო-  
ლოდ ერთი შეგიძლიათ — მომკლათ წამებით, რაცა გასურთ, ის მათქმევი-  
ნით, ოღონდ იმას კი ვერ მაიძულებთ, რომ „ჰო“ ვთქვა (ყვირის). ჰოდა,  
ბატონებო, ჩვენ, რა საშუალებითაც იქნება, უნდა ვისწავლოთ, რადაც არ  
უნდა დაუჯდეს კაცობრიობას უნდა ისწავლოს ის. თუ როგორ უნდა ათ-  
ქმევინოს აღამიანს „ჰო“. რაგინდ გაბატონებულიც არ უნდა იყოს იდეა,  
რაგინდ არ უნდა შეიფოსროს მან მოწინააღმდეგენი, სანამ იარსებებს თუნ-  
დაც ერთი აღამიანი, რომელიც მას არ დაემორჩილება, იდეა მაინც საფრთ-  
ხეში იქნება. ამიტომ მე მოვითხოვ ჟანა მოვეკეთოთ ეკლესიისაგან და გა-  
დაცვით საერო ხელისუფლებას იმ პირობით, რომ სასჯელად შეუუარდონ  
სიკვდილი ან სხეულის დასაზიარება. (მიბრუნდება ჟანასაკენ). ეს არ იქნება  
შენი სრული დამარცხება, ჟანა. მაგრამ მეტს თუ ვერაფერს მოგიხერხებთ,  
გაეაჩუქებთ მაინც. ჭერაჯირობით კი ჩვენ ამაზე უკეთესი სხვა ვერაფერი  
მოვიგონეთ (საერთო დუმილში ჯდება).

კოშონი — (წყნარად). ბატონმა ინკვიზიტორმა პირველმა მოითხოვა ეკლე-  
სიიდან შენი მოკვით და სიკვდილით დასჯა, ჟანა. ეშმიშობ. რომ ბატონი  
მთხრობელიც ამასვე მოითხოვს. ყოველი ჩვენგანი თავის აზრს გამოთქვამს.  
გადაწყვეტილება კი მე უნდა მივიღო. ჩვენი ეკლესია, რომლისთვისაც ერ-  
თი გზაბნეული ცხარეი ყველა დანარჩენზე ძვირფასია, სანამ მოიკვითა  
და შორს გადაადგებს თავისი სხეულის იმ დამპალ ნაწილს, რასაც შენ წარ-  
მოადგენ, უკანასკნელად შეეცდება ჩაგაგონოს (ანიშნებს ხელით, წინ გა-  
მოდის ჯალათი). იცნობ თუ არა ამ კაცს, ჟანა? (ჟანა შემოტრიალებდა და



ცივი ჟრუანტელი დაუვლის). ეს ქალაქ რუანის მთავარი ჯალათი. შენ ჩვენი ჯალათის ხელთ მიგცემენ, თუ არ მოისურვებ გვანდო შენი სულს ჩვენი ვიხსნათ იგი. კოცონი მზად არის, ოსტატო?

ჯალათი — მზად არის, თქვენო უწმინდესობავ. იგი ჩვეულებრივზე მაღალია. მიბრძანეს, ქალიშვილი ყოველი მხრიდან კარგად უნდა ჩანდესო. სამწუხაროდ, მისთვის ეს ცუდია, ვერ დავემარებები, რადგან ძალზე მაღლა იქნება.

კოშონი — დახმარებას შენ რას ეძახი, ოსტატო?

ჯალათი — თქვენო უწმინდესობავ. ეს ჩვენი ხელობის ერთ-ერთი ხერხია. ამ ხერხს ჩვენ მაშინ მივმართავთ, თუ მსხვერპლის წინააღმდეგ რაიმე საგანგებო მითითება არა გვაქვს. ალის პირველი ავარდნისთანავე უკანა-დან ავდივარ, ვითომ ფიჩხის დასამატებლად და კვამლის საფარველქვეშ დამნაშავეს ხელით ვახრჩობ. ამის შემდეგ ცეცხლზე უკვე მკვდარი სხეულიცა იწვის და წამება იმდენად საშინელი აღარ არის. მაგრამ დღეს კოცონის ისე მაღლა გამართვა მიბრძანეს, ქალიშვილი ისე მაღლა იქნება, რომ მე ვერ შევძლებ იქ ავლას (დასძენს სრულიად ჩვეულებრივად). ისე რომ, თვითონაც მიხვდებით, წამება დიდ ხანს გასტანს.

კოშონი — გაიგონე, ქანა?

ქანა — (წყნარად). დიახ.

კოშონი — უკანასკნელად გიწვდი ხელს, შენი დედის — ეკლესიის დიდ ხელს, გადასარჩინად. ეკლესიისა, რომელსაც სურს დაგაბრუნოს თავის სამწყსოში, მაგრამ შენ დრო ცოტაა გაქვს. გესმის ხმაური? ეს ბზრო არის, დილიდან ვიცი. დილიდან მოვიდნენ, კარგი ადგილები რომ დაეკავებინათ. ისინი შინიდან წამოღებულ საჭმელს შეეპყვიან, ბავშვებს ტუქსავენ, ერთიმეორეს ეხუმრებიან და ჯარისკაცებს ეკითხებიან: მალე დაიწყება თუ არაო. ისინი ბოროტები როდი არიან. ასევე მოვიდოდნენ და აღტაცებით მოგესალმებოდნენ, რუანი რომ აველო. მაგრამ ჩარხი სხვაგვარად დატრიალდა. და აი, ისინი მოვიდნენ იმის სანახავად, თუ როგორ დაგწვავდნენ შენ. ამ ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული არასოდეს არაფერი ხდება და მათთვის არ არსებობს არავითარი სხვა სანახაობა, გარდა დიდი ადამიანების ტრუმფისა და სიკვდილისა. უნდა შეუხდო მათ, ქანა. ისინი მთელი სიცოცხლე იტანჯებიან. მათ ამ პატარა გართობის უფლება აქვთ.

ქანა — მე მათ შევუხდობ, აგრეთვე თქვენც, თქვენო უწმინდესობავ.

მთხრობელი — (წამოხტება ყვირილით). მეიღიდურება! ჰოი, უსაზღვრო მეიღიდურება! მისი უწმინდესობა მამაშვილურად გელაპარაკება, ცდილობს იხსნას შენი საბრალო, დაკარგული სული და შენ გყოფნის თავხედობა, მას უთხრა შეგინდობო?

ქანა — მისი უწმინდესობა დაყვავებით მელაპარაკება, თუმცა არ ვიცი რატომ: ჩემს გადასარჩინად თუ დასამარცხებლად? მაგრამ რაკი იძულებული იქნება ბოლოს და ბოლოს კოცონზე დამწვას, მე მას შეეუხდობ.

კოშონი — შეეცადე, ქანა, გაიგო, რომ შენს სიჯიუტეში არის რალაც უაზრობა. შენ მორწმუნე ხარ! უფალი, რომელსაც შენ ახსენებ, ჩვენი ომართიცაა. სწორედ მან მოგვიწოდა ჩვენი ეკლესიის დამაარსებლის, პეტრე მოციქულის ბრძანებით. გიხელმძღვანელოთ შენ. უფალს თავისი ქმნილებისათვის როდი უთქვამს, შენ პირდაპირ მე მომმართო. მან ბრძანა: „შენ კლდე ხარ, ამ კედელზე მე დავაფუძნებ ტაძარსა ჩემსა. და მსახურნი მისნი იქნებიან მწყემსნი თქვენი“. განა ჩვენ უღირს მწყემსებად გვთვლი, ქანა?

ქანა — (წყნარად). არა.

კოშონი — მამ რატომ ისე არ იქცევი, როგორც უფალი გავალებს? რატომ არ გინდა ცთომილება შენი ანდო ეკლესიას, როგორც ამას სოფლად სჩადიოდი შენს ბავშობაში? შენ ხომ სარწმუნოება არ გამოგიცვლია?

ქანა — (უცებ აყვირდება, შემოთვებული). მე მინდა მივეხდო ეკლესიას! მე მინდა წმინდა ზიარება! მაგრამ ამაზე უარს მეუბნებიან.

კოშონი — ჩვენ ზიარების ნებას აღსარებისა და მონანიების შემდეგ დავართავთ. შენ მხოლოდ „ჰო“ ვითხარი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შენ გულადი ხარ, მაგრამ შენი სხეული ჯერ კიდევ ნაზია. შენ, ალბათ, გეშინია სიკვდილის?



ქ ა ნ ა — კი, მეშინია, მაგრამ მერე რა?

კ ო შ ო ნ ი — მე შენი პატივისმცემელი ვარ. ჟანა და ასეთ შიშს საკმარისად ჩვეთვლი იმის უარყოფისათვის, რაც შენ ჩაგიდენია. შენ მოვიწვევს ჩემს მხარეში, უფრო ღრმა შიშის გამოცდა. შენ საუკუნო სატანჯველში იგდებ: ცთომილების, მედიდურობისა და ჭიუტობის გამო. ის ხმები, რომელიც შენ გესმოდა, ღვთიურად რომ ყოფილიყო, შენ არაფერს არ დაკარგავ თუ იმავე ღვთისმსახურებას დაემორჩილები. ვთქვათ, ჩვენ არ დაგიჭრეთ ხმების ნაამბობი, მათი ნაბრძანები. მაგრამ თუ დაუშვებთ, რომ ღმერთი მართლა გელაპარაკებოდა მთავარანგელოზისა და წმინდანების პირით. და ჩვენ მანც მოვისაჯვოთ სასჯელი, მაშინ ჩვენ ჩავიდეთ უშეცრებით, თავდაჯერებითა და მედიდურობით ნაქარნახევ საშინელ ცოდვას და ეს ცოდვა გავტანჯავს საუკუნო ცხოვრებაში. ჩვენ ვბედავთ ვიკისროთ ეს პასუხისმგებლობა შენი გულისათვის, ჟანა. შენ კი არაფერს არ კარგავ. შენ მხოლოდ უბრალოდ გვითხარი: „ჩემს თავს განდობთ თქვენ“, უბრალოდ „ჰო“ თქვი და შენ ჰპოვებ თავისუფლებას, შენ განწმენდილი იქნები და თავიდან აიცილებ ყოველგვარ საფრთხეს.

ქ ა ნ ა — (უცერად დალოლი ხმით ამბობს). რატომ მტანჯავთ ასეთი გულკეთილობით, თქვენო უწმინდესობა? ამას მირჩევნია, მცემოთ.

კ ო შ ო ნ ი — (ლიმილით). მე რომ შენ გცემო, ამით კარგ ვაპართლებას მიეცემდი შენს ამპარტავენობას, რომელსაც სურს მოგკლას. უფალმა შენ შეგქმნა ჰკუითა და კეთილგონიერებით აღსავსე, ამიტომ მინდა დაგაჯირო და დაგიყოლიო. მე ვიცი, რომ შენ გულჩვილი ხარ და ამიტომ ხვეწმითაც კი მოგმართე. მე ხშირი კაცი ვარ, ჟანა, ამ ქვეყნისაგან ბევრს აღარაფერს ვეღო. როგორც ყოველი აქ დამსწრეთაგანი, მეც ბევრს ვკლავდი ეკლესიის დასაცავად. კმარა, დავიღალე. მე არ მინდა სიკვდილის წინ პატარა გოგოს მოკვლა, მაგრამ შენც უნდა მომეხმარო, რომ ეს არ ჩავიდინო.

ქ ა ნ ა — (დაბნეული შეჰყურებს. პაუზის შემდეგ). მაინც რა უნდა გიპასუხოთ?

კ ო შ ო ნ ი — (უახლოვდება). უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიგნო, რომ არავისთვის სარგებელი აღარ მოაქვს იმის მტკიცებას, თითქოს შენ ღვთის გამოგზავნილი იყავი. მაგის მტკიცება მართო ჯალათსა და ინგლისელებს ეხმარება. ჩვენ აქ წაგიკითხეთ წერილები, რომლებშიც თვით შენმა მეფემაც კი, როგორც პოლიტიკოსმა, განაცხადა, რომ იგი სრულიადაც არ თვლის თავს უფლისაგან დავალებულად, რომლის იარაღიც ვითომდა შენ იყავი.

(ღრტინვა. ჟანა მიბრუნდება შარლისკენ).

შ ა რ ლ ი — (სრულიად უბრალოდ). აბა ჩემს ადგილზე შენი თავი წარმოიდგინე, ჟანა. ჩემი მეფედ კურთხევა სასწაულით რომ მომხდარიყო, მაშინ იგი უშუალოდ აღარ იქნებოდა. გამოვიდოდა, რომ მამაჩემის შვილი არა ვარ და ჩემთვის გვირგვინის დასადგმელად საჭირო იყო სასწაული. ჩემი წინაპრების მეფედ კურთხევა ყოველგვარი სასწაულის დაუხმარებლად ხდებოდა. ღვთის შეწევნა კარგია, მაგრამ კანონიერი მემკვიდრის გამეფებას ეს დახმარება საეჭვოს ხდის. და კიდევ უფრო საეჭვოა, როცა უფლის დახმარებაც შეწყდება. პარიზთან მომხდარი უბედურების შემდეგ ჩვენ სულ გვამარცხებენ. შენ კომპიენის ტყეში შეგვიპყრეს. ახლა განაჩენს შენ თითხინაან. ჯადოქრად, ღვთის მგმობლად, ეშმაკის მოციქულად გამოგაცხადებენ; ამას უკვე წინ აღარაფერი დაუდგება. ამიტომ ვამჯობინებ გამოგაცხადო. რომ შენ არასოდეს არავისი მოციქული არ ყოფილხარ. ამით იმას დავამტკიცებ, რომ ღმერთი არც მომხმარებია და არც მიუტოვებია. ბრძოლებს იმიტომ ვიგებდი, რომ ღრობით ღონეზე ვიყავი, ახლა ისევ დავსუსტდი და მტერი მომერია. პოლიტიკაში ასე ხდება, ხომ გესმის?

ქ ა ნ ა — (წყნარად). დიახ, მესმის.

კ ო შ ო ნ ი — მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს გონივრულად მსჯელობათხვეები ერთბაშად დაგაყარეს და, ალბათ, იმან დაგაზნია. მე შენ სამ მთავარ კითხვას დაგისვამ, სამგზის მიპასუხე: „ჰო“ და ყველანი გადავრჩებით: შენც, რომელსაც სიკვდილი მოგელის და ჩვენც, რომელთაც უნდა მოგკლათ შენ.

- ქ ა ნ ა — (წყნარად, პაუზის შემდეგ). მკითხეთ და ვნახოთ, შევძლებ თუ არა სუხის გაცემას.
- კ ო შ ო ნ ი — პირველი კითხვა ყველაზე მნიშვნელოვანია. თუ შენ ამას მინდა, მიპასუხებ, დანარჩენი კითხვები თავისთავად გადაწყდება. მისმინე ყურადღებით და ყოველი სიტყვა აწონ-დაწონე: ენდობით თუ არა სრული მორჩილებით რომის წმინდა ეკლესიას, ჩვენს უწმინდეს მამას — რომის პაპს და მის ეპისკოპოსებს, რათა მათ შეადგინონ ნამოქმედარი თქვენი და გავსამართლონ. ემორჩილებით თუ არა სრულიად და ყველაფერში და თხოულობთ თუ არა ეკლესიის წიადში დაბრუნებას. საკმარისია მარტო „ჰო“ თქვა.
- ქ ა ნ ა — (პაუზის შემდეგ დაბნეული მიმოიხედავს და ბოლოს ამბობს). ჰო, მავრამ...
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (ყრუდ, ადვილიდან გაუხმრევლად). არავითარი „მავრამ“, ჟანა!
- ქ ა ნ ა — (ჯიუტად). მე არ მინდა იძულებით მალაპარაკონ იმის საწინააღმდეგოდ. რაც ჩემმა ხმებმა მითხრეს. მე არაფერს ვიტყვი ჩემი მეფის წინააღმდეგ, არაფერს, რაც ჩრდილს მიაყენებს მის საუკუნოდ მირთმეებას...
- ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი — (მხრებს იჩიჩავს). თქვენ გესმით ადამიანის სიტყვა. მის გადასარჩენად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს.
- კ ო შ ო ნ ი — (განრისხებული). გაგიყდი, ჟანა? განა არ ხედავ იმ წითელ სამოსიან კაცს, შენ რომ გელოდებ? უნდა გაიგო, რომ ეს ჩემი უკანასკნელი ღონეა შენს დასაცავად, მეტი მე არაფერი შემძლია. ეკლესიას სწავლია დაიჯროს, რომ შენ მისი ასული ხარ. პასუხის გასაადვილებლად მან გულმოდგინედ აწონ-დაწონა შეკითხვა, შენ დაბო და ვაჭრობ. როგორ ბედვევაშრო შენს დედას, თავხედო გოგო! დანოქილი უნდა ვევედრო, რათა კალთა გადაგაფაროს და დაგიცვას. დედისაგან დაკისრებულ მონანიებას უფალს აღუვლენ უსამართლობასთან ერთად, რომელიც შესაძლოა ამ მონანიებას ახლდეს. უფალი ჩვენი შენზე მეტად ეწამა შენი გულისთვის, დაუმსახურებელი სატახტველი და დამცირება ერგო. განა ის ვაჭრობდა, განა დაობდა, როცა შენი გულისთვის უნდა მომკვდარიყო? მას შენი გულისთვის ყვრიმალში სცემდნენ, სახეში აფურთხებდნენ, ეკლესიის გვირგვინი დაადგეს თავზე და ორ ავაზაკს შორის ტანჯვით დალია სული. შენ მას ვერასოდეს ვერ შეედრები. იგი ჩვენი პირით შენგან მხოლოდ სასამართლოსა და ეკლესიის მორჩილებას მოითხოვს და შენ კი ყოყმანობ.
- ქ ა ნ ა — (პაუზის შემდეგ, წყნარად, თვალტრემლიანი). მომიტევეთ, თქვენო უწმინდესობავ, მე არ მიფიქრია, რომ უფალს ეს ნებაეს. მართალია, რომ იგი ჩემზე მეტად ეწამა (მივკლე პაუზის შემდეგ). გემორჩილებთ.
- კ ო შ ო ნ ი — ვევედრები თუ არა წმინდა კათოლიკურ ეკლესიას თავმდაბლად და ყოველგვარი პირობის გარეშე, მიგიღოს ხელახლა თავის წიადში და გავსამართლოს...
- ქ ა ნ ა — მუხლმოყრილი ვევედრები ჩემს დედა-ეკლესიას დამაბრუნოს თავის წიადში და ჩემს თავს ვანდობ მის სასამართლოს.
- კ ო შ ო ნ ი — (შეგებით ამოისუნთქა). ძალიან კარგი. დანარჩენი სულ იოლად იქნება. გვპირდები თუ არა, რომ იარაღს არასოდეს ხელს არ მოჰკიდებ?
- ქ ა ნ ა — კი, მაგრამ ჯერ ხომ კიდევ ბევრი საქმეა ბოლომდე მისაყვანი.
- კ ო შ ო ნ ი — საქმეს სხვები მიიყვანენ ბოლომდის! უკნურებას ნუ გამოიჩენ, ჟანა. შენ ბორკილი თავებს, დილეგში ხარ დამწყვედილი და კოცონზე დაწვის საფრთხე ედევს დაგტრიალებს. შენ ხომ გესმის, „ჰოს“ იტყვი, თუ „არას“, შენს გასაკეთებელ საქმეს აღარავინ გაგაკეთებინებს. შენი როლი გათამაშებულია. შენი შემპყრობი ინგლისელები ბრძოლას ნებას აღარ მოგცემენ. ახლახან არ ამბობდი, თუ გოგონას ორი გროშის ჰკუთავებს, ეს უკვე სასწაულია. თუ შენ უფალი მართლა გმფარველობს, დროა გამოვიგზავნოს ის ორი გროში და ჰკუთავებ მოგიყვანოს. გვპირდები თუ არა, რომ არასოდეს იარაღს არ აიღებ ხელში?
- ქ ა ნ ა — (ყვნესით). კი, მაგრამ მეფეს რომ ისევ დავპირდე?



- შ არ ლ ი — (სასწრაფოდ). იცოდე, თუ საქმე მხოლოდ ჩემზეა, შეგიძლიათ ახლავე დაეთანხმით, თქვენ მე აღარ მჭირდებათ.
- ქ ა ნ ა — (ყრულ). თუ ასეა, პო.
- კ ო შ ო ნ ი — გვიბრძნობს თუ არა, რომ აღარ ატარებ ქრისტიანული წესისა და მოკრძალების საწინააღმდეგო, შენთვის შეუფერებელ მამაკაცის ტანსაცმელს?
- ქ ა ნ ა — (დაქანცული ამ კითხვით). თქვენ ამას შეათევერ მეკითხებით. ტანსაცმელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე ხმებმა მიბრძანეს, რომ ეს ტანსაცმელი ჩამეცვა.
- მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — (ყვიროს). ფშმაკმა ვიბრძანა! ეშმაკის მეტი ვინ ჩააგონებლა ქალიშვილს. რომ ზრდილობაზე ხელი აეღო.
- ქ ა ნ ა — ჭკუამ და გონებამ ასე მიკარნახა, ბატონო.
- მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — (ბოროტად იცინის). ჭკუა-გონებამ? შენ ყველაფერს ჭკუას აბრალებ. გოგო რომ შარვალს ჩაიცვამს, იქ ჭკუა და გონება სადღა არი?
- ქ ა ნ ა — აბა რა მექნა, ბატონო? ჯარისკაცებთან ერთად დავაჭენებდი ცხენს. იმისათვის, რომ მათ დაევიწყებინათ ჩემი ქალიშვილობა, იმისათვის, რომ მათ ჩვეულებრივ ჯარისკაცად მივეჩინე, ტანზეც ისე უნდა მცმოდა, როგორც მათ ეცეთ.
- მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — ვერაფერი პასუხია. უმანკო გოგონას ჯარისკაცებთან არაფერი ესაქმებოდა.
- კ ო შ ო ნ ი — დავუშვათ, რომ ეს ტანსაცმელი ომში საჭირო იყო. მას შემდეგ, რაც ჩვენს ხელთა ხარ და აღარ ომობ, რატომ არ იცვამ შენი სქესის შესაფერის ტანსაცმელს?
- ქ ა ნ ა — არ შემიძლო.
- კ ო შ ო ნ ი — რატომ?
- ქ ა ნ ა — (პაუზის შემდეგ, წითლდება). ეკლესიის საპატიმროში რომ ვიყო, დავთანხმდებოდი.
- მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — აი ხომ ხედავთ, თქვენო უწმინდესობავ, როგორ ეშმაკობს. ნამდვილად დავგეცინის. რატომ მაინცაღამაინც ეკლესიის საპატიმროში დავგეთანხმდებოდი და იმ ციხეში, სადაც ხარ, არ გვეთანხმები? მე, მაგალითად, ეს ვერ გამიგია, მინდა კი რომ გავიგო.
- ქ ა ნ ა — (სევდიანი დიმილით). ეს ადვილი გასაგებია, ბატონო, ამას დიდი მეცნიერება არ უნდა!
- მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — (მოთმინებადაკარგული). ესე იგი, ეს ადვილი გასაგები ყოფილა და მე კი ვერ გამიგია! მამასაღამე, გამოდის, რომ მე ბრიყვი ვარ. დაიხსომებო, ბატონებო, დაიხსომებო, იგი შეურაცხყოფას მაცენებს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას. მას თავი მოაქვს თავისი ურცხვობით, სატრამპოლად აქვს უსირცხვილობა და მასში პოულობს უგვან სიამოვნებას. თუ საკითხის არსში დაემორჩილება ეკლესიას, რასაც იგი თითქმის აპირებს მისი უწმინდესობის — ეპისკოპოსის კიდევ ერთი ცდის შედეგად. ამ შემთხვევაში მე, შესაძლოა, იძულებული გავხდე მოვუხსნა მას ერესის ბრალდება. მე ვხედავ, რომ ზოგიერთს უნდა სასჯელისაგან იხსნას, მაგრამ რამდენიც არ უნდა გელაპარაკონ, სანამ იგი არ მოიშორებს ეშმაკის სამოსელს, უგვანობისა და მანკიერების მოკაზმულობას, მანამდე მე კვლავ ბრალს დავდებ მას ჯადოქრობაში. თუ საჭირო იქნება ბაზელის სინოდს მივმართავ ჩვენს წინაშე ეშმაკია. მე ვგრძნობ, რომ ეშმაკი აქ არის. ის უმაგრებს მხარს ბრალდებულს, ურჩობასა და ჭიუტობას შთააგონებს და აიძულებს არ გაიხადოს კაცური ტანსაცმელი.
- ქ ა ნ ა — ეკლესიის საპატიმროში ვაღამიყვანეთ და იქ გამოვიცვლი ამ ტანსაცმელს.
- მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — შენ უფლებად არ გაქვს ეკლესიას ევაქრო, ქანა, მისმა უწმინდესობამ ეს უკვე გითხრა. ასე იქნება თუ ისე, მაგ ტანსაცმელს გაიხდი, არადა ჯადოქრად გამოგაცხადებენ და დაგწყავენ.
- კ ო შ ო ნ ი — თუკი პრინციპულად თანახმა ხარ, ამ საპყრობილეში რატომ არ გამოიცილი ტანსაცმელს?

- ქ ა ნ ა — (გაწითლებული ჩურჩულვებს). მე ხომ იქ მარტო არა ვარ.  
მ თ ხ რ თ ბ ე ლ ი — (ყვირის). მერე რა, რომ მარტო არა ხარ?
- ქ ა ნ ა — ჩემს საკანში დღე და ღამე ორი ინგლისელი ჯარისკაცია.  
მ თ ხ რ თ ბ ე ლ ი — მერე რაო? (პაუზა. ქანა წითლდება და არ უპასუხებს). გვი-  
პასუხებ ბოლოს და ბოლოს თუ არა? სხვა მიზეზი ვერაფერი მოიგონე?  
ეშმაკი უფრო გამჭირიანი მეგონა, აქ თავი მაინცადამაინც ვერ გამოიჩინა.  
ვაგები, გოგონავ და წითლდები, არა?
- კ ო შ ო ნ ი — (წყნარად). უნდა გვიპასუხო, ქანა, მე მგონია, გავიგე, მაგრამ სა-  
ჭიროა ეს შენ თქვა.
- ქ ა ნ ა — (მცირე ყოყმანის შემდეგ). ციხეში გრძელი ღამეებია. მე ბორკილები  
მადევს. ვცდილობ არ დამეძინოს, მაგრამ ზოგჯერ დაღლილობა მერევა.  
(ჩუმდება, კიდევ უფრო გაწითლებული).
- მ თ ხ რ თ ბ ე ლ ი — (კიდევ უფრო სულელურად). მერე რა? მერე რა, რომ  
ღამეები გრძელია, ბორკილები გადევს და გეძინება?
- ქ ა ნ ა — (წყნარად). ამ ტანსაცმელში თავს უკეთ ვიცავ...
- კ ო შ ო ნ ი — (დაგუბული ხმით). სასამართლოს დაწყების დღიდან ასე ვის-  
დება თავის დაცვა?
- ქ ა ნ ა — ყოველ ღამე, იმ დღიდან, ტყვედ რომ ჩავვარდი, თქვენო უწმინდესო-  
ბაჲ. ყოველ საღამოს, როგორც კი უკანვე მგზავნით, ყველაფერი თავი-  
დან იწყება. უკვე მივეჩვიე უძილობას, ამიტომ დილილილობით, როცა ისევ  
თქვენთან მოვყავართ, ზოგჯერ უადგილო პასუხებს გაძლივთ ხოლმე. რომ  
იცოდეთ, ღამეები რა გრძელია! ჯარისკაცები კი ღონივრები და ეშმაკები  
არიან. სულ ჩხუბი მაქვს მათთან, მაგრამ კაბა რომ მეცვას...
- კ ო შ ო ნ ი — რატომ არ დაუძახებ საშველად ოფიცრებს?
- ქ ა ნ ა — (პაუზის შემდეგ, ყრუდ). ჯარისკაცებმა მითხრეს, რომ მათ ჩამოახ-  
რხოვნენ, თუ მშველელს დავუძახებ.
- ვ ა რ ვ ი კ ი — (კოშონს). ეს საზიზღრობაა. საფრანგეთის არმიის კიდევ პო-  
მაგრამ ინგლისის არმიაში ეს როგორ შეიძლება! მე თვითონ მოვუვლი  
ამ საქმეს.
- კ ო შ ო ნ ი — (დაეჭვებული). დაბრუნდი შენი აღმზრდელი ეკლესიის წიაღში,  
ქანა, დათანხმდი, ისევ ჩაიცვა ქალურად და მაშინ ეკლესია დაგიცავს.  
სიტყვას გაძლევ, ჩხუბი აღარ დაგჭირდება თავდასაცვად.
- ქ ა ნ ა — თუ ასეა, თანახმა ვარ.
- კ ო შ ო ნ ი — (ღრმად ამოიხრებს). კეთილი, გმადლობ, ქანა, რომ დამეხმარე-  
ერთი წუთით დავეჭვდი, ვაითუ ვერ ვინსნა-მეთქი. ასლა წაგიკითხავენ უარ-  
ყოფის აქტს, იგი მზად არის და შენი ხელისმოწერის მეტი აღარაფერია სა-  
ჭირო.
- ქ ა ნ ა — მე წერა არ ვიცი.
- კ ო შ ო ნ ი — არა უშავს, ჯვარს დაუსვამ. ბატონო ინკვიზიტორო, ნება მომე-  
ციტ მოვიხმო ძმა ლადვენით, რათა წაიკითხოს აქტი, რომლის შედგენაც  
მე მას ვთხოვე. რაკი ქანა კვლავ დაგვიბრუნდა. ჩვენ ყველამ ერთად უნ-  
და გამოვიტანოთ განაჩენი (დაიხრება მისკენ). თქვენ დაკმაყოფილებული  
უნდა იყოთ, ადამიანმა თქვა „პო“.
- ინკვიზიტორი — (თხელ ტუჩებზე ღიმილის ლანდით). მე დასასრულს  
ვუცდი.
- კ ო შ ო ნ ი — (მიღის სცენის სიღრმეში და უყვირის გუშაგებს). მოიხმეთ ძმა  
ლადვენით.
- მ თ ხ რ თ ბ ე ლ ი — (მიღის ინკვიზიტორთან). ნუთუ დართავთ ნებას, ბატონო  
ინკვიზიტორო, რომ მსგავსი რამ მოხდეს?
- ინკვიზიტორი — (ხელს შლის). რაკი მან „პო“ თქვა...
- მ თ ხ რ თ ბ ე ლ ი — ბატონი ეპისკოპოსი ამ გოგონასადმი ჩემთვის გაუგებარ  
შეწყნარებას იჩინდა მთელი პროცესის განმავლობაში. სარწმუნო წყა-  
როდან ვიცი, რომ ეპისკოპოსი ინგლისის სუფრიდან იკვებება. ნუთუ ფრან-  
გული სუფრა მეტ საკვებს აძლევს? აი, საკითხავი ეს არის.

ინკვიზიტორი — (ღიმილით). მე ამას არ ვკითხულობ, ბატონო მთხოვრებლო. აქ საქმე საკვები როდია, ეს გაცილებით მნიშვნელოვანია (ავღწყდებოდა თავისი მოსაუბრე და მუხლებზე იჩოქებს). ჰოი, უფალო! თქვენ ხნუბი რამეთუ უკანასკნელ წუთს ადამიანს ამ ქალიშვილში დამცირებინა თავი და დაცემულიყო. თქვენი დაუშვით, რომ ამჯერად მას ეთქვა „ჰო“. მაგრამ ამავე დროს, რად დართეთ ნება, რომ ადამიანის გულში, რომელსაც დავალებული ჰქონდა მისი გასამართლება, ხანგრძლივი ცხოვრებითა და კომპრომისებით მოქანცული ადამიანის გულში სიბრაღული ჩასახულიყო? ნუთუ არასდროს არ იხებებთ, უფალო, რომ ეს ქვეყანა ადამიანურის უკანასკნელი ნიშანწყლისაგან განთავისუფლდეს და ჩვენ საშუალება მოგვეცეს მოვმართოთ იგი შენდა სადიდებლად.

(შემოვიდა ძმა ლადვენიუ).

კოშონი — ძმაო ლადვენიუ, ეხანა გადარჩენილია. იგი თანახმაა დაბრუნდეს ჩვენი მშობელი ეკლესიის წიაღში. წაუეთხე აქტი უარყოფისა და იგი მოაწერს ხელს.

ლადვენიუ — გმადლობ, ეხანა, მე სულ შენთვის ვლოცულობდი. (კითხულობს). „მე, ეხანა, ჩვეულებრივად ქალწულად წოდებული, ვაღიარებ: ვცოდავდი მედიდურებით, სიჯიუტითა და ბოროტ განზრახვლებით, როდესაც ვამტკიცებდი, რომ ანგელოზებისა და წმინდანების სახით უფალი გამომეცხადა. ვინაიებ, რომ დავარღვიე წესი, ჩავიცივი სამარცხვინო და ჩემი სქესისათვის შეუფერებელი, ჩვენი წმინდა ეკლესიის წესით დაუშვებელი ტანსაცმელი და ჯადოქრობით ვაძიულებდი ადამიანებს ეზოცათ ერთმანეთი. მე ვემიჯნები ამ ცოდვებს და ვწყევლი მათ. წმინდა სახარებისა ვფიცავ, აღარ ვატარო ეს სარწმუნოებისაგან გამდგარის სამოსელი და აღარასოდეს ხელთ არ ავიღო იარაღი. ვაცხადებ, რომ მთლიანად ვემორჩილები წმინდა ეკლესიას, ჩვენს წმინდა მამას, რომის პაპს და მის ეპისკოპოსებს, რათა მათ განსაჯონ ცოდვანი და ცთომილებანი ჩემნი. ვეგედრები წმინდა ეკლესიას მიმიღოს თავის წიაღში და ვაცხადებ, რომ მზლად ვარ დავემორჩილო მის მიერ გამოტანილ განაჩენს. დასტურად ამისა ხელს ვაწერ ჩემი სახელით ამ აქტს, რომელსაც გავეცანი“.

ეხანა — (როგორც სრულიად დაბნეული პატარა გოგო). რა უნდა დავუხსვა, წრე თუ ჯვარი? მე ხომ წერა არ ვიცი.

ლადვენიუ — მე მოგივლებ ხელზე ხელს და მოგაწერინებ. (ეხმარება ხელის მოწერაში).

კოშონი — მორჩა და გათავდა, ეხანა. ხარობს დედაშენი, რამეთუ შენ დაუბრუნდეს მას. ხომ იცი, რომ გზაბნეული ერთი ცხოვარისათვის უფრო ზრუნავდა იგი, ვიდრე დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტისათვის. სული შენი დახსნილია და სხელი შენი ჯალათს არ მიეცემა. გულმორწყალებით მოვისაჯეთ პატიმრობა, რათა დარჩენილი დღენი შენნი ციხეში დაჰყო. ცოდვათა მოსანანიებლად. სჭამო პური სიმწრისა და სვა წყალი მშფოთვარებისა, რამეთუ მარტობაში შეძლო მონანიება. ამიერიდან, შენ აღარ გემუქრება ეკლესიისაგან განკვეთა, შენ შევიძლია მშვიდობით წახვიდე. (ხელით გარდასახავს ჯვარს). ვაიყვანეთ!

(ჯარისკაცებს მიჰყავთ ეხანა. ყველანი დგებიან და გგუფ-გგუფად დამდგარნი ლაყბობენ. იქმნება ჩვეულებრივი, სასამართლოს სხდომის შემდგომი განწყობილება).

ვარვიკი — (მიდის, თან ვარდს ყნოსავს). ძალიან კარგია, თქვენო უწმინდესობავ, ძალიან კარგი! რაღაც ერთი წუთით ვერ გავერკვიე, თუ რა უცნაური სიგიჟე გაძიულებდათ, რაღაც უნდა დაგჯდომოდით ვადაგერჩინათ ეს გოგონა. მე უკვე ვეჭვობდი, თავისი ხელმწიფის დალატს ხომ არ ფიქრობს-მეთქი.

კოშონი — რომელი ხელმწიფის, თქვენო ბრწყინვალეობავ?

ვარვიკი — (ცოტა უფრო მკაცრად). მე ვთქვი თავისი ხელმწიფის-მეთქი, მე მგონი, ხელმწიფე ერთი გყავთ. მე იმის შიშიც მქონდა, რომ თქვენს გამო მისი უდიდებულესობის ხარჯი არ ანაზღაურდებოდა, მაგრამ შემიძვე ვიფიქრე: ჩვეთვის სრულიად საკმარისია ეხანა უარყოს ყოველივე, რათა შარღს, ამ არარობას, სახელი გავუტეხოთ. ამას ხელმწიფისობავც

აქვს, რომ ჩვენ გვანთავისუფლებს ყველა იმ შედეგისაგან, რაც მოწინააღმდეგე ბრივ სიკვდილს მოჰყვება. ახლა ადამიანები ისე სენტრემენტალურნი არიან, რომ მხელია რაიმე გაითვალისწინო. კოცონი და ეს ვაუტეხვინი ცხლში გახვეული გოგონა ერთგვარად ფრანგული სულის ზეიმადაც გამოჩნდებოდა. უარყოფაში კი არის რაღაც უმწიბრობა. საერთოდ, ეს ძალიან კარგია...

(განათება იცვლება. მოქმედნი პირნი არ ჩანან. სიღრმეში გუშავს ციხისკენ მიჰყავს ჟანა. შინონის სცენის ყველა პერსონაჟი გამოდის და გზაზე ელოდება.)

აგნესა — (უახლოვდება). ჟანა, ძვირფასო, ჟანა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარა თქვენმა გადარჩენამ, მე თქვენ ვილოცავთ.

დედოფალი იოლანდა — სრულებით არ ღირდა სიკვდილი, ჟანა. ცხოვრებაში რასაც აკეთებ, ყველაფერი გონივრული უნდა იყოს. ჩემი საქციელი სხვადასხვაგვარად შეუძლიათ შეაფასონ, მაგრამ მე უმიზნოდ არასოდეს არაფერი არ გამიკეთებია.

აგნესა — პო, მაგრამ ეს მეტისმეტე უჭკუობაა. მე ძალიან მიყვარს პოლიტიკური პროცესები და შარლს ყოველთვის ვთხოვ ზოლმე ჩემთვის საგარძელო გამაშადებინოს. ძალიან საინტერესოა იმის ცქერა, როგორ ცდილობს კაცი თავის გადარჩენას. ამჯერად, მართალი გითხრა, არავითარი სიამოვნება არ მიმიძლია. სულ იმას ვფიქრობდი, რა სულელები არიან-მეთქი! პატარა გოგონა თავს სასიკვდილოდ სდებდა და მერე რისი გულისათვის! (შარლის ხელს ეპოტინება). ზომ იცი, ჟანა, სიცოცხლე რა მშვენიერია!

შარლი — როცა ჩემი გულისთვის კინალამ ყველაფერი გააფუჭეთ, რა თქმა უნდა, გუნებაში მეამა, მაგრამ რა ვიცოდი, როგორ მიმეხვედრებინე, რომ სწორად არ იქცეოდი. ჯერ ერთი, ამ ბებერი მელის, არქიეპისკოპოსის რჩევით, წინასწარ მივიღე ზომები და ჩემს ქალაქებში დავგზავნე თქვენი მამხილებელი წერილები. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სულ ვერ ვიტან, როცა ვინმეს ვუყვარვარ და ჩემი გულისთვის ვინმე თავს სწირავს, ეს ადამიანს ავალღებულებს და მე კი ვალდებულივარ გასაგონად მეზარება.

ჟანა — (არავის არ უყურებს, ისე ისმენს მათ ლაყბობას და თითქოს ვერავის ამჩნევსო, უცებ წყნარი ხმით ამბობს). მოუარეთ შარლს, ღმერთმა ქნას, იგი მუდამ ღონეზე და ვაჟკაცურად იყოს.

აგნესა — მაგას რა ლაპარაკი უნდა, სულელო. მეც იგივე მსურს, რაც შენ. ზომ არ გგონია, რომ ჩემთვის დიდად სასახელოა სულ მუდამ დაჯანბილი მეფის საყვარლობა? აი, ნახავთ, რომ მე ჩემს პატარა შარლს დიდ ხელმწიფედ ვაჯობდი, მაგრამ ამის მისაღწევად მე კოცონზე ასვლა როდი დამჭირდება... (ხმადამლ დასძენს) ეს რა დასატარაბაზეელია, ჟანა, მაგრამ რაკი ღმერთმა კაცი და ქალი გააჩინა, რას იზამ, მე ლოგინში იმაზე ნაკლები როდი გამიკეთებინებია მისთვის, რასაც თქვენ ომებში აკეთებინებდით.

ჟანა — (ჩურჩულთ). საბრალო შარლი.

აგნესა — საბრალო რით არის? როგორც ყოველი ეგოისტი, ისიც ძალიან ბედნიერია და როცა იქნება, დიდი ხელმწიფეც გახდება.

დედოფალი იოლანდა — ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ, ჟანა, ისეთივე მონღომებით, როგორც თქვენ. ოღონდ განსხვავებული საშუალებებით.

აგნესა — (მიუთითებს უმცროს დედოფალზე). მარტო ჩვენ კი არა, მისი პატარა უდიდებულესობაც, — ასე არ არის? აგერ, მეორე ვაჟი შესძინა მეფეს. ამის მეტი სხვა არაფრის უნარი აქვს, მაგრამ ამას კი საუკეთესოდ აკეთებს. ახლა ორი ვაჟიდან ერთი კიდევ რომ მოკვდეს, ჩვენ არხეინადა ვართ: ტახტს მემკვიდრე ჰყავს. აი როგორ დალაგებულად სტოვებ, ჟანა, საფრანგეთის სამეფო კარს.

შარლი — (აცემინებს). აი ხედავთ? ვერ ვიტან ამ ციხის ჰაერს. საშინელი ნესტია. ნახვამდის, ჟანა, ნუ გეშინია, ზოგჯერ მოგინახულებთ ციხეში.

ჟანა — ნახვამდის, შარლ.

შარლი — (გაღიზიანებული). ნახვამდის, ნახვამდის! ყოველ შემთხვევაში, მეფის კარზე თუ კიდეც დაბრუნდებით, თქვენც სხვებივით „თქვენო უდი-





რძელდეს. ჩვენ გიყები ვართ! ეს ომი რომ დამთავრდება, და მე მაქვს, რომ ეს მალე იქნება (ხომ იცით, თქვენი პატარა შარლი ახლა უკვე მთლად ნოკაუტრირებულია), დიან, ეს ომი რომ დამთავრდება, ვარჯიების ცხენ-ქალაქი საცხოვრებლად მშვენიერია. არც ძალიან დიდია, არც ძალიან პირქუში, მაგრამ ლამაზი კი ძალიანაა. იქ შე საუკეთესო ცხენები მოვაშენე. ჩემმა საცოლემ საუცხოოდ იცის ცხენზე ჯდომა, მთლად თქვენსავით არა, მაგრამ მაინც საუცხოოდ. ჩემს ცხენ-ქალაქში იგი ბედნიერი იქნება. მეღობავებზე გინადირებთ, ლამაზ დღესასწაულებს მოგაწყობთ... ვნანობ, რომ ესოდენ ბევრი უსიამოვნო გარემოება ნებას არ მაძლევს იქ მივბატოიროთ. (უხერხულად პაუზა). სულ ეს არის. მე მსურდა თავაზიანობის ამ ხანმოკლე ეპიზოდით თქვენთან მოსვლა... აი, ისე, როგორც მატჩის შემდეგ იციან ერთმანეთის ხელის ჩამორთმევა. ვიმედოვნებ, რომ თავი არ შეგაწყენით. ჩემი ჭარისკაცები ახლა წესიერად იქცევიან?

ქანა — დიან.

ვარჯიკი — თქვენ, ალბათ, ეკლესიის საპატიმროში გადაგიყვანენ. იმ მცირე დროს განმავლობაში, რასაც თქვენ აქ დაჰყოფთ, უმნიშვნელო თავზედობაც რომ შეამჩნიოთ ჩემს ჭარისკაცებს, მაშინვე მაინობეთ და ნაპირალას სახრჩობელა არ აცდება. ჩვენ, რასაკვირველია, ჯენტლმენების არმია არასოდეს არ გეყოლია, მაგრამ წესიერება უნდა დავიცვათ. (თავს უკრავს). ქალბატონო... (მიდის გასასვლელისაკენ).

ქანა — (ეძახის). თქვენო ბრწყინვალეობა!

ვარჯიკი — (შემობრუნდება). დიან?

ქანა — (არ უყურებს, ისე ეკითხება). როგორც ჩანს, აჯობებდა რომ დავეწვი.

ვარჯიკი — შე უკვე გითხარით, რომ ჩემი მთავრობისათვის უარყოფის აქტი დაწვას უთანაბრდება.

ქანა — მაგრამ ჩემთვის?

ვარჯიკი — ეს მხოლოდ უსარგებლო წამება იქნებოდა. რაღაც ძალზე მახინჯი არა, ნამდვილად არ აჯობებდა, მე თქვენ გარწმუნებთ, ეს ცოტა არ იყოს, ვულგარულიც იქნებოდა, მდაბიური სიბრძნევე, გინდა თუ არა მოიკლა თავი, რათა კოცონიდან ყველას გამომწვევად უყვირო შეურაცხყოფელი სიტყვები.

ქანა — (წყნარად, თითქოს თავისთვის). ჰო, მაგრამ მე ხომ უბრალო ხალხის შვილი ვარ. მე ხომ უჭკუო ვარ. მე არც ცხოვრება მაქვს, ბატონო, თქვენსავით ლამაზი. მე თქვენებრ იოლად, გამართულად როდი ვცხოვრობ; ომებში, ნადირობასა და ლამაზ საცოლესთან გართობაში როდი ვკლავდროს. რაღა დარჩება ჩემგან, მე თუ ქანა აღარ ვიქნები?

ვარჯიკი — უნდა ითქვას, ისინი კარგ დღეს არ დაგაყენებენ, განსაკუთრებით დასაწყისში, მაგრამ ხომ იცით, დრო იგავა, ყველაფერი მოწესრიგდება.

ქანა — (ჩურჩულით), მაგრამ მე არ მინდა, რომ ყველაფერი მოწესრიგდეს. მე არაფრად მინდა ასეთი სიცოცხლე... (წამოდგება, მთვარეულივით შორს იყურება). წარმოგიდგენიათ, ქანა ისეთ სიცოცხლეს თხოულობდეს, რომ ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდეს. ქანა თავისუფალი იყოს და იქნებ საფრანგეთის კარზე მცირე პენსიაც მიიღოს?

ვარჯიკი — (გაბრაზებული). მე თქვენ გეუბნებით, რომ ნახევარ წელიწადში აღარავითარი საფრანგეთის კარი აღარ იქნება.

ქანა — (არ იცის იტიროს თუ იცინოს). ქანა ყველაფერს შეუტრიადა... დასქელდა... კაი სმა-ჰამას მიეჩვია... თქვენ წარმოგიდგენიათ, ქანა — ძვირფასი ქედით მორთული, კობტა ტანისამოსით მოკაზმული, თავის პატარა ძაღლთან ან ფეხდაფეხ ლანდივით ადევნებულ მამაკაცთან ერთად და ვინ იცის, ეგებ გათხოვილი ქანაც?..

ვარჯიკი — რატომაც არა? ყველაფერს დასასრული აქვს. მე თვითონ ცოლის შერთვას ვაპირებ.

ქანა — (ყვირის, შეცვლილი ზმით). მაგრამ მე დასასრული არ მინდა, ყოველ



შემთხვევაში ამგვარი დასასრული. მე ბედნიერი დაბოლოება არ მიხდება/ ვაიმართება, ყვირის). უფალნო ჩემნო, წმინდაო მიქელ-გაბრიელ, წმინდაო მარგარიტა, წმინდაო ეკატერინე. თქვენ ახლა სდუმხართ, მაგრამ შენთვის დარგ იმ დღეს დაეიბადე, როცა თქვენ გამომელაპარაკეთ. მე იმ დღეს ვაცოცხლდი, როცა ცხენზე ამხედრებულმა და ხელში ხმალდაბლულმა თქვენი დაჯალბება შეგასრულე. აი, ეს იყო ჟანა, მხოლოდ ეს! და არა ის, მონასტერში რომ დასქელდება, გაფერმკრთალდება და სისულელეების ყბედობაში ენად გაიკრიფება, ან ციხიდან განთავისუფლებული სადმე თბილ ადგილას მოეწყობა და ცხოვრებას შეეგუება. თქვენ ხმას არ მტყობ. მეუფენო, ეს ხუცესები კი ერთად მეყაყანებოდნენ და კითხვებით მაზნეოდნენ. მაგრამ წმინდა მიქელ გაბრიელის პირით თქვენ ერთხელ გამომიცხადეთ: როცა ჩვენ ვდუმვართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ნდობას გიცხადებთ და თქვენვე განდობთ გადაწყვეტილების მიღებასო. (თითქოს უცებ გაიზარდა). რაკი ასეა, მეუფენო, მე ვლებულობ გადაწყვეტილებას მე თქვენთან ვბრუნდები იმავე ჟანად. როგორიც ვიყავი და როგორიც საუფუხოდ დავრჩები. დაუძახე შენს ჯარისკაცებს, ვარვკ, საჩქაროდ დაუძახე! მე უკანვე მიმაქვს უარყოფა! უარს ვამბობ ქალურ ტანსაცმელზე. მათ კიდევ გამოადგებათ გამართული კოცონი, მათ კიდევ ელით ზეიმი!

ვ ა რ ვ ი კ ი — (სინანულით). გთხოვთ. საჭირო არ არის ეგ უგუნურება. მე თქვენ გითხარით, რომ სრულიად დაკმაყოფილებული ვარ და წამების ყურებას ვერ ვიტან. მე თქვენი სიკვდილის ცქერა არ შემიძლია.

ჟ ა ნ ა — გამბედაობა უნდა მოიკრიბოთ, მაგ სანახაობის ცქერა არ აცდებთ. (დაიხახა, როგორ ვაფითრდა, მხრებში ბელს ჩააფლებს). შენ მაინც კაცი კაცი ხარ, შენი ჯენტლმენური სიფათის მიუხედავად, მაგრამ აქ ველარაფერს ვერ გააწყობ. მე და შენ ერთი ჯიშისანი არა ვართ! (მოულოდნელად ლოყაზე ხელს მოუთათუნებს, ყვირილით გამოდის). ჯარისკაცებო! ჯარისკაცებო! ჰეი, ინგლისელებო. უკანვე დამიბრუნეთ ვაჟური ტანსაცმელი და შარავლს რომ ჩავიცვამ, ხუცესები მოიხმეთ. (გადის).

ვ ა რ ვ ი კ ი — (მარტოდ დარჩენილი ლოყას იწმენდს და ჩურჩულით). რა უადგილოა ეს ამბავი... და რა ვულგარული... არა, ფრანგებთან ნამდვილად არ ღირს საქმის დაჭერა.

- (უცებ გაისმის ყვირილი).
- სიკვდილი ჩადოქარს!
- დაწვით ურწმუნო!
- სიკვდილი!
- სიკვდილი!
- სიკვდილი!

(ყველა მოქმედი პირი ხელს ავლებს ფიჩხს; ყვირიან, მოითხოვენ სიკვდილით დასჯას. ორი ინგლისელი ჯარისკაცის დახმარებით ქალათი მითრეეს ჟანას. მათ უკან მოჰყვებათ გაფითრებული ლადვენიუ. ყველაფერი სწრაფად და ტლანქად ხდება, როგორც მკვლელობის დროს. მნიშვნელობა არა აქვს ვისი დახმარებით, ეგებ მოხრობელის დახმარებითაც, ქალათი კოცონს მართავს სკამებისაგან. ჟანას აიძულებენ შედგეს ზედ და მიაბამენ წარწერიან ბოძზე. ბრბო ყვირის).

- ძელზე კუდიანი!
- ძელზე!
- თავი გადახორტრეთ ჯარისკაცების კახხას!
- ძელზე!
- ძელზე!
- დაწვით!

ვ ა რ ვ ი კ ი — (ალშოვითებით). რა უგუნურებაა! რა უგუნურებაა! რა ქირად გვინდამთელი ეს წარმოდგენა!

ჟ ა ნ ა — (ყვირის კოცონზე). ჯვარი! შემობრალეთ, მომეცით ჯვარი!

მ თ ხ რ ბ ე ლ ი — არავითარი ჯვარი ჩადოქარო!

ჟ ა ნ ა — გვედრებით, მომეცით ჯვარი!



კოშონი — (ლაღვენით). ლაღვენით, ჩქარა! გაიქეცი ეკლესიაში.  
(ლაღვენით გარბის).

მთხრობელი — (ინკვიზიტორს). ეს უკანონობაა, რატომ პროტესტობ  
ხაღებთ, ბატონო ინკვიზიტორო?

ინკვიზიტორი — (გაფითრებული უცქერს ჟინას). ჯვრით იქნება თუ  
უჯვროდ, სულ ერთია, ოღონდ ჩქარა ჩაჩუმდეს! ხედავთ, ბრძოლაში გვიწ-  
ვევს კოცნაიდან! ნუთუ ვერასოდეს ვერ უნდა ვძლიოთ!

ჟანა — (ყვირის). ჯვარი, მომეციტ ჯვარი!  
(ინგლისელი ჯარისკაცი იღებს ორ ჯოხს, გადააჯვარედინებს და უწ-  
ვდის).

ჯარისკაცი — დაიჭი, შეილო! ეს მღვდლები ყელში ამოვიდნენ. ბოლოს და  
ბოლოს მასაც ისეთივე უფლება აქვს ჯვრის მოთხოვნისა, როგორც ყველა  
სხვას.

მთხრობელი — (ეცემა ჯარისკაცს). იგი ღვთის მგომბელია, მე შენ ვიკრძა-  
ლაჲ.

ჯარისკაცი — (ხელს კრავს). წაღო, შენი...  
(უწვდის ჯვრის სახედ გამოყვანილ ჯოხებს, ჟანა გულში იხუტებს და  
პკოცნის).

მთხრობელი — (მივარდება ვარვიკს). თქვენო აღმატებულებაჲ, ეს ჯარისკა-  
ცი უნდა შეიბყროთ და დასაჯოთ, როგორც ღვთის უარმყოფელი. მე მოვი-  
თხოვ, რომ იგი ახლავე შეიბყროთ!

ვარვიკი — გული ნუ გამოიწყალეთ. ასეთი ჯარისკაცი მე რვაასი მყავს. ყველა  
ერთიმეორეზე ღვთის უარმყოფელია. ისინი ჩემი ჯარისკაცები არიან, ბა-  
ტონო ჩემო და მე მათთან ერთად ვომობ.

ინკვიზიტორი — (ჯალათს). აბა, ჩქარა დაანთე, კვამლმა ისე დაფაროს, რომ  
აღარ ჩანდეს. (ვარვიკს) უნდა ვიჩქაროთ, ბატონო, თორემ ხუთი წუთის  
შემდეგ ყველა მის მხარეზე იქნება!

ვარვიკი — ვშიშობ, რომ უკვე ყველანი მის მხარეზე არიან. (მოირბენს ლაღ-  
ვენით ჯვრით).

მთხრობელი — (ვაკივის). არ მისცე ჯვარი, ძაო ლაღვენით!

კოშონი — დაეხსენით, კანონიკო, მე თქვენ გიბრძანებთ!

მთხრობელი — მე თქვენ რომის უმაღლეს სასამართლოში გირივლებთ!

კოშონი — თქვენ შეგიძლიათ თუნდაც ეშმაკთანაც მიივლოთ. მაგრამ აქ მე  
ვიძლევი განკარგულებებს.

(ყოველივე ხდება სწრაფად, ფუსფუსით. იმპროვიზირებულად და სა-  
მარცხვინოდ, როგორც პოლიციის თავდასხმისას).

ინკვიზიტორი — (ნერვიულობს, ხან ერთთან მირბის, ხან მეორესთან). და-  
ვაჩქაროთ! დავაჩქაროთ! დავაჩქაროთ!

ლაღვენით — (აღის კოცონზე). გამაგრდი, ჟანა! ჩვენ ყველანი შენთვის  
ვლოცულობთ!

ჟანა — გმადლობ, ძმობილო, ჩადი, თორემ ალი მოუწვევება და გაატრუსავს.

ინკვიზიტორი — (ველარ ითმენს, უყვირის ჯალათს). რას შვრები შენ მანდ,  
კიდევ დიდხანს მოუნდები?

ჯალათი — (ჩამოდის). მზად არის, ბატონო, სინთო. ორიოდ წუთიც და ალი  
მისწვდება!

ინკვიზიტორი — (შვების ოხვრით). მადლობა ღმერთს!

კოშონი — (ყვირილით იჩოქებს). უფალო, მომიტევე!  
(ხელით ანიშნებს, ყველანი იჩოქებენ და იწყებენ სულთათნას. ერთ-  
თადერთი მთხრობელი დგას სახეზე მძულვარებააღბეჭდილი. კოშონი უკ-  
ვირის მთხრობელს — დაიჩოქე, კანონიკო! (მთხრობელი მახეში გაბმული  
მხეცივით მოათვალეირებს იქაურობას და იჩოქებს).

ინკვიზიტორი — (ვერ ბედავს შეხედვას, ეკითხება გვერდით მდგარ ლაღ-  
ვენით, რომელიც ვეარს უწვდის ჟინას). იგი პირდაპირ იხედება?

ლაღვენით — დიახ, ბატონო!

ინკვიზიტორი — ისევ ისე მტკიცედ?



ლადვენიუ — დიას, ბატონო!

ინკვიზიტორი — (გულნატკენი). და მის ბაგეებზე ღიმილია აღბეჭდილი?

ლადვენიუ — დიას, ბატონო!

ინკვიზიტორი — (გულნატკენილი თავს ხრის, ყრუ ხმით). ვერასოდეს ვერ შევძლებთ მის დამარცხებას!

ლადვენიუ — (იწყებს ოცნებას, ჩურჩულებს). ჰოი, რუანო, რუანო! ნუთუ შენ იქნები ჩემი უკანასკნელი თავშესაფარი? (კვნესის). ო, იესო!

ანესა — (კუთხეში დგას შარლთან და დედოფალთან ერთად). საბრალო, პატარა ჟანა! რა უგუნურებაა! წარმოვიდგენიათ, იგი უკვე იტანჯება.

შარლი — (შუბლს იწმენდს და თვალს არიდებს). ეს მართლაც უსიამოვნო წუთებია!

(სულთათნას ლოცვის ხმა ყველაფერს ფარავს. უეცრად სცენის სიღრმეიდან ქლოშინით შემოვარდება ბოდრიკური, გზადგზა ყველას ეჯახება და წინ ისე მოიწვეს).

ბოდრიკური — (ყვირის). შეჩერდი! შეჩერდი! შეწყვიტეთ!

(ყველანი წამოხტნენ, დაბნეულობის წუთი. ყვირილი ბრბოდან).

— რაო?

— რა შესწყვიტეთო?

— რას ამბობს?

— ნამდვილად გიყია!

ბოდრიკური — უჰ! კარგდროს მოვუსწარი! (უყვირის კოშონს). ამით გათავება არ შეიძლება, თქვენო უწმინდესობავე. ჯერ ხომ მეფის კურთხევა არ გაგვითამაშნია! ხომ შევთანხმდით, რომ ყველაფერი უნდა გაგვეთამაშნა! ეს უსამართლობაა! ჟანას მეფის-კურთხევის უფლება აქვს. ეს ხომ მის თავგადასავალში შედის!

კოშონი — (შეშფოთებული). სწორია! კინაღამ უსამართლობა ჩავიდინეთ.

შარლი — აი, ხომ ხედავთ! დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს მეფედ კურთხევას დაივიწყებდნენ. ჩემი მეფედ კურთხევა აღარავის ახსოვს, მერე რა ძვირად დამიჯდა!

ვარვიკი — (შეშფოთებული). გეყოფათ! ახლა კიდევ მეფედ კურთხევა მომთხოვეთ. ეს ხომ ნამდვილად ცუდი გემოვნების გამოთქოვანება იქნება. თქვენო უწმინდესობავე, ჩემი დასწრება მაგ ცერემონიაზე უღირსი საქციელი იქნებოდა, მე მივდივარ. ჩემთვის ჟანა დამწვარია და ყველაფერი გათავებულია. მისი უდიდებულესობის მთავრობის მიზანი მიღწეულია. (გაღის).

კოშონი — (უყვირის ჯალათს). ჰეი, ჯალათო, მოამზორე ცეცხლი, შეხსენი ჟანას თოკი. ახლავე მოუტანონ ხმალი და დროშა!

(ყველანი სიხარულით შლიან კოცონს, აშორებენ ფიჩხის კონებს. შარლი, რომელსაც მეფედ საკურთხებლად კაზმავენ, ავანსცენაზე ღიმილით გამოდის).

შარლი — ეს კაცი მართალია. ჟანას ამბავს ჭეშმარიტად არ ექნება დასასრული. მის თავგადასავალს უკუნითი უკუნისამდე გადასცემენ ერთიმეორეს, ხოლო ჩვენს სახელებს კი დაივიწყებენ. სიკვდილი რუანში შემწყვედიური პატარა არსებობისა დაბოლოებად არ ვარგა. ჟანას თავგადასავლის ნამდვილი დაბოლოება სასიხარულოა! ეს რეიმსში დიდებით ამალღებული ჟანა! იგი ცაში აფრენილი ტოროლაა! ჟანას თავგადასავალი არის ამბავი ბედნიერი დაბოლოებით!

ბოდრიკური — (კმაყოფილი ეხმარება დანარჩენებს კოცონის დაშლაში). კიდევ კარგი, რომ დროზე მოვუსწარი... ამ შტერებს ჟანა დარკის დაწვა უნდოდათ! არა, ეს როგორ იფიქრეს!

მამა — (სხვებთან ერთად კოცონს შლის, ჟანას ძმას მიმართავს). გაინძერი და ცხაორიდან თითები გამოიღე! მაგალითი აიღე დისგან. შეხედე, რა პატივს სცემენ! ასეთი ქალიშვილი მამის სიამაყეა! მე სულ ვამბობდი, ამ გოგოს დიდი მომავალი ექნება-მეთქი!

(სცენის სიღრმეში, კოცონის ადგილას, ფიცრებისაგან უცებ აღმართეს საკურთხეველი. ვაისმის ზარების რეკვა და ორღანოს ხმები. ეწყობა კორ-



ტეჟი. წინ შარლი მოუძღვის, ცოტა უკან ჟანა, შემდეგ დედოფლები  
 ტრემუი და ა. შ. პროცესია საკურთხეველისაკენ მიმართება. ყველა  
 იჩოქებენ. მართო ჟანა რჩება ფეხზე წელში გამართული, ხელთ დროშის-  
 ტარი უპყრია და ღიმილით უყურებს ზეცას, როგორც ეს სურათებშია გა-  
 მოსახული. არქივისკოპოსი გვირგვინს ადგამს შარლს... ორლანოს საზე-  
 იმო მუსიკა, ზარების რეკვა, საარტილერიო სალუტი, მტრედების აფრენა  
 და ეგებ სინათლის ეფექტებიც, ქმნიან ეკლესიის ვიტრაჟების ილუზიას და  
 სახეს უცვლიან დეკორაციას.

(ბეჯით მოსწავლეთა წიგნებიდან გადმოსულ ამ ჩვენებაზე ნელ-ნელა  
 ეშვება ფარდა).

დასასრული

თარგმანი პრიგოლ აბაშიძისა



# მეცნიერული ჟურნალი

*Handwritten signature or title in Georgian script.*

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ეწვია გამოჩენილ საბჭო-თა ენათმეცნიერს, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას და სთხოვა მას ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე. ვაჭვეყნებთ მეცნიერის პასუხებს.

ამ განყოფილებაში ვაჭვეყნებთ წერილებს, რომლებიც ეძღვნება სახელოვან იუბილარებს, ჩვენი ახალგაზრდობის ამაგდარადამიანებს: აკაკი ხორავას, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს და გიორგი მღვიანს.

## აკნოღ რიქობავა:

### ნოჭო დს მრქმს

— რესპუბლიკის ახალგაზრდობა თქვენ გიცნობთ, როგორც მის ერთ-ერთ გულითად ქომავსა და მოამაგეს, აღმზრდელსა და გზის მაჩვენებელს.

როგორია თქვენი შეხედულება დღევანდელ ახალგაზრდობაზე, კერძოდ სტუდენტობაზე. მიგაჩნიათ თუ არა, რომ იგი სათანადო გულმოდგინებითა და მონდომებით ეკიდება მეცნიერული დისციპლინების დაუფლებას?

— ჩვენი სტუდენტობა უფრო ნიჭიერია, ვინემ შრომისმოყვარე: სტუდენტ ახალგაზრდას აქვს ის, რაც თან დაჰყვა; აკლია ის, რაც უნდა შეეძინა, სანამ უმაღლეს სასწავლებელში შევიდოდა — აკლია დამჯდარი შრომის ჩვევა.

იმ ნიჭს, რაც ჩვენს ხალხს ახასიათებს და ახალგაზრდებს მოცემული აქვთ ბეჯითი სისტემატური შრომა როცა ემატება, შედეგი ოღონდაც გასახარია.

მაგრამ საამისო მაგალითი არცთუ ბევრია (რაც მთავარია, არ მატულობს). გაზშირდა შემთხვევები, როცა დიპლომს ეტანებიან, ენერგიულად მიიწევენ იმ უფლებებისაკენ, რაც დიპლომიან მოქალაქეს აქვს, ცოდნაზე კი არას ნაღწლობენ.

დასანანი ის არის, რომ მისაღები გამოცდები ყოველთვის არ უზრუნველყოფს უკეთესის შერჩევას. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ ახალგაზრდათა კონკურსი არაიშვიათად მშობლების კონკურსის ჩამოჰგავს.

სოფლიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ზშირად მეტი მონდომება აქვთ, მაგრამ საერთო განათლება აკლიათ. უნივერსიტეტში შემოსვლა თუ შეიძლეს, მარვეზებს თანდათანობით ივსებენ და უფროს კურსებზე მეტწილად რიგიანი მომზადების სტუდენტებად გვევლინებიან. უნივერსიტეტის სახელს ასეთი სტუდენტები არ შეარცხვენენ.

გადაუჰარბებლივ შეიძლება ითქვას: ქალაქებისა და — კიდევ უფრო — სოფ-



ლის საშუალო სკოლებში საემაოზე მეტია ნიჭიერი და ცოდნას მოწყურებული/ ახალგაზრდა, მაგრამ ხშირად უმადლეს სასწავლებლამდე ვერ აღწევს... ვარსკვლავი  
 გამორჩეულად ნიჭიერი მოსწავლეები (ყველა საგანშიც რომ ხუთთონსებრი  
 არ იყვნენ) შეიძლება და უნდა აღვრიცხოთ, უფროს კლასებში მათ მუშაობას  
 თვალი მივადევნოთ, ოლიმპიადებზე შევკრიბოთ (როგორც ამას მათემატიკოსე-  
 ბი აკეთებენ კიდეც) და უმადლეს სასწავლებლებს არ დავუკარგოთ.

რა თქმა უნდა, ეს მარტივი არაა; საქმის ორგანიზაციას მოფიქრება უნდა. მაგრამ ჩვენი ეროვნული უმადლესი განათლების მომავალს ეხება საქმე. თავის შეწუხება გვმართებს, კერძოდ, უმადლესი სკოლის მუშაეკებაც (შეზარბოშებული მოქალაქის პატრიოტულ სიტყვას, ძალიან მგზნებარეც რომ იყოს, ქვეყანა არაოდეს აუშენებია: ეს დიდი ხანია ცნობილია).

— ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში უმადლესი განათლება თითქმის მასობრივ ხასიათს იღებს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ უმადლესი განათლების ხარისხი ჩვენში ასეთ-სავე მაღალ დონეზეა?

— სასურველ დონეზე ჩვენი უმადლესი განათლება ვერა დგას. პირდაპირ უნდა ითქვას: დიბლომის მქონეთა რიცხვი სჭარბობს ნამდვილი უმადლესი განათლების მქონეთა რიცხვს, სჭარბობს ხელშესახებად.

მართალია, ყოველწლიურად ათასამდე განათლებული სპეციალისტი — სხვადასხვა დარგისა — რომ შეემატოს ქართველობას, პატარა საქმე როდია. მაგრამ ათას ნამდვილ სპეციალისტზე თუ ორი ათასი ისეთი მოდის, რომელიც სათანადო ცოდნა-მომზადებას მოკლებულია, უფლებები კი მართალი სპეციალისტისა აქვს, რთული ვითარება იქმნება.

ერთი შენიშვნა: მასობრივ განათლებას, უმადლესი იქნება იგი თუ საშუალო, პირველ ხანებში, ბუნებრივია, არა ჰქონდეს მაღალი დონე. ვიმეორებთ: პირველ ხანებში; შემდეგ კი დონე უნდა ამაღლდეს: განათლება მასობრივად უნდა იყოს და მაღალი დონისაც.

უნდა იყოს, არ კი არის. რატომ?

მიზეზი არა ერთია. მთავარი მაინც საშუალო სკოლის სისუსტეა: უმადლეს განათლებას აკლია მტკიცე საძირკველი, რასაც იგი უნდა დაეყრდნოს. საშუალო სკოლას რა მოუვიდა? ბევრს ვასწავლით და ცოდნა ზერეულეა. ყოვლისმცოდნეობა კარგია, მისაღწევი რომ იყოს.

საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების (მაგ., ქიმიის, გეოგრაფიის...) საპროგრამო მასალა ძალზე გაიზარდა (ახალი საგნებიც: არაორგანული, ორგანული ქიმია... შეემატა სასწავლო გეგმას). საზოგადოებრივი მეცნიერებებიც ვალში არ დარჩნენ: ისტორია უფრო ვრცელი და დაწვრილებითია... ლიტერატურა — სრული, ენა — აგრეთვე...

მოწაფის საშინაო დავალება დიდზე დიდია: მის წესიერად შესრულებას ნიჭიერი და ძალიან ბეჯითი მოწაფე თუ შეიძლება... გაზეთებში არა ერთხელ დაიწერა: უფროსებისათვის შევიდსათიანი სამუშაო დღე შემოვიღეთ, ბავშვებს რალას ვერჩით — ხუთ საათს სკოლაში სწავლობენ, ხუთიც გაკვეთილების დამზადებას არა ჰყოფნისაო. მდგომარეობა მაინც არ შეიცვალა.

აუარება მასალას ვაყრით და ამ მასალას სკოლაში „გადიან“ — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ქართულ ლიტერატურას წლების მანძილზე სწავლობენ და... „ოთარაანთ ქვრივის“, „გლახის ნამბობის“ შინაარსი ზოგმა მოწაფემ მხოლოდ ლიტერატურის სახელმძღვანელოდან იცის, — თვით ნაწარმოები არ წაუკითხავს. რთულ გრამატიკულ ცნებებს ვასწავლით, ზმნისა და სახელის გარჩევა კი ყველა მოწაფეს არ შეუძლია.



ასე გამოიყურება ის საძირკველი, რასაც უმაღლესი სკოლა თავის მუშაობაში უნდა დაემყაროს. და აი უმაღლესი სკოლა იწყებს საშუალო სკოლის ვადანდას: საგანს საგანზე უმატებს, რომ ხარვეზები ამოავსოს. სტუდენტები, როგორც წესი, ყოველ სემესტრში ხუთ საგანს აბარებს (მეტრიც იქნებოდა ზოგჯერ, მაგრამ ინსტრუქცია კრძალავს!). წელიწადში — ათი საგანი გამოდის, ოთხ წელიწადში — ორმოცი (დიდი თუ მცირე მოცულობისა!). სტუდენტთა მეტი წილი ყველაფერ ამას კონსპექტებით ამზადებს და „აბარებს“ საგნებს. საფუძვლიანი ცოდნა ასეთ პირობებში მოსალოდნელია განა?!

უმაღლესი სკოლა საშუალოს ესაყვედურება: მსმენელთა მომზადებული კონტიგენტი არ მოგიწოდებიათ. საშუალო სკოლაც საყვედურს უბრუნებს: შენ რომ ჩემთვის კარგი მასწავლებლები არ მოგიმზადებიათ! ნაწილობრივ ერთიც მართალია და მეორეც. ზღვა მასალა და ზერელე ცოდნა არ კლებულობს.

გადაუდებელი ამოცანაა: გაიცხრილოს საპროგრამო მასალა... გაღრმავდეს ცოდნა... აღიკვეთოს ზერელობა...

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველ ოთხ კლასს და მისთვის მასწავლებელთა შერჩევას: წიგნიერებას საძირკველი აქ ეყრება.

— რა აზრისა ხართ ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფებებზე? მათ მეგობრობაზე? მათ სიყვარულზე?

— ძნელი საკითხია. იტყვიან: სიცოცხლის ბოლოში გასულს ჩვეულებრივ უჭირს იმათი ავ-კარვის სამართლიანად შეფასება, ვინც ცხოვრებაში შემოდის, მოხუცებს თავისი ახალგაზრდობა მოსწონთ, ის მიაჩნიათ საზომად, ეტალონდათ.

ერთგვარი საფუძველი ამგვარ მსჯელობას, ალბათ, აქვს კიდევ.

და მაინც პირდაპირ უნდა ვთქვათ: ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს მეტადრე ქალაქის ახალგაზრდობის ნაწილს, ასე ვთქვათ, პრაქტიკისტული მიდრეკილება ეტყობა უფრო მეტად, ვინემ ეს ახალგაზრდას შეეფერება; მის მეგობრობასა და გატაცებებსაც ზოგჯერ სიღრმე და სილამაზე აკლია.

ასეთი ახალგაზრდა უნებში „მატერიალისტია“ პრაქტიკაში, ჯიქურ რომ ვთქვათ, ეჩოსავით სულ თავისკენ თლის, „მე“ არასოდეს ავიწყდება და „ჩვენი“ იშვიათად აგონდება — „ჩვენ“ — ესე იგი: ოჯახი, სადაც ცხოვრობს, ამხანაგ-მეგობრების წრე, სადაც ტრიალებს, ხალხი, რომლის შვილიცაა, მშობელი ქვეყანა, მისი ენა და კულტურა, მისი აწმყო, წარსული და მომავალი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც ქართველი კაცი შეიძლება ქართველობდეს...

ამ ეჩო-კაცს თავისი ხალხი, ენა, კულტურა, სამშობლო ნამდვილი სიყვარულით არ უყვარს (და ამიტომაც არც სხვის ენას, კულტურას, სამშობლოს შეუძლია მოეკიდოს პატივისცემით).

თქვენ მეტყვიით: „ასეთი შეფასება მცდარია! ასეთი არავინ დაიძებნებო!“ შეცდომა რომ იყოს, მხოლოდ გასახარი იქნებოდა.

ჭაბუკობის წლები განუმეორებელია: სიცოცხლე ახალგაზრდას წინ უძევს, მომავალი მოლოდინით აღსავსეა, ეს მოლოდინი საინტერესოს და სასიხარულოს მოლოდინია.

ვინც ხალისით ეგებება მზის ყოველ ამოსვლას, მას სიხარული უნდა შეპქონდეს ოჯახშიც, მეგობართა წრეშიც. მისი განცდა ლამაზი უნდა იყოს, მისი მეგობრობა მართალი, რომ ამისი სითბო მთელ სიცოცხლეში გაჰყვეს, ცხოვრების ჭაბან-წყვეტაში სიმხნე შემატოს, ნამდვილი აღამიანობისაკენ წააქეზოს.

არადა, ახალგაზრდობის წლები ფუჭი გამოგვივა. ცხოვრებაში სულიერად დატაკი შევალთ.

— როგორ ურჩევდით ახალგაზრდობას თავისუფალი დროის გატარებას?

— შინაარსიანად! ახალგაზრდობის ღირსების შესაფერისად! ეს ექნებოდა ზოგადი პასუხი. იგი დაიტევდა კარგი წიგნის წაკითხვასაც, კარგი სპექტაკლის ნახვასაც, კარგი საესტრადო და კლასიკური მუსიკის მოსმენას (ქართული ხალხური სიმღერების მოსმენაც ზედმეტი არ იქნებოდა), კარგ მხიარულებას ამხანაგ-მეგობართა წრეში; სუფრაზე მოლხენაც არ უნდა გამოვრიცხოთ, ოღონდ არა იმისთვის, რომ გამოვობრუქოთ, არამედ „დრო გავატართ“ (რა თქმა უნდა, ყოველ კვირას არა, დაგეგმილი ქეიფის სახით: დღეს ამასთან, ხვალ იმის დღეობაზე... და ასე შემდეგ).

სპორტული სანახაობანიც... ოღონდ ამას ისედაც არავინ ივიწყებს, მოჭარბებული ყურადღების საგანი გამხდარა, მასთან არა მხოლოდ ახალგაზრდობისათვის.

ისტორიულ ძეგლებს, ჩვენი მდიდარი ძველი არქიტექტურის ძეგლებს, ჩვენი ახალგაზრდობა ნაკლებად იცნობს: ალავერდი, სამთავისი, გელათი, ბაგრატიის ტაძარი (ქუთაისში), მარტვილი, ვარძია... ბევრ ახალგაზრდას გაუგონია, ნახვით კი არ უნახავს. ზოგსაც მცხეთა და ჯვარიც იქნებ არ ჰქონდეს დათვალიერებული. თბილისშიც საკმაოდ მოიპოვება საყურადღებო ძეგლი წარსულისა. რომელსაც ქართველი ახალგაზრდა უთუოდ უნდა იცნობდეს...

ქართულ ხელნაწერთა ძვირფასი საგანძური, თბილისში რომ გვაქვს (ხელნაწერთა ინსტიტუტში), პირველ ყოვლისა, ვინ უნდა ნახოს, თუ არა ქართველმა ახალგაზრდამ?

რამდენი ახალგაზრდაა, მოსკოვ-ლენინგრადში არა ერთხელ ყოფილა, თელავი და თიანეთი კი არ უნახავს, ქსნის ხეობა და სუფსის სანაპირო, თუ იქაური არაა, არ იცის, რა სანახავიცაა.

ფეხით უნდა გვექონდეს მოვლილი მთელი საქართველო; უშუალოდ ვიცოდეთ, რა ქვეყანაცაა საჩერქეზო (ადიღე, ყაბარდო), ჩაჩნეთ-ინგუშეთი, დაღესტანი, სომხეთი და აზერბაიჯანი, უკრაინა და ბალტიისპირეთი...

ნათქვამია: გაგონილს ნახული სჯობიაო! ჯერჯერობით კი... ჩვენს დედაქალაქსაც არ ვიცნობთ წესიერად (თუ მას ფართო ტროტუარიან პროსპექტებს არ გავუტოლებთ). შორიდან ჩამოსულ ტურისტებს ხომ არ მივმართოთ საკონსულტაციოდ: მათ უკეთ იციან ახალი თბილისიცა და ძველიც.

ზეპირი ვიქტორინები რომ იმართებოდეს უფრო ხშირად, ოღონდაც კარგი იქნებოდა...

რუსთაველის საიუბილეო დღეების სამზადისმა იქნებ ისიც მოგვაგონოს, რომ ძველად „გ ვ ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი“ ბევრმა ქართველმა ქალმა ზ ე პ ი რ ა დ ი ც ო დ ა . მ თ ე ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ს ზ ე პ ი რ ა დ დ ა ს წ ა ვ ლ ა თ უ არა, ც ა ლ - კ ე უ ლ ი თ ა ვ ე ბ ი ს დასწავლაზე ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა თ ა შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა რომ გამოგვეცხადებინა, შედეგები რუსთაველის დღეებისათვის გამოვლინდებოდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პოეტური მთა აქაც თავს გამოიჩენდა. მას იქნებ ბარიც არ ჩამორჩენოდა.

— სომ არ უშლის ჩვენი ახალგაზრდობის გატაცება სპორტით მის ძირითად საქმიანობას?

— კითხვაში უკვე არის პასუხი გაცემული. სპორტით გატაცებამ ლამის „არაახალგაზრდებიც“ გამოიყვანოს წონასწორობიდან. მეტადრე ეს ითქმის ფეხბურთის შესახებ. მართალია, ასეთი გატაცება მხოლოდ ადგილობრივი ფაფურაკი არაა, მაგრამ ეს სანუგეშოდ არ გამოგვადგება.

ვაზეთები კიდევ იმდენ ადგილს უთმობენ სპორტს, თითქოს ქვეყნის ბელი

სტადიონზე წყდებოდეს. სავალალო ისაა, რომ ყველაზე მასობრივი გამოსვლა სპორტის ის სახეები, რომლებიც მაყურებელს ყვირილსა და თავდაუქმებლობას თუ ასწავლის (მერე კიდევ ვჩივით: აღმზრდელობითი მუშაობა მოისჯება მისი ლექციები მეტი უნდა წაგვეკითხა ახალგაზრდებისათვისა).

სპორტი კარგია, ოღონდ მას თავისი ადგილი აქვს და შესაბამისი ყურადღებაც უნდა ეთმობოდეს. ხალხის ცხოვრების სახსარს სპორტი არაოდეს ქმნიდა.

— რას გვეტყვიტ ჩვენს მწერლებზე, მათი ნაწარმოებების ფორმასა და სტილზე?

— ალბათ, მკითხველის შთაბეჭდილებას გულისხმობთ, თორემ ამ კითხვაზე აზრის გამოთქმა პროფესიონალი-კრიტიკოსის საქმეა.

პოეტი ბევრი გვყავს და ნაირ-ნაირი ხმისა. არც პროზით ვართ ღარიბი. საინტერესო საკითხავი არცთუ ცოტა იწერება. ძლიერი განცდისა და ღრმა გაგებისა კი (ვთქვათ, ისეთი, რომ მეორედ წაკითხვა მოგინდეს), შედარებით ცოტაა.

ამბობენ, კარგის დაწერას ნიჭისა და კულტურის შეზავება ესაჭიროებაო. საკმარისია კი? მწერლის პიროვნებას ის საძირკველი, რაც ნიჭსაც ნიშნდობლივი სახით გამოავლენს და კულტურასაც თავისებურად გამოიყენებს.

წინათ რაც იყო, იმას თუ შევადარებთ, ჩვენი მწერლობის წარმატება ხელშესახებია. იმის თვალსაზრისით კი, რაც უნდა იყოს, გასავლელი მანძილი, ალბათ, საკმაო გვრჩება.

ჩვენი მწერლობის გამარჯვება ჩვენი კულტურის გამდიდრებას მოასწავებს და ქართველ მკითხველს გაანარებს (მარცხიც ასევე შესაწუხარი იქნებოდა). ერთი სიტყვით: ქართველ მწერალს ქართველი მკითხველი ზურგს უმაგრებს, სიყვარულითა და მომთხონელობით.

ახსოვს კი ყოველთვის ყველა მწერალს ეს მკითხველი, თავისი მწერლის მოიმედე?!

— რა სახის ენობრივ დარღვევებს უნდა ვებრძოლოთ ჩვენი ახალგაზრდობის მეტყველებაში?

— ყველაზე უფრო არსებითია აზრის მკვეთრად ჩამოყალიბება, სათქმელის ზედმიწევნით თქმა, სიტყვის თავის ადგილას ხმარება. ყველაზე უფრო აქ ქირს, და ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ეს სატკივარი საჭიროებს.

მართლწერის ნორმები ამ სატკივარს ვერ განკურნავს (კედლის შეთეთრება რას გვიშველის, თუ სახლი „საავარიო მდგომარეობაშია“): აზროვნების კულტურა უნდა ამადლდეს, თუ გვინდა მეტყველების კულტურის ეს ძირითადი საქმე მოგვარდეს.

— რა როლს ასრულებს მწერლის ენა მისი ნაწარმოებების სპეციფიკური სტილის შექმნაში?

— „მწერლის ენა“ რთული ცნებაა; არც „სტილის“ ცნებაა მარტივი; ამ ორი ცნების ურთიერთობაც შესაბამისად რთულია და ცალკე განხილვას საჭიროებს. ამთავითვე ერთი რამ შეიძლება ითქვას: „მწერლის ენა“ „მწერლის სტილის“ ორგანული ნაწილია. და მაინც ნაწილისა და მთელის ურთიერთობა სარკვევია.

— საჭიროა თუ არა ბრძოლა ნეოლოგიზმებისა და ბარბარიზმების სიჭარბესთან თანამედროვე სამწერლო ენაში? რა გზით უნდა წარიმართოს ეს ბრძოლა?

— ყველა ნეოლოგიზმს, ე. ი. ახალ მოვლენებს, ანუ ინოვაციას, ერთი ჯოხით ვერ გავდენით: ზოგი უხეიროა და უკუსაგდები. ზოგიც რიგიანი და საჭი-

რო. ნეოლოგიზმები ერთობლივ რომ უარვყოთ, ენა როგორღა განვითარდება?  
„ბარბარიზმების“ წინააღმდეგ ბრძოლა სალიტერატურო ენაში საჭიროა  
არ შეიძლება იყოს სადავო.

საკითხავი ოღონდ ისაა, რას მივიჩნევთ „ბარბარიზმებად“?

ავილოთ, მაგალითისათვის, გამოთქმა: „ბარბარიზმების წინააღმდეგ ბრძო-  
ლა“... ხომ არ არის ეს გამოთქმა „ბარბარიზმი“... „მტერთან ბრძოლა“, „ეპიდე-  
მიასთან ბრძოლა“ თუ „მტრის (ეპიდემიის) წინააღმდეგ ბრძოლა“?..

გულდასმით რომ გადავათვალიეროთ ის წერილები, რაც ჩვენში გამოქ-  
ვეყენებულა „ბარბარიზმებთან ბრძოლის“ თაობაზე, ბევრი საკითხი აღმოჩნდე-  
ბა საქმაოდ შორს მიმავალი. ამაზე აჯობებს ცალკე იყოს საუბარი. იქნებ, ჟურ-  
ნალმა „ცისკარმა“ ასეთ საკითხებს — ქართული ისტორიის სა-  
კითხებს — მცირე ადგილიც დაუთმოს ყოველ ნომერში. „მართალი ქარ-  
თული ასეთია, ეს კი ბარბარიზმია და ხუ გვინდაო“!

— მცნისველებს აინტერესებთ თქვენი აზრი ქართულის მონათესავე ენების შე-  
სახებ.

— ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი ესაა ქართული ენის  
წარმომავლობის საკითხი. მას მხოლოდ საენათმეცნიერო მნიშვნელობა როდი  
აქვს: ენის ისტორია ხალხის ისტორიის წყაროდ მიაჩნიათ, უტყუარი ისტორიის  
წყაროდ (ისტორიული საბუთი შეიძლება ნაყალბევი იყოს; ენის ფაქტი ყალბი  
შეუძლებელია იყოსო, იტყვიან). ქართული ენის ნათესაობის საკითხი ქართვე-  
ლი ხალხის წარმომავლობის პრობლემას უკავშირდება.

ასოცდაათი წელი გავიდა, რაც ქართული ენის მონათესაობის ძიება მეც-  
ნიერული წესით დაიწყო (მ. ბროსე). ზოგი მკვლევარი ფიქრობდა: ქართული  
ინდოევროპული ენების მონათესავეაო (მაგ., სახელგანთქმული ფ. ბოპი, ინდო-  
ევროპული ენების შედარებითი გრამატიკის ფუძემდებელი, 1846 წ.). ნ. მარმა  
ქართულის მონათესავედ არაბულ-ებრაული მიიჩნია და ამ დებულებაზე ააგო  
იაფეტური თეორია (1908 წ.).

მთის კავკასიურ ენებთან — აფხაზურ-ადიღურთან (ჩერქეზულთან), ჩაჩ-  
ხურ-ჭისტურთან და დაღესტნის ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთო-  
ბა ორსავე შემთხვევაში განზე დარჩა (ეს კია, რომ ნ. მარმა მოგვიანებით, 1916  
წელს, მთის ზემოხსენებული ენებიც მოაქცია „იაფეტურ ენებში“, ოღონდ სე-  
მიტურთან ურთიერთობის თვალსაზრისს მაინც ვერ დააღწია თავი ნ. მარის  
ვერც ერთმა მთლიანმა გრამატიკულმა მიმოხილვამ — იქნება ეს „ძველი ქარ-  
თული ენის გრამატიკა“, თუ „ჭანურის გრამატიკა“).

უტხოელი ენათმეცნიერები (ფრ. მიულერი, 1895, ა. ტრომბეტი, 1923 წ.)  
ქართულისა და მთის კავკასიური ენების ნათესაობას სცნობდნენ, მასთან ა. ტრო-  
მბეტი (და გარკვეულ პერიოდში, 1920—1923 წლებში, ნ. მარი) ქართულსა და  
მთის კავკასიურ ენებს მიიჩნევდნენ წინააზიისა და ხმელთაშუაზღვების ძველი  
ენების (ურარტულის, პროტონხეთურის... ეტრუსკულის) წრისად. ამ წრის გად-  
მონაშთი ჩანს კავკასიური ენებიც და ბასკურიცაო: კავკასიონის სამხრეთითა და  
ჩრდილოეთით, პირენეის მთების კალთებზე ესპანეთსა და საფრანგეთში შემორ-  
ჩენილია ძველისძველი ხალხების თავისებური სტრუქტურისა და არქაული წყო-  
ბის ენებიო, — ასეთია დედა-აზრი ამ შეხედულებისა. ამ შეხედულებას ჩვენში  
იცავდნენ ივ. ჯავახიშვილი, სიმ. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. თოფურია, ქეთევან  
ლომთათიძე...

გასაგებია, რა დიდი მნიშვნელობაც ენიჭება ამ ენათა შესწავლას კულტურ-  
რის ისტორიის თვალსაზრისით. არ შეიძლება დავივიწყოთ პასუხისმგებლო-



ბაც, რაც ამ ენების სპეციალისტებს აწევს: მეცნიერების წინაშე პასუხისმგებლობა შეესაბამება საკითხის მნიშვნელობას.

სწორი აზრი მეცნიერებაში რომ შევიდეს, დასაბუთება ესაჭიროება. ანუ შეიძლება დე პიპოთეზა გვექნება. მეცნიერული თეორია პიპოთეზით იწყება. 1954 წ. ჟურნალმა „ვოპროსი იაზიკოზნანიამ“ დისკუსია გამოაცხადა: ხეთურ-კავკასიური პიპოთეზა საბჭოთა ენათმეცნიერების დეზორიენტაციას იწვევსო, უნდა მოითხაროსო. არც ქართულის ნათესაობაა მთის კავკასიურ ენებთან (მათ შორის აფხაზურთან!) სარწმუნოო, კავკასიური ენების ძველ ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობა ხომ რა სათქმელიაო.

მთის ენების (კერძოდ, აფხაზურის) ჩვენება რასაც მოასწავებდა და როგორ უჭერდა მხარს ქართულ-კავკასიურის (იბერიულ-კავკასიურის) ნათესაობას, ეს ჩვენთვის ცხადი იყო. ურარტულ-პროტოხეთურთან ჩვენი ენების ურთიერთობის საკითხი კი ჩვენი ორიენტალისტების კომპეტენციის საგანია. მათი ხმა კი ამ დისკუსიაზე არ გაისმა (ეს დუმილი მეტყველი დუმილი იყო; რომაელები იტყოდნენ: cum tacent, clamant! — „რომ დუმან, ამით გაკვივანო!“).

და მაინც ამ დისკუსიაში უსაფუძვლო ბრალდებები გავაქარწყლეთ, პრობლემის მეცნიერული აქტუალურობა ერთხელ კიდევ დადასტურდა.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ცენტრი თბილისია: არსად სხვაგან არ მიუწვდებათ ხელი მთის იმდენ ენაზე, რამდენსაც ჩვენში იკვლევენ. ბასკურზე ჩვენში აქამდე არავინ მუშაობდა. ეს ხარვეზიც მალე ამოივსება.

ქართული ენის ნათესაობა ჯერ კავკასიურ დონეზე უნდა გადაწყდეს (ქართულის მონათესავეა აფხაზური და მთის კავკასიური ენები — აღილური-ჩერქეზული, ჩაჩნურ-ქისტური და დაღესტური ენები), შემდეგ—წინააზიისა და ხმელთაშუაზღვრის ძველი ენობრივი სამყაროს დონეზე... თუ ცოცხალი ბასკურის ანდა მკვდარი ურარტული ენის ნათესაობა, იბერიულ-კავკასიურ ენათა რომელიმე ერთ ჯგუფთან დამტკიცდება, მით ყველა სხვათანაც დამტკიცებული იქნება (ასე, მაგ., ურარტულს ხელშესახები კავშირი აღმოაჩნდა ქისტურთან, ეს უკვე ტრომბეტიმ აღნიშნა! — მაშასადამე, ქართულთანაც: ნათესავის ნათესავი ნათესავი იქნება!)

კითხვა დგება: ძველი სამწერლო ენის, ქართული ენის ისტორიას რაში ესაჭიროება მთის უმწერლო ანდა ახალმწერლობიან ენათა მონაცემები?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომა: „ქართული და კავკასიური ენების ბუნება და თავდაპირველი ნათესაობა“, — პირველი გამოკვლევა, სადაც ქართულის ნათესაობის საკითხი მთის კავკასიურ ენებთან სისტემატურად არის გაანალიზებული და საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი, ქართული კულტურის ყველაზე დიდი მკვლევარი, სხვათა შორის წერს: „...ჩემი ღრმა რწმენით, რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების დატომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნის, მაშასადამე, იმდენი მოთმინება და გულმოდგინეობაც უნდა აღმოაჩნდეს, რომ სიძნელეს არ შეუშინდეს და საკითხი საფუძვლიანად შეისწავლოს“ (გვ. XV. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ივ. ჯავახიშვილის ამ სიტყვების ჭეშმარიტება სარწმუნოა ყველასთვის, ვინც ქართულს იკვლევს და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენებაშიც ერძევა.

ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი დი-

დი საკითხია. იგი კულტურის ისტორიის არა ერთ ძირითად საკითხსაა ვადაკავშირებული. ასეთი საკითხები ერთი ხელის მოსმით არ წყდება. ნათესაობის უფრო მყოფელნიც, ბუნებრივია, რომ იყვნენ (და არიან კიდევ — უცხოეთშიც) უნდა შეიცვალა).

სწორი დებულება საბოლოოდ თავისას გაიტანს. სწორი დებულება იმისი სწორი დებულებაა, რომ კრიტიკას გაუძლოს (თუ, რა თქმა უნდა, ეს კრიტიკა მეცნიერული წესითა და საშუალებით იწარმოებს, და საჭირო საბუთების უქონლობას სხვა, მეცნიერებისათვის უცხო, საშუალებებით არ შეივსებს).

მიმდინარე წლის ივნისში საგანგებო სამეცნიერო სესია მიეძღვნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას. სესია შედგა მახაჩყალაში (დაღესტანში). მონაწილეობას იღებდნენ დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილო-ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, ადიღეს, მოსკოვის, ბაქოს, ერევნის და თბილისის სპეციალისტები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულებამ სესიის მხარდაჭერა პოვა — (სათანადო დასკვნებში ეს აღინიშნა). ამ სესიის მუშაობაზე აქ ვერ შევჩერდებით (იქნებ როდისმე ცალკე). სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა.

— რა აზრის ხართ სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების დაპირისპირების შესახებ? მიგაჩნიათ თუ არა, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში უნდა გამოიყენონ ორივე მათგანის მეთოდები?

— საკითხი მეტად სპეციალურია, მასთან განყენებული. ზოგადად ასე შეიძლება ვთქვათ: მეცნიერულად არაა გამართლებული სინქრონიული (აღწერიითი) დაფუძირისპიროთ დიაქრონიულს (ისტორიულს): სინქრონიულიც საჭიროა დი დიაქრონიულიც, ერთსაც თავისი ადგილი აქვს და მეორესაც (სინქრონიული ანალიზის საჭიროებას მე ვსაბუთებდი მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928 წ., მაშინ სინქრონიის ამინდი არ იყო, და წიგნიც, მისი ავტორიც, მრავალი ეპითეტით შეამკეს).

რა ადგილი უნდა ეკუთვნოდეს სინქრონიის და რა — დიაქრონიის, ეს დიდ დავას იწვევს თანამედროვე ენათმეცნიერებაში; პასუხი იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ გვესმის ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების, რაობა.

თუ ენათმეცნიერება საზოგადოებრივი (ჰუმანიტარული) მეცნიერებაა, — და მე ეს მიმაჩნია მართებულად, — წამყვანი უნდა იყოს დიაქრონიული (ისტორიული) ენათმეცნიერება, სინქრონიულის (აღწერიითის) ადგილი ამით განისაზღვრება.

— უკანასკნელ წლებში რა გაკეთდა ახალი ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის მხრივ?

— ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითს შესწავლაში, უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნებულ შრომათაგან აღსანიშნავია: თ. გამყრელიძის: „სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959 წ.), კარლ პორსტ შმიდტის „ძიებანი სამხრულ-კავკასიური ფუძე-ენის ბგერითი შედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ“ (1962 წ. გერმ. ენაზე), გ. როგავას: „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“, I (1962), გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1964 წ. რუს. ენაზე) და თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.).

ყველა ეს შრომა საგულისხმოა: ზოგი — მოპოვებული შედეგებით („ისტორ. ფონეტ. საკითხები“, „სიბილანტა შესატყვისობანი...“), ზოგი კიდევ ცდით, ახ-

ლებურად დაისვას საკითხი („სონანტაა სისტემა...“). კ. შმიდტისა და გ. კლიმონის შრომები არსებითად ერთსა და იმავე მასალას ეხება, მაგრამ შმიდტის შრომა უფრო საინტერესოა.

კლიმონი  
გინჯიჩიშვილი  
გინჯიჩიშვილი

ზოგს ამ შრომაზე უკვე დაიწერა რეცენზიები ჩვენშიც, უცხოეთშიც, ზოგის შესახებაც დაიწერება. ვფიქრობთ, ამ შრომების განხილვა ხელს შეუწყობს ჩვენში ისეთ ძირითად ცნებათა მეცნიერული აზრის გარკვევას, როგორიცაა „ფუძე-ენა“, რეკონსტრუქციის დანიშნულება და შესაძლებლობანი, საკითხი დივერგენცია-კონვერგენციის ადგილის შესახებ ენის განვითარების პროცესში.

ამ საყრდენი ცნებების ბუნდოვანება შედარებითი ენათმეცნიერების სი-სუსტის წყარო იყო წინათაც, არის დღესაც.

გარკვეულობა აქ, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენს ავტორებსაც აკლიათ და იმ ავტორებსაც, რომელთა გაგებას ჩვენი ავტორები უყოყმანოდ მიჰყვებიან.

— თანამედროვე ეტაპზე კიბერნეტიკულ ხერხებს მეცნიერების თითქმის ყველა დარგი იყენებს. როგორია კიბერნეტიკის როლი ენათმეცნიერებაში?

— „კიბერნეტიკის როლზე ენათმეცნიერებაში“ რომ ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა, მანქანური (ავტომატური) თარგმნა აქვთ მხედველობაში.

დასაწყისი იმედიანი იყო. იმედები, ცოტა არ იყოს, მოჭარბებული აღმოჩნდა. ამან სკეპტიციზმს გზა გაუხსნა.

საფიქრებელია, რომ შეფერხებას დაძლევენ.

ერთი რამ ცხადია: ავტომატური თარგმანის საკითხი თუ ტექნიკურადაც დაიძლია, მრავალენიანობის პრობლემა სიმწვავეს დაკარგავს, მომავალში ერთიანი ენის საკითხი მოიხსნება.

ამრიგად, საკაცობრიო მნიშვნელობის მწვავე საკითხს მოეცლება, მოეცლება უმტკივნეულოდ, თუ კიბერნეტიკამ ივარგა.

— როგორია მათემატიკური ლინგვისტიკის ამოცანები?

— „მათემატიკური ლინგვისტიკის ამოცანები“ გამოყენებითი ხასიათისაა. ამ მხრივ აინტერესებთ ეს დარგი, პირველ ყოვლისა. მაინც ამით არ ამოიწურება მისი როლი (ენა ნიშანთა სიმრავლეს გულისხმობს. სიმრავლის კანონზომიერებანი ენაშიც მოქმედებს. მეტადრე ეს ბევრათა სინამდვილეზე ითქმის).

ჩვენში ყველაზე ადრე ენათმეცნიერების ინსტიტუტმა იზრუნა მათემატიკურად გაწვრთნილ ენათმეცნიერთა მომზადებაზე (და გარკვეულ შედეგსაც მი-აღწია). უფრო გვიან ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა (ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის თაოსნობით) მათემატიკური ენათმეცნიერების განყოფილება საკმაოდ რთული სასწავლო გეგმით (ამჟამად კიბერნეტიკის ფაკულტეტის შემადგენლობაშია). შექმნილია სათანადო კათედრა.

„სამუშაოები გამოყენებითი ენათმეცნიერების ხაზით აქტუალურია. მათემატიკური ენათმეცნიერება მეცნიერულად კანონზომიერი და მნიშვნელოვანია. მაგრამ ვერც მათემატიკური ენათმეცნიერება და მით უფრო ვერც გამოყენებითი ენათმეცნიერება ვერ გასწევს ენათმეცნიერების მავიჯრობას, — ენათმეცნიერებისა, რომელიც, პირველ ყოვლისა, ენის ფაქტების ისტორიულ-შედარებითს შესწავლაზეა დაფუძნებული. ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებას აქვს შესაძლებლობა თეორიულად გაიზაროს და ორგანულად შეისისწლხორცოს ენათმეცნიერული ცოდნის ახალი დარგის მიღწევები. მაშასადამე, არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ ენათმეცნიერების ახალი დარგები დაუპირისპიროთ ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას“ — შემთხვევა გვქონდა გვეთქვა 1958 წელს სლავისტთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე „მათემატიკური

ახლაც ამასვე ვფიქრობ.

— ყველასათვის ცნობილია, რომ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ დიდი ეროვნული მნიშვნელობისაა. მის შექმნაში თქვენ, როგორც მთავარ რედაქტორს, მეტად დიდი წვლილი მიგიძღვით. გვინტერესებს, გათვალისწინებულია თუ არა ლექსიკონის შემდგომი გამოცემა და რა ცვლილებებია მასში მოსალოდნელი?

— „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი გამოცემის საკითხი ჯერ არა დგას.

ამჟამად რეატომეულის საფუძველზე ერთტომეული მზადდება.

რეატომეულში სასურველი იყო დოკუმენტაცია უფრო სრულად მოგვეცა. სიტყვათა ხმარების არეალი მაშინ უფრო ნათლად გამოჩნდებოდა. მაგრამ ეს ლექსიკონის მოცულობას გაზარდიდა (რუსული ენის ოთხტომეული განმარტებითი ლექსიკონი უშაკოვისა 80 ათას სიტყვას შეიცავს. „თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის ლექსიკონი“, წელს რომ დამთავრდა, 120.480 სიტყვაა შეტანილი და ჩვიდმეტ ტომად არის გამოცემული: სიტყვათა რაოდენობა ერთი მესამედით მეტია, ტომების რიცხვი — ოთხჯერ: დოკუმენტაციაა უზვად შემოტანილი).

ახალი გამოცემის საკითხი როცა დადგება, დოკუმენტაციით შევსებისა და ტომთა გაზარდის საკითხიც შეიძლება დადგეს.

ერთტომეულში დოკუმენტაცია, რა თქმა უნდა, მხოლოდ შემცირდება (რეატომეულთან შედარებით).

რეატომეულს წაადგებოდა სრული ინდექსები რომ დართვოდა. აქაც მოცულობის საკითხი დგება. ოღონდ ეს ახალი ტომების დამატებას არ მოითხოვს.

ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა შეიძლება კია დაზუსტდეს, მაგრამ ლექსიკონის აგებულების საკითხი ჩემთვის არა დგას.

— რა საკითხებზე მუშაობთ ამჟამად?

— „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, — ესაა ერთი სამუშაო (იგი ორგანულად უკავშირდება „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას“, რომელიც წელს გამოვიდა). მეორეა: „თანამედროვე ენათმეცნიერების სისტემის ძირითადი საკითხები“...

დიდი ხანია ვმუშაობ „ქართული ენის ისტორიაზე“... მინდა დავამთავრო, თუ დამცალდა.

— რას ურჩევდით „ცისკრის“ კოლექტივს ჟურნალის მსატერული, ენობრივი და სტილისტური მხარის გასაუმჯობესებლად?

— „ცისკრის“ სარედაქციო კოლექტივს ვუსურვებდი... ჟურნალის საქმესე წარემართა, რომ მორიგი ნომრის გამოსვლას მკითხველი მოუთმენლად ელოდეს.





## დიდი და გასაოცარი ტალანტი

მზაბი, შიქრები...

ქუთაისში შფოთვა და ღელვა, რევოლუციური გატაცება და ამბოხი სუფევდა. თეატრის სცენიდან ისმოდა მგზნებარე სიტყვა, კარლ მოორის, გრაკხისა და ხიმშიაშვილის ხმა; ქუჩებში ბარიკადებს აგებდნენ.

ამ დიდ სულიერ მღელვარებაში მოხვდა ჭაბუკი ხორავაც. მან მაშინ პირველად იგემა თეატრის ძალა და მომხიბვლელობა, ეზიარა მესხიშვილის რომანტიკულ ხელოვნებას, რომელიც საგზაოლივით გაჰყვა ცხოვრების გზაზე.

მერე თითქოს გაქრა ის სურნელება და სულიერი თრთოლვა, თეატრში რომ იგრძნო. იგი ჯერ კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მერე თბილისში განაგრძო სწავლა.

მაგრამ აი ხორავამ თავი მიანება უნივერსიტეტს და 1922 წელს თეატრალურ სტუდიაში შევიდა.

იქმნებოდა ახალი ქართული საბჭოთა თეატრი. იყო ძიება, გატაცება, ძველის უარყოფა და ახლის დამკვიდრება. განახლდა ადამიანის სული და დაიწყო ქართული თეატრის განახლება. ჭაბუკი ნე-

ლოვანიც აჰყვა ამ დიდ სულიერ მოძრაობას, მისი ნიჭიერება პირველსავე სპექტაკლებში გამოჩნდა, ითამაშა ლაერტი, იოქანაანი, ეპიზოდი ე. ტოლერის პიესაში და სხვ; ითამაშა შთაგონებით, გატაცებით. „პატარა“ როლებმა დიდ გზაზე გამოიყვანეს იგი.

ახალ საფიქრალს, ახალ სატკივარს, ახალ ღელვასა და სიხარულს მიეცა ხელოვანი!

### გაკნენი, ჩაბოჩი

გემის კაპიტანი განკარგულებას გაცემდა თუ არა, მოულოდნელად ქანდარაზე პროექტორის შუქით განათებული წითელი დროშა აფრიალდებოდა, გადმოველებოდა ხალხით სავსე აუდიტორიას და მაყურებელიც მქუხარე ოვაციას აგებებდა მას. ამ სპექტაკლზე დავით კლდიაშვილმა აღფრთოვანებული სტრიქონები დაწერა: — „გულგახარებული იმის დანახვით, რაც ვიხილე „რღვევაზე“, ვაშას შევქაჩებ სასიქალღულო ახალი თეატრის დიდებულ მოღვაწეთ“.

სპექტაკლის მთავარი გმირი ა. ხორავას ბერსენევი იყო და დიდი მწერლის ქებათა-ქებაც დაიმსახურა.

ბერსენევის სახის ფსიქოლოგიური სიღრმე და სულიერი სიმძაფრე ეპიკურ პლანში გადაწყვეტა ხორავამ და იმთავითვე გვიჩვენა გმირულისა და ფსიქოლოგიურის თანაარსებობის მაგალითი. იმავე წელს ა. ხორავამ ანზორ ჩერბიჯის როლიც შეასრულა.

კეთილი და პატიოსანი ადამიანების გზით მივიდნენ რევოლუციასთან ბერსენევი და ანზორი. ისინი სულიერი ძმები არიან და ეს დიდებულად იგრძნობოდა მსახიობის შესრულებასში.

ფოლადის სიმტკიცე, ღრმა ადამიანური სითბო, ფიცხელი ტემპერამენტი და შემართება ჰქონდა ხორავას გმირს. რაღაც „ციფი მწუხარება“ ეუფლებოდა ყველას, როცა იგი ამბობდა: „ახმა, მშობელ მიწაზე წევს ზაირა! იტირე, ძნელია მიწაზე სიარული“...

### მეზობელი რუმანჯიოსი

შიღერმა „ყაჩაღები“ სიჭაბუკეში დაწერა და მთელი თავისი რომანტიკული იდეალებიც კარლ მოორის სახეში ჩააქსოვა. ეს სულიერი სიჭაბუკე და მგზნებარება ხორავამ შესანიშნავად იგრძნო და გამოხატა. მისი გმირი სცენაზე გამოჩნდა, როგორც „მგზნებარე ტრიბუნი, რომელიც ხალხს ტირანიის წინააღმდეგ მოუწოდებდა“ („ლიტერატურაია გაზეთა“).

დაუვიწყარი იყო სცენა „ლუღხანაში“. ამ სცენიდან მიღებულ შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემდა კრიტიკოსი ნ. გონჩაროვა: „ახლაც თვალწინ მიდგას სცენა ლუღხანაში... იატაკზე და სკამებზე სხედან სტუდენტები, ახურავთ რბილი ქუდები, აცვიათ მაღალი ტყავის გეტრები, აქვთ ძლიერი, კუნთიანი სხეულები, გარუჯული ვაჟაკური სახეები. მათ შორის არის კარლ მოორი. ფერმკრთალი, გამხდარი, მოგაგონებთ თვით შიღერის სახეს — აბურძგნილი ქერა თმა, ფართო, თითქმის საშვი, ცვეცხოვანი, უძირო თვალები ადამიანისა, რომელიც ტანჯვისა და ბრძოლის შიშზე ტვირთს წიდავს; სწრაფი, სხარტი, პლასტიკურად მოძრავი სხეული, დაჭიმული, ფოლადის

კუნთები“, — აი ხორავას კარლ მოლოის გარეგნული სახე.

მოორი მგზნებარე სიტყვით მოუწოდებს ახალგაზრდობას იბრძოლოს არისტოკრატისა და ხუცების წინააღმდეგ. სტუდენტები მეომრული სიმღერით უპასუხებენ მეთაურს...

აი, კარლ მოორი ხორავა, ბრძოლის ველიდან დაბრუნებული, სისხლსა და მტვერში ამოსვრილი, სულამდე შეძრული დასცქერის საუკეთესო მეგობრის, როლერის ცხედარს. რა მეტყველია მისი სევდა და ღრმა სინაზე! მის გაყინულსა და ფართო თვალებში არა ჩანს ცრემლი, მაგრამ ვის დაავიწყდება მისი ხმა. მის მიერ წარმოთქმული — „როლერ, საბრალო როლერ“...

ხორავას ხმა აჯადოებდა ყველას, იწვევდა რაღაც იღუმალ თრთოლვას — „სავსეს დაგუბებული ცრემლით“.

### ვაჟახუბი სრელები

ალექსანდრე დოვჟენკომ მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან თქვა: „მე არ მოგიწოდებთ ცრემლიანი, პესიმისტური სიუჟეტებისაკენ... მჯერა ხალხთა ძმობის გამარჯვებისა, მწუამს კომუნიზმი, ხოლო თუ მარსზე პირველი გაფრენის დროს სადღაც მსოფლიოს სივრცეში დაიღუპება ჩემი საყვარელი ძმა ან შვილი, მე არავის ვეტყვი, რომ დაეძლიე მისი დაღუბით მოგვრელი ტანჯვა. მე ვიტყვი, რომ ვიტანჯები. მე შევაჩვენებ მსოფლიო სივრცეს და დამლამობთ ვიტყვი ჩემს ბაღში, ვიღრიალებ, მაგრამ ქუდს ჩამოვიფხვატავ, რომ არ დაგაფრთხო ალუბლის რტოზე სატრფოსთან გადახვეული ბუღბუღი“.

კოსმოსური სივრცე, ადამიანის განსაცვიფრებელი გმირობა, ბუღბუღლის სტვენა, ალუბლის რტო და ვაჟაკური ტირილი! ეს ხომ სრულად არათანაბარი ცნებებია, მაგრამ ისინი თანაბარი უფლებებით ბატონობენ ადამიანის სულში. ამიტომაც ვამბობთ, რომ გმირული რომანტიკისა და სულიერი მონუმენტალიზმისათვის უცხო არ არის ღრმა ფსიქოლოგიური და ლირიკული ნაკადი. განა

ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის „ცრემლთა ღვრა“ მეტი სისასხით არ აღუნს მათ სულიერ კეთილშობილებას? იქნებ სწორედ ეს, სულიერ მონუმენტალობასთან, რაინდულ ვაჟკაცობასთან შეწყობილი ადამიანური „სისუსტეა“ ასე რომ გვხიზლავს. ამგვარი მონუმენტალიზმი გამოჩნდა ხორავას ივანე მრისხანეშიც. კრიტიკოსი ნ. ვოლკოვი ამბობდა: „მე ხორავას ივანე მრისხანეში ვიგრძენი შალიაპინისეული ხაზის გაგრძელება, ვიგრძენი, რომ ეს არის ნამდვილი მრისხანე მეფე“.

და მართლაც, ხორავამ დიდი მხატვრული ძალით გამოხატა სახე რთულ ისტორიულ კონფლიქტში მოქცეული მეფისა. იშვიათად მიუღწევია ვინმეს ტრაგიკული განცდის ისეთი ძალისათვის, როგორსაც ხორავამ მიიღწია შვილის „მკვლელობის“ სცენაში. მისი კვერთხი შემთხვევით მოხვდა აუცილებლად „მოსაკვდინებელ შვილს“.

ზვიადსა და ამაყ მეფეს, ზოიარების დამთრგუნველსა და ქვეყნის გამაერთიანებელ ხელმწიფეს, კუშტს, ქედუხარელსა და მეოცნებეს, უდიდესი უბედურება დაატყდა თავს. შვილის სიკვდილმა შეძრა მთელი მისი არსება, მაგრამ ვერ დასცა. სწორედ ამ სიმხნევემ გახადა მისი ტრაგედია შემადარწუნებელი; ეს ძლიერი ბუნების კაცი მხრებგაშლილი იდგა სამლოცველოს წინ და ქვითინებდა. ამ მეფურ გლოვაში იგრძნობოდა დიდი ადამიანური ტკივილიცა და რწმენაც. იგრძნობოდა, რომ ამიერიდან უფრო გაბედულად იბრძოლებდა რუსეთის გაერთიანებისათვის, უფრო დაუნდობელი იქნებოდა მტრების მიმართ.

### ზრახვიანი მეფე

მეფური სიმშვიდით გამოვიდა სასახლიდან ოიდიპოსი და ისე წარსდგა ხალხის წინაშე, როგორც ბრძენი ოლიმპიელი. ირგვლივ ისმოდა „სალოცავი რტოებით ხელში“ დამხობილთა „გმინვა და დალადისი“.

მეფეს აუწყეს საშინელება და დაიწყო

ბრძოლა ჭირთა მიზეზის გამოსწორებად. ამ მონუმენტური ტრაგიკული სცენაში მოექცა ხორავას გმირი და დაიწყო უღმობელი ჭიდილი მოირასთან.

რეჟისორმა დოდო ალექსიძემ ახალი სცენური გადაწყვეტა მისცა ნაწარმოებს. მეფე და ხალხი — ასე განსაზღვრა მან სპექტაკლის დედააზრი და ამ სიღრმეებისაკენ მსახიობიც გაიყოლია. ხორავა იდგა, როგორც ნამდვილი მეფე, ძლიერი თავისი სიმართლის რწმენით და ამაყი — სიბრძნით.

ხორავამ გმირულ პლანში გადაწყვიტა მეფე ოიდიპოსის როლი და ყოველი დეტალი ამ ჩანაფიქრს დაუმორჩილა. გამოჩენილი თეატრმცოდნე ს. მაკულაკი წერდა: „ეს არის დიდი გაქანების ტრაგიკოსი მსახიობი, რომლის შემოქმედებაშიც ცეცხლოვანი აღმაფრენა და რომანტიკული მგზნებარება შერწყმულია რეალისტურ სიღრმესა და დიდ სიმართლესთან“.

\* \* \*

ა. ხორავა გმირული თეატრის ტრუბადურია, მისი მოტრფიალე და დამცველია. მან იცის, რა არის თეატრალური სილამაზის იდეალი და გულმოდგინედ ეძებს ყველგან, ეძებს ჩვენი ხალხის გმირულ წარსულსა და დღევანდელობაში, ეძებს მსოფლიოს კლასიკურ და თანამედროვე მწერლობაში. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა იმ თეატრალურ-ესთეტიკური პრინციპებისა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს გმირულისა და ფიქოლოგიურის, რეალისტურისა და რომანტიკულის არსებობას გულისხმობენ. მას მუდამ ახსოვდა ის პირველი მძლავრი შემოქმედებითი იმპულსები და სიხარული, კ. მარჯანიშვილთან მუშაობის წლებში რომ მიიღო და ასე გამოადგა მთელი ცხოვრების მანძილზე.

ხორავას შემოქმედებას ავსებს და ამშვენებს არსენასა და ბლატონ კრჩეტიცის, გენერალ მურავიოვისა და ოთარ-ბეგის, სვიმონ ლეონიძისა და გიორგი სააკაძის სახეები.

დიდია ა. ხორავას როლი კინემატოგ-

რაფიის განვითარების, თეატრალური ინსტიტუტისა და თეატრალური საზოგადოების დაფუძნების საქმეში.

\* \* \*

...მოხდა ისე, რომ ჭაბუკმა ხორავამ „ოდიბოს მეფეში“ ქურუმის როლი შეასრულა. იმავე წელს კვიპროსელი ოფიცერი ითამაშა „ოტელოში“.

იგი მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თხუთმეტიოდე წლის შემდეგ მისი ოტელო საქვეყნო აღიარებას მოიპოვებდა. ალბათ არც იმას ელოდა, რომ ახალგაზრდა ქურუმის შემსრულებელი ოცდა-თხუთმეტი წლის შემდეგ ოდიბოსის ტრაგიკულ როლს შეეჭიდებოდა.

### გამოთხოვნა ოგალოსთან

აკაკი ხორავა თავის საყვარელ ოტელოს ვახტანგოვის თეატრის სცენაზე გამოეთხოვა. წავიდა, ამიერიდან ისტორიის კუთვნილებად იქცა ქართველი ოტელო. რაღაც ღრმა გულისტკივილი ვიგრძენი მაშინ, ამ ხუთი წლის წინათ, როცა აკაკი ხორავას ოტელოს ვეთხოვებოდი. დარბაზი სავსე იყო ხალხითა და „დაგუბებული ცრემლით“.

მოსკოველი მაცურებელი ოტელოს ტრაგედიას შეეშფოთებინა, მისი კერძო ოტელოს დიდ ადამიანურ ტკივილს გამოეწვია. რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაკებს კი განსხვავებული ფიქრი და ტკივილი გვექონდა. თაობები შეეჩვივა ა. ხორავას ოტელოს და მერე უცებ, მოულოდნელად გავვშორდა ის, თითქმის ოცდახუთი წლის მანძილზე რომ აღელვებდა ჩვენს სულს.

დიდი შექსპიროლოგი ნ. მოროზოვი ხორავაზე წერდა: „ოტელოს როლში მან მიადწია მწვერვალებს, სანამდისაც მსოფლიოს თეატრის ისტორიაში მხოლოდ ცოტა ასულა... ხორავას ოტელო ნამდვილი შექსპირული სახეა. მისი შავი მკერდის ქვეშ ბრწყინავს სინათლის სხივი“.

ყველას ახსოვს რუსეთის უპირველესი მსახიობის ა. კაჩალოვის სიტყვებიც: „თქვენი ოტელოსათვის მიწამდე გიხრით თავს“. დიდმა მწერალმა ალექსანდრე ფადეევმა კი ასე გამოხატა თავისი გრძნობები: „თავს ვხრი ა. ხორავას დიდი და გასაოცარი ტალანტის წინაშე“.

ჩვენმა ხალხმა სიხარულით იზეიმა ამ „დიდი და გასაოცარი ტალანტის“ დაბადების 70 წლისთავი.





## გიორგი მთაბრაშვილი

# სინამდვილის შთაგონებულ მხატვარი

ლიტერატურული კორტრეტი

ოთხ ათეულ წელიწადს ითვლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედება.

მთელი მისი სამწერლო მოღვაწეობა დაძაბული შემოქმედებითი შრომის ერთიანი მთლიანი პროცესია, რომლისთვისაც ნიშანდობლივია განუხრელი აღმასვლა, როდესაც თითქმის ყველა ახალი ნაწარმოები მისი მხატვრული აზროვნების ახალი მნიშვნელოვანი საფეხურია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებითი გზა — ეს არის თანამედროვეობის ახალი დიდი პრობლემებისა და გმირების ძიების უძნელესი გზა. დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც ბევრი გამოჩენილი შემოქმედის სახელი ამშვენებს, კ. ლორთქიფანიძემ სწორედ იმით დაიკავა თვალსაჩინო დგილი, რომ იგი მეტად ცოცხლად და გაბედულად, ორიგინალური თვალთახედვით მაღალხატოვნად აღიქვამს თანამედროვეობას — ჩვენი ცხოვრების, სოციალისტური სინამდვილის მნიშვნელოვან, საეტიკო მოვლენებს. იგი იმ სინამდვილის შთაგონებული მხატვარია, რომელთანაც დაკავშირებულია თავისი სულით, იდეური მრწამსით, მთელი ცხოვრებით.

ახალგაზრდულ ვაზეთ „სპარტაკში“ გამოქვეყნებული პირველი ნაწარმოებებით რომ დაეიწყათ და „ნატერის თვალით“ რომ დაემთავროთ, ჩვენს წინაშე გადაიშლება თანამედროვე ცხოვრების ერთი დიდი მატრიანე, რომელიც იტევს მრავალგვარი რთუ-

ლი ფსიქოლოგიური ასპექტით გახსნილ უამრავ საზოგადოებრივ მოვლენას.

მხოლოდ თანამედროვეობა, მხოლოდ დღევანდელი დღე და მისი მთავარი გპირი! ასეთია კ. ლორთქიფანიძის დევიზი. და ეს მისი შემოქმედების ერთ თავისებურებად შეიძლება ვაღიაროთ.

მეორე თავისებურებად კი უნდა მივიჩნიოთ დადებითის მძლავრად გამოვლენილი ტენდენცია, მკაცრი რეალიზმის ფარგლებში მოქცეული რომანტიკულ-პეროიკული პათოსი.

ამ თავისებურების დამოთხი ნიშანდობლივია მისი ყველა ნაწარმოები — იქნება ეს „რჩული ლექსები“ თუ „სტენკა რაზინი“, „ხავსი“ თუ „პირველი დედა“, „ახალი გლეხები“ თუ „კოლხეთის ცისკარი“, „უკვდავება“ თუ „მოგზაური“, „მწვანე ღილი“ თუ „მაისის დილა“, „ჩრდილი გზაზე“ თუ „ნატერის თვალი“, „ცაბუნია“ თუ „სიკვდილი ცოტას მოიცდის“...

### I

კონსტანტინე ლორთქიფანიძის აღრინდელი პერიოდის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოიყოფა „ხავსი“ და „პირველი დედა“. მათში მწერალმა წამოჭრა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და ყოფითი პრობლემები. ისინი დაწერილია იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა ავტორი ეძიებდა მხატვ-

რული გამოსახვის ფორმებს და ამიტომაც აკლია მათ ის სინატიფე, შემდგომში რომ შეიძინა კ. ლორთქიფანიძის პროზამ. მაგრამ ვის არ ახსოვს, თუ რა დიდი ადგილი დაიკავა ამ ნაწარმოებებმა ოციანი წლების ქართველი ახალგაზრდობის სულიერ ცხოვრებაში სწორედ თავისი აქტუალურ-პრობლემატური ხასიათის გამო.

„პირველ დედამი“ მხატვარმა დასვა ახალი ოჯახის პრობლემა — ესოდენ მწვავე პრობლემა ახალი საზოგადოებისა. ადამიანთა ახალი საწარმოო ურთიერთობა, ახალი იდეური მისწრაფება, ცხადია, იწვევდა ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი ყოფის ძველი ნორმების რღვევას. ახალ ოჯახურ ურთიერთობას უსაზღვრო სარბიელი უნდა მიეცა ქალის ნიჰისა და უნარისათვის. ძველის რღვევისა და ახლის დამკვიდრების ეს პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობდა. მამაკაცი ასე ადვილად არ თმობდა საუკუნეობით განმტკიცებულ პრივილეგიებს, ხოლო ქალი გაბედულად შედიოდა ოჯახში. როგორც მისი სრულყოფილებიანი წევრი. ეს კონფლიქტი უდევს საფუძვლად „პირველ დედას“. გაიანე მაისურაძის ისტორიით მწერალმა გახსნა ახალ სარბიელზე გამოსული ქალის რთული და ჭკრ კიდევ წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება.

წვირილბურჯუაზიული ფსიქოლოგიის გახსნა სცადა კ. ლორთქიფანიძემ თავის პირველ რომანში — „ხაესი“. სადაც ნაჩვენებია რევოლუციონაროიდული ვითარება, წვირილბურჯუაზიული ახალგაზრდობის მერყევი დამოკიდებულება რევოლუციისადმი.

ყოველივე ამას მოჰყვა მწერლის განსაკუთრებული დაინტერესება ახალი სოფლით. მისი ადამიანების ურთიერთობით, ძველი გლეხური ფსიქიკის მხსვრევისა და ახალი ფსიქიკის დამკვიდრების რთული პროცესებით.

აქ პირველი ცდა იყო „ახალი გლეხები“ — ორიგინალური მანერით დაწერილი ნარკვევი. ფაქტობრივ მასალის ფართო განზოგადებით მწერალმა შექმნა შირაქელ კოლმეურნეთა ახალი ყოფის მეტად ცოცხალი სურათები. ამ ნაწარმოებში კ. ლორთქიფანიძე სოფლად ახალი ეკონომიური ურთიერთობის გამარჯვების, ახალი ფსიქოლოგიის დამკვიდრების დიდი თემის მხატვრული გადაწყვეტის უშუალო მისაღობებზე აღმოჩნდა.

ამ ურთიერთობამ, ახალი გვირის მოსვლამ და დამკვიდრებამ ასახვა პპოვა ჩვენი დროის ერთ-ერთ შესანიშნავ რომანში — „კოლხეთის ცისკარში“.

ეს რომანი, რომელიც ძირითადად ოცდაათიანი წლების დასაწყისში შეიქმნა, ძველისა და ახლის ბრძოლას. როგორც ეპოქის ტენდენციას, როგორც ანტიგონისტური ძა-

ლების დიდი სოციალური შეჯახებისა და დრამატიზმით აღსავსე მოვლენას, სწორედ ახალი ადამიანების მოსვლის, განვითარების, ახალი ფსიქოლოგიის ზრდა-ჩამოყალიბების კუთხით გვიჩვენებს.

„კოლხეთის ცისკრის“ ახალი ადამიანები — მექი ვაშაიძე და ტარას ხაზარაძე, რომელთა გვერდით დგანან ბაქუა ვარდოსანიძე თუ დოფინა გორდამე, შინაგანად შექრული მთლიანი ხასიათები, რომელთა მოქმედება ვაპრობებულა ახალი სოციალური აუცილებლობით და პარაზონულად ესაბება ახალი იდეებით გამოხატულ ინტერესებს საზოგადოებრივი განვითარებისა.

მწერალი მექი ვაშაიძის მავალითი გვიჩვენებს ახალი ადამიანის პიროვნების შინაგანი ფორმირების მეტად საინტერესო პროცესს. აღებულს ცოცხალი სინამდვილიდან.

ეს არის პროცესი პიროვნების არა მარტო თვითგანვითარების, არამედ მისი თვითდამკვიდრებისაც რთულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ტიპობრივი ნიშანთვისებებით გამოხატულია ახალი ყოფის იდეალიც და ამ იდეალის დამამკვიდრებელი უძლეველი ძალაც.

აჩვენო საზოგადოებრივ ცხოვრებაში განმტკიცებული ახალი ადამიანის ფორმირების, მისი თვითდამკვიდრების პროცესი, ეს ნიშნავს: გახსნა მთელი სირთულე ადამიანის სულიერი მდგომარეობისა, მისი ურთიერთობისა გარემომცველ სამყაროსთან; აჩვენა მისი ნოვატორული დამოკიდებულება ცხოვრების მოვლენებისადმი; ამოხსნა მისი, როგორც ახლის შემოქმედის, ხალხის სულისა და მისწრაფებათა გამომხატველის ღრმა ფსიქოლოგიური სამყარო; შეიმეცნა მისი დიდი ჰუმანისტური იდეალი და ბუნება.

ახალი ადამიანის სულის გახსნა ამავე დროს ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებადი ტენდენციების დანახვას, მათი პროგრესული შინაარსის ამოცნობას, რადგანაც ყოველივე პროგრესული სიასხლე განუყრელად არის დაკავშირებული საზოგადოების მოწინავე იდეებთან, გამოხატავს ეპოქის პროგრესულ სულს.

მწერლის ამოცანა იყო მოენახა ახალი გვირის სულისა და მოვლენების არსის ისეთი კონკრეტული ხატოვანი გახსნა, რომელიც აშკარად დაგვანახებდა ახალი ფსიქიკის ადამიანთა ისტორიულ ბედს.

„კოლხეთის ცისკრის“ მთავარი თემა — დიდი რევოლუციური გადატრიალება სოფლად სოციალისტური შეტევის პერიოდში — გაშლილია და ხატოვნად შემეცნებული სწორედ ახალი ადამიანების ამ ისტორიული ბედის თავისებური გააზრების ფონზე.

უპირველესად, ეს არის აუტანელი ჩაგვრის პირობებში გაზრდილი სოფელი ბიჭის თავგადასავალი, ვისი ცხოვრებაც სულ სხვაგვარად მოეწყო ახალ ისტორიულ გარემოცვაში.

მაგრამ რომანში მეტად მრავალმხრივად არის დანახული თვით ეს გარემოცვა. აქ მოცემულია კონკრეტულ-მხატვრული ხილვა, ერთი მხრივ, მთელი იმ ძალისა, ურომლისოდაც მექი ვაშაყიძე ვერ გამართა და წელს და ეპოქის შვილის მონუშენტურ ფავურად ვერ გადაიქცეოდა და, მეორე მხრივ, იმ ძალისა, ვინც წინ ეღობებოდა მას, არ აძლევდა განვითარების საშუალებას, მაგრამ ეპყრა ხელთ მისი ბედის სადავეები. ამ ორ დაპირისპირებულ, ანტაგონისტურ ძალთა ჭიდილი რთულია და სასტიკი. სოფლის პროგრესული აქტიური ძალები, რომლებიც გამოხატავენ სოციალური განვითარების კანონზომიერ ხასიათს, ეხმარებიან ახალ გმირს, განაპირობებენ მის ასვლას ეპოქის გმირის თვალსაჩინო სიმბოლეზე. ახლისადმი მტრულად განწყობილი ძველი ფსიქიკის ადამიანები კი ყოველმხრივ ცდუნობენ თავიანთი ბრწყალებიდან არ გაუშვან იგი.

რომანში ეს ტენდენცია თავისებურ ხატოვან გადაწყვეტას პოულობს. მექი ვაშაყიძის სახე აქ წარმოსდგება ახლის, მომავლის დიდი მხატვრული განზოგადების ასპექტში. და თითქოს, ორი ანტაგონისტური ძალის დაპირისპირება, საერთოდ ფართო სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიური უკუფენა რომ აქვს, მეტწილად მექის ბედისათვის ბრძოლის ასპექტში იშლება.

ერთი მხრივ, ბარნაბა საგანელიძე თუ ერემო პირტახია მთელი თავისი გარემოცვით ცდილობენ მექის სულის კვლავ დათრუნვას, წელის გამართვისა და საკუთარი ღირსების შეცნობის საშუალებას არ აძლევენ მას.

მეორე მხრივ, ტარასი და ბაქუა ახალი ცხოვრების დიდი გზისაკენ ეწევიან მას. მექის სახეში განხატებულია მომავლის უდიდესი პერსპექტივა. თავისი სულიერი მდგომარეობით თუ უტეხი ნებით, დიდი ადამიანური იმედებით თუ ჰუმანური სულით იგი უნდა იქცეს მომავლის მთავარ ძალად; ახალი იდეების, განსაკუთრებული შინაგანი სულიერი ძალის ადამიანი.

რომანში საინტერესოდ არის დანახული ჯერ კიდევ ძველის წიაღში ახლის შობის მთელი რთული პროცესი. აქ ისტორიული სიმართლის ტენდენციის დაცვით არის გაზრდილი ამ ახლის ადგილი, მნიშვნელობა და პერსპექტივა.

რომანისათვის მთავარი გმირი ხალხია. იგი მართებულად შეიმეცნებს ისტორიის ამ მთავარი გმირის ძალას და აღვივებს მისი ტიპური დადებითი გმირის მთლიანი ხასიათის გამოკვეთას; მისი იმგვარი აღქმა, როდესაც იგი მთელი თავისი ინტერესებით, შინაგანი სულიერი სამყაროთი, იდეური სწრაფებით და ბრძოლის პათოსით მთლიანად ეხამება ახალი საზოგადოების ინტერესებს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანის მრავალმხრივი უნარისა და შესაძლებლობების იმგვარ შინაგან განვითარებასთან, როდესაც ისინი ავლენენ და მჭიდროდ შეერწყებიან ერთმანეთს. ესაშუბიან საერთო განვითარების ტენდენციას.

ძველისა და ახლის ბრძოლას რომანში მხატვრული გადაწყვეტის მრავალი კუთხე აქვს. ეს არის როგორც ვაშაყიძისა და ხაჭომიას თუ ვაშაყიძისა და პირტახიას, მექისა და თალიკოს თუ მექისა და დახუნდარას ხასიათთა შეჯახება, ასევე ხაზარაძისა და საგანელიძის თუ ხაზარაძისა და დვალის შორის გამართული კლასობრივი ბრძოლის ამსახველი მკაფიო სურათები. ამავე დროს, აღნიშნულ ხასიათთა შეჯახება აღქმულია საერთო კლასობრივი ბრძოლის, დიდი სოციალური კონფლიქტის ერთ მთლიან ისტორიაში.

ბეჩაი და მოკრძალებული ბიჭი, ცხოვრების გერი, — ასეთად ვიხილეთ ჩვენ რომანის პირველ გვერდებზე ერემო პირტახიას მოჯამაგირე — მექი; მაღალი საზოგადოებრივი მორალური ძალი აღჭურვილი გმირი, ახალი ადამიანი მისი განსაკუთრებული აქტიური სულით, — ასეთად წარმოგვიდგა იგი რომანის ფინალში.

ერთი სოფლის ცხოვრების ფართოდ განვრცობილ ისტორიაში მექის სახით განხორციელებულია თანამედროვეობისა და მომავლის ორგანული სინთეზი, როდესაც გმირის კონკრეტულ სახეში ერთმანეთს ერწყმის იდეალი და სინამდვილე.

მექის რთული ცხოვრების გზა შეიძლება სამ საფეხურად გაყოთ. ეს საფეხურები ქმნიან განვითარების ერთ მთლიან პროცესს თავისი ძირითადი, მაგისტრალური ხაზით. მაგრამ ამასთანავე თვითუღი მათგანი შეიცავს საკუთარ ტენდენციას, სულიერი მდგომარეობის გარკვეულ, გამოკვეთილ ნიშანს.

თავდაპირველად ეს არის დაბეჩავებული, დაპირებული სოფელი ბიჭი, რომელიც მორჩილად იტანს წარმოუდგენელ

ტაცვას, შეურაცხყოფას, ჩაგვრას. აქ ის ბედს მინდობილი ადამიანია, რომელსაც ცხოვრებაში მეტი გამოსავალი არა თუ ვერ მოუწახსავს, არამედ არც უძებნია. ბედმა ის პარაზიტ პირტახისა და ღუქანში მიიყვანა, მის მოქამავირედ გახადა და ამის სანაცვლოდ ლუქმა-პურის უბოძა. მწარეა ეს ლუქმა — დღე და ღამე ქედწახრილი შრომის ფასად მოპოვებული. დღე დღეს მისდევს და მეტიც ღასლასით მიჰყვება ცხოვრების დინებას. და მდის იგი ამ გზით, სანამ მის გონებაში არ შეიჭრება „ბედნიერების“ ძიების აქამდე უცნობი სურვილი.

ეს მისი ცხოვრების მეორე საფეხურია, როდესაც იწყება უკეთესის ძიება, თუმცა ეს „უკეთესი“ ჯერ კიდევ იგივე ბედისწერაა, რომელსაც ვერაფერს გაქცევა. იგი პირველად იხედება ცხოვრების სიღრმეში მიკრძალულთა თვლებში და ეჭირდება დიდ ოცნებას. მექისათვის ეს, ფაქტობრივად, ინდივიდუუმის განვითარების კერძომესაკუთრული გზაა. ამ გზას ბუნებრივად ირჩევს მექი — გარემოცვა ჯერ აქეთ უბიძგებს მას. მაგრამ საით უნდა წაიყვანონ იგი საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებმა? რა უნდა იყოს მისი იდეალი? იგი უნდა მივიდეს კოლექტივთან, მასავით ღატაკ ადამიანებთან; მათ უნდა გაჰყვეს და მათთან ერთად ეძიოს და მოიპოვოს ბედნიერება. ამიტომ განიცდის კრახს მისი ილუზიები.

მესამე საფეხურზე ჩვენ უკვე ვხედავთ სხვა მექის. მის სულში ჯერ სტიქიური პროტესტი იბადება, რასაც მოჰყვება დამორღუნველი ძალებისადმი სტიქიურივე წინააღმდეგობა, ხოლო შემდეგ ეს წინააღმდეგობა თანდათან გადადის შეგნებულ მოქმედებაში. აქ წინააღმდეგობის პათოსს უერთდება კვლავ აღორძინებული, ამჯერად რეალურ საფუძველს დამყარებული ოცნება ბედნიერ ცხოვრებაზე. ამგვარად გვევლინება მექი ვაჟაიძე თავისი რთული განვითარების ბოლო საფეხურზე, სადაც მოყვლი მისი ახალი ცხოვრება გამირობისა და სიმამაცის ხორცმესხებული მავალითია.

## II

სოფლის ახალი ადამიანის რთული სულიერი სამყარო დღემდე რჩება კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად. მისი „ნატურის თვალ“, რომლის შესაბამისად — ბოლო წიგნს რომანისტი უკვე ამთავრებს, წარმოქმნის სოფლის ადამიანთა საინტერესო სახეებს მათი განვითარების ახალ ეტაპზე.

მწერლის უკანასკნელი რომანი — ეს თანამედროვე სოფლის ხილვის მეორე ხატო-

ვანი ასპექტია. მაგრამ ძირითადი პრიციპით — ეპოქის მოვლენათა ფართო ხილვის პრინციპით — იგი „კოლხეთის ვიწროვანი ხაზს აგრძელებს.“

ნაღიბიძეების, უგრეხელიძეების, ჩოხელების, ყანწაშვილების, რაინაშვილებისა და სხვათა მეტად საინტერესო თავგადასავლის, მათი რთული ხვედრის ფონზე მწერალი წამოსწევს ომისშემდგომი დროის ქართული სოფლის საკანაძო პრობლემებს, ამხელს იმდროინდელი სინამდვილის ბევრ ნაკლს.

კ. ლორთქიფანიძის ახალ რომანს — „ნატურის თვალსაც“ გამსჭვალავს აქტიურობის — დადებითის დამკვიდრებისა და პასიურობის — უვარგისი უარყოფის პათოსი, ანუ, ერთი თანამედროვე საზღვარგარეთელი რომანისტი სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდება იმისა, რაც მშვენიერია ადამიანში, მძაფრი პროტესტი ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც პირუტყვად აქცევს ადამიანს“.

რომანის პირველი ნაწილის პროლოგში მეტად თავისებური, ერთგვარი რომანტიკული მანერით იყო მინიშნებული ის დიდი გზა, რომელსაც უნდა გაჰყოლოდნენ მომავალში „ნატურის თვალის“ გმირები თავიანთი რთული ძიებითა და მიგნებებით. დიდი სიმართლითა და მუდმივი შინაგანი დაუწყვეთყოფილებობით.

„ნატურის თვალის“ გმირები დიდი ცხოვრების პირშიონი არიან. ამ ცხოვრებას ასახვაში რომანისტი დაიკავა პოზიცია პირუტყვების, პრინციპული რეალისტი მხატვრისა, რომელიც, უარყოფის რომ გაბედულად ხდის საბურჯის, ამავე დროს მუდამ ნათლად ხედავს განვითარების ჯანსაღ ტენდენციას, ხსნის მის კანონზომიერ ხასიათს.

ჩვენს ყურადღებას აქ განსაკუთრებით იქცევს მასისა და ხელმძღვანელის პრობლემა, რომელიც ასე რელიგიურად გამოხატავთა რომანის მეორე წიგნში. სიმონ ჩოხელი მეტად რთული და წინააღმდეგობრივი ფიგურაა, როგორც პარტიული ხელმძღვანელი და როგორც ადამიანი. მისმა დუალისტურმა სულიერმა მდგომარეობამ უნდა განამირობოს მისი სრული მარცხი მომავალში. ეს ლოგიკური ბოლო იქნება იმ ტრაგედიისა, რომელშიც ექცევა ეს მალაქლი ზნეობის კაცი, თავისი სინდისის წინაშე მართალი ადამიანი, მაგრამ რბილი ხასიათის, უხერხემლო, ცუდად მკვრეტელი ხელმძღვანელი.

ჩოხელის სახე თანამედროვე ქართული რომანისტიკის უსათუოდ მნიშვნელოვანი მონაწილეა. ეს არის ყოველმხრივ ხილული ადამიანური ინდივიდუალობა მის უო-



ლევე კავშირში შეცნობილ საზოგადოებრივ მთლიანთან.

კ. ლორთქიფანიძის მანერისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი პოზიტიური საწყისის მკვეთრი აღქმა კონკრეტულ-სახეობრივსა თუ კონკრეტულ-სიტუაციურ ასპექტში. რომანის პირველი ნაწილიდან კარგად გვახსოვს ლევანის, გოგოლას, ზაქარიას, გიორგის, დუბოვის, მანუჩარის, ანუ-სას ხსენებები. ბევრ მათგანს რომანის მეორე წიგნშიც ვხვდებით. მაგრამ ამ ნაწილში განსაკუთრებით შთაბეჭდვად გამოჩნდა თაღის რაინაული. იგი, რასაკვირველია, საჭირო ვახდა იმისათვის, რომ მხატვარმა უკეთ მოჰფინოს შუქი სიმინ ჩოხელის პიროვნებას, გამოაჩინოს მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დეტალი. მაგრამ თაღის აქ უფრო დიდი სიმბოლური დანიშნულება ენიჭება. ეს არის ფართოდ განზოგადებული სახე, რომლის საშუალებათაც განხატებულია ხალხის სინდისი და უშუალოდ, პირდაპირობა და პრინციპულობა. თაღის საუბარი ჩოხელთან არის ის პოზიტიური პოზიცია, რომელზეც დგას რომანისტი; ეს მისი მრწამსია.

„ნატერის თვალის“ გმირებიც განიცდიან სულიერი აქტივიზაციის რთულ პროცესს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა გოგოლა უგრეხელიძე. გოგოლა მთელი თავისი ცხოვრების გზაზე ვანუწყებრივ აწყდება დაბრკოლებებს და ამ დაბრკოლებათა დაძლევაში იჭედება მისი ხასიათი. მჩქეფარე სიცოცხლისათვის, შრომისა და წმინდა სიყვარულისთვის გაჩენილ გოგოლას ცხოვრება თითქოს განგებ უქმნის დაბრკოლებებს პირადი ბედნიერების გზაზე. ორჯერ გაწყვიტა უბედობამ მის სულში სიყვარულის სიმი. ორჯერ მიაყენა მის მგრძნობიარე გულს დიდი ტკივილი ჯერ ბრმა შემთხვევამ და მერე — ომმა. და როდესაც იგი თითქოს უნდა შერიგებოდა ცალად დარჩენილი ქალის მწვანე ხვედრს, მესამედ კვლავ ახალი სიყვარულით აანთო მისი გული არჩილ ყანაშვილთან დაახლოებამ. მაგრამ აპოენინებს კი უგრეხელიძის ქალს ეს დაახლოება დიდ სიყვარულს? აღადგენს კი იგი საშინელი ტრაგედიით ორჯერ გათელილ დიდ ადამიანურ იედესა და სიხარულს? კარიერისტი და მზავარი ადამიანი, როგორადაც უკვე გვესახება ჩვენ არჩილ ყანაშვილი. ალბათ, მესამე ძლიერ ტრაგიკულ დაატრიალებს გოგოლა უგრეხელიძის გულში! მაგრამ რა ტრაგიკული უნდა იყოს მისი საბოლოო ბედი, მკითხველის შემცენებაში იგი დარჩება დიდი შინაგანი უშუალობის, სუფთა გულის, სათუთი სულიერი განცდებით აღჭურვილი ქართული ქალის მიმზიდველ სახედ.

როგორც ცნობილია, ჰუმანიზმი მხატვრული ნაწარმოების ემოციურ, შექმნებითსა და ესთეტიკურ ძალას ყოველთვის განაპირობებდა ძირითადად ის, თუ როგორია ცხოვრების პროცესში ხელოვანის შექმნის სიღრმე, ხალხის ცხოვრების მხატვრული ხილვის სიღრმე. „ნატერის თვალის“ გაზარებულია მისი ავტორის მიერ როგორც ჩვენი სოფლის ისტორიის ძნელი პერიოდის ადამიანთა რთული ფსიქიკური სამყაროს, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის, მაღალი მორალისა და რწმენის ამსახველი ფართო მხატვრული ტილო. მასში, ამასთანავე, ძლიერია ცხოვრების ბევრი ნაკლის გაბედული მხილების, საზოგადოებრივი ყოფის მანკიერებათა და ამ მანკიერებების მატარებელ ადამიანთა დაუნდობელი გაშიშვლების ტენდენცია.

### III.

სხვა თემათა და პრობლემათა შორის არის კიდევ ერთი ისეთი თემა, რომელმაც კარგა ხანია მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. მე მხედველობაში მაქვს ე. წ. თოფიანი კაცის თემა.

თოფიან კაცს, მის რომანტიკულ ხასიათს, მწერალმა ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები უძღვნა. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ „მწვანე დილი“, „უკვდავება“, „როგორ მოკვდა მოხუცი მებაღური“, „ცაბუნია“, „ცისვერი დუნაი“, „მისის დილა“, „სიკვდილი ცოტას მოიკვდის“...

ამ ნაწარმოებებს შინაგანად გამსჭვალავს: ადამიანისადმი დიდი სიყვარულის უშრეტო გრძნობა, ჰუმანიზმი მისი დიდი შინაარსით; ადამიანებისათვის, სიცოცხლისათვის თავდადების შინაგანად შეფარული თუ აშკარად გამოვლენილი უკვდავი პათოსი; ორიგინალური ფსიქოლოგიური ასპექტი მოვლენათა თუ ადამიანთა ყოფის აღქმისა.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობების გმირი ახალი სინამდვილის წარმომადგენელია მასი აქტიური დამოკიდებულებით ყოფიერებისადმი. მისი მაღალი მორალური თვისებებით და ისეთი ჰუმანიური განწყობით საყოველთაო-ადამიანურისადმი, რომელიც ოპტიმიზმის ძლიერი ძალით გამსჭვალავს მთელ მის არსებას.

აღნიშნულ მოთხრობებში მწერალმა წარმოქმნა ბედი თანამედროვე თოფიანი კაცისა. ვისი მორალური მრწამსიც ეყრდნობა უდიდეს სულიერ სისპეტაქეს, განსაკუთრებულ სიმართლეს საკუთარი სინდისის წინაშე.

კ. ლორთქიფანიძემ სამამულო ომის თე-

მაზე დაწერილ მოთხრობებში შეძლო რეალისტი მხატვრის თვალთ დაენახა ის დიდი ფსიქიკური ძვრები, რომელიც ომმა ადამიანებში გამოიწვია. მეგრძოლი ადამიანის სულის საიდუმლოებათა შეცნობაა და რეალისტურ წარმოსახვაში მწერალს დიდად დაეხმარა ფრონტზე ყოფნა. აქ მან უკვე უშუალოდ დაინახა და განიცადა არა მარტო ის, რაც შემოქმედებითი ფანტაზიის ძალით უნდა წარმოედგინა (ვთქვათ, უფრო ადრე დაწერილ „უკვდავებაში“ — სამშობლოსადმი ადამიანის სიყვარული და თავგანწირვა!), არამედ, ამასთან ერთად, ის მტკიცე იდეური და მორალური ფაქტორიც შეიმეცნა, ერთ მთლიან ძალად რომ აღუღაბებს სხვადასხვა ეროვნების თუ ანოფისის, სხვადასხვა ჩვევებისა თუ ყოფის ადამიანთა უდიდეს მასებს სასტიკი განსაცდელის ეპოს.

რიგითი მეგრძოლის — ლადო ვაშალომიძის გმირობისა და სიყვარულის ამბავი დაუღო საფუძვლად მწერალმა თავის „მწვანე ღილს“. აქ თითქმის პირველ პლანზე წამოწეული ორი ადამიანი, რომლებიც ომის ქართველთა მოულოდნელად შეპყარა ერთიმეორეს და, ბოლოს, ტრაგიკულად გათიშა. მაგრამ ამ ორი გმირის სპეტაკი, ადამიანური სიყვარული ამეტყველებულია ის უკვდავი და მარადმოქმედი ძალა, რომელიც მუდამ უნდა ამოძრავებდეს ადამიანებს ცხოვრების დიდი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

„მწვანე ღილში“ მკვეთრად შეიმჩნევა კ. ლორთქიფანიძის, როგორც შემოქმედის, თვისება — განსაკუთრებით გაამძაფროს გარემოებათა და სიტუაციების გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე. ამიტომ მისი გმირები თითქმის ყოველთვის განუწყვეტელ მოძრაობაში და შეუსვენებელ მოქმედებაში იმყოფებიან.

ლადო ვაშალომიძის მაგალითით მწერალი ჩინებულად ხსნის ადამიანური ყოფის ფილოსოფიურ არსს — ცხოვრება განუწყვეტლივ შემოქმედებს ადამიანზე, მაგრამ მონად კი არ აქცევს მას, არამედ პოტენციურად ნერვავს მასში ძლიერ ნებისყოფისა და შემართების, რომელიც ყოველ ხელსაყრელ მომენტში გამოვლინდება ხოლმე.

იმ პატარა, უსახელო მაღლობის დაცვის ეპიზოდში, რომელსაც შეეწერა ვაშალომიძე, ხატონად არის განსახებული საბჭოთა ხალხის სიამავე დიდ სამამულო ომში, მისი არნახული თავდადება. გმირობა აქ დასახულია როგორც იმ ადამიანის განუყრელი თვისება, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და სამშობლო, ვისთვისაც ქმედითი სიცოცხლითა და მგზვნება-

რე სიყვარულით განსახიერებულია ყოფიერების არსი და ადამიანის საბატიონი ნიშნულება.

უკრაინელი მეზადურის ვასილ მანასა თავგანწირვით („როგორ მოკვდა მოხუცი მეზადური“) მწერალმა ნათელჰყო საბჭოთა ადამიანის დიდი ღირსება, მისი შეუღრკვეული სული.

ადამიანის სამარადისო დიდების პრობლემა ხშირად აწუხებს კ. ლორთქიფანიძეს, როგორც მტკიცე, ძლიერი ხასიათების მხატვარს, და იგი თავის ბევრ ნაწარმოებში წამოსწევს მას წინა პლანზე. ოცდაათიანი წლების მიწურულში შექმნილი ბელორუსული მოთხრობების ციკლშიც, ძირითადად, სწორედ დიდი ადამიანური სულით აღჭურვილი გმირის უკვდავება გაცხადებული. ამ ციკლის ოთხი მოთხრობა („ფუნდუქში“, „ცხენი“, „ისევ ცხენი“ და „უკვდავება“) გაერთიანებულია ერთი მთლიანი შინაგანი ძარღვით — ბაბუა რუხლოს ისტორიით, რომელიც ცალკე, დამოუკიდებელ სიტუაციათა შემცველ ყოველ მოთხრობას გასდევს და მათ ერთმანეთთან აკავშირებს. ხოლო ბაბუა რუხლოსა და მისი ოჯახის ისტორიის ფონზე დანახულია სამოქალაქო ომისა და უცხოელ დამპყრობთა შემოსევის პერიოდის ბელორუსული სოფელი მისი მრავალფეროვანი ყოფით და სხვადასხვა ფსიქიკის ადამიანებით.

კ. ლორთქიფანიძის თოფიანი კაცი გამსჭვალულია უდიდესი რაინდულ-მამაცური თვისებებით; იგი ლეგენდარული გმირის ხასიათს იძენს. ეს ალბათ იმიტომ, რომ თავისი ხალხისათვის თავდადებულ, უტეხი ნების მეგრძოლს იგი ყოველთვის განსაკუთრებული ჰუმანური სულის ადამიანად წარმოგვიდგენს. გაიხსენეთ მისი ღრმა ფიქლოვანი ნოველა ომისდროინდელი სოფლელი გოგონას ცაბუნისა და ფრონტელი სერჟანტის არჩილ მესხის მძაფრი სიტუაციის შემცველ თავგადასავალზე. რკინიგზის სადგურზე შეახვედრებს ბედი ერთმანეთს უგზოუკვლოდ დაკარგული მამის ამბის გასაგებად ჩამოსულ სოფელ კანჭა გოგონას და დაჭრილ სერჟანტს. პატარა გოგონას ტანჯვის შემსუბუქების სურვილმა ტყუილი ათქმევინა სერჟანტს. ამის შემდეგ იგი ყოველდღე კვებავს ცაბუნის ცნობისმოყვარე გონებას გამოწავლი ამბებით. მაგრამ დგება წაჰ, როცა მეტის ატანა უკვე აღარ შეიძლება. არჩილ მესხი მიდის ჰოსპიტლიდან და პატარა გოგონას უდიდეს იმედად უტოვებს მამის სიცოცხლისა და გმირობის მონაგონ ამბავს. ნოველის ამ ოსტატურად ჩაფქრებულ ფინალში გახსნილია შინაგანი გრძობების ჭიდილიც და ადამიანებისად-

ში ფაქიზი სიყვარულის გამო ჩადენილი მოქმედებით გამოწვეული განსაკუთრებული სიხარულის განცდაც; სასურველის რეალურში გაცხადების იმედიც და შემფოთებაც აღფრთოვანებული გოგონას ფაქიზი სულის ტრაგიკული დამსხვრევის გამო მთელი ამ ამბავის მოსალოდნელი გამოაშკარავების შემთხვევაში.

მდიდარია კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ შექმნილ გმირთა გალერეა. მისი თითქმის ყოველი მხატვრული სახე ნაძერწია მოუსვენარი და მუდმივად დაუკმაყოფილებელი შემოქმედის დიდი მონდომებით; გამსჭვალულია, ერთ შემთხვევაში — უშუალოდ განცდილი და მძაფრად გამოვლენილი სიყვარულით, ძლიერი სიმპათიით; მეორე შემთხვევაში — ასევე ძლიერად გამჟღავნებული სიძულვილითა და სა-

სასტიკით. ხოლო ორივე შემთხვევაში მხატვარი იცავს დიდ შინაგან სიმართლეს; ცხადგებს სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპს.

სახის ძერწვისა და სიტყვაზე მუშაობის მწერლური ალღო მას ხშირად მიაბრუნებს ხოლმე ერთხელ უკვე დამთავრებული ნაწარმოებებისა და თითქოს საბოლოოდ მონახული პერსონაჟებისაკენ. ამ დროს მიაგვირებს ერთგვარად სუნთქვა ემატებათ და ისინი ახალ სიცოცხლეს იწყებენ. ახალი შინაგანი სულიერი თვისებით მდიდრდებიან.

ეს იმის შედეგია, რომ ცხოვრების მოვლენებს მრავალმხრივად ხედავს და აღიქვამს მხატვრის მახვილი თვალი და გამჭრიახი გონება.



გამოჩენილ მწერალს, თანამედროვე ქართული პროზის შესანიშნავ ოსტატს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნომ მხურვალედ მიულოცა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ცხოვრების ეს ბედნიერი თარიღი. მილოცვაში ნათქვამია: „თქვენ ლიტერატურაში მოხვედით როგორც ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეების გამომხატველი, როგორც აქტიური მებრძოლი. თქვენი რომანი „კოლხეთის ცისკარი“ იყო საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ბირველი დიდი ნაწარმოები, რომელიც ასახავს საქართველოში საკოლმეურნეო წყობის ჩასახვასა და განვითარებას.

...დაუღალავია თქვენი შემოქმედებითი ძიება, დაუსრეტელია ენერჯია, რომელსაც თქვენ ახალი წარმატებებისაკენ მიჰყავხართ.

ძვირფასო კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს, შეურყეველ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებითს სიხარულსა და შთანაფიქრთა აღსრულებას!“

ამ სიტყვებს სულითა და გულით უერთდება ჟურნალ „ცისკრის“ კოლექტივიც, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში სათავეში ედგა კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი მერკვილაძის წერილს.





## სინათლე სულისა

საყვარელ მწერალსა და მეგობარს გიორგი მდივანს დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა. ოფიციალური მოვალეობის გამო კი არა, როგორც ეს მიღებული იუბილეების დროს, არამედ სულითა და გულით გვინდა მივულოცოთ ეს თარიღი შესანიშნავ დრამატურგსა და სპექტაკ ადამიანს. ეს პატარა წერილიც ამ გულწრფელი სიყვარულით არის ნაკარნახევი.

გიორგი მდივანის შემოქმედებისა და ცხოვრების ბიოგრაფია განუსრულად არის დაკავშირებული საბჭოთა საქართველოსთან, მის რთულ და მღელვარე გზასთან. გიორგი მდივანი ეკუთვნის თაობას, რომელიც საქართველოში საბჭოთა მწერლობის სათავეებთან იდგა. იგი კომკავშირული ახალგაზრდობის იმ კორპორაციაში აღმოჩნდა, სადაც ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე იყვნენ. ეს თაობა, გაზეთ „სპარტაკისა“ და ჟურნალ „მომავლის“ ბირთვი, ერთგულად ამოუდგა მხარში ახალი ქვეყნის მშენებლებს და მათივე ცხოვრების მხატვარი გახდა.

გიორგი მდივანის პიესები მემატეანის სიზუსტითა და სიმძაფრით ასახავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამირულ გზას. „სამშობლო“ იქნება ეს, „ბატალი-

ონი მიდის დასავლეთისკენ“, „მოსკოვის ცის ქვეშ“, „პარტიზანები“ თუ საერთაშორისო საზოგადოებრივი ვითარების გამოხატველი „ალკაზარი“, „კონსული მოიპარეს“ და „ტერენას დაბადების დღე“, — ხალხის საბრძოლო გზას ან ჩვენს ყოველდღიურ მღელვარე მოვლენებს გვიხატავს.

დიდი აკაკი წერეთელი გვასწავლიდა: „მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლენებს, რაგინდ წვრილმანი იყოს იგი, თვალი აარიდოს... ვისაც აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ებოტინებოდეს“. არ მეგულება მეორე მწერალი, ისეთი თანმიმდევრობით რომ გამოხატავდეს ყოველდღიურ „საერთო მოვლენებს“, როგორც გიორგი მდივანი. მისი დრამატული ნაწარმოებებით შეგვიძლია ჩვენი ხალხის რევოლუციური გზის მთელი სურათი აღვადგინოთ.

ყოველდღიური ამბავი, ჩვენი ცხოვრების „საერთო მოვლენები“ გიორგი მდივანის პიესებში ამაღლებულია, დიდი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. ამაყად დააბიჯებენ ეს პიესები არა მარტო ჩვენი მრავალეროვანი და მრავალენოვანი ქვეყნის თეატრების სცენებზე, არამედ ჩვე-



ნი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც. და, რაც მთავარია, მისი გმირები — ქართველები თუ რუსები, ესპანელები თუ იუგოსლავები, დიდი ინტერნაციონალური გრძნობებისა და ფიქრების ადამიანები, ანლობენ არიან ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ხალხის თავისუფლება და კაცობრიობის ბედნიერება.

საყოველთაოდაა აღიარებული გიორგი მდივნის კინო-სცენარების მაღალმხატვრობა. „საბუდარელი ჭაბუკის“, „ჩვენი ეზოს“, „კეთილი ადამიანების“, „დიდი გზის“ გმირები ლირიკული სითბოთი და სიკეთით აღსავსე ადამიანებია. როცა ეკრანზე ვუყურებთ „საბუდარელ ჭაბუკს“, ნაცნობ სოფელსაც ვხედავთ, სოფელს, სადაც ბავშვობის დღეები გავვიტარებთ, საკუთარ ფიქრებსა და განწყობილებებსაც ვკითხულობთ. ყველაფერი ეს ისე ლაღად და ბუნებრივად არის წარმოდგენილი, რომ თავს შინაურულ გარემოში ვგრძნობთ. „კეთილ ადამიანებში“ ნაჩვენებია რესპუბლიკის ახალი ქალაქის — რუსთავის დაბადება და მისი მშენებელი ადამიანების სულიერი სამყარო. ბუნებრიობა, სისადავე, გულწრფელობა, ჩვენს ფიქრებთან და გრძნობებთან სიახლოვე, დამახასიათებელია გ. მდივნის მთელი შემოქმედებისათვის.

მწერლების უმრავლესობა სხვებისაგან მოითხოვს ბატივისცემასა და თაყვანისცემას. გიორგი მდივანი კი, პირიქით, სხვებს ახალისებს თავისი დიდი და მართალი გულით, მუდამ მზად არის ბატივისცემისა და დახმარებისათვის, უანგარო და ძმური თავდადებისათვის. ამიტომ ყოველთვის სასიამოვნოა ამ ადამიანთან შეხვედრა.

ვიცნ გ. მდივანს იცნობს, იცის, როგორი მოუსვენარი, მუდამ ფუტკარით მოფუსფუსე, დაუდგრომელი, ხალხისანი ბუნების კაცია იგი. მის ყოველ გამოჩე-

ნას მეგობრების წრეში დიდი სინარულ და სითბო შეაქვს. ცხოვრების ტრეპილოვანი ერთბაშად აყურებს მისგან უხვად გამეტებული სულიერი სინათლე.

შუბლგახსნილი და მომღიმარი ეგებება გიორგი ყველას, ხანდაზმულსა თუ ახალგაზრდას, ნაცნობსა თუ უცნობს, ვისაც მისი მზრუნველი ხელი და ჭკვიანური რჩევა სჭირდება. ეს ხასიათი მისი სულისა გადავიდა მის შემოქმედებაშიც. გიორგი მდივნის ნაწარმოებების უმთავრესი ღირსება დიდი ჰუმანიზმია.

გიორგი მდივნის შემოქმედებისათვის არ არის უცხო არც შემართება და შეტევა („სამშობლო“, „ალკაზარი“), მაგრამ მისი შემოქმედების უმთავრესი ბათოსი მაინც სიკეთის თესვაა და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისაკენ მოწოდება. ავტორისათვის პიროვნულად დამახასიათებელი თვისება, გადასული მის შემოქმედებაში, გვაჯადოებს და გვიმორჩილებს.

მოსკოვსა თუ თბილისში კაცი არ მეგულება, მას ემდუროდეს, მასთან შეხვედრა არ უხაროდეს. ამიტომ გვიყვარს მუდამ სიახლის მაძიებელი, დაუცხრომელი შემოქმედი.

მაშ ასე, ვიდრე თავის სათაყვანო საქართველოში ჩამოვიდოდეს, გადავხვეოდე და პირადად მივულოცავდე დაბადების წმ წლისთავს, დაე ამ სტრიქონებმა ამცნოს გიორგი მდივანს მისი მეგობრების, მისი თბილისელი თანამოკალმეების გულწრფელი სიყვარული და უზომო ბატივისცემა.

ქართველი მწერლების სახელით, და ჩემი სახელითაც, ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი დიადი ქვეყნის, მშობელი ხალხის სადიდებლად.



## ჩაუმიკალი შარავანდელი

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავი

მშობლიური ქვეყნის შეილებს სულიერი სამყაროს გამდიდრება ადამიანის უმაღლესი და უწმინდესი ვალია.

მოზარდ თაობაზე ზრუნვა სამშობლოს მომავალზე ზრუნვაა. ეს მაღალი მოვალეობა და გრძნობა არის სიცოცხლის ჩაუქრობელი ძალა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა შეილებისათვის, ახალი თაობისათვის უკეთესი მომავლის შექმნას.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოქმედება და მხატვრული შემოქმედება ამ მაღალი იდეების უანგარო, გამირული სამსახური იყო. ილიასა და აკაკისთან ერთად იგი დაუღალავად იბრძოდა თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესების, მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებისა და სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტისათვის.

მ. გორკიმ შესანიშნავად თქვა: „მხოლოდ ბავშვები არიან უკვდავნი“. ამ უკვდავთა გულისცემას შეუერთდა დიდი მამულიშვილის ი. გოგებაშვილის სიცოცხლე. ფიქრები, სურვილები და თვითონაც უკვდავი გახდა.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია სრულად გადმოვცეთ ქართული პედაგოგიური მეცნიერების ფუძემდებლის ღვაწლი, თვალნათლივ ვაჩვენოთ მისი შესანიშნავი სახელმძღვანელოების ღირსებები ან ის პოეტური

სამყარო, რომლის შექმნასაც მან თავისი ცხოვრება შეაღია.

ი. გოგებაშვილის დიდაქტიკურ შეხედულებათა საფუძველზე შექმნილი „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ რთულ ისტორიულ პირობებში ემსახურებოდა ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებას, ახალი თაობის გონებრივი, მორალური, ესთეტიკური, მაღალი ჰუმანური იდეებით აღზრდას. დიდი პედაგოგი ფარვანასავეთ თავს დასტრიალებდა დედა ენას, რადგან კარგად იცოდა, რომ „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-სახოვანი, როგორც არის ბუნება კავკასიისა, სადაც ერთ პატარა ადგილზე პოლუსი, ტროპიკი და ზოგიერთი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზვიდან ძირს დასცქერიან ბროწეულს, ლედეს, ვაზს, ლიმონს. ფორთოხალს და სხვა ტროპიულს მცენარეობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება. საეგე მრავალგვარი მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა... და მისი „შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან. მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის დონით და მხნეო-

ბით“, („მწყემსი“, 1890, № 12). ი. გოგებაშვილს სურდა „დედა ენა“ მოზარდი თაობის გონებრივი განვითარების, მისი შემოქმედებითი უნარის გაშლისა და ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობისათვის გამოეყენებინა.

ეროვნების ბურჯის — დედა ენის ღრმად ცოდნის თვლიდა გოგებაშვილი სხვა ენებს შესწავლის საფუძვლად. ამ ენათა შორის პირველ რიგში მოითხოვდა რუსულის შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებას, რადგან მისი ცოდნა მიაჩნდა „უდიდეს სიკეთედ ყველა კავკასიელთათვის“. სწამდა, რომ ამ ენით შეუძლიათ მთი „ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას“. ამიტომ მან სიყვარულით შექმნა რუსული ენის სახელმძღვანელო — „რუსსკოე სლოვო“ ქართული დაწყებითი სკოლებისათვის.

ი. გოგებაშვილი დაუღალავად იბრძოდა მრავალფეროვანი, მრავალენოვანი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად. სიტყვაჯამული საბავშვო მწერლობა სწორედ იაკობ გოგებაშვილთან იღებს სათავეს, და ილიას, აკაკის, ვაჟას მხატვრული რეალიზმის საფუძველზე შექმნილი საბავშვო ნაწარმოებებით იდეურად უკავშირდება სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხელოვნებისა და ლიტერატურის მეცნიერულ, რევოლუციურ-დემოკრატიულ გაგებას. სწორედ ამან განაპირობა ქართული, ეროვნული, მაღალიდეური საბავშვო სიტყვაჯამული მწერლობისა და მისი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბავშვო მწერლობაში იგავ-არაკების ქანრის, ზღაპრების, ლეგენდების, ანდაზების, გამოცანების გამოყენებას.

ხალხის სიკეთის, ეროვნული თვითშეგნებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში როგორც დიდი ეროვნული მწერლობის, ისე საბავშვო ლიტერატურის ისტორიულ ამოცანას წარმოადგენდა იმ ახალი ტიპის ადამიანის „შექმნა“, რომელიც შეუპოვრად იბრძოლებდა „უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ“.

ი. გოგებაშვილი წერდა: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში. მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“. მას სწამდა, რომ საბავშვო მწერლობა „ბევრს სიკეთეს დასთავს მოზარდს თაობაში, ბევრს მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრს კეთილშობილური, პუმანიური მისწრაფებით შიამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუშნადებს ბევრს

მხნეს და გულწრფელს მამულს-მამულსა“. ი. გოგებაშვილის „ბუნების კანონების“ უწყობდა ახალ თაობაში მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. წიგნის მდიდარ მხატვრულ-ლიტერატურულ განყოფილებაში პპოვებდა სათავეს ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები. ამ ვითარებამ და სხვა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობეს ქართული საბავშვო მწერლობის აღმავლობა XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან.

ცნობილია, რომ სწორედ ამ დროს დაიწყეს ინგლისური კლასიკური საბავშვო წიგნის შექმნა ედვარდ სტიმონი, ლუის კარლიმ, თეატრემ და სხვებმა. ამ პერიოდთან შეემატა საბავშვო ლიტერატურას კამპეს, ჟანლისის, შარლ დე კოსტერის, ანდერსენის, ძმები გრიმების სახელები. ამ ხანებშივე მომწავრადა ყალბი თეორიები საბავშვო ლიტერატურის შინაარსის, მიზნების, ამოცანების და ფორმის შესახებ (რელიგიურ-ფილოსოფიური, რელიგიურ-ესთეტიკური, ეთიკურ-ესთეტიკური, მენტორულ-დიდაქტიკური და სხვ.).

მაგრამ ყველა ეს შეხედულება თუ თეორია მეტად უმწყო აღმოჩნდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკური კონცეფციის წინაშე. ამ კონცეფციის საფუძველზე ჩამოყალიბდა რეალისტური საბავშვო ლიტერატურის განვითარების ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები.

მართალია, რუსეთში თანდათან ძლიერდებოდა პროგრესული საბავშვო ლიტერატურის ფრთა, მაგრამ მწერლობაში მაინც მრავლად იყო რელიგიური (იშმიოვი, ფედოროვი, ფურმანი და სხვ.), მორალისტური (ანენსკაია, ზოსილიძე და სხვ.), ტოლსტოის კვიტიზმის ფილოსოფიით გაყვნილი ნაწარმოებები. ამ დროს იაკობ გოგებაშვილმა ქართულ საბავშვო მწერლობაში მეტად დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემები გადაწყვიტა.

ი. გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებების მაღალ მხატვრულ ღირებულებას განსაზღვრავდა არა მხოლოდ თემატიკური მრავალფეროვნება, არამედ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებიც: ჩვენებისა და წარმოსახვის ოსტატობა, ხალხობა, მხატვრული სახეებით გადმოცემული ისტორიული სინამდვილის შთაბეჭდვადი სურათები, სიუჟეტის სიმძაფრე, მწვევე კონფლიქტები, რაც თავის მხრივ გამოვლენილია სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, მუყათობისა და სიზარმაცის, პატიოსნებისა და სიბღღის, გამირობისა და ლაჩრობის შეპირისპირებით.

ი. გოგებაშვილის შემოქმედება აშკარად



დაუპირისპირდა საბავშვო ლიტერატურაში მაშინ ფესვგადგმულ ანტროპოცენტრიზმს, მენტორულ დიდაქტიზმს, ცხოვრებისეული აქტუალური პრობლემებიდან განდგომას. მან მხატვრული აზრი ეპოქის შესაბამის იდეებს დაუკავშირა და საბავშვო ლიტერატურა, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა თავისი დროის დიდი ამოცანების წინაშე დააყენა. ეს ისტორიული აუცილებლობით იყო ნაპარნახევი, რადგან ცნობილია, მხატვრული აზრი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ დიდი იდეების საფუძველზე. თავისი დროისათვის მოწინავე ფილოსოფიური და პოლიტიკური იდეების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს დიდი ლიტერატურა, მამასადავამ, არ შეიძლება განვითარდეს პროგრესული ეროვნული საბავშვო მწერლობაც.

საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულმა კანონზომიერებამ თავის მხრივ განსაზღვრა ქართული ეროვნული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები, თვითმყოფადობა და პროგრესული ხასიათი. საბავშვო მწერლობის სულისჩამდგმელი და თეორეტიკოსი იაკობ გოგებაშვილი ვახდა. ამიტომაც გოგებაშვილის პედაგოგიური და ლიტერატურული შემკვიდრეობა უკვდავი.

ი. გოგებაშვილი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ პირობად საბავშვო ჟურნალის დაარსებას თვლიდა. უკრაინაში ამ დიდ საქმეს სათავეში უდგა საბავშვო ჟურნალი „დრუგ“, სადაც ფრანკო თანამშრომლობდა და წერდა საბავშვო მწერლობაზე დედექელიკის ფსევდონიმით (ჟურნალი 1877 წლიდან, ფრანკოს დაპატიმრების შემდეგ, არ გამოხულა). სომხეთში ამ საქმეს ემსახურებოდა „ალბიური“, სადაც 1882 წელს ოვანეს თუმანიანის პირველი ნაწარმოები „მზე და მთვარე“ დაიბეჭდა; რუსეთში გამოდიოდა ჟურნალები მაიკოვის, კრემინას, ჩისტიაკოვის, როსტოვსკის, ასტროვოვსკის რედაქტორობით, აგრეთვე იმიოვის, ნოვიკოვის, ლევ ტოლსტოის და სხვათა საბავშვო ჟურნალები. გოგებაშვილმა არაერთხელ სცადა ჟურნალის დაარსება, მაგრამ არ მისცეს ამის უფლება; მის ოცნებას ერთგვარად ფრთა შეასხა „ნობათისა“ და „ჯეჯილის“ გამოსვლამ. იგი წერდა, აფასებდა, განსჯის საგნად ხდიდა ამ ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ ნაწარმოებებს და ამით წარმართავდა ეროვნულ საბავშვო მწერლობას.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საბავშვო მწერლები უმეტესად პედაგოგები იყვნენ, ამიტომ ნაწარმოებებში უმთავრესად ამა თუ იმ პედაგოგიური თეორიის თვალსაზრისით ქმნიდნენ. გამოჩენილმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა თავის საუკეთესო მოთხრობებში ეპოქის პედაგოგიური იდეები, საბავშვო ნაწარმოებების ლოგიკური და ემოციური არგუმენტირება დაუქვემდებარა მხატვრულობის პრინციპს და თანადროულობის იდეალების შესაბამისად შექმნა შთამბეჭდავი, ღრმა ემოციური, ესთეტიკური სახეები.

ი. გოგებაშვილის მოთხრობების უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მათში კარგად ჩანს ბავშვის სულიერი დილაქტიკა და ამავე დროს შენარჩუნებული აქვთ უშუალობა. ეს ელიდება შინაარსის განვითარებაში, პერსონაჟთა ხასიათის თავისებურებებში. ბავშვებისა და უფროსების დიალოგები ბუნებრივია და ახასიათებს სოციალური გარემოთი განსაზღვრული, ბავშვის ფსიქოლოგიით გამოწვეული ინდივიდუალური ნიშნები.

მეტად საინტერესოა გოგებაშვილის დამოკიდებულება ფოლკლორთან; ის უხვად იყენებს ზღაპრებსა და ლეგენდებს. პედაგოგიური მიზნით სათანადოდ ასწორებს მათ. მაგრამ ისე, რომ ოდნავადაც არ ცვლის ხალხური ნაწარმოების რიტმსა და ინტონაციას.

ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბავშვო ნაწარმოების ენას. გადაცემის უბრალოება, ხატოვანება, ფრაზების ლაკონურობა, სიცხადე, იდეისა და ხასიათის ორგანული კავშირი წარმოადგენდა რეალობის, ხალხურობისა და მხატვრულობის ხორცშესხმას.

ი. გოგებაშვილთან ერთად საბავშვო ქართული მწერლობის განვითარებაში ფასდაუღებელი წვლილი შეიტანეს ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ და სხვა ქართველმა მოღვაწეებმა. მათ ერთხელ კიდევ ჩასცეს ლახვარი საბავშვო მწერლობისადმი ნილილისტურ დამოკიდებულებას.

თავისი ეპოქის მოწინავე პედაგოგიური იდეები, ღრმა პატრიოტიზმი, მათალი იდეალები, და მხატვრული ძალა ანიჭებს ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ-ლიტერატურულ ნაწარმოებებს დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ხოლო მას დიდების ჩაუქმრალი შარავანდელით მოსავს.





## სიმონ ჩიქოვანი

### სერგეი ესენინი თბილისში

ოციანი წლების დასაწყისში არა მარტო რუსეთში, არამედ საქართველოშიც საოცრად გავრცელდა სერგეი ესენინის პოეზია. „სამშობლოში დაბრუნების“ ავტორის ხმამ მოხიბლა მკითხველი და იგი ახალი თაობის ფიქრთა მესაიდუმლე გახდა.

სერგეი ესენინის ლექსებმა მკითხველს ახალი კუთხით დაანახა რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეებზე გაშლილი მდინარეების სიწმინდე, მომკილი და მოუძველი ყანები, არყის ხეებით დახატული ბუნების სილამაზე, ძელური სახლებითა და ქარის წისქვილებით დამშვენებული სოფლები. მან თითქოს გამოიტირა სოფელში დარჩენილი მამისეული სახლი, თემშარაზე მდგარი, ვაჟის დაკარგვით შეშფოთებული მოხუცი დედა. და ამ გამოთხოვებისას აამღერა კიდევ სოფლად ახალი ცხოვრების შემოქმედი თაობა. მის პოეზიაში გამოიხატა სოფლისა და ქალაქის შეჯახებით გამოწვეული დრამატიზმი და ქალაქის წიაღში გათქვეფილი სოფლელი ბიჭის ბოჰემური ცხოვრება. პოეტი სოფლიდან შემოიჭრა ქალაქში, აუფორიაქდა სული, მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში შემოინახა სოფლის საღამოების სიფაქიზე და

ბუნების მარადიული სინორჩე გვაგრძნობინა. თავისი სულეირი წყობით იგი თითქოს დაუპირისპირდა ურბანისტული ხასიათის პოეზიას და ქალაქის წიაღში შეუბღალავი ბუნების სუნთქვა შემოიტანა პოეზია სერგეი ესენინისათვის საკუთარი თავგადასავლისა და პირადი ცხოვრების ლირიკული თხრობა იყო. ეს პირადი ცხოვრება და ლირიკული ხმა მას ტიპიურად მიაჩნდა, ხალხის უმრავლესობის ზრახვათა გამომსახველად წარმოედგინა.

ჯერ კიდევ 1922-23 წლებში სერგეი ესენინის პოეზიასა და პიროვნებაზე ლეგენდები იქმნებოდა. სერგეი ესენინის მრავალი ლექსი ზეპირად იცოდა თითქმის ყველა თაობის ქართველმა პოეტმა. მისი სტრიქონები ხშირად გაისმოდა და რუსი პოეტის თბილისში სტუმრობა თითქოს შემზადებული ჩანდა.

1924 წლის 6 სექტემბერს თბილისიდან გაემგზავრა ვლადიმერ მაიაკოვსკი. ხოლო 9 სექტემბერს რუსთაველის პროსპექტზე გამოჩნდა სერგეი ესენინი. თუ ვლადიმერ მაიაკოვსკი თავისი გარეგნობით და ბოხი ხმით უეცრივ იქცევა გამვლელთა ყურადღებას, სერ-

ვეი ესენინს უფრო ჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა. იგი ძლიერ მიმზიდველი და საამო შესახებ იყო. მის ლამაზ, ნათელ სახეს ამშვენებდა ღია ცისფერი თვალები და შუაზე გაყოფილი ქერა თუ ხორბლისფერი თმა. მას არ ჰქონდა გამომწვევი იერი და სკანდალების მომწყობს სრულებით არ ჰგავდა. იგი მშვიდად, მსუბუქი ნაბიჯებით დადიოდა თბილისის ქუჩებში და ყურადღებით ათვალიერებდა უცხო ქალაქს. პოეტი ჩამოსვლისთანავე დაუმეგობრდა „ცისფერყანწულებს“ და დროს უმთავრესად მათთან ატარებდა.

სერგეი ესენინს თბილისში ჩამოჰყვალენინგრაძელი მხატვარი კონსტანტინე სოკოლოვი, რომელიც ჩვენ, ახალი თაობის პოეტებს, უფრო დავეიმეგობრდა. მთელი დღეები ჩვენს წრეში ტრიალებდა და ღამესაც ხშირად ნიკოლოზ შენგელაიასა და ჩემს ოთახში ათევდა. კონსტანტინე სოკოლოვმა შეგვატყო, რომ სერგეი ესენინის პოეზიას ქართველი ახალგაზრდა პოეტები კარგად ვიცნობდით და პოეტის ბირადად ვაცნობის სურვილიც გვქონდა. ერთხელ მან გვითხრა: თუ გინდათ, სერგეი ესენინს თქვენთან სახლში მოვიყვანო. ჩვენ შევეცბით. მართალია, ჩვენი ოთახი ფართო და გაშლილი იყო, მაგრამ შიგ არავითარი ავეჯი არ იდგა და სტუმარს სკამის ნაცვლად განიერი ფანჯრის რაფაზე უხდებოდა ჯდომა. ფანჯარა კი მტკვარს გადაჰყურებდა და ჩვენი ოთახიც თითქოს ლექსების საკითხავად იყო მოწყობილი.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან ღამით, კონსტანტინე სოკოლოვმა სერგეი ესენინი ჩვენთან მოიყვანა. წამოგვყარა ლოგინიდან და საყვარელი პოეტი წარმოგვიდგინა. სერგეი ესენინის მოულოდნელმა გამოცხადებამ მასპინძლები შეგვატყუნა და დაგვაბნია. სტუმრებისათვის არც სკამი გვქონდა და არც საწოლი. შევწუხდით, არ ვიცოდით, რა გვექნა, სტუმრები კი მხიარულ გუნებაზე იყვნენ და ეტყობოდათ, ერთი ლხინი უკვე მოელიათ. ნიკოლოზ

შენგელაიამ უცებ მოისაზრა და მაშინვე დაიწყო სტუმრის ლექსის კითხვა. მერე თითქოს ესტაფეტა გადაეცა მცეც განვაგრძე.

სერგეი ესენინს გაუხარდა და გაოცდა კიდევ, სოკოლოვს ჰკითხა: ვინ არიან ესენიო, ვისთან მომიყვანეო? კონსტანტინე სოკოლოვმა დაუსახელა ჩვენი გვარები და უთხრა, ახალგაზრდა პოეტები არიანო. სერგეი ესენინმა წამოიძახა: ჩემი ძმები ყოფილანო, მიიხედ-მოიხედა, ჩამოჯდა ფანჯრის რაფაზე და თქვა: „ღარბაზი კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, მსმენელია ცოტა“ და დაიწყო ლექსების კითხვა. კითხულობდა ძალიან წყნარად, თითქო ეთვლიმებოდა კიდევ, შემდეგ წაიკითხა „Я ин-манивать себя не стану“, ამასობაში სრულიად გამოფხიზლდა. ცოტა ხანს კიდევ გვესაუბრა, მერე ბოდიში მოიხადა და გამოგვეთხოვა. ჩვენ გავყევით და სტუმრები რუსთაველის პროსპექტამდე მივაცილეთ.

მეორე თუ მესამე დღეს სერგეი ესენინს რუსთაველის სახელობის კაფეში შევხვდით. მარტო იჯდა და ყავას შეექცეოდა. მაგიდაზე ჟურნალ-გაზეთები ეწყო. როდესაც ნიკოლოზ შენგელაია და მე შევედით, გვიცნო, მაგიდასთან მიგვიწვია და ბოდიში მოიხადა, რომ ღამით შემოიჭრა ჩვენს ოთახში. შემდეგ დაიწყო საუბარი პოეზიაზე. ჟურნალში, რამდენადაც მახსოვს, „პროექტორში“, წაეკითხა წერილი, სადაც სერგეი ესენინი ჩათვლილი იყო ე. წ. გლეხთა პოეტებში. იგი ამბობდა, არასდროს არ ვყოფილვარ გლეხთა პოეტების ჯგუფში, პეტრე ორეშინთან და მის მეგობრებთან არასოდეს ვთანამშრომლობდი და მიკვირს, რატომ მაკავშირებენ მათთანო. მე უბრალოდ რუსი პოეტი ვარ, არც ერთ ფენას არ ვეკუთვნიო. ძლიერ ცხარობდა. ჩვენც გავიზიარეთ მისი აღშფოთება. შემდეგ საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო: ვისაუბრეთ ვლადიმერ მაიაკოვსკიზე, ბორის პასტერნაკზე და განსაკუთრებით ველიმირ ხლებნიკოვზე. გამოვიკითხეთ, თუ

როგორ მოხვდა ყოფილი ფუტურისტი ხლებნიკოვი იმაყენისტების ჯგუფში, რომლის წევრად სერგეი ესენინიც ითვლებოდა. სერგეი ესენინმა გვიპასუხა, თქვენ გგონიათ, მე ნამდვილი იმაყენისტი ვიყავი? მეც არაფერი მქონდა იმაყენისტების პოეტუკასთან საერთო, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ვემგობრობდი და მათ თავიანთ ჯგუფში ჩამიყოლიეს. ხლებნიკოვსაც სულ სხვა პოეტუკა ჰქონდა, მაგრამ ჩვენი ჯგუფის წევრებმა რალაც დაუთმეს და ისიც შემოგვიერთდა. საერთოდ, ლიტერატურულმა ჯგუფმა უკვე დრო მოჰამა. ჰემმარიტი პოეტები ხალხს ემსახურებიან და არა რომელიმე ჯგუფის ან წრის გემოვნებას. პოეზია სახალხო საქმეაო. ამ საუბრის დროს შემოგვიერთდნენ ტიცო-ან ტაბიძე და ნიკოლოზ მიწიშვილი. ჩვენი საუბარი ამაზე შეწყდა.

ერთ საღამოს რამდენიმე ახალგაზრდა პოეტი ჩავედით რესტორან „ჭიმირიონში“ და შუა დარბაზში შემოვუსხედით მაგიდას. იქვე, კუთხეში, მაგიდასთან მარტო იჯდა და ვაზშობდა სერგეი ესენინი. ყურადღებას არავის აქცევდა, ეტყობოდა მარტოობისა და მყუდროდ ყოფნის სურვილი ჰქონდა. ჩვენთან მყოფმა ერთმა ახალგაზრდა პოეტმა დაიჩემა, სერგეი ესენინის ყურადღება როგორმე მივიპყროთ და სუფრაზე მოვიწვიოთო. დავუშალეთ, მაგრამ ვაჭირვეულდა, მოტანილი კერძები რამდენიმეჯერ დაიწუნა. უკან დააბრუნა. ამით რესტორნის თანამშრომლები საშინლად გააჯავრა. მერე უეცრად სუფრა გადააბრუნა. გამოცვივდნენ მზარეული და ოფიციანტები და შემოგვიტიეს. სერგეი ესენინს თვალი მოეკრა ჩვენი ამხანაგის ამ საქციელისათვის, ელვის სისწრაფით მოჩხუბართა შორის შეიჭრა და გააშველა. დაამშვიდა მზარეული და ოფიციანტები. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, თავის სუფრასთან მიგვიწვია, ხოლო ჩვენს ჰირვეულ მეგობარს უთხრა, გავიგე, ამას წინათ საღამო ვავიძარბავთ და ძლიერ ცოტა ხალხი დაგსწრებიანო. რაიმე სკანდალი

აღრე უნდა მოგეწყოთ, რათა ხალხს ყურადღება მიგექციათ და საღამოზე მოგეზიდათ. ასეთი სკანდალიც დაიწყო. ლებული ექნებოდა, პოეზიისათვის ბრძოლა კეთილშობილური საქმეა და იგი დანაშაულად არ ჩაითვლება. თქვენს დღევანდელ ჩხუბს კი არავითარი გამართლება არა ჰქონდაო.

ჩვენ, ცოტა არ იყოს, დავირცხვინეთ. შემდეგ სერგეი ესენინი გახალისდა, თავისი ლექსის რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა, მაგრამ ეტყობოდა, ლხინის ხასიათზე მაინც არ იყო, მალე გამოგვეთხოვა და წავიდა.

არ მახსოვს, ზუსტად როდის გაიმართა პროფკავშირთა დარბაზში სერგეი ესენინის საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. დამსწრეთა შორის იყვნენ ძველი და ახალი თაობის ქართველი პოეტებიც. ერთად ვისხედით ნიკოლოზ შენგელაია, დავით გაჩეჩილაძე და ამ სტრიქონების ავტორი. სცენაზე სერგეი ესენინი გამოვიდა, დარბაზს თვალი მოავლო, ჩვენ შეგვნიშნა და გავვიღიმა. პოეტმა საღამო პირდაპირ ლექსების კითხვით დაიწყო. ძლიერ გაუბედავად და მორიდებით ამბობდა სტრიქონებს, მერე თანდათან, თითქოს შეეჩვია დამსწრე საზოგადოებას, მის ხმას მეტი სილაღე და გაქანება დაეტყო. ლექსის კითხვისას ხანდახან თმაზე გადაისვამდა ხელს და მის მიმზიდველ სახეს მომხიბვლელობა ემატებოდა. მეჩვენებოდა, რომ ნაწარმოების რიტმსაც კი არ აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. კითხულობდა წრფელად, ჰემმარიტი შთავონებით და მისი ლექსის თქმა აღსარებას უფრო ჰგავდა, ვიდრე დეკლამაციას. პოეტი ეთხოვებოდა სიყრმესიჭაბუქეში შეჩვეულ სამყაროს და თითქოს ნაღვლიანი კილოთი გვისურათებდა თავის განშორებას ადრინდელ სიყმაწვილესთან. ხალასი ხმა მკაფიოდ გამოთქვამდა საკუთარ გულისნადებს და სტრიქონებს ლირიკულ სიმძაფრეს მატებდა.

იმ საღამოზე პოეტმა მრავალი ნაწარმოები წაიკითხა. მსმენელებს გვეჩვენებოდა, რომ იგი, როგორც ლირი-

კოსი — ჭაბუკიც იყო და ხანდაზმუ-  
ლიც. უშუალოსა და პოეტურ სიმწი-  
ფეში შესულს პოეზიაში პირველქმნი-  
ლი მშენების გამოვლენაც ადვილად  
შეეძლო.

ლექსების კითხვის შემდეგ გაიმართა  
აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოით-  
ქვა კრიტიკული შენიშვნებიც. მაგრამ  
მე ის შენიშვნები თითქმის არც გამი-  
გონია, ისე ვიყავი პოეტის ლირიკული  
სიმღერებით გაბრუებული, მისი გა-  
მოკვეთილი სახეებით შეპყრობილი და  
გაოცებული. ტკივილისა და სიხარუ-  
ლის გრძნობა ერთმანეთს ენაცვლებო-  
და. მაგონდება, სერგეი ესენინმა მოკა-

მათეთა საპასუხო სიტყვის თქმა და  
და, მაგრამ ვერ მოახერხა დაწინადა-  
ხა: „ამხანაგებო, ნუ მცემთ, მე კიდევ  
შევქმნი უკეთეს ლექსებს“ და ისევ  
წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.  
კვლავ აღაფრთოვანა მსმენელები, შემ-  
დეგ ხალხში შეერია და თითქოს გაუ-  
ჩინარდა.

ასეთი იყო უკანასკნელი შეხვედრა  
რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს ლირიკოს-  
თან. სერგეი ესენინთან, რომლის და-  
ბადების 70 წლისთავი ახლახან იზეიმა  
მშობელმა ქვეყანამ, მასთან ერთად კი  
მისმა გულითაღმა პატივისმცემელმა  
ქართველმა ხალხმა.





# წიგნების საყუბო



## „ღამიანებს ზოგჯერ ბრძნობა აგყუბს“

ი. ჩაღუნელი — „ცხოვრების ზღვრულში“. გამოც. „საბჭოთა საკავშირელო“

ზოგიერთი ლიტერატურული კრიტიკოსი წლებს მანძილზე გულმოდგინედ ჩაგვიჩინებდა, მხატვრულად სუსტი ნაწარმოები შეიძლება მაღალიდღეური იყოსო. ამ ცრუ თეორიას უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი გახდა ყოველგვარი ლიტერატურული მაკულატურის საფუძველი. დასამალი არ არის, რომ ბევრი ცრუმწერალი ჩაეჭიდება ამა თუ იმ ლოზუნგს ანდა რაიმე ღონისძიებას, გახდის ვითომ მხატვრული ნაწარმოების თემად და სახელდახელოდ გამოაცხობს რომანს, პიესას, სცენარს, რაგინდარა ჟანრის თხზულებას.

თუ ვინმემ გაბედა და გააკრიტიკა ასეთი ნაწარმოები, ვაი მისი ბრალი. მაშინ ავტორი საჩვეყნოდ მოჰყვება ყვირილს — ჩემი ნაწარმოები ეხმაურება სადღეისო თემას, ასახავს თანამედროვეობას და თუ მხატვრულად მდარეა, რა მოხდა მერე, სამაგიეროდ იდეურად არისო აქტუალური. ჩვენ კი გვეშინია „იდეურად აქტუალური“ ნაწარმოები მხატვრული სისუსტის გამო დავიწუნოთ. ამ დროს ვივიწყებთ სწორედ ლიტერატურისა და ხელოვნების ელემენტარულ და აუცილებელ კანონს: ის, რაც მხატვრულად უვარგისია, არ შეიძლება იყოს იდეური.

მხატვრულად უსუსურ თხზულებას შეუძლია კეთილშობილური იდეაც კი გაამასხაროს. აი კონკრეტული მაგალითი: ახალგაზრდა კაცს უნდა ფაბრიკაში მუშაობის დაწყება. დედას გული ეთანაღრება და ორჭოფობს — არ უნდა შვილი ფაბრიკაში გაუშვას. დედასა და შვილს შორის იმართება ასეთი საუბარი.

— დედი, ხომ გიყვარს შენი გურამი? ნატომ გაკვირვებით შეხედა გურამს.

— ჰოდა, მეც ასე მიყვარს ფაბრიკა“.

(ი. ჩაღუნელი, „ცხოვრების ზღვრულში“).

ღამიანს, რომელიც დედაშვილურ სიყვარულს აიგივებს ფაბრიკისადმი მუშის სიყვარულთან, საერთოდ არაფერი არ უყვარს, არაფერს პატივს არ სცემს. ყველაფრის სიყვარულს აქვს თავისი ფორმა და ზომა. როგორც კი ეს დაირღვევა, სიყვარული მაშინვე ცინიზმის სახეს იღებს. ავტორს გულწრფელად უნდოდა გადმოეცა ახალგაზრდა კაცის ფაბრიკისაკენ ლტოლვა. სინამდვილეში კი გამოვიდა ყველაფრისადმი ცინიკური და აგდებული დამოკიდებულება.

რითი შეიძლება ავსხნათ ის ფაქტი, რომ გამომცემლობამ იცის, ესა თუ ის ნაწარმოები სუსტია. მაგრამ მაინც

სცემს; თეატრმა იცის, ესა თუ ის პიესა მდარეა და მაინც დგამს; კინოსტუდიამ იცის, ესა თუ ის ფილმი უვარგისია, მაგრამ მაინც იღებს. ეს ხდება იმიტომ რომ ბევრ ჩვენთაგანს ღრმად ჩაგვედომია სულსა და გულში იმ ზოგიერთის მიერ წლების განმავლობაში ნაქადაგვეი — მხატვრულად სუსტი ნაწარმოები შეიძლება მაღალიდღური იყოსო. მაგრამ აქ ყველაზე უფრო საოცარი ის არის, რომ იდეურ აქტუალობაში ვეძებთ არა იმას, თუ მწერალმა რა ახალი, ცოცხალი, ორიგინალური, ცხოვრებაზე ინდივიდუალური დაკვირვების შედეგად მიგვებული აზრი ჩააქსოვა თხზულებაში, არამედ იმას, როგორ არის გადატანილი მხატვრულ ნაწარმოებში ყველასათვის ცნობილი ოფიციალური დებულება. ასეთმა დამოკიდებულებამ გააადვილა მწერლობა. თუკი ავტორს არავინ მოსთხოვს საკუთარ აზრს, საკუთარ კონცეფციას და უფლება ექნება ვახეთში ამოკითხული ესა თუ ის დებულება მოაქციოს პრიმიტიულ სიუჟეტურ ჩარჩოში და სიტყვაკანმულ მწერლობად გაასალოს, მაშინ უფრო იოლი საქმე რაღა იქნება?

მაგალითად, დღეს ვახეთებში ხშირად წერენ იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებში მიდიან. ისინი გარკვეულ პროფესიას ეუფლებიან და ამასთანავე შეუძლიათ დაუსწრებლად უმაღლეს სასწავლებლებშიც ისწავლონ.

ეს ფრიად ვაგრცელებული მოვლენაა. ყველასათვის ნაცნობი, ჩვეულებრივი. ამიტომ რაღაც რთული, სადაო, საჭირობოროტო პრობლემების ძიების მაგიერ უმჯობესია მწერალმა გამოიყენოს ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავი და შეთხზას ასეთი ისტორია: გურამ საჩალელი დაამთავრებს საშუალო სკოლას და სამუშაოდ ფაბრიკაში წავა. მამას ეს გადაწყვეტილება გაახარებს, რადგან გურამი სწორედ იმ ფაბრიკაში მიდის სამუშაოდ, სადაც ადრე თვითონ მუშაობდა (ამით ავტორი ადასტურებს, რომ მა-

მებსა და შვილებს შორის არავითარი კონფლიქტი არ არსებობს).

ცხადია, ფაბრიკაში გურამს ისევე როგორც სულ მოკლე ხანში მოწინავე მუშა გახდება. რითი შეიძლება დააფასოს ფაბრიკამ გურამის თავდადებული შრომა? აქ ორი რამ შეიძლება მოხდეს — ან ღირეჭტორად უნდა დანიშნონ, ან პარტკომად აირჩიონ. გურამ საჩალელსაც პარტკომად აირჩევენ. კინალამ დამავიწყდა — გურამი დაუსწრებლადაც სწავლობს ინსტიტუტში. მკითხველმა უკვე იცის, რას ვაკეთებს ახალი პარტკომი. იგი შექმნის კომუნისტური შრომის ბრიგადას. ამის შესახებაც ხშირად იწერება პრესაში, სადაოც არაფერია. პირიქით, მისასალმებელი ფაქტია, რადგან ზოგიერთი ლიტერატორის ენაზე ამას ლიტერატურაში თანამედროვეობის აქტუალური საკითხების ასახვა ჰქვია. რაც ახლა ვიამბეთ, იორამ ჩადუნელის მოთხრობის — „ცხოვრების ზღურბლზე“ „საწარმოო“ მხარეა (პერსონაჟთა პირადი ამბების მოყოლისაგან გერჯერობით თავი შევკავოთ). უნდა ვამოვტყუდ და ვითხრაო, რომ მოთხრობის შინაარსის ვადმოცემისას ტენდენციურობა აშკარად მეტყობოდა. ამიტომ მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ი. ჩადუნელი მარტო ამ ტრაფარეტული ამბებით კმაყოფილდება, იგი გზადაგზა გონივრულ რჩევა-დარიგებასაც იძლევა: უმჯობესია ფაბრიკამ ტყავის ეკონომია გასწიოს, ვიდრე იგი გადახარჯოს (გვ. 78).

უმჯობესია აგრეთვე საწარმოს ექვსი პროცენტი ეკონომია მისცე, ვიდრე ორი (გვ. 70).

ისიც არ იქნება ურიგო, თუ ფაბრიკა ტყავის ნარჩენებს გამოიყენებს და მათ არ გადაყრის (გვ. 79).

მუშას ხელფასი უნდა მიეცეს არა სამჯობროს გამომუშავებისა და მიხედვით, არამედ ინდივიდუალური გამომუშავების თანახმად (გვ. 85).

მოდი და ასეთი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თქვი, რომ მხატვრულ ლიტერატურასა და ამა თუ იმ ფაბრიკის

საწარმოო თათბირებს ოქმებს შორის განსხვავება არისო.

ი. ჩაღუნელს არ უნდა თუნდაც ერთი წუთით მოწყდეს სინამდვილეს, დღევანდელობას, ცხოვრებას. ამიტომ გულუხვად იყენებს საყოველთაოდ ცნობილ დებულებებს თავისი მოთხოვნების სიუჟეტის ასაგებად. მოთხოვნის — „რა იქნება მერე?“ — პერსონაჟი დავით პავლიაშვილი სწავლობს კიდევ და მშენებლობაზეც მუშაობს (ე. წ. საწარმოო სწავლების პროცესის ნათელი ილუსტრაცია). მართალია, დავითმა ქალაქში ბინაც მიიღო და კარგი სამსახურიც იშოვა, მაგრამ გაიგო თუ არა რაიონში მშენებლობებს მუშახელი სჭირდებაო, მაშინვე ბინაც მიატოვა, სამსახურიცა და იგოეთჰესის მშენებლობაზე გაეშურა. აბა რისი „დადებითი“ გმირია? მით უმეტეს, რომ ი. ჩაღუნელის „დადებითი“ გმირები კიბერნეტიკული მანქანების პატრონებით მოქმედებენ. მაგალითად, ი. ჩაღუნელის გმირმა კომკავშირის კრება გააცდინა. მაგრამ იცით რატომ? პარტიის კრებას ესწრებოდა და იმიტომ.

— იცი, ჯონდის მაშინდელი საქციელი კომკავშირის კრებაზე ვაეცტანეთ.

— კარგია.

— ჯონდი მოტყდა, პატიება ითხოვა.

— შოთა მახარობლიძე?

— ისიც მაგრად შეახურეს.

— ნეტავი დავსწრებოდი.

— პარტიის კრებაზე იყავი, როგორ დავსწრებოდი“ (გვ. 49).

ყველაფერი ზუსტად არის გამოანგარიშებული. პარტიის კრება უფრო სერიოზული საქმეა, ვიდრე კომკავშირისა. ამდენად გაცდენაც საპატიოა. მაგრამ კომკავშირის კრება თუ იმიტომ გამოტოვე, რომ პროფკავშირის კრებას დასწრებოდი, ეს იქნებოდა უსაშინელესი დანაშაული, რომელსაც ვერასგზით ვერ აპატიებს თავის გმირს ი. ჩაღუნელი. სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ჩაღუნელის პერსონაჟს შეიძლება ქალამანიც ეცვას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ღარიბია, არა! მოხუც ესტატეს ფესხაცმელების სქელი ლანჩე-

ბის თრევა უჭირს, თორემ „ქალამანი ახლა ვიღას აცვია“ (გვ. 29).

მართალია, ავტორს ბოდიშებით უყვარს და კეთილგონიერებას არ დალატობს, მაგრამ ხშირად ვერ ხვდება, თუ მის მიერ აღწერილ ამბავს, ლოგიკური ანალიზის შემდეგ, რა დასკვნამდე შეუძლია მიიყვანოს მკითხველი.

ავაზაკებმა დომენტი მკურნალი მოკლეს. მკვლელობის ადგილას, დერეფანში, შემთხვევით იპოვეს ივანე მამალაძის სტუდებილეთი. ცხადია, ეს არ ადასტურებს მამალაძის მონაწილეობას მკვლელობაში. მაგრამ გამოძიებელი დავით საჩალელი (როგორც ჩანს, ავტორს ეს გვარი ძალიან უყვარს, რადგან ყველა „დადებითი“ პერსონაჟი საჩალელია), სრულიად გულგრილად და დაუფიქრებლად აპატიმრებს ივანე მამალაძეს, აბრალებს მკვლელობას და საბჭოთა კანონით დაუშვებელი მეთოდებით დაპკითხავს მას. მერე კი, როცა გამოირკვევა, რომ მამალაძე არაფერ შუაშია, არხეინად, თითქოს არაფერი მომხდარაო, უდანაშაულოდ დააპატიმრებულ სტუდენტს ანთავისუფლებს. ი. ჩაღუნელი ამ ამბით სულ არ არის აღშფოთებული. პირიქით. იგი დავით საჩალელს წარმოგვიდგენს იდეალურ გამოძიებლად (გვ. 238: „დავითი თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო“. 348-ე გვერდზე პროკურორი ეუბნება დავითს: „საქმე კარგად დაიწყეთ, ფიზიკური აღამიანი ხართ. თქვენზე ბევრი მსმენია და ახლა პირადად დავრწმუნდი“). სად ვაგონილა გამოძიებელს ვულვოდინე მუშაობად ჩაეთვალოს პიროვნების დამცირება. მისი უსაბუთოდ დააპატიმრება. შეურაცხმყოფელი დაკითხვებით აღამიანის წამება. თუ დღეს სადმე მსგავსი რამ ხდება, მწერლობამ და საზოგადოებრიობამ იგი სასტიკად უნდა დაგმოს.

სად ვაგონილა უსაფუძვლო ეჭვით აღამიანი დააპატიმრო, მერე მისი დანაშაულის საბუთები ეძიო და ბოლოს, როცა ვერაფერს იპოვი მის გამამტყუნებელს, გაანთავისუფლო და ბოდიში მოუხადო — უეცარავად, დამნაშავე მკო-

ნეთ და თურმე არ ყოფილხართო. ამაზე უფრო დიდი უკანონობის წარმოდგენა შეუძლებელია. მაგრამ, სამწუხაროდ, ი. ჩაღუნელი უკანონობის იდეალურ ნიმუშს გვთავაზობს გამომძიებლის გამჭირაობის საუკეთესო მაგალითად.

როგორც ჩანს, ი. ჩაღუნელი სისამართლოს ორგანოების მუშაების გონიერებაზე დიდი წარმოდგენისა არ უნდა იყოს, თორემ სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას მათი პრიმიტიულ ადამიანებად გამოყვანა. აი, კონკრეტული მაგალითებიც:

გამომძიებელმა, როგორც იქნა, მიაგნო დამნაშავეთა ჯგუფის ყველა მონაწილეს. ორი კაცის გარდა, ყველა დააპატიმრეს. ამის შესახებ გამომძიებელმა დაწვრილებით უამბო პროკურორს და მიუხედავად ამისა, იგი (პროკურორი) მაინც გულუბრყვილად კითხულობს: „კი მაგრამ, რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ჯგუფის წევრები კიდევ არიან დარჩენილი?“ (გვ. 348-349). მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ პროკურორის მიმართ ავტორს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. არა, იგი კარგ მუშაკად არის გამოყვანილი, მაგრამ ხანდახან მკითხველი დაბნეულია და ვერ გარკვეულა, რა კაცია ეს პროკურორი. წიგნის 203-ე გვერდზე იგი დავითს კარგად იცნობს, ესაუბრება კიდევ მას მკურნალის მკვლელობასთან დაკავშირებით, დავალებებსაც აძლევს, შემდეგ დავითი მას სახელითაც მიმართავს: — ამხანაგო გრიშა! (გვ. 248), მაგრამ სრულიად მოულოდნელად 348-ე გვერდზე პროკურორი დავითს ისე ელაპარაკება, თითქოს ეს-ეს არის გაიცნოთ: „დიახ, საქმე კარგად დაიწყეთ. ფხიზელი ადამიანი ხართ. თქვენზე ბევრი მსმენია და ახლა პირადად დავრწმუნდი“. აქ მკითხველს ისღა დარჩენია, რომ გაკვირვებისაგან მხრები აიჩეჩოს.

შეიძლება გავეცნოთ მიაპიტობის მეორე ნიმუშსაც: ორი დამნაშავე ერთმანეთს უნდა შეხვდეს. საგამომძიებლო ორგანოებმა დაადგინეს — ვინ არიან ეს დამნაშავენი და სად უნდა შეხვდნენ

ერთმანეთს. ამის შემდეგ გამომძიებელი ეკითხება ხელქვეითს:

„— რა უნდა გააკეთო, თუკი ისინი ერთმანეთს შეხვდებიან?“

— დაუყოვნებლივ დავაპატიმრებ, — არც დაფიქრებულა, ისე წამოიძახა მან.

— რა თქმა უნდა, სერგო!“ (გვ. 354).

რა არის ეს? შეუძლებელია პამფლეტი იყოს, რადგან მთელი მოთხრობა ავტორის მიერ ჩაფიქრებულია როგორც საბჭოთა გამომძიებლებისადმი მიძღვნილი პანეგირიკი. და თუ მაინც პამფლეტის შთაბეჭდილებას ტოვებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მხატვრულად უსუსურია.

ასე წერა, მეტი რომ არ ვთქვათ, შეურაცხყოფა საბჭოთა სისამართლოს მუშაკებისა, რომელთა დაუღალავი და კეთილშობილური საქმიანობა ჩვენი საზოგადოების საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს!

როცა ავტორი მოკლებულია მოვლენების ღრმა ანალიზის უნარს, იგი მკითხველს ყოველთვის ზერეულე და პრიმიტულ დასკვნებს სთავაზობს. მაგალითად, ი. ჩაღუნელის ყველა მოთხრობაში (ვეგულისხმობთ წიგნში „ცხოვრების ზღურბლზე“ დაბეჭდილ ნაწარმოებებს) ბოროტების საწყისი ბუღალტრებია.

ფაბრიკის დირექტორი გიორგი დიდებულიძე ფლანგავს, იტაცებს სახელმწიფო ქონებას, ებრძვის ფაბრიკის მოწინავე მუშებს. ბოროტებისაკენ დირექტორს ბუღალტერი ალექსი ეწევა, იგია წამქეზებელი (მოთხრობა „ცხოვრების ზღურბლზე“, გვ. 64: „სახელი უნდა გაუტეხო, ნდობა უნდა დაუკარგო მუშებში, მერე ყველაფერი თავისით აეწყობა, — არიგებდა ალექსი დირექტორს“. გვ. 93: „ბუღალტერი ხარობდა. პატარა კაცუნა ზეიმობდა, რომ დირექტორს საზრუნავი გაუჩინა და დამცინავად უყურებდა“).

ადამიანთა ერთ ჯგუფს ბოროტმოქმედთა წრე შეუკრავს. მათი სულისჩამდგმელი ბუღალტერი უშვერიძეა (მოთხრობა „დაკარგული იმედი“, გვ. 343: „არასოდეს ცუდ საქმეზე არ მიფიქრია, მაგრამ აკი ეშმაკმა მაინც შემაცდინა!



ბუხჰალტერი უშვერიძე შემომიჩნდა. ხშირად მიწვევდა თავისთან, ვკეიფობდით და უზრუნველად ვატარებდით დროს, რამდენჯერმე ფულითაც გამიმართა ხელი“ და ა. შ. იხილეთ აგრეთვე 344-ე გვ.). უშვერიძე ყოფილი ჟანდარმიც არის, კაცის მკვლეელიც, სახელმწიფო ქონების მიმტაცებელიც და საკუთარი ოჯახის მოლაღატეც. უშვერიძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრება, რომელზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ნუგზარ აფციური არ სწავლობს, არ მუშაობს, ლოთობს, მსუბუქი ყოფაცქევის ქალებს დასდევს და საერთოდ ზნედაცემული ახალგაზრდა კაცია. ნუგზარის ასეთი გადაგვარების მიზეზი მამამისი ყოფილა, რომელიც ვაჭრობის სამინისტროს მთავარი რევიზორია (გვ. 396, მოთხრობა — „რა იქნება მერე?“).

აღბათ ბუღალტრებმა ძალიან აწყენინეს ი. ჩადუნელს, თორემ ასე რატომ გაიმეტებდა მათ? მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ერთობ სერიოზულად ცდილობს გვიამბოს ბოროტი ბუღალტრების თავგადასავალი და დაგვარწმუნოს, რომ ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებების შემდეგ მივიდა ამ დასკვნამდე...

დავუბრუნდეთ ისევ უშვერიძეს: „ბუხჰალტერი უშვერიძე“ ძველი რუსეთის ჟანდარმერიის ყოფილი მსახური (გვ. 359). როცა ჟანდარმული ბრძოლის საშუალება წაერთვა, გადავიდა ფარულ, ქურდულ ომზე — ფლანგავდა და იპარავდა სახელმწიფო ქონებას. ეს გრძელდებოდა ათეული წლების მანძილზე, რადგან 50-იან წლებში დააბატიმრეს. მართალია, მოთხრობაში უშვერიძის დაბატიმრების თარიღი ზუსტად არ არის მითითებული, მაგრამ ამის დადგენა დომენტი მკურნალის მკვლელობით (უშვერიძეა ამ საქმის სულისჩამდგმელი და ამის გამოც დააბატიმრეს) იოლად შეიძლება. დომენტი მკურნალი თბილისში სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა (ე. ი. არა უადრეს 1945 წლისა). ამის შემდეგ, იგი ჩრდილოეთ კავკასიაში მუშაობდა, ხოლო, როგორც

ი. ჩადუნელი ამბობს, „რამდენიმე წლის წინათ მიტოვებულ სამშენებლო ჩრდილოეთ კავკასიიდან დაბრუნდა“ ლიან გაუხარდა (გვ. 192). მივუმატოთ ეს რამდენიმე წელი და სწორედ 50-იან წლებში გადავალთ. სერიოზული ობიექტური მოტივირება ავტორს საიდან უნდა მოსთხოვო, როცა ელემენტარულ სიუჟეტურ დეტალებს ყურადღებას არ აქცევს. როგორც უკვე ვთქვით, უშვერიძე მეფის რუსეთის ჟანდარმერიაში მსახურობდა (გვ. 359). ი. ჩადუნელის მოთხრობაში წერია აგრეთვე, რომ იგი 1896 წელს არის დაბადებული (გვ. 270), ე. ი. უშვერიძე 25 წლის იყო (1921—1896 = 25), როცა ჟანდარმერიაში სამსახურის საშუალება მოესპო. მაშ გვითხარით, გეთაყვა, როგორღა იგი ერთ-ერთ ფოტოზე ორმოცი წლის ასაკში ჟანდარმის ფორმაში გადაღებული? („ფოტოსურათზე გამოხატულ ორმოციოდე წლის საკმაოდ ჩასუქებულ შავთვალწარბაკაცს ჩვენებური კაცისათვის შეუფერებელი ტანსაცმელი ეცვა და მხრებზე საზნედრო მოსამსახურის განმასხვავებელი ნიშანი ექერა...“

„— პირველად ვხედავ. ჟანდარმია ვიღაც, ვერ ატყობთ სამსრეებზე?“

— სწორი ბრძანდებით, — შენიშნა დავითმა“, გვ. 218—219).

ეს უბრალოდ მკითხველის (უფრო საკუთარი თავის) უპატივცემულობაა და ზერელეობის დამადასტურებელი კიდევ ერთი ნიშანი...

რაც შეეხება ი. ჩადუნელის პროზის ენას, უნდა ითქვას, რომ საერთოდ იგი პრიმიტიულია, ალავ-ალავ პათეტიკით შეზავებული და ხშირად სავსე გაუგებარი ფრაზებით.

„— ქეთევან, შენი სიყვარულის ღირსი გამხადე! — ჩურჩულებდა ვაჟაკის ბაგენი (გვ. 174).

„— ამ ჩემ გულს არვინ მიპარებია, სანამ შენ არ ვნახე, — ჩურჩულებდა მამაკაცის ბაგენი (გვ. 178).

„— ბედი არა მაქვს, ბედი“ — ჩურჩულებდა ქალის ბაგენი (გვ. 182).

კომენტარები ზედმეტია. ოღონდ ავ-

ტორს უნდა შევასხენოთ; როცა არსებითი სახელი ნარიან მრავლობითში დგას, მაშინ იგი ზმნას მრავლობითში შეიწყობს.

„— პიუგო დავამთავრე.

— პიუგო წაკითხული მაქვს.

— პიუგო საფრანგეთის დიდი მწერალია“ (გვ. 381).

ეს არის ორი სტუდენტის ღრმააზროვანი დიალოგი!

„ცხოვრება სკოლაა და მისი შესწავლა საკუთარ თავზე უნდა მოახდინო“ (გვ. 429).

„დაისვენე! მომმართა მან და მტერიანი სახიდან თეთრი კბილები გამოუჩნდა“ (გვ. 387), საინტერესოა, როგორ უნდა მოახერხოს კაცმა კბილების სახიდან გამოჩენა?

„...ვნებით ანთებული მერი ტუჩებით მიკოცნიდა სახეს? (გვ. 406). განა კოცნა ცხვირით ან ყურით შეიძლება?

„სადარბაზო შესასვლელთან ორი შეიარაღებული მცველი იდგა, რაც იმას მოწმობდა, რომ უბედური შემთხვევა სწორედ იმ კარს იქით უნდა მომზადრიყო“ (გვ. 193).

„ქალი ცუდად არ ცურავდა. უმშვენიერესი არსება ტანის რხევით მიაპობდი ზღვაში მოთამაშე ტალღებს“ (გვ. 168).

„განა ზღვის პირას წამოწოლილი ადამიანი, რომელიც ზღვის ტალღებით აბობოქრებას ყურს უდგებს საათობით და ამავე დროს რამდენიმე სქელტანიანი რომანი აქვს წაკითხული, გასამტყუნებელია, რომ თავის გულის სწორს ნატრობდეს?“ (გვ. 168).

შაბაშ აზრი, შაბაშ სტილი...

„— გურამ, შეიძლება შენ ყველაფერი დაკარგო ამ ქვეყანაზე, მაგრამ ეცადე საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცი დადგე. უსაქმური ადამიანის ცხოვრება სიკვდილია“ (გვ. 42) — ეუბნება მამა შვილს. თუ კაცმა ყველაფერი დაკარგა, გაუბედურდა და წახდა, საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცი რო-

გორლა იყოს? ეს საიდუმლო აღბეჭდვით მხოლოდ ჩადუნელმა იცის.

„ალბათ, ტყვეები თვითონ უნდა იყვნენ გაოგნებულნი (სხვები რატომ უნდა ყოფილიყვნენ გაოგნებულნი? — ა. ბ.) იმ დამოკიდებულებით, რასაც მათ მიმართ იჩენდნენ. ისინი ხომ არ იყვნენ დაჩვეულები ადამიანურ მოპყრობას“ (გვ. 188). ვისგან?

„ზეიმობდა მალალი სულის და ძლიერი იდეალის ადამიანი. მაშ გასაკვირი არაფერი იყო. უცებ როცა გამოსწორდა ყველაფერი. ქალაქში ზოგიერთი სურსათისა და საოჯახო ნივთების ნაკლებობა იგრძნობოდა“ (გვ. 89). ეს ერთი მთლიანი აბზაცია და არ იფიქროთ, რომ სხვადასხვა ადგილიდან ამოვკრიფეთ და ხელოვნურად მოვუყარეთ თავი.

„ამქამად, წელში გამართული მოგრუხუნებდა ტრაქტორი და ყმაწვილიც მეფური სიამაყით დაყრდნობოდა საქეს“ (გვ. 27). ტრაქტორისტობა, ტრაქტორით მუშაობა მძიმე და სერიოზული საქმეა. ტრაქტორისტს პარადისათვის არ სცალია. ბუტაფორია და პათეტიკა კი შრომისათვის უცხოა. ამიტომ ფრაზა ყალბია.

მსგავსი მაგალითების ამოწერა ი. ჩადუნელის მოთხრობიდან დაუსრულებლად შეიძლება. იმის საბუთად კი, თუ როგორია ჩადუნელის პროზის ენა, მოტანილი ნიმუშებიც საქმარისია. თუ მკითხველი მოისურვებს უფრო ღრმად გაცნოს იორამ ჩადუნელის შემოქმედებას, შეუძლია წაიკითხოს 1963 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული წიგნი „ცხოვრების ზღურბლზე“. მე კი მინდა ავტორს მისივე სიტყვებით გამოვეთხოვო:

„ადამიანებს ზოგჯერ გრძნობა ატყუებს. ერთს ფიქრობენ და გამოუღიოთ კი სულ სხვა. მე მჯერა, რომ გინდა დიდი და სერიოზული რამ დაწერო, მაგრამ ვისზე ან რაზე (და, დავამატებ, როგორ — ა. ბ.) დაწერო არ იცი“ (გვ. 428).

აკაკი ბაქრაძე.

საქართველოს წიგნსაცავები მდიდარია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ენებზე შედგენილი ხელნაწერი წიგნებითა და დოკუმენტური მასალებით, რომლებიც მოგვითხრობენ ქართველი ხალხისა და მისი ახლო თუ შორეული მეზობლების ისტორიას, აღადგენენ მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების სურათს ჩვენში.

მრავლად მოიპოვება ჩვენთან აღმოსავლურ (არაბულ, თურქულ, სპარსულ) ენებზე დაწერილი ხელნაწერებიც, რომელთაგან პირველ რიგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსული კოლექცია უნდა მოვიხსენიოთ. აქ თავმოყრილია რვაასამდე ნუსხა სპარსულ ენაზე შედგენილი თხზულებებისა — ისტორიის, გეოგრაფიის, ასტრონომიის, მედიცინის, ლექსიკოგრაფიის და მეცნიერების სხვა დარგებიდან, აგრეთვე პოეტური კრებულები — დივანები და პროზაული ნაწარმოებები.

სპარსული ლიტერატურის შესწავლას ჩვენში დიდი ტრადიცია აქვს. სპარსული საისტორიო წყაროებით სარგებლობდა ბევრი ძველი ქართველი ისტორიკოსი. უამთადმწერელი (XIV ს.), ფარსადან გორგიჯანიძე (XVII ს.), „სწავლული კაცნი“, ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) თავიანთ თხზულებებზე მუშაობის დროს ფართოდ იყენებდნენ სპარსული წყაროების მონაცემებსაც. სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები აღრიდნენ ითარგმნებოდა ქართულად („შაჰ-ნამე“, „ვისრამიანი“...). ითარგმნებოდა აგრეთვე სპარსულენოვანი სამეცნიერო ხასიათის თხზულებები (გავისხენოთ, მაგალითად, ვახტანგ VI-ის თარგმანები). ჩვენ აღარას ვამბობთ მკიდრო ლიტერატურული ურთიერთობის სხვა მრავლისმეტყველ ფაქტებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ

საუკუნეთა განმავლობაში ბევრი ქართველი დედანშივე ეცნობოდა ირანულ ავტორთა შემოქმედებას.

ინტერესი ირანის კულტურისადმი არასოდეს შენელებულა ჩვენში, მაგრამ განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობა წარმოებს ახლა, როცა თბილისის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში ოთხ ათეულზე მეტი ირანისტი ინტენსიურად იკვლევს საკუთრივ ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიას, სპარსული ლიტერატურის ისტორიასა და ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, ინდო-ირანული ენათმეცნიერებისა და ირანული ხელოვნების ისტორიის საკითხებს. ითარგმნება სპარსული წყაროების ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ, კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ნაწარმოებები, დგება სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, ლექსიკონები და ა. შ. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მრავალი საყურადღებო გამოკვლევის წყალობით თბილისის საბჭოური ირანისტიკის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი გახდა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სავსებით ბუნებრივია, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსული კოლექციაც სადღეისოდ შედარებით უკეთესად არის შესწავლილი და გამოვლენილია ცალკეულ საისტორიო, ასტრონომიულ თუ მხატვრულ ნაწარმოებთა უნიკალური ნუსხები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მეცნიერებისათვის.

თბილისში სპარსული საბუთების მეტად მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი მასალის შემცველი კოლექციებიც მოიპოვება. ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში შეკრებილია ორი ათასამდე სპარსული დოკუმენტი, რომელთა შორის არის ირანის შაჰების დირმანები და პოქმები, ამიერკავკასიის ნახევრად-

მოუკიდებელი სახანოების გამგებელთა და ქართლ-კახეთის მეფეების (ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის) თალაღები და ბრძანებულებანი, ნასყიდობის წიგნები, არხები, სხვადასხვა სახის გარიგებანი და ხელშეკრულებები, ხელწერილები და სხვა ოფიციალური ქაღალდები.

არაბული დამწერლობით შესრულებული, ძნელადგასარჩევი ხელით (შექასთე, დივანი, შექასთენარევი ნასთალიკი...) დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე ნაწერი სპარსული საბუთების ამოკითხვა (ან, უფრო სწორად, გაშიფრვა) დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული და საგანგებო დახელოვნებას საჭიროებს. საბუთების შემდგენელნი და დადამწერნი (სპარსული საბუთების ერთმა ნაწილმა XIX საუკუნეში გადაღებული პირების სახით მოაღწია ჩვენამდე) ყოველთვის როდი იცავდნენ სპარსული ენის ნორმებს. გაუწაფავი გადამწერები არცთუ იშვიათად ამახინჯებდნენ ან სულაც ტოვებდნენ მათთვის გაუგებარ სიტყვებს. განსაკუთრებით ძნელი ამოსაკითხავია პირთა და გეოგრაფიული სახელები, რომლებიც სპარსული ენის თავისებურებათა გამო საკმაოდ სახეშეცვლილია ხოლმე. კიდევ უფრო ძნელი გასაშიფრავია საბუთებში მოტანილი გაანგარიშებანი და გადასახადთა თუ შემოსავლის რაოდენობა, რომელიც „სიაცი“ ნიშნებით არის გამოსახული („სიაცი“ ანგარიშწარმოების განსაკუთრებული წესი და საამისო პირობითი ნიშნებია). ამ წესისა და ნიშნების მცოდნე სპეციალისტები კი არცთუ ბევრი გვყავს.

გარდა ამისა, საბუთების ტექსტი ზოგჯერ მაღალღარდოვანი, მეტაფორებითა და სინონიმებით სავსე ქარაგმული ენით არის შედგენილი და დამძიმებულია ამა თუ იმ პირის საქები ეპითეტებით, რომელთაც ზოგჯერ რამდენიმე სტრიქონი უჭირავთ. მაგალითად, 1705 წლის ერთ საბუთში შირვანის ბეგლობეგი ალავერდი-ხანი მოხსენიებულია როგორც „მზრუნველობის, მმართველობის და დიდების საფარველი; დიდ-

ბულების, პატივის ძალა; მაღალღარდოვანი, დიდებულ ამირათთა მზრუნველობის, მმართველობის, დიდების, პატივის, ბრწყინვალეობისა და იღბლის მომწესრიგებელი“.

როგორც ხედავთ, სპარსული ისტორიული საბუთების გამოცემა ღრმად ცოდნასა და უზარმაზარ გამოცდილებასთან ერთად უსაზღვრო მოთმინებასა და დიდ მუყაითობასაც მოითხოვს. ამასთან ერთად, საბუთების თარგმნა-კომენტირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ხანის ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროებისა, სპარსული წყაროების მონაცემებისა და სხვადასხვა ენებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებაც. ამიტომაც მოხდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში თბილისის წიგნსაცავების სპარსული ისტორიული საბუთები უძრავად ეწყოთ თაროებზე და არათუ შესწავლილი და გამოცემული, არამედ აღრიცხულ-აღწერილიც კი არ იყო რიგინაღ.

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებამ და უკანასკნელ წლებში მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა არქეოგრაფიული სამუშაოების გაფართოებაც მოითხოვა: საჭირო გახდა როგორც ადრე გამოცემული წყაროების ხელახალი პუბლიკაცია, ისე, განსაკუთრებით, ახალი წყაროების გამოცემა. გადაუდებლად დაისვა აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული ისტორიული საბუთების შესწავლა-გამოცემის საკითხიც.

საბედნიეროდ, გამოჩნდა მეცნიერი, რომელმაც თავს იდო ამ უაღრესად რთული და ამავე დროს საპატიო საქმის შესრულება. სპარსული ისტორიული საბუთების გამოცემას შეუდგა შესანიშნავი ქართველი ირანისტი, სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის ცნობილი სპეციალისტი — ვლადიმერ ფუთურიძე.

ვლადიმერ ფუთურიძე ჩვენში ცნობილია როგორც მეტად მრავალმხრივი და ფართო დიაპაზონის მქონე მკვლევარი. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს წყა-



რომცოდნეობითი და არქეოგრაფიული ხასიათის სამუშაოებს. საქმარისია აღინიშნოს, რომ ვ. ფუთურიძემ თარგმნა და სპარსულ ტექსტთან ერთად სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა ისთახრის, ანონიმური გეოგრაფიული თხზულების „ჰოდუდ ალ-ალამის“ (X ს.), ჰამდალაჰ ყაზვინის (XIV ს.), ჰაჯი მეჰდიყული ყაჯარის, მოჰამედ თაჰერის (XVII ს.) ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. ამ გამოცემებმა საშუალება მისცეს ქართველ ისტორიკოსებს უფრო ღრმად შეესწავლათ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა და ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის მრავალი საყურადღებო საკითხი. გარდა ამისა, ვ. ფუთურიძეს გამოსაცემად გამზადებული აქვს აგრეთვე ნიშამ ედ-დინ შამის, მოის ედ-დინ ნათანის (XV ს.), ჰასან რუმელუს (XVI ს.), ბიჯანის, ისქანდერ მუნშის (XVII ს.), მოჰამედ მეჰდი-ხანის (XVIII ს.), მირზა იუსუფ ყარაბაღის (XIX ს.) და სხვა ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ. დასახელებულ ისტორიკოსთა თხზულებებში ძვირფასი ცნობებია დაცული ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის სხვადასხვა მხარის შესასწავლად.

ვლადიმერ ფუთურიძის ნაშრომები ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობის შეუწელებელი ყურადღებით სარგებლობენ. ამიტომაცაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით მისი არა მარტო გამოქვეყნებული, არამედ გამოუქვეყნებელი შრომების დამოწმებასაც. ამის წყალობით ვ. ფუთურიძის ხელნაწერ ნაშრომებში მოტანილმა ბევრმა ცნობამ თუ იქ გამოთქმულმა მოსაზრებამ ბევრად დაასწრო გამოცემას და უკვე დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში.

რამდენადაც ვეხებით ვ. ფუთურიძის სამეცნიერო მოღვაწეობის არქეოგრაფიულ მხარეს, აუცილებლად უნდა მოვისხენიოთ მის მიერ გამოვლენილი ქართულ-სპარსული ორენოვანი ისტორიული საბუთების სქელტანიანი კრებულის

გამოცემა („ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები“, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955). მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართული ისტორიული საბუთების ძველ გამოცემებში ხშირად იყო ვაკეთებული შენიშვნა ამა თუ იმ სივლეზე არსებული თათრული (ან მუსლიმანური) მინაწერის შესახებ. მან სავანგებოდ შეისწავლა ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცული ქართული საბუთების კოლექციები და აღმოაჩინა ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების დიდი რაოდენობა. მანვე გამოარკვია, რომ აქ საქმე გვაქვს არა შემთხვევით მინაწერებთან, არამედ ერთსა და იმავე ფურცელზე დაწერილ, ერთი შინაარსის ორ დამოუკიდებელ, ქართულ და სპარსულ საბუთთან. მსოფლიო დიპლომატიკისათვის ისეთი უჩვეულო მოვლენა, როგორც არის ორენოვანი საბუთები, ირან-საქართველოს ურთიერთობის ფორმის თავისებურებებით იყო გაპირობებული. ამ საბუთებში ასახულია სეფიანთა ირანის ცდა დაენერგა აღმოსავლეთ საქართველოში აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტები. ამ მიზანს ემსახურება საბუთების სპარსულ ტექსტში მოხსენიებული აღმოსავლური სოციალურ-ეკონომიური ტერმინები („რაიათი“, „თიულ“, „სოიურღალი“, „მალ იჯაჰათი“ და სხვ.), რომლითაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ტექნიკური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ.

ამის შემდეგ ვ. ფუთურიძემ სპარსული ისტორიული საბუთების შესწავლას მოჰკიდა ხელი. მან რამდენიმე წელიწადი იმუშავა თბილისის სიძველეთსაცავებში, გადაარჩია, განსაზღვრა და აღწერა სპარსული საბუთები. შეადგინა საინვენტარო სია, რომელშიც მოცემულია საბუთების აღწერილობა და ყოველი მათგანის მოკლე შინაარსი. ამ წინასწარი სამუშაოს ჩატარების შემდეგ საბუთების გამოცემის რიგიც დადგა. 1961, 1962 წლებში გამოიცა სპარსული ისტორიული საბუთების პირველი წიგნის

პირველი და მეორე ნაკვეთები, ხოლო მიმდინარე წელს „მეცნიერებათა“ მესამე ნაკვეთიც გამოსცა („სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში“, გამოსცა ვლ. ფუტურაძემ, წიგნი I, ნაკვეთი 1, თბ., 1961; წიგნი I, ნაკვეთი 2, თბ., 1962; წიგნი I, ნაკვეთი 3, თბ., 1965). ამ ნაკვეთით დამთავრდა ირანის სეფიანი შაჰების ფირმანებისა და ბრძანებულებების პუბლიკაცია. მომდევნო ნაკვეთში დაიბეჭდება ნადირშაჰისა და ყაჯარა შაჰების ფირმანები.

დასახელებულ სამ კრებულში გამოქვეყნებულია ირანის სეფიანი შაჰების 111 ფირმანი და ჰოქმი. გამოცემული საბუთების უდიდესი ნაწილი (81) დედნებით არის დაცული ჩვენს კოლექციებში. ბევრი მათგანი მდიდრულად არის გაფორმებული, შემკულია ოქროს ვარაყითა და წითელი, ლურჯი და მწვანე ფერებით შესრულებული ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტებით. ღვთისადმი მიმართვა და შესავალი ფორმულა ოქროს ვარაყით ან წითელი მელნით არის დაწერილი. სეფიანთა ფირმანებს ხელრთვა არასოდეს არ ახლავს. მის მაგივრად ტექსტის თავზე, შუაში დასმულია საბუთის გამცემი შაჰის ბეჭედი. ყველაზე გაგრძელებული წარწერა სეფიანი შაჰების ბეჭდებისა იყო: „სიწმინდის ხელმწიფის მონა აბასი“ (ან „სეფი“, „ჰუსეინი“ და სხვ.). გვხვდება აგრეთვე სხვა წარწერებიც: „პეშმარტიების მეუფის მორჩილი მონა სულთან-ჰუსეინი“, „მართლმორწმუნეთა მბრძანებლის უკნინესი ძაღლი სულთან-ჰუსეინი“ და სხვ. (ყველგან იგულისხმება არაბთა მეოთხე „მართლმორწმუნე“ ხალიფა ალი (656—661) — შიიტთა პირველი იმამი. სეფიანი შაჰები ხალიფა ალიდან იწყებდნენ თავიანთ გენეალოგიას და მის მოადგილეებად და „მონებად“ მიაჩნდათ თავი). შაჰის სახელის ირგვლივ ბეჭედზე, ჩვეულებრივ, მოთავსებულია შიიტთა თორმეტი იმამის სახელები.

ფირმანის მეორე გვერდზე, „ზურგზე“, აღნიშნულია საბუთის ვაცემის სა-

ფუძველი. მეტწილად: „თანხმად ვანიშრობისა და ბედნიერების საფარველს სილიადისა და ბრწყინვალეების საქარეულს, მაღალადგილოვანი ე'თემად უდლოვლეს მოწერილობისა“. იქვე დასმულია ე'თემად უდლოვლეს (პირველი ვაზირის) ბეჭედი და სარეგისტრაციო ბეჭედები სათანადო მინაწერებით.

სარეცენზიო ნაკვეთებში შესული სპარსული სიგელებიდან 89 პირველად ქვეყნდება (22 საბუთი დაიბეჭდა მაკარ ხუბუას მიერ 1949 წ. გამოცემულ კრებულში. ვ. ფუტურაძეს ეს საბუთები გამეორებული აქვს თავისი, განსხვავებული, უფრო სწორი წაკითხვითა და თარგმანით). აქ მოთავსებულია სეფიანი შაჰების — თამაზ I-ის, აბას I-ის, სეფი I-ის, აბას II-ის, სულეიმანის (სეფი II-ის), სულთან-ჰუსეინისა და თამაზ II-ის მიერ გაცემული ფირმანები და ჰოქმები. უადრესი დოკუმენტი შაჰ-თამაზ I-ის 1541 წლის 16 ოქტომბერს გაცემული ფირმანია სერაჯ ედ-დინის, მისი ძმის მოინ ედ-დინისა და მოვლანა ათა ულაჰისათვის შირვანის ველაიეთში მდებარე ბრინჯის სათესი ყანების, ბაღების და ორი ნავთის ჭის შემოსავლის სამუდამო სოიურღალად ბოძების შესახებ (ნაკვ. 1, საბ. № 1). ყველაზე გვიანდელი ბრძანებულება სეფიანებისა თამაზ II-ის ეკუთვნის და 1727 წლის ივლის-აგვისტოშია შედგენილი (ნაკვ. 3, საბ. № 43). გამოქვეყნებული საბუთების დიდი უმრავლესობა XVII (68) და XVIII (42) საუკუნეებშია გაცემული. XVI საუკუნიდან შაჰ-თამაზ I-ის მხოლოდ ერთი ფირმანია შემორჩენილი. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ტახტზე ასვლის შემდეგ ყოველი ახალი შაჰი განაახლებდა ხოლმე მისი წინამორბედის მიერ გაცემულ წყალობის წიგნებს, რის გამოც წყალობის მიმღებნი არ ინახავდნენ ძველ ფირმანებს.

ყოველ გამოქვეყნებულ სიგელს დართული აქვს ზედმიწევნით ზუსტად შესრულებული ქართული თარგმანი და საბუთის აღწერილობა. აქვეა მოტანილი ბეჭდების წარწერებისა და „ზურგზე“

გაკეთებული მინაწერების თარგმანები. გარდა ამისა, წიგნებში მოთავსებულია ყველა გამოქვეყნებული საბუთის საკმაოდ მაღალხარისხოვნად შესრულებული ფოტოკოპირი, რაც საშუალებას აძლევს სპეციალისტებს შეამოწმონ სპარსული ტექსტის ამოკითხვის სისწორე.

ვლადიმერ ფუთურიძე საოცარი უზრალოებით ახერხებს სულ რამდენიმე-კვერდიან ნაშრომში ყველაფერი საჭირო და არსებითი აცნობოს მკითხველს გამოქვეყნებული წყაროს, მისი ავტორის და იმ ეპოქის შესახებ, რომელსაც ეკუთვნის ესა თუ ის ძეგლი. სპარსული ისტორიული საბუთების სამივე ნაკვეთს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობანი ქართულ და რუსულ ენებზე, სადაც აუცილებელი ცნობებია მოთავსებული გამოქვეყნებულ საბუთებზე. პირველი ნაკვეთის შედარებით ვრცელ წინასიტყვაობაში ავტორი მოგვითხრობს თბილისის წიგნსაცავების სპარსული საბუთების კოლექციების შედგენისა და შედგენილობის შესახებ და საყურადღებო დაკვირვებებს წარმოგვიდგენს სეფიანთა ხანის ფირმანების პალეოგრაფიულ თავისებურებათა და დიპლომატიკის დარგში. აქვე მოცემულია სპარსული საბუთების, როგორც საისტორიო წყაროს, მოკლე, მაგრამ სხარტი დახასიათება. (XVI—XVII სს. სპარსული ისტორიული საბუთები, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის, შესწავლილი აქვს დ. კაციტაძეს „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბილისი, 1962). ვ. ფუთურიძე აღნიშნავს, რომ „ამ საბუთებში მკვლევარი იპოვის ბევრ საყურადღებო ცნობას ჩვენი სამშობლოს და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცხოვრების შესახებ XVI—XIX საუკუნეებში“ (გვ. 08).

სეფიანთა ხანის სპარსული ფირმანები და ჰოქმები უძვირფასეს მასალას შეიცავენ ამიერკავკასიის ქვეყნებისა და ირანის ისტორიის სხვადასხვა მხარის შესასწავლად. ამ საბუთების დიდი ნაწილი ფეოდალურ ურთიერთობათა სა-

კითხებს ეხება. რამდენიმე ფირმანში სპარსული საბუთების სოიურდალად დასახელების სოიურდალის განახლების შესახებ (ნაკვ. 1, საბ. № 1, 22, 32; ნაკვ. 2, საბ. № 8, 12). სოიურდალი XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული მიწისმფლობელობის ფორმა იყო, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცა სეფიანებს. იგი გულისხმობდა საგადასახადო, აღმინისტრაციულ და სასამართლო იმუნიტეტს. სეფიანი შაჰები ვრიდებოდნენ სოიურდალების გაცემას. ისინი ძირითადად სოიურდალებს განაახლებდნენ ხოლმე. ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ პირველ ორ საბუთში საუბარია სოიურდალების საქართველოს ფარგლებს გარეთ, შირვანსა და ლორეში ბოძების შესახებ, სადაც მიწისმფლობელობის აღმოსავლური სისტემა იყო გაბატონებული. ამდენად, სოიურდალების გაცემა იმ ტერიტორიაზე სავსებით ბუნებრივი ჩანს. გაცილებით უფრო საინტერესოა ის სამი საბუთი, რომლებიც ქართველი ფეოდალებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე სოიურდალის ბოძებასა და დამტკიცებას ეხება. 1660 წელს შაჰ-აბას II-მ ქართლის მეფის ეშვიკადასიბაშს ელიზბარს სამუდამო სოიურდალად უბოძა მისი სამკვიდრო და არასამკვიდრო მამულები (ნაკვ. 1, საბ. № 32). 1685 წელს შაჰ-სულეიმანმა იგივე სოფლები ელიზბარის შვილიშვილებს დაუმტკიცა სოიურდალად, ქართლის მეფეს კი დაავალა, რომ „სხენებული სოფლების მალუჯათი (მიწაზე დაწესებული ძირითადი გადასახადი — რ. კ.) მათ დაუტოვოს და დახმარება და შემწეობა, რაც საჭირო იქნება, აღმოუჩინოს“ (ნაკვ. 2, საბ. № 12). ამგვარად, შაჰი იძულებულია ანგარიში გაუწიოს საქართველოში არსებული მიწისმფლობელობის ადგილობრივ სისტემას, დაუმტკიცოს ქართველ ფეოდალებს მათი მამა-პაპეული მამულები და საგადასახადო შეუვალაობაც მიანიჭოს. მიწისმფლობელობის ასეთი ფორმა კი, მისი შეხედულებით, შედარებით უფრო ახლოს იდგა სოიურდალთან, რომელიც ამ შემთხვე-

ვაში ტექნიკურ ტერმინს წარმოადგენდა.

დასახელებულ ელიზბარს საქართველოს გარეთაც ჰქონია მიღებული მიწები. 1648 წელს შაჰ-აბას II მას უბოძა ყარაბაღში მდებარე სონყორაბადისა და მისი სანახების შემოსავალი — 15 თუმანი. მართალია, ფირმანში თიულის ბოძებაზეა საუბარი, მაგრამ თავისთავად ეს საბუთი ტიპიურ სასოიურღალო სიგელს წარმოადგენს. მასში აღნიშნულია, რომ „ხსენებული ადგილების ქეთხუდებმა და გლეხებმა წლითი-წლამდე უნდა აძლიონ თავისი მალუჯათი, გადასახადები და სადივანო გამოსაღებები ზემოთ ხსენებულს [და უნდა მიანდონ თავისი სასამართლო საქმეები], გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, რომ სამართლიანად გამოიძიოს და გადასწყვიტოს [ისინი]. აზერბაიჯანის ოლქის მმართველები და ამილები ხსენებული თიულის საქმეში ნუ ჩაერევიან და „კალამი და ნაბიჯი დაიმოკლონ“ (ნაკვ. 1, საბ. № 24). 1671 წელს შაჰ-სულეიმანმა იგივე 15 თუმანი ელიზბარის შვილს დაეთოს დაუმტკიცა და საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტიც მიანიჭა (ნაკვ. 2, საბ. № 8).

რამდენიმე ფირმანში საუბარია ქართველი და, საერთოდ, კავკასიელი ფეოდალებისათვის ჯამაგირის დანიშვნაზე. სეფიანთა ირანში არსებული წესის მიხედვით სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს სამსახურის საზღაურად ან რაიმე დამსახურებისათვის ენიშნებოდათ ყოველწლიურად გარკვეული ოდენობის თანხა, რაც რომელიმე ოლქის ან სოფლის შემოსავლიდან უნდა მიეღოთ, ამ თანხის გამღები ტერიტორია კი მათ თიულად ეძღვოდათ. თიული მიწის ფეოდალური საკუთრების წამყვანი ფორმა იყო სეფიანთა ირანში და პირობით მფლობელობას გულისხმობდა. იგი გავრცელებული იყო აგრეთვე ამიერკავკასიის იმ ქვეყნებშიც, სადაც ყიზილბაშებმა აღმოსავლურ ყაიდაზე გარდაქმნეს მიწათმფლობელობის ადგილობრივი წესი. ამა თუ იმ ტერიტორიის თიულად

ბოძება მის მფლობელს რენტაგად დახადის მთლიანად ან ნაწილობრივად. რეფის უფლებას ანიჭებდა. მსაქართველოში, როგორც ცნობილია, მიწათმფლობელობის „სამამულო სისტემა“ არსებობდა, ამიტომ როცა ირანის შაჰები ქართველ ფეოდალებს უნიშნავდნენ ჯამაგირს, თიულს ყოველთვის საკუთრივ ირანის ან სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აძლევდნენ. მაგრამ გვხვდება შემთხვევა, როცა შაჰი საქართველოს ტერიტორიაზეც უბოძებს ქართველ ფეოდალს თიულს. 1672 წელს შაჰ-სულეიმანმა ყაფლან ბარათაშვილის შვილებს დაუმტკიცა მამის სათიულო ადგილები და უფლება მისცა მოეგროვებინათ გაფანტული გლეხები. ამავე დროს ფირმანში აღნიშნულია, რომ „არავინ შევიდეს მათ თიულში და მის გარშემო არ იტრიალოს“. ყოველივე ეს მოწმობს, რომ აქ საუბარია ქართულ მამულზე, ხოლო თიული მხოლოდ ტექნიკურ ტერმინად არის გამოყენებული. სამაგიეროდ, სულთან-ჰუსეინის 1712 წლის ბრძანებულებაში, ზაალ ავალიშვილის მემკვიდრეთათვის მიწების დაბრუნებას რომ ეხება, უკვე „მამისეული მამულია“ მოხსენიებული და არა თიული.

საყურადღებო მასალას იძლევა სპარსული დოკუმენტები აგრეთვე ირან-საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის, ირანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიის, ქართულ ეკლესიასთან შაჰების დამოკიდებულების, გადასახადთა აკრფის წესის, დაღესტნის გამგებლებთან ირანის ურთიერთობის ისტორიის და სხვა მრავალი საკითხის შესასწავლად. ჩვენ საშუალება არა გვაქვს რამდენადმე სრულად დავახასიათოთ ყველა გამოცემული საბუთი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სპარსული საისტორიო საბუთების სამი კრებულის გამოქვეყნებით საისტორიო მეცნიერებამ მიიღო ახალი სანდო მასალა, რომლის დახმარებითაც მრავალი საინტე-



რესო საკითხის გადაჭრა ვახდება შე-  
საძლებელი.

რამდენიმე შენიშვნა გვსურს გამოვთ-  
ქვათ ამ საყურადღებო პუბლიკაციის სა-  
მეცნიერო აპარატის მიმართ. სამივე ნაკ-  
ვეთს დართული აქვს საბუთებში ნახმა-  
რი ტერმინების განმარტება. აქ ძირი-  
თადად აღმოსავლური წარმოშობის სო-  
ციალურ-ეკონომიური ტერმინებია გან-  
მარტებული და, რამდენადაც ეს შესაძ-  
ლებელი იყო, საკმაოდ ამომწურავადაც.  
მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეორე  
ნაკვეთისათვის დართულ ლექსიკონში  
შეტანილი აღარ არის პირველ ნაკვეთში  
განმარტებული სიტყვები, ხოლო მესა-  
მე ნაკვეთში არ შევიდა პირველსა და  
მეორე ნაკვეთებში განმარტებული ტერ-  
მინები. ამის გამო ზოგჯერ უხერხულო-  
ბაც იქმნება. მაგალითად, თუ მესამე  
ნაკვეთზე მომუშავე ისტორიკოსი მოი-  
სურვებს გაიგოს, ვთქვათ, № 43 საბუთ-  
ში მოხსენიებული ტერმინების მნიშვნე-  
ლობა, ერთის — „ნაიბის“ განმარტებას  
იმავე ნაკვეთში ნახავს. „დივანსა“ და  
„თუმანს“ — მეორეში, „ჰავალეს“, „რა-  
ყამსა“ და „ვალის“ — პირველში, ხოლო  
„თავილდარს“ ვერც ერთში ვერ იპოვის.  
ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ყო-  
ველ ნაკვეთს დართოდა ტერმინების  
სრული სია და აღნიშნულიყო, ესა თუ  
ის სიტყვა რომელ ნაკვეთშია განმარტე-  
ბული. ასევე, პირველ ხაკვეთში გამო-  
ქვეყნებულ საბუთებში ნახმარი ზოგი-  
ერთი სიტყვა (მაგ., „მელიქი“, „დივანი“,  
„მუსტაფი“, „მირშეჰარბაში“) მხოლოდ  
მეორე ნაკვეთშია განმარტებული, ხო-  
ლო ზოგი (მაგ., „ხაყანი“) სულაც განუ-  
მარტავად არის დატოვებული.

მეორე ნაკვეთში „ყულარაღასი“ გან-  
მარტებულია როგორც „შაჰის ყულების  
ჯარის უფროსი“, ხოლო თვით „ყულის“  
განმარტება არ არის მოცემული. პირ-  
ველ ხაკვეთში „სოჰბათ-იასაულის“ გან-  
მარტებაში მოხსენიებულია „ემიკალასი-  
ბაში“, რომელიც მხოლოდ მომდევნო  
ნაკვეთშია განმარტებული როგორც  
„ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღ-  
ვანელი ხელმწიფის კარზე, რომლის

ხელქვეითები იყვნენ: სოჰბათ-იასაული,  
ემიკალასები, ჯარჩიები...“ <sup>აქვენი წყვეტილი</sup>  
დამატებით საძიებელი ხდება „ემიკ-  
ალასი“ და „ჯარჩი“, რომლებიც არც  
ერთ ნაკვეთში არ არის განმარტებული.

ზოგჯერ ტერმინოლოგიურ ლექსიკო-  
ნებში ანბანის რიგი დარღვეულია, რაც  
აძნელებს საჭირო სიტყვის დროულად  
მოიხაზვას.

პირთა სახელების საძიებლებში ზოგ-  
ჯერ ერთი და იგივე პირი ორ სხვადა-  
სხვა პიროვნებად არის წარმოდგენილი.  
მაგალითად, მესამე ნაკვეთში გამოქვეყ-  
ნებულ № 6 და 7 საბუთებში მოხსენიე-  
ბულია ქიზიყის მოურავი აბელ-ბეგი  
(სპარსულ ტექსტშია — აბულ-ბეგი). ეს  
სახელი ერთ შემთხვევაში აბულ-ბეგად  
არის თარგმნილი, მეორედ კი აბელ-ბე-  
გად და ცალ-ცალკე არის შეტანილი სა-  
ძიებელში (აღსანიშნავია, რომ იგივე  
პიროვნება მოხსენიებულია მეორე ნაკ-  
ვეთში გამოქვეყნებულ სიგელშიც. იქ  
მთარგმნელს აბელ-ბეგად უთარგმნია და  
შენიშვნაც გაუკეთებია: ტექსტში აბულ-  
ბეგი წერია). იმავე მესამე ნაკვეთის  
საძიებელში მოხსენიებული ავთანდილ-  
ბეგი, ავთანდილ-ბეგ ამილახვარი და  
მოჰამედ-ყული-ბეგ ამილახვარი ერთი  
და იგივე პირია, ისევე, როგორც გიორ-  
გი-ბეგი და გურგინ-ბეგი.

ამავე ნაკვეთის გეოგრაფიულ სახელ-  
თა საძიებელში უმართებულოდ არის  
შეტანილი „ურუმის ხალხი“, „ქაშლუს  
საზოგადოება“, „ყარამანლუს საზოგა-  
დოება“, „შამს-ად-დინლუს საზოგადოე-  
ბა“, „შამს-ად-დინლუს ელი“. ჩვენი აზ-  
რით, ასეთი რიგის სამუშაოთა ჩატარე-  
ბაში მსცოვან მეცნიერს ახალგაზრდა  
ირანისტები უნდა წახემხარონ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ  
წლებში გამომცემლობა „მეცნიერებამ“  
საგრძნობლად გააუმჯობესა წიგნების  
პოლიგრაფიული ხარისხი. სპარსული  
საბუთები ამ მხრივ დამაკმაყოფილებ-  
ლად არის გამოცემული. მართალია, სა-  
მივე ნაკვეთი ნაირფერ კოლენკორშია  
ჩასმული, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი  
სერიის წიგნების ერთი ფერის გარეკან-

ში ჩასმა ჯერჯერობით ძნელად მისაღწევი ფუფუნებაა. ერთი კი მაინც უნდა შევნიშნოთ გამომცემლობას: საისტორიო წყარო უფრო ხარისხიან და გამძლე ქალღმერთ უნდა იბეჭდებოდეს. ამ წიგნებით, ადვილი შესაძლებელია, მეცნიერთა რამდენიმე თაობას მოუხდეს სარგებლობა, რადგან სპარსული საბუთების ხელმოკრედ გამოცემაზე ალბათ ბევრი წყალი ჩაივლის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტირაჟი ამ წიგნებისა ძალზე მცირეა. მით უმეტეს, რომ ამჟამად ჩვენში ათასობით ადამიანია დაინტერესებული საქართველოს ისტორიით. ამ საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის და ირანის ისტორიის შესასწავლად. გამოცემული წიგნების ერთი ნაწილი საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და უცხოეთში იგზავნება. სწორედ ამიტომ არის, რომ სპარსული საბუთები გამოსვლისთანავე თბილისშიც კი აღარ იშოვება. მართალია, ამ გაზაფხულზე ასეთი კურორთიც მოხდა: ფასდაკლებული წიგნების ბაზრობაზე გამოჩნდა რამდენიმე ეგზემპლარი „სპარსული ისტორიული საბუთების“ პირველი ნაკვეთისა, რომელიც დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის

ქცეული და, რომ იტყვიან, მართლაც სანთლით საძებნელია, მაგრამ ნუ ვეცდებით ამ ფაქტის განზოგადებას. თანამშრომლებზე ბევრი სხვა მარგალიტიც იყო გამოტანილი ფასდაკლებით გასასყიდად.

უპირატესად სურვილების სახით გამოთქმული ჩვენი მცირე შენიშვნების გათვალისწინება, ვფიქრობთ, რამდენაღმე მაინც შეუწყობს ხელს მომდევნო ნაკვეთის კიდევ უფრო მაღალ დონეზე გამოცემას.

დასასრულს, როგორც ჩანს, მოგვიხდება სტანდარტული ფრაზის გამეორება, რომ „სპარსული საისტორიო საბუთების რეცენზირებული სამი ნაკვეთი ჭეშმარიტად ძვირფასი შენაძენია მეცნიერებისა“ (ჩვენ განგებ არ ვამბობთ „ქართული მეცნიერებისა“, რადგან ეს საბუთები, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ძვირფას წყაროს წარმოადგენს როგორც ამიერკავკასიის ქვეყნების, ისევე ირანის ისტორიის საკითხების დასამუშავებლად, სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის შესასწავლად). ისა და დავგრჩენია, ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ასეთი წარმატებით დაწყებული დიდი საქმის სასიკეთოდ დაგვირგვინება.

რეზაზ კიკნაძე.

## რას მივჩნობთ ლეონის შრიალში

დ. ივარდავა — „სამ იწყება ლეონის შრიალი“, გამოც. „ნაბაღული“

ყველა ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნი საოცრად ჰგავს ერთმანეთს თემებით: გახსენებები, წინაპრები, დედა, მამა, სოფელი... და ბოლოს, საყვარელი პოეტისადმი ან ხელოვანისადმი მიძღვნილი ლექსი. ამის მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდა კაცს ცხოვრების პატარა გზა აქვს გავლილი და ამიტომ გამოცდილებაც ნაკლები აქვს. ასეთი რამ შეიძლება ნაკლად არც ჩაითვალოს.

სასიხარულო ის არის, რომ დ. ივარ-

დავას წიგნი ამ მხრივ გამოირჩევა: მისი ლექსების თემა მრავალფეროვანია.

დიდარ ივარდავა დაჯილდოებულია საკუთარი პოეტური ხედვით. მისი წიგნი, უდავოდ, ყურადღების ღირსია თავისი უშუალობით და უბრალოებით. დღეს ლექსის წერის ტექნიკა ისე განვითარდა, რომ მკითხველს ვერ გააკვირვებ ვერც სახეებით, ვერც რითმით, ვერც ლამაზი შედარებებით... მთავარია უშუალობა. აზრის უბრალოდ გადმოცემა.

კრებული იხსნება ლექსით: „სამშობლო“. პოეტი იხსენებს მამულის წარსულს, მის ტანჯვა-ვაებას, ქირში სიმტიციეს და დღევანდლობაზეც გვესაუბრება:

მიჭრიან წლები...  
დიადები,  
უფრო მზევდები  
და გეტყვი ჩუმად შეილი შენი:  
— შენ ხარ ვენახი! —  
ამ ნათელ ცის ქვეშ შენ არასდროს არ  
დაბერდები,  
ამ ნათელ ცის ქვეშ სიჭაბუკე გიხმობს,  
გეძახის!

დღევანდელი ახალგაზრდა კაცი, რომელიც დიდი აღმოჩენებს, კოსმოსის დაპყრობის მოწმეა, სწორედ ასე უნდა აზროვნებდეს. ლექსი დაწერილია თავშეკავებით. წარსულზე თითქოს არაფერია ნათქვამი, ეს ერთი შეხედვით, მაგრამ:

მივტრიავთ ზევით და გვიკვირს ძლიერ  
მიწაზე კვალი დინოზავრების. —  
ყოველ ვაშს ახლა ძალუმად ეძლიეთ  
ჩვენი სიცოცხლის მქუხარ ზარებით.

როცა ლექსს „მამას“ ვკითხულობთ, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს, — ომი მარტო მას არ გადაუტანია, ვისაც თოფი ეჭირა ხელში, მარტო ტყვიების ზუზუნს და დანადმულ ველზე გავლაც არ ნიშნავს ომში ყოფნას. სწორედ ეს აზრია გადმოცემული ამ ლექსში. გადმოცემულია იმდენად უშუალოდ, რომ მისი აუღელვებლად წაკითხვა შეუძლებელია, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც უმამობა განუცდია.

მე ორი წლის გეხსომები, ალბათ,  
თუ მახსენე სიკვდილის წინ თრთოლივით,  
სამარეშიც თუ ის ჩაგყვა დარდად,  
ვით გამდნარი — გაზაფხულის თოვლი.

ათასობით მკითხველის სათქმელს ერთი კაცი ამბობს: პოეტის მოწოდებაც სწორედ ეს არის; ნამდვილი შემოქმედებაც ასე იქცევა ხოლმე ხალხის კუთვნილებად.

ამ ლექსთან ბევრი საერთო აქვს ლექსს „ნამოსახლარს“. მართალია, „მამაში“ სულ სხვა ამბავია აღწერილი,

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის კავშირი ადვილად შეიმჩნევა. მამას შვილი იხსენებს. გაციებული კერა <sup>განსაკუთრებით</sup> გააღვივა... „ნამოსახლარში“ კი:

წელში მოხრილი პატარა ქონი  
ბერეკაცივით აღსასრულს ელის, —  
ქარი ჩაურბენს ალუბლებს ოხვრით  
და მოაქვს სუნთქვა უკაცურ ველის.  
აქ რა ცხადია დღეთა პირობა  
და... განაჩენი მკაცრია ეგზომ, —  
უსიცოცხლობა, როგორც ქრილობა,  
როგორც იარა აწუხებს ეზოს.

რალაც მოულოდნელი თუ ბუნებრივი უბედურების წყალობით კარ-მიღამო გავერანდა—კერია გაცივდა და აღარავინა ჩანს მისი გამღვიძებელი. პოეტი ყოველივე ამას გამჭვირვალე, ხელშესახეში, მრავლისმეტყველი ფერებით გვიხატავს და მკითხველს დასაფიქრებელს უტოვებს.

კარგი ლექსია უსათაურო: „ვეება მთვარე ღრუბლებში ყვინთავს“... მშვენივრად არის შერწყმული პეიზაჟი განცდასთან, — იმ წუხილთან, რომელიც ამ ლექსით გადმოცემულია: ამ ქვეყანაზე მოვიდნენ აღამიანები, უნდოდათ რალაც ეთქვათ. მაგრამ ისე წავიდნენ, რომ ვერაფერი თქვეს, — ვერ მოასწრეს. და მიანც, როგორც ძანამდე იყო, ისევ ისე დარჩა ყველაფერი. არაფერი შეცვლილა და არც მამინ შეიცვლება. როცა აღარც ჩვენ ვიქნებით:

არ არის მშვიდი ფიქრები შენი,  
როგორც გრივალში ტოტები ხეთა, —  
შენ ყველაფერი გვიკვირს და გშველის  
და... რამდენს სურდა რაიმე ეთქვა.

კარგი ლექსია „ცირას“. სიცოცხლის გაზაფხულის სუნთქვა, ოჯახური იდილია, ნატვრა, სორგალი... ყველაფერი ეს დიდი გრძნობით არის გადმოცემული. დაფიქრების წუთები, საუბარი საკუთარ თავთან ლამაზად არის შეხამებული ბუნების სილამაზესთან:

გაზაფხული და ქარია გარეთ,  
სიმწვანე ხიდან ხეებზე ცოცავს. —  
ასეთი ყოფა, დღეო, მაქმარე,  
ეს მარადისი სიცოცხლის ლოცვა!

ეს უკვე სიმღერაა სიცოცხლეზე!

დღედაზე ლექსი ყველას დაუწერია: პოეტსაც და არაპოეტსაც. ეს უკვდავ-უბერებელი თემა ყველას სხვადასხვა-ნაირად აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ ძირითადი აზრი მაინც ერთნაირია: უსაზღვრო სიყვარული დედისა. დილარ ივარდავა ამ ლექსს თავისებურად იწყებს და თავისებურად ამთავრებს და მაინც აქაც მთავარია უსაზღვრო სიყვარული. სხვანაირად ვერც წარმოვიდგენთ. პოეტი ცნება „დღეს“ განაზოგადებს, როგორც სიცოცხლის, სიხარულის, ბედნიერების სიმბოლოს, როგორც სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოს.

„ზღვა, ივლისი და დიოსკურია“ ამ კრებულში ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია. აქ ნათლად ჩანს პოეტის დამოკიდებულება ჩვენი წარსულისა და დღევანდელობისადმი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ერთი ლექსის გარჩევის ტრადიცია, თორემ ეს ლექსი საიმისოდ მართლაც რომ გამოდგებოდა.

ასევე საინტერესო ლექსებია: „გზა“ (განსაკუთრებით მეორე ნაწილი), „ოდო-ია“, „შატარი“, „კავკასიონი თვითმფრინავიდან“, „ავვისტო“, „უშბა“, „რა უდრტვინველად გადიან წლები“...

დილარ ივარდავას ლექსებში ნათელი-ლივით კრთის მშობლიური ყვეფა და კერის. ძვირფასი ადამიანების ვარული. პოეტი სწორედ იქ არის ძლიერი, როცა სიტყვა და სათქმელი უშუალოდ მას ეხება, მის ბიოგრაფიას, მის სულიერ სამყაროს. ბუნებრივია, ახალგაზრდა პოეტის პირველ წიგნს ნაკლოვანებებიც გააჩნია. მაგალითად, დ. ივარდავას კრებულში ლექსი „დღე და ადამიანი“ ძალიან სუსტია. პოეტი ზოგჯერ სიტყვებსაც არასწორი ფორმით ხმარობს („და წელზე მეხვევა, ვით ჭიგოს — ვენახი“... ან „მას არაფერი ჰქონია ბრალად“... და სხვა). დილარ ივარდავა ნიჭიერი პოეტია და ამიტომ უფრო მეტი მოეთხოვება, რათა მკითხველის მოლოდინი მოლოდინად არ დარჩეს.

პოეტის პირველი წიგნი გამსჭვალულია სიცოცხლის, ადამიანების, სამშობლოს მაღალი სიყვარულით, ეს ჩვენი პოეზიის ტრადიციაა და ახალგაზრდა შემოქმედის მომავალი წარმატების საწინდარია.

ჩვენც ტრადიციულად დავლოცოთ პოეტი: გზა მშვიდობისა!

პარლო კობერიძე.

## სმოვრების მხარლამხარ

ბ. ხარხეულიძე — „თანამედროვეობა და კოზიკა“. გამომც. „მცინიერება“.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების ყოველმხრივი შესწავლა გადუღებელი საქმეა. უკვე გამოქვეყნდა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი. ჩვენი მკვლევარები სწავლობენ როგორც ცალკეული პოეტების შემოქმედებას, ისე პოეზიის განვითარების თეორიულ პრობლემებს. ერთ-ერთი ასეთი შრომაა გრიგოლ ხერხეულიძის ხსენებული წიგნი.

გ. ხერხეულიძეს მიზნად დაუსახავს მკითხველს უჩვენოს ქართული საბჭოთა პოეზიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგადი სურათი, უჩვენოს ის,

თუ რა სიახლე ახასიათებს თანამედროვე ქართულ პოეზიას და რითი იმსახურებს საყოველთაო აღიარებას. წიგნის ავტორი მოკლედ მიმოიხილავს წარსულის პოეტურ ტრადიციებს. ეს მას თანამედროვე პოეზიის სრული სურათის დასახატავად, პოეტურ სიახლეთა დასახასიათებლად სჭირდება.

ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ლირიკული პოეზია, ხოლო მეორეში — პოეტური ეპოსი. მკვლევარი ლიტერატურულ მოვლენებს და ცალკეულ



მხატვრულ ნაწარმოებებს განიხილავს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დღეისათვის მიღებული პერიოდიზაციის მიხედვით. მართალია, იგი ლირიკასა და ეპოსს ცალ-ცალკე განიხილავს, მაგრამ თავიდანვე შენიშნავს, რომ ეს ორი ეპიქური ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ბუნებრივია, ამ ნაშრომში მკვლევარის ყურადღებას უპირველესად 20-იანი წლების პირველი ნახევარი მიიპყრობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ახალი პერსპექტივები დაუსახა კულტურის განვითარებას. სწორედ ამ დროს ეყრებოდა საფუძველი ქართულ საბჭოთა პოეზიასაც. გ. ხერხეულიძე მართებულად შენიშნავს, რომ „ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ეს ყოველივე ერთბაშად არ მომხდარა“. მართალია, ჩვენში ჯერ კიდევ რევოლუციამდე არსებობდა მწერალთა ჯგუფი, რომელიც თავიდანვე უყოყმანოდ ჩადგა სოციალისტური კულტურის მშენებელთა რიგში, მაგრამ ეს მწერლები როდი წარმართავდნენ მთელ ლიტერატურულ პროცესს. ქართულ მწერლობაში იმხანად არ არსებობდა საერთო ესთეტიკური პრინციპები და ერთიანი იდეური პოზიცია. მწერლობა დაიყო სხვადასხვა იდეურ-ესთეტიკური მრწამსის მქონე ჯგუფებად, რომელთა შორის ხშირად მძაფრ ბრძოლასაც ჰქონდა ადგილი. ეს ბრძოლა, ცხადია, მხოლოდ დეკლარაციებისა და თეორიული წერილების ფარგლებში ვერ თავსდებოდა და მხატვრულ შემოქმედებაშიც იჩენდა თავს.

გ. ხერხეულიძე მოკლედ განიხილავს ლირიკის ეპიქურ თავისებურებებს, შემდეგ ჩერდება 20-იან წლებზე და მას ახასიათებს, როგორც საერთო იდეურ-ესთეტიკური პრინციპებისათვის ბრძოლის პერიოდს. მკვლევარი წინა პლანზე აყენებს ახალი მწერლობის კემ-მარიტი შედროშე პოეტების შემოქმედებას.

მკვლევარი წერს: „ქართული საბჭოთა

პოეტური სიტყვის სათავეებთან დგას უდიდესი ქართველი ლირიკოსი, ვალენტინ ტაბიძე, მისმა მომწოდებლებმა ახალი ცხოვრების სუნთქვით აღსავსე ლექსებმა ადრევე განსაზღვრეს ქართული საბჭოთა პოეზიის სავალი გზა“. სწორად იქცევა მკვლევარი, როდესაც მკითხველს პირველ რიგში გალაკტიონის იმდროინდელ შემოქმედებაზე ესაუბრება. გალაკტიონი იყო პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც თავისი შემოქმედება თავიდანვე დაუკავშირა ახალ ცხოვრებას და გზა გაუკაფა ახალ პოეზიას. მისი ლექსების ციკლები „ეპოქა“ და „რევოლუციონური საქართველო“ ეპოქალური მნიშვნელობის მხატვრული დოკუმენტებია. ისინი ქართული საბჭოთა პოეზიის ქვაკუთხედი და გ. ხერხეულიძეც მათ ამ პოზიციიდან განიხილავს.

დიდია გალაკტიონის მნიშვნელობა ქართული საბჭოთა პოეზიის შექმნასა და განვითარებაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ღვაწლიც, რაც პროლეტარულ მწერალთა პირველ თაობას მიუძღვის (სანდრო ეული, ნოე ზომლეთელი, პეტრე სამსონიძე და სხვ.). განსაკუთრებით საყურადღებოა კომკავშირული თაობის მწერალთა (ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვ.) როლი.

საინტერესოა აგრეთვე ლექსები პოეტებისა, რომელთაც თავიდანვე თანშიმდევრული პოზიცია არ ეკავათ, მაგრამ ეპოქის ახალ მოვლენებს მაინც ეხმარებოდნენ. წიგნში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, სიმონ ჩიქოვანის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვათა იმდროინდელ ლექსებს და მკითხველიც თვალნათლივ ხედავს, როგორ ჩაეყარა საფუძველი ქართულ საბჭოთა პოეზიას.

20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში ქართული მწერლობა საბოლოოდ დაუკავშირდა სოციალისტური რეალიზმის რევოლუციურ შე-

მოქმედებით მეთოდს. დასრულდა ქართული შემოქმედებითი ძალების ერთი ესთეტიკური იდეალის ირგვლივ გაერთიანება, დაიწყო ჩვენი ლიტერატურის განუხრელი წინსვლა.

30-იანი წლების პოეზიას გ. ხერხეულიძე უკვე თემებისა და მოტივების მიხედვით განიხილავს, რაც მას საშუალებას აძლევს თავისი კვლევის სფეროში მოაქციოს ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები და განსაზღვროს მათი ადგილი მთლიან ლიტერატურულ პროცესში.

სამშობლოს უმღეროდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსები და ეს სიმღერა ესტაფეტასავით გადმოეცა თანამედროვე პოეტებს. ტრადიციის ეს გაგრძელება ძველი სიმღერის უბრალო გამეორება, სხვა სიტყვებით გადმოცემა კი არ არის, არამედ მშობლიური ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტული გამოხატულებაა, ამ ცხოვრების ლირიკული განცდაა. განახლებული სამშობლოა მათი შთაგონების წყარო, ხოლო იდეური პოზიცია — სოციალისტური პატრიოტიზმი. თუ როგორ არის ეს უძველესი თემა ახლებურად გადაწყვეტილი, ამის საილუსტრაციოდ გ. ხერხეულიძე იხილავს ვალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, ტიცვიან ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანისა და სხვათა ნაწარმოებებს. მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ სამშობლოს თემა წამყვანია შემოქმედების ასპარეზზე უფრო გვიან გამოსული პოეტებისათვისაც.

ხალხთა ძმობის იდეა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი მთავარი იდეაა. გ. ხერხეულიძეც გულდასმით აანალიზებს ამ იდეის განვითარების გზებს. რა თქმა უნდა, ხალხთა მეგობრობის იდეა რევოლუციამდელი ქართული მწერლებისთვისაც არ იყო უცხო, მაგრამ ჩვენს დროში მან სრულიად ახალი სახე მიიღო, რადგან ძველი მწერლობის ოცნება სინამდვილედ იქცა. სარეცენზიო წიგნში ეს საკითხი სწორედ ამ თვალსაზრისით არის განხილული.

ხალხთა ბედნიერებისა და კეთილ-

დღეობისათვის დაუცხრომლად მებრძოლი მშობლიური კომუნისტური პარტია და მისი დიდი ბელადი ვლადიმერ ილიჩ ლენინი იყო და არის საბჭოთა მწერლობის შთაგონების წყარო. არ არსებობს არც ერთი ქართველი პოეტი, რომელსაც გულის სიღრმიდან არ ემღეროს კომუნისტური პარტიისათვის, არ ეცადოს დიდი ლენინის მხატვრული სახის შექმნა. ქართულ პოეზიაში ტონის მიმცემი ამ მხრივაც გ. ტაბიძე იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 1918 წელს უმღერა ლენინს.

მწერლობას ახალი მოთხოვნები წაუყენა დიდმა სამამულო ომმა. ომის წლებში მთელი ჩვენი ლიტერატურა მტერზე გამარჯვების სამსახურში ჩაღვა. ამ პერიოდში ყველაზე უფრო გააქტიურდა ლირიკა. სწორია მკვლევარი, როცა ომის პერიოდს ცალკე გამოკუთხს.

სამშობლოს დაცვის მოწოდება იყო მთავარი პათოსი ომის პერიოდის ქართული პოეზიისა, მაგრამ ეს მოწოდება უბრალო დეკლარაციად როდი რჩებოდა. ბევრი ქართველი პოეტი იარაღით ხელში ებრძოდა მტერს. ზოგიც გმირულად დიდიუბა სამშობლოსათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით საინტერესოა ბრძოლის ველზე, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებების უშუალო შთაბეჭდილებით შექმნილი სტრიქონები. გ. ხერხეულიძე გულთბილად წერს შინმოუსვლელ პოეტთა შემოქმედებაზე.

ჯერ კიდევ სამამულო ომის მრისხანე დღეებში ქართულმა პოეზიამ, საბრძოლო განწყობილებასთან ერთად, მთელი სისრულით გამოხატა საბჭოთა ხალხის სწრაფვა მშვიდობისაკენ. გ. ხერხეულიძე მშვიდობის თემას ომის პერიოდის შემდგომ ლიტერატურაში, მასთან უშუალო მიმართებაში განიხილავს.

შრომის ავტორს უყურადღებოდ არ რჩება ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. იგი გულდინჯად, პროფესიული ოსტატობით აანალიზებს ისეთ პრობლემებს, როგორიც არის ის-

ტორიული თემატიკის როლი თანამედროვეობაში, გარდასულ გმირთა სახეები, პეიზაჟები, სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკა და სხვ.

გ. ხერხეულიძე ქართულ საბჭოთა პოეზიას განიხილავს თემებისა და მოტივების მიხედვით და იქვე სამართლიანად დასძინს: „ჩვენ, საერთოდ, შორსა ვდგავართ იმ თვალსაზრისიდან, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებში არჩევს ორ საპარისპირო მხარეს — იდეურსა და მხატვრულს და მათ ანალიზს ცალკევე იძლევა. ჭეშმარიტად მხატვრულ ქმნილებაში იდეა გახვეული უნდა იყოს შესაფერის პოეტურ სამოსელში და, ამრიგად, მთლიანობაში წარმოდგენილი, მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდეს“. მთელი მხატვრული მასალა გ. ხერხეულიძეს ამ სწორი თვალსაზრისით აქვს შეფასებული. შრომის ერთ ნაწილში საგანგებოდ ეხება ლექსის ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებულ ზოგიერთ სპეციფიკურ მომენტს და საინტერესო დასკვნებსაც გვთავაზობს.

ამ საკითხთან აკავშირებს ავტორი ქართველ პოეტთა მიერ ლექსზე, როგორც ესთეტიკურ ფენომენზე, გამოთქმულ შეხედულებებს. და ბოლოს, არკვევს ქართული საბჭოთა პოეზიის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ პრინციპულ საკითხს, ეხება სამწერლო ასპარეზზე ომის შემდეგ გამოსული პოეტების როლსა და მნიშვნელობას, ცალკე გამოჰყოფს ძირითად დასკვნებს, სადაც აჯამებს კვლევა-ძიების შედეგებს.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსის ანალიზს. ეს ნაწილი იწყება სიტყვებით: „ეპიკური პოეზიის ქანარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“. ეს არსებითად სწორი დებულებაა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მკვლევარს მსჯელობისათვის მაინცადამაინც ვრცელი მასალა არა ჰქონდა ხელთ. დასამალი არ არის, თანამედროვე ქართულ პოეზიაში ეპოსი საგრძნობლად ჩამორჩება ლირიკას. ავტორი ამ სა-

კითხსაც ობიექტურად განიხილავს, იკვლევს ერთგვარ თეორიულ ექსკურსს, მოკლედ ეხება ეპოსის განვითარების ისტორიულ პროცესს. უნდა გავიზიაროთ მისი დებულება, რომ ყველა გრძელი ლექსი პოემა არ არის. პოემამ თავისი განვითარების გზაზე საგრძნობი სახეცვლილება განიცადა, მაგრამ ზოგიერთი აუცილებელი ნიშანი უცვლელი დარჩა. ლექსების ციკლი, რა თქმა უნდა, პოემა არ არის, რაგინდ მაღალი მხატვრული ღირსებები არ ანასიათბდეს მას. მართალია გ. ხერხეულიძე, როდესაც ამ პოზიციიდან განიხილავს გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა გრძელ ლექსებსა თუ ლექსთა ციკლებს, რომელთაც ხშირად თვით ავტორებიც კი პოემებს უწოდებდნენ.

გრიგოლ ხერხეულიძე ეპოსსა და ლირიკას ერთი და იმავე სფეროების მიხედვით განიხილავს. მისი მსჯელობა თითქმის ყოველთვის სათანადო საილუსტრაციო მასალით არის დასაბუთებული. წიგნის ავტორი ძირითადად სწორად აფასებს საბჭოთა ეპოსის განვითარების გზას. ვრცლად განიხილავს კარლო კალაძის „უჩარდიონს“, ალიო მირცხულავას „ენგურსა“ და „რუსთავს“. გრიგოლ აბაშიძის „ძღვევის ქედს“, „ზარზმის ზმანებას“, „გიორგი მეექვსეს“, გიორგი ლეონიძის „სამგორს“, „ფოთოხალას“, სიმონ ჩიქოვანის „სიმღერას დავით გურამიშვილზე“, იოსებ ნონეშვილის „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ და სხვ. და ამ მასალის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსი თვალსაზრისით აღმაშენებლის გზაზეა, მაგრამ „ნამდვილად დიდი ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსი ჯერ კიდევ წინ არის“.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

ავტორი მიუთითებს 20-იანი წლების ქართული პოეზიის განვითარების წინააღმდეგობრივ ხასიათზე, მაგრამ რატომღაც უყურადღებოდ ტოვებს საინტერესო მოკლევნებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ლიტერა-

ტურული ცხოვრებისათვის. მართალია, ლირიკის განხილვის დასასრულს ერთხელ კიდევ იმეორებს, რომ „ქართული თანამედროვე ლირიკული პოეზიის განვითარება არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც უმტკივნეულო, სწორხაზოვანი პროცესი... დროდადრო ჩვენს პოეზიაში თავს იჩენს ხოლმე გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები“, მაგრამ ეს მსჯელობაც კონკრეტული მაგალითებით არ არის დადასტურებული.

არაფერია ნათქვამი ზოგიერთ ისეთ ნაწარმოებზე, რომელსაც საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. გაუგებარია, მაგალითად, რატომ არ მოიხსენია ავტორმა ი. გრიშაშვილის ცნობილი ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ იქ, სადაც საგანგებოდ ეხება პოეზიაში ძველი და ახალი თბილისის ასახვის საკითხს;

ომისდროინდელი ლირიკიდან სავსებით გამორჩენილია ალექსანდრე აბაშელის „ცამ დაიჭუხა გუშინ“.

გაუმართლებლად მიგვაჩნია, აგრეთვე, ალიო შირცხულავას პოემის „აი ადამიანის“ უყურადღებოდ დატოვება. იგი ხომ ერთ-ერთი პირველი ქართული საბჭოთა სატირული პოემაა.

გრიგოლ ხერხეულიძე არასწორად აკავშირებს ეპოსის ჟანრს დიდ ომებთან. თუმცა თავისი დებულების განსამტკიცებლად მოაქვს ამონაწერები ჰეკლისა და ბელინსკის თხზულებებიდან და კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტებსაც იმორჩებს, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეპოპეის შესაქმნელად აუცილებელი არ არის ომის სინამდვილიდან აღებული თემატიკა. ეპოპეის თემა მშვიდობიანი შრომაც შეიძლება გახდეს.

ბნღრო მირიანაშვილი.





# მსჯილას



## არგმენტინა

### გოიას სურათები ბუენოს-აირსში

ინგლისურ ჟურნალ „დი ბარლინგტონ მეგჯინის“ 1966 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ზოსე გუდიოლას სტატია, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ ბუენოს-აირსის მუზეუმში დაცული ოთხი სურათის ავტორი გოია არისო. როგორც ჩანს, ეს სურათები გოიას ცხოვრების უკანასკნელ წლებში შეუქმნია. სამი მათგანი ერთ სერიას განეკუთვნება. ეს მოზრდილი კომპოზიციები შესრულებულია ზეთის საღებავებით. მათზე გამოხატულია „ყაჩაღები, რომლებიც თავს ესხმიან აღამიანებს“, „აღმოღებულნი ხსლი“ და „სოფლური ცეკვა“. მეოთხე სურათზე გამოხატულია სალოცავად მიმავალი ნახევრადტიტელი, ფეხშიშველა მლოცველები.

ხელოვნების ისტორიკოსები მუდამ დუმილით უკვიდნენ გვერდს ამ სურათებს და მათ მხატვარ გუდიონო ლუკასს (1824-1870 წწ.) მიაწერდნენ. საშუალო ნიჭის, მაგრამ ნაყოფიერი მხატვარი ლუკასი გოიას სურათების ასლებს აკეთებდა ხოლმე. ხშირად კი იგი გოიას სურათებიდან ეღმენტიტებასაც იღებდა საკუთარი კომპოზიციებისათვის და იყენებდა გოიას მუშაობის ბევრ ხერხს.

სავულდგაფლო ისტორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგად შესაძლო გახდა იმის დადგენა, რომ ბუენოს-აირსში დაცული სურათები გოიას ყალბას ეკუთვნის. ზოსე გუდიოლა იმოწმებს გრაფ დე ლა ვინიაცი 1887 წელს დაწერილ მონოგრაფიას გოიანზე. მონოგრაფიაში ნახსენებია გოიას სამი სურათი (მეოთხე სურათი იმავე სერიიდან დაიწვა ხანძრის დროს), რომლებშიც ბუენოს-აირსშია დაცული. გრაფი დე ლა ვინიაცი იმოწმებს ამ სურათების შექმნის მომწერებს — გოიას შვილიშვილს.

ზოსე გუდიოლა მიუთითებს ერთ-ერთი სურათის კუთხეში მიწერილ ნომერზე, რაც ადასტურებს, რომ ეს სურათი გოიას პირად კოლექციაში ჰქონია.

სურათების შესრულების ტექნიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ეს სურათები გოიას ფიზიხით დაუწერია, ისევე როგორც სხვა სურათები, რომელთა ავტორიც უდაოდ გოიაა და რომლებიც ავტორს აქ შესადარებლად მოჰყავს. ამ სერხით გოია სარგებლობდა მონასხის ექსპრესიულობით

და კომპოზიციაში შეტნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილების აქცენტირებისათვის. მაგრამ მას ლუკასი არახდროს არ იყენებდა, იგი მხოლოდ საინტერესო სიუჟეტით იფარგლებოდა.

## ნორვეგია

„ეს ჩვენ არ გვხსება“

ოსლოს თეატრების მსახიობთა ჯგუფმა რეჟისორ მარეტა სავანის ხელმძღვანელობით უჩვეულო სპექტაკლი დადგა. სპექტაკლის სახელწოდებაა „ეს ჩვენ არ გვხება“. კომპოზიციაში გამოყენებულია ევროპის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები 20-იანი წლებიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე. დოკუმენტებს ავსებს ნაწვეტები ანტიფაშისტი მწერლების კ. ჩაპეის, ზ. ბრეტის და სხვთა ნაწარმოებებიდან.

ვამანადგურებელი ომისაქენ მიმავალი ევროპა სპექტაკლში ნაჩვენებია უღარდელად მოცეკვავე ახალგაზრდების ფონზე. სპექტაკლის ყველა სცენაში მიუხეხნი იქნება ეს, საკონცენტრაციო ბანაკი თუ დაბომბვის შემდეგ ახრჩოლებული ღონღონი; გაისმის სიმღერა „ეს ჩვენ არ გვხება“.

„ჩვენ გვსურდა ნორვეგიელი ახალგაზრდობისათვის მოგვეთხოვო წარსული წლების საშინელ ამბებზე, გვსურდა ეს ამბები მას გაეფეთილად გამოსდგომოდა!“ — განაცხადა რეჟისორმა.

## ინგლისი

მრავლი მუზე — მსახიობი

„მოგზაადეთ! კადრი 162, დუბლი 2“, მიმდინარეობს კინოფილმის „მეფის ცხოვრების“ გადაღება. კინოსტუდიისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მსახიობთა უჩვეულო ფილმში მეფის როლის შემსრულებელი ჰალარა მამაკაცი ოდესღაც თვით იყო ინგლისის მეფე. იგი არის ედუარდ VIII, რომელმაც ტახტი დატოვა და ცოლად შეირთო ინგლისის სამეფო კარის მიერ უარყოფილი ქალი. ამჟამად ყოფილი მეფე პარიზის გარეუბანში ცხოვრობს.

მივიწყებული ხენსაციური ამბავი მეფისა, რომელმაც ქალის გულისთვის სამეფო მიატოვა, ანტიპარ კინომოღვაწეთა წყალობით ახლა ეკრანზე აღდგება.



# შიდაჯსი

## შიქრები ხემაღლა

შალვა შენგელი — ენგურის მკვ	3	გვ.
კოდორე შორეია — მეც ვითხოვ სიტყვას	7	გვ.
გიორგი ცოცანიძე — „გუნების კარი“ და „გუნებისმცოდნეობა“	10	გვ.
რედაქციისგან	12	გვ.

## პოეზია

გალატიონ ტაბიძე — ხალხი — ოქტომბერი (ლექსი)	2	გვ.
გიორგი ლორთქიძე — ლექსები	15	გვ.
ნოდარ ნასია — ლექსები	20	გვ.

## პროზა

ნოდარ წულუიძისძე — ჩემი ცაუ (მოთხრობა)	17	გვ.
ნიკო აბაშიძე — აღმზინი (მოთხრობა)	28	გვ.
მერაბ ელიოზიშვილი — მოგზაურობა და ხრჭატი (ნარკვევი)	37	გვ.

## ახალი თარგმანები

ელჰარე ბაბრცკი — კიონერის სიკვდილი (თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა)	74	გვ.
ჟან ანუი — ტოროლა (თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა)	77	გვ.

## ჩვენი ახალგაზრდობის მემორიალები

არნოლდ ჩოჩიაშვილი — ნიჭი და შრომა	108	გვ.
ვასილ კიკნაძე — დიდი და გასაოცარი ტალანტი	118	გვ.
გიორგი მერაბილაძე — სინამდვილის შეთავსებითი მხატვარი	122	გვ.
სერგი შილაია — სინათლე სულისა	129	გვ.

## ჩვენი ქალენდარი

არჩილ ჩაჩიაშვილი — ჩაუშვალე შარავანდელი	131	გვ.
სიმონ ჩოქოვაძე — სერგეი ესენინი თბილისში	134	გვ.

## წიგნების სამყაროში

ბაკი ბაქრაძე — „აღმზინებს ზოგჯერ ზრუნვა ატყუებს“	138	გვ.
რევაზ კიკნაძე — სპარსული საბუთები და მათი გავლენები	144	გვ.
პარლელ კობერიძე — რას ვიზრუნებთ ლერწმის შრიალში	151	გვ.
ანდრო მირიანაშვილი — ცხოვრების მხარდახმარ	153	გვ.

## ყოველი მხრიდან

	158	გვ.
--	-----	-----

### შეცდომების ბასწორება

ამ ნომრის მე-8 გვერდზე მეორე სვეტის ზემოდან მე-5 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე:  
რუსულ სხივ-ს არ გამოხატავს, სხივ...

მე-9 გვერდზე მეორე სვეტის ზემოდან მე-13 სტრიქონში უნდა იკითხებოდეს: ...ЛУКАВИЙ...

63-ე გვერდზე მეორე სვეტის ზემოდან მე-20 სტრიქონში უნდა იკითხებოდეს: ...ძულებუ-  
ლი შეიქმნენ ქართული სკოლა...

გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელისა

ქურნალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახამდე, ავტორებს  
არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი პლენანოვის პროსპ. № 91.

ბელაფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების:  
პოეზიისა და პროზის, მხატვრობისა და კულტურის — 5-08-75, კრიტიკისა და  
ბიბლიოგრაფიის — 5-08-85

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XI 65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 3370. უე 03494. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8500.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფანა 60 კპ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236